

**ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი**



**Georgian Book Support Foundation**



# **ხალხური პოეზიის ანთოლოგია**

**შედგენილი  
ზურაბ კიკნაძისა  
და ტრისტან მახაურის  
მიერ**

თბილისი  
მემკვიდრეობა  
2010

**An Anthology of Folk Poetry**  
Selected by Zurab Kiknadze and Tristan Makhauri  
Tbilisi  
Memkvidreoba  
2010

რედაქტორი  
**მერაბ ლალანიძე**

ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი  
**“მემკვიდრეობა”**

ფონდის საქმიანობას ნივთიერად უზრუნველყოფს  
**გიორგი ლეჟავა**

წიგნის გასაფორმებლად გამოყენებულია  
**თენგიზ მირზაშვილის**  
ნამუშევრები

ISBN 978-9941-9106-3-0

© ზურაბ კიკნაძე, 2010  
© ტრისტან მახაური, 2010  
© “მემკვიდრეობა”, 2010

## სარჩევი

|                                    |     |
|------------------------------------|-----|
| წინათქმა                           | 7   |
| სარწმუნოებრივ-მითოლოგიური          | 11  |
| ნაქადაგრები                        | 25  |
| საისტორიო                          | 37  |
| საგმირო                            | 47  |
| სამონადირეო                        | 81  |
| სატრფიალო                          | 91  |
| შრომის ლექსები                     | 107 |
| წუთისოფელი                         | 119 |
| ხმით ნატირლები                     | 133 |
| ეპიტაფიები                         | 169 |
| საყოფაცხოვრებო                     | 173 |
| გალექსებანი                        | 195 |
| შაირები                            | 205 |
| საწესხვეულებო                      | 209 |
| შელოცვები                          | 221 |
| გამოცანები                         | 231 |
| <br>                               |     |
| შენიშვნები                         | 241 |
| შემოკლებანი                        | 315 |
| სიტყვათა განმარტება                | 319 |
| საძიებლები                         |     |
| საკუთარი და საგვარეულო სახელები    | 325 |
| ადგილისა და წარმომავლობის სახელები | 329 |
| ტექსტების ინდექსი                  | 335 |

ვუძღვნით  
ალექსანდრე გვახარიას  
ხსოვნას

## წინათქმა

ქართული სიტყვიერების, კერძოდ, პოეზიის, კრებულების რაოდენობა ათობით გამოცემას ითვლის. კრებულები სხვადასხვა ტიპისაა. ზოგიერთი სპონტანურად თუ გაცნობიერებულად ეფუძნება გამომცემელთა ფოლკლორისტულ კონცეფციას, მათ წარმოდგენას ფოლკლორულ ტექსტზე და შემოქმედებაზე, საზოგადოდ; ბევრ მათგანს ახლავს ცნობები ფოლკლორული ჩანაწერის შესახებ, ანუ ე. წ. პასპორტი, რომელიც გვიმხელს ტექსტის ვინაობას, ჩანაწერის წარმოშობას, შეძლებისდაგვარად ყველაფერს, რაც ანონიმური ფოლკლორული ტექსტის შესახებ შეიძლება ვიცოდეთ. ბევრი მათგანი “მშრალ” ტექსტებს სთავაზობს მკითხველს, რაც უთუოდ ღირსებას უკარგავს კრებულს. რამდენიმე მათგანი, თავისი ტექსტოლოგიური აკრიბიის გამო, დღეს კლასიკურად არის ქცეული და ზოგი მათგანი, დიდი ხანდაზმულობის გამო, ცხადია, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ასეთებია “ხალხური სიტყვიერება” (ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით; 1915-1917), სადაც მოხვდა პირველი თაობის შემკრებთა, მათ შორის ივანე ბუჭურაშელის, თედო რაზიკაშვილის, ვინმე მესხის, ია კარგარეთელის და სხვათა კოლექციები; 1931 წელს გამომცემული აკაკი შანიძის “ქართული ხალხური პოეზია: I. ხევსურული”, სადაც თავი მოიყარა ამ კუთხის პოეზიის უხვად დოკუმენტირებულმა მასალამ, რომლის ჩაწერაში სამ ათეულზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა; პეტრე უმიკაშვილის “ხალხური სიტყვიერება”, სადაც თავი მოიყარა ამ დაუვიწყარი მოღვაწის მიერ შეკრებილმა პოეტურმა ტექსტებმა, რომლებიც ანდერძით 1937 წელს გამოსცა ფილიპე გოგინაიშვილმა; ვახტანგ კოტეტიშვილის 1934 წელს ქუთაისში გამომცემული “ხალხური პოეზია” (ვრცელი ექსკურსებითურთ) და კიდევ სხვანი, რომელთაც აქ არ ჩამოვთვლით. დაგასახელებთ ჩვენს ეპოქაში ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეულს (1972-1984). მიუხედავად ხარვეზებისა, დღესდღეობით ეს არის ხალხური პოეზიის ყველაზე სრული კრებული, რომელიც იკრებს მდიდარ საველე, საარქივო და წარსულში კრებულებად გამოქვეყნებულ მასალას, თუმცა ის შორს არის ყოვლისმომცველობისგან, რაც პრინციპულად განუხორციელებელია.

წინამდებარე კრებულის შემდგენელნი ეცადნენ, რომ მასში ასახულიყო ქართული სიტყვიერი ფოლკლორის ჟანრობრივი მრავალფეროვნება, რათა მკითხველს შექმნოდა მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა ხალხური შემოქმედების ამ სფეროზე. ამდენად, კრებული ანთოლოგიის ხასიათს ატარებს. საჭიროდ მივიჩნიეთ, ჩვენი *ანთოლოგიის* მკითხველისთვის გაგვეცნო პრიციპები, რომელთაც იგი ეფუძნება. საყოველთაოდ ცნობილია ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი ფორმალური ნიშანი, რომელიც მას ლიტერატურული შემოქმედებისგან განასხვავებს. გვისდება ამის განმეორება, რამდენადაც მას არ ითვალისწინებენ არააკადემიური ხასიათის პუბლიკაციებში. მართალია, ხალხური ქმნილება

ანონიმურია, მაგრამ მისი გამოქვეყნება აბსოლუტური ანონიმურობის ნიშნით გაუმართლებელია. როგორც გაუმართლებელია (და არც არავის მოუვა აზრად) ლიტერატურული ნაწარმოების გამოქვეყნება მისი ავტორის დაუსახელებლად, ასევე გაუმართლებელია ხალხური ტექსტის გამოქვეყნება ყველა იმ მონაცემის გარეშე, რომელიც აფიქსირებს ტექსტს, როგორც დროსა და სივრცეში კონკრეტული ადამიანის (მთქმელის) მიერ წარმოთქმულს და კონკრეტული ადამიანის (ჩამწერის) მიერ მოსმენილს. სამწუხაროდ, ეს მოთხოვნები სრულიად უგულებელყოფილია XIX საუკუნის პუბლიკაციებში. არც დავით ხიზანიშვილი, რომელსაც ეკუთვნის ხალხური (ფშაური) ლექსების პირველი კრებული (1887), არც ვაჟა-ფშაველა, რომელსაც ბევრი ხალხური ლექსი მოჰყავს თავის ნარკვევებში, არსად არ უთითებენ არც მთქმელის ვინაობას, არც ჩამწერის ადგილსა და დროს. XIX საუკუნის მოღვაწეთა შორის ერთადერთი პეტრე უმიკაშვილი იყო, რომელიც მკაცრად იცავდა ფოლკლორული ტექსტების ჩამწერის აუცილებელ წესებს. ეს აუცილებლობა ჩნდება ხალხური შემოქმედების ანონიმურობის საპირწონედ: ხალხური ტექსტი ანონიმურია, მაგრამ ეს ანონიმურობა მის მთქმელზე არ უნდა გადადიოდეს. პირველ მთქმელის ანუ ავტორის ვინაობა თუ უნუგემოდ დავიწყებულია, ტექსტის შემნახველის ვინაობა მაინც არ უნდა იქნას დავიწყებული.

ანონიმურობა ხალხური ნაწარმოების ბედისწერაა და იგი მისი განუყოფელი ნიშანია სხვა ნიშანთა შორის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს (როგორც, მაგ., ცნობილი რუსი ფოლკლორისტი ვლადიმირ პროპი ფიქრობდა) მას ოდესმე ერთი ავტორი არ ჰყოლოდეს. კოლექტიურობა, ხალხური ლექსის ერთ-ერთი ნიშანი, შემოქმედების არა საწყისი, არამედ საბოლოო ეტაპია, როცა იგი განიფინება დროსა და სივრცეში და საერთოსახალხო საკუთრება ხდება. რაც შეეხება მის შექმნას, რაკი შემოქმედების პროცესი მკვეთრად ინდივიდუალურია (და არც შეიძლება სხვაგვარი იყოს), კონკრეტულია და მკაცრად განსაზღვრული ქრონოტოპით (იგი იქმნება *აქ* და *ამჟამს*) არის აღბეჭდილი, მისი ავტორის არსებობა არათუ სავარაუდოა, არამედ ურყევი ფაქტი უნდა იყოს. მაგრამ მაინც ლექსი ანონიმურია. ამ ანონიმურობის საკომპენსაციოდ ფოლკლორული ტექსტის გამოცემელი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ტექსტის მთქმელისა და მისი ჩამწერის ვინაობას, ჩამწერის ადგილსა და დროს. ფოლკლორისტს ამოძრავებს პიეტეტი და მაღლიერების გრძნობა იმ პიროვნებათა მიმართ, რომლებმაც განსაზღვრულ ქრონოტოპში, *აქ* (ამ სოფელში, ამ საფიხვნოზე, ამ ორღობეში...) და *ახლა* (დროის განუმეორებელ მონაკვეთში) შემოინახეს ლექსი თუ ნარატივი. გალაკტიონის სიტყვები — “დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს” — არა ნაკლებ მიესადაგება ხალხურ ლექსს. სადაც არ უნდა იყოს წარმოშობილი ლექსი, ის ეკუთვნის იმ ადგილს და იმ ხალხს, სადაც და ვისგანაც ჩვენ ის მოვისმინეთ. ის სწორედ ამ კონკრეტული სოფლის რეპერტუარშია დამკვიდრებული და განსაზღვრავს მის მსოფლშეგრძნებას, მის არაპრაგმატულ ინტერესებს, მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და თვალსაწიერს. მიუხედავად მისი ანონიმურობისა, ხალხური ლექსი ყოველთვის კონკრეტულია, ის არ არის აბსტრაქცია, ის ყოველთვის *ის არის, რაც არის* თავისი ნაკლითა და ღირსებით. ამაოა მისი სრულყოფილი ტექსტის, არქეტიპის ძიება. ამ ვითარებიდან გამომდინარეობს *ანთოლოგიის* გამოცემელთა მეორე პრინციპი. ცნობილია, რომ ხალხური ლექსი მრავალ ვარიანტად არსებობს, თუმცა ტერმინი ვარიანტი არ გამოხატავს იმ მდგომარეობას, რასაც მის *განფენაში* ვგულისხმობთ. რამდენადაც ჩვენ არ შეგვიძლია ტექსტის არქეტიპის მიკვლევა და დადგენა, *ვარიანტის* ცნება უაღრესად პირობითია ხალხურ შემოქმედებასთან მიმართებაში, თუმცა კი ვამბობთ, რომ ფოლკლორული ტექსტი ვარიანტების სახით არსებობს, უფრო მეტიც, მისი



ფოლკლორულობის კრიტერიუმი ვარიანტულობაა. მაგრამ ისმის კითხვა: რისი ვარიანტია ესა თუ ის კონკრეტული, ამა და ამ ადგილას, ამა და ამ პირის მიერ წარმოთქმული ტექსტი? როგორ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ვარიანტზე, როცა არ ვიცნობთ ინვარიანტს, არქეტიპულ, თავდაპირველ ტექსტს? არქეტიპის არარსებობის პირობებში ყველა ვარიანტი თანაბარმნიშვნელოვანია, თითოეული მათგანი რომელიმე კუთხის, სოფლის ტრადიციას ეკუთვნის. ამიტომაც ჩვენ უარვყავით გავრცელებული პრაქტიკა, რომლის თანახმად, ხალხური სიტყვიერების აკადემიურ კრებულებში ძირითად ტექსტად გამოტანილია ჰიპოთეტური არქეტიპი, დანარჩენები გადასროლილია ბოლოში ე. წ. ვარიანტების სახით. ჩვენს გამოცემაში ყველა “ვარიანტს” თანაბარი ღირსება აქვს მინიჭებული და საკუთარი ნომრის ქვეშ არის დაბეჭდილი. მხოლოდ მკითხველია თავისუფალი საკუთარი “არქეტიპის” არჩევაში.

ჩვენი *ანთოლოგიის* თავისებურება ისიც არის, რომ ტექსტები უსათაუროა. ხალხური ლექსი ისე განიფინებოდა დროსა და სივრცეში, რომ ქალაქდზე დაწერილი არავის უხილავს. ლიტერატურული ლექსი თუ სათაურთან ერთად არსებობს, ხალხური ლექსი მთქმელთა მესხიერებაში თავისი მთლიანობით და გამოუთქმელი კონფიგურაციით, რაღაც ინდივიდუალური ნიშნით — მთავარი გმირის სახელით თუ ერთი რომელიმე საკვანძო სიტყვით, და არა სათაურით ინახება. ხალხურ ლექსს, რომლის დასაბინავებლად საუკეთესო ადგილი ნამდვილად არ არის წიგნის ფურცელი, სათაურს გამომცემელი აძლევს. ჩვენს კრებულში უკლებლივ ყველა ტექსტი, თვით უპოპულარესიც კი, უსათაუროა. ისინი ჩვენს *ანთოლოგიაში* პირველი სტრიქონების მიხედვით არიან დასათაურებული.

*ანთოლოგიის* მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის არქივიდან (*თხუფა*) არის შერჩეული. ეს არის ტექსტები, რომელთა მოპოვებაში მკვლევართა, სტუდენტთა თუ, უბრალოდ, ერთუზიასტა არაერთი თაობა იღებდა მონაწილეობას. მკითხველი აქ შეხვდება ხალხური პოეზიის ბევრ ახლად გამოვლენილ ნიმუშს, ბევრსაც საყოველთაოდ ცნობილი ძეგლების არქივიდან გამომწვეურებულ განსხვავებულ ორეულებს. გარდა ზემოთხსენებული კლასიკური გამოცემებისა, *ანთოლოგიის* წყაროა ივანე ხორნაულის, ელენე ვირსალაძის, ალექსი ოჩიაურის, თედო უთურგაიძის, ჯუანშერ სონღულაშვილის, ირაკლი გოგოლაურის, გიორგი ხორგუაშვილის, ნანული აზიკურის საავტორო კრებულები. ბევრმა საუკეთესო ნიმუშმა ამ კრებულებიდან რატომღაც ადგილი ვერ ჰპოვა ხალხური პოეზიის თორმეტტომეულში. ამრიგად, წინამდებარე *ანთოლოგია*, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩვენს მიერ ამ ორი ათეული წლის წინათ გამოცემული *ქართული ხალხური პოეზია* (თსუ გამ-ბა, 1992), მნიშვნელოვნად არის გამდიდრებული სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული მასალით.

ხალხური პოეზიის ზღვა მასალიდან ყოველი გამომცემელი თავისი გემოვნებისა და შეხედულების კვალობაზე არჩევს ტექსტებს. ეს ყოველთვის გამართლებულია, მაგრამ ის ვერ აუქცევს გვერდს კლასიკურად ქცეულ ნიმუშებს, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ ხალხური შემოქმედების სახეს და დონეს. ამიტომაც ისინი გადადიან კრებულიდან კრებულში და ამშვენებენ მათ.

*შემდგენლები*





**სარწმუნოებრივ-მითოლოგიური**



### **1. ღმერთო და ხატო ცხოველო**

ღმერთო და ხატო ცხოველო, შენ სალოცავად მოველო,  
მოსულს მომეცი წყალობა, წასულს თან გამაყოლეო.

### **2. ღმერთო, ჰე, ღმერთო**

ღმერთო, ჰე, ღმერთო მაღალო, ღმერთო ჳმელთა და ცათაო,  
ღმერთო, უშველე საყმოსა, შენ კარზე მამდგარ ყმათაო.

### **3. პირველად ღმერთი ვაჳსენოთ**

პირველად ღმერთი ვაჳსენოთ,  
მემრე ბატონი ჩვენო.  
ვაჳსენოთ წმინდა გიორგი,  
ეკლესიაზე მდგარიო;  
ვაჳსენოთ ქალი თამარი,  
თამარი დედუფალიო, —  
შუა ზღვას ჩადგა სამანი,  
სამანი რკინის არიო,  
ქრისტეანთ სალოცავადა  
გამოხატული ჯვარიო.  
პირდაპირ უდგა გორზედა  
ლადი ლაშარის ჯვარიო,  
ნისლისფერი ჰყავ ლურჯაი,  
მტრედისფერნი ჰქონ მჳარნიო.  
ოქროს წყლის უნაგირ უდგა,  
ოქროს წყლის ლაგმის ტარიო,  
ვაჳსენოთ ბერი კოპალა,  
მოძმე ჰყავ იაჳსარიო.  
მთაწმინდას მთავარანგელოზს  
უყვარან თავის ყმანიო.

### **4. პირველად ღმერთი ვაჳსენოთ**

პირველად ღმერთი ვაჳსენოთ,  
ეგ უფრო დიდებულია.

მემრ თამარ ნეფე ვაჰსენოთ,  
ეგ ღმერთთან წილდებულია.  
ლაშარის ჯვარიც ვაჰსენოთ,  
ეგ ყმაზე თავდებულია.  
ბრძანებდა დამბადებელი:  
— მე დავდგი მიწა მყარია,  
ზედ გადავხურე ზეცადა  
სინა, ჭიქა და რვალია;  
შიგ გავაცინე მზე, მთვარე  
მავალი დღე და ღამეა;  
მურგვალთ მოვარტყი სამი ზღვა:  
თეთრი, წითელი, შავია;  
შიგ გავაჩინე დუნია,  
რჯულად ათასი გვარია.  
ბრძანებდა მამა უფალი:  
— თამარ განეფდეს ქალია,  
დაიგდოს მამის საკელო,  
შაირტყას მამის კმალია,  
სახელით გამარჯვებული  
თამარი დედუფალია!  
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,  
გადააქანა ზღვანია;  
შუა ზღვას ჩადგა სამანი,  
სამანი რკინის სარია,  
კმელეთი ჩვენკე დაიგდო,  
— ღმერთო, მიმრავლე ყმანია!  
ქრისტეიანთ სალოცავადა  
თვითო[ნ] კმელ გორზე ბრძანია.  
პირდაპირ უდგა გორზედა  
ლალი ლაშარის ჯვარია.  
მიეშველებიხს საყმოთა,  
არ იყოს მისვლის ხანია.  
ნახანის გაემართება,  
კოტორ გაჰყვება ნისლისა.  
გაიგო ლაშარის ჯვარმა,  
ქისტეთს გაბევრდა ცხვარია,  
გადაიკიდა მათრაჰი,  
წელზე შაირტყა კმალია,  
შაჰკაზმა თავის ლურჯაი,  
ზედ თითონ შაჯდა ჩქარია,  
შამაუარა საყმოსა,  
ცხენ მოდის, როგორც ქარია.  
დალაღდნენ ფშავლისშვილები,  
იყრება მძიმე ჯარია,

შამოჯდენ ლაშრისგორზედა  
ქვეითნი, ცხენოსანნია.  
მრავალთ ეკიდა მქარზედა  
სამკლავე, საფუჭარია;  
ყველას თან ედგა საგზაო,  
საჩქაროდ ნადულარია.  
ხუცობდა ბერი ლუხუმი,  
კმატკბილად მაუბარია.  
ჯერ თამარ ნეფე ავსენა,  
მემრ ლაშარისა ჯვარია,  
მემრე მკვდრებს უთხრა შანდობა,  
ვინც ველზე დარჩა მკვდარია.  
ჩამააყოლეს თასები,  
თამარის ნაჩუქარია!  
მიდიან დაჩქარებითა,  
საქმეა საწუთარია,  
წვერჩევიან თარეშნი,  
ღმერთო, დასწერე ჯვარია!  
ცის ქუხილ გეგონებოდათ  
ცხენების ფეკის ჩქამია,  
გამაუძღვება დროშია,  
უჭრიალებდა ზარია.  
ჩაგროვდნენ მაგსტის ჭალასა,  
არ სწვდება წვიმის ცვარია.  
თოფი ძიუნას დაგვიკრეს,  
ოთხზე დაბრუნდა კარია!

## 5. დიდი ვარ ლაშარის ჯვარი

დიდი ვარ ლაშარის ჯვარი, ცას ვები ოქროს შიბითა,  
კმელ გორზე მედგა ბერმუხა, ასაკდომ იყო კიბითა.  
ბევრ-ბევრმა მურგვლით მიარა, ვერვინ დამწონა შიშითა...  
სულკრულმა ერისთვისშვილმა ამამაბრუნა ძირითა.  
სულკრულმა აფციაურმა გამყიდა თავის პირითა,  
სანამ იმისი ძე არის, მე ამოვაგებ ჭირითა,  
უკულმ ჩაუდევ საყელო თავის ქალ-ქალიშვილითა.

## 6. ბერი გიორგი მეც ვიყავ

ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა,  
გორაზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა,  
ჩემს საყმით შამონაზენი ღმერთთან ამქონდა იქითა.  
ხელკრულმა ერისთვისშვილმა ამამიბრუნა ძირითა,  
ჯერ შვილი-შვილით დავლიე, მერმე ქალ-ქალიშვილითა.  
უკულმამცა აქვ სახელი იმათ მონაგართ ყველათა.

### 7. არ მინდა ფშავისწევზედა

არ მინდა ფშავისწევზედა აფციაურის გვარისა,  
ეგ მუხა მაგათ მოგვიჭრეს, მუხა ლაშარის ჯვარისა.

### 8. ფშავლებსა ლაშარელაი

— ფშავლებსა ლაშარელაი ნეტა არ დაუბერდაო?  
ამბობენ დაბერებასა, ნეტა არ მაუკვდებაო?  
— ვინა თქვა ხატის სიბერე, იმასამც გაუწყრებაო!

### 9. ლაშარელაის ლურჯასა

ლაშარელაის ლურჯასა ფაფარ ასხავის გიშრისა.  
ქორებულ გაემართება, კოტორ გაჰყვება ნისლისა,  
თავის ყმათ ჩაეშველება, ხან რო არ იყოს მისვლისა.

### 10. ქალმა თქვა, თამარ ნეფემა

ქალმა თქვა, თამარ ნეფემა: დედავ, სიზმარი ვნახეო:  
ჩამბარდა სახმელეთოი, ვაჰ, თუ ვერ შევინახეო.  
მაშინვე ჩანდი, თამარო, როდესაც დაიბადეო.  
მესამე თვე რომ გაგიხდა, აგვანშიითა ასდეო,  
ჯერ ხელ-პირ ჩამაიბანე, მემრ პირჯვარ დაისახეო,  
ჩიქილა გადაგვხურა, ვერ გავიგ, სად რა წახვეო.  
მოხვედი მეშვიდე წელსა, სთქვი: შუა ზღვაი ვნახეო.

### 11. შვიდი წლის ქალი თამარი

შვიდი წლის ქალი თამარი ნეფე თქვეს, დედოფალიო.  
ზღვის პირზე შავიყარენით, შაგვექნა საუბარიო.  
ზღვასა გადაჰკრა ლეჩაქი, გადააქანა ზღვანიო.  
შუა ზღვას ჩადგა სამანი, არ გადმაჰცილდეს ცვარიო!  
კლდეზე გამართა ქალაქი, შააბა რკინის კარიო.  
შიგ ააშენა სიონი, დაადგა ოქროს ჯვარიო.  
ურჯულოთი და თათართი — ყველათ სარწმუნომც არიო!

### 12. შვიდი წლის ქალი მობრძანდა

შვიდი წლის ქალი მობრძანდა თამარი დედოფალია,  
ჩიქილა გადაიქნია, გადააქანა ზღვანია.  
შუა ზღვას ჩადგა სამანი, არ გადმაჰცილდეს ცვარია!  
ლურჯ ცხენა ყმაწვილ მობრძანდა, ლალი ლაშარის ჯვარია.  
— ერთურთის პირდაპირ დავდგეთ, ვიმსახურნოდეთ ყმანია!  
შიბი გაუდგავ კიდადა იმაზე გასავალია!



### 13. ჳმალაჩი ერთი ციხე დგას

ჳმალაჩი ერთი ციხე დგას, ცამდი მიუდის წვერიო,  
ამაგის ამგებს ბერძენსა კელ ხქონივ საკვირველიო,  
ამაგის აგებაჩივა სამოც მაუნდის წელიო,  
ოცი მაუნდის ჩაქუჩი, ორმოც ქვის სამტვრევ კვერიო.  
გვერდითა ალვისხე უდგას, ცამდი მიუდის წვერიო,  
ზედ ხო ვერცხლეულ ხკიდავის, ცხრაკეცი შიბის ყელიო.  
ხეს ნაფოტ არ გადვარდება, ეგ უფრო საკვირველიო.  
შამოსეულა ზურაბი, უნდა ძირს დასცას ხენიო,  
მაგრამ ვერა სჭრის ცოდვილი, ღამე მაუსწრებს ბნელიო.  
ერთი ვიღაცა ყოფილა არიშაული ბერიო,  
იმან ასწავლა ზურაბსა ალვის ხის მასაჭრელიო:  
“კატა დააკალ, ზურაბო, რაკი დაგიდვავ კელიო”.  
ტყის ძირჩი დაკლეს კატაი, იმით დანათლეს ხენიო.  
ამანდით გადმაქცეულმა ორწყალჩი დაჰკრა წვერიო.  
შიბ გაწყდა, ცისკე წავიდა, წიოდა, როგორც გველიო.

### 14. ჳმელ გორზე იდგა მუხაი

ჳმელგორზე იდგა მუხაი, ცამდე მიუდის წვერიო,  
მალლიდან გადმოკიდული ცხრაკეცი შიბი, გრძელიო;  
ხეს ნაფოტ არ გადვარდება, ეს უფრო საკვირველიო,  
მოიდა ერთი ვიღაცა, მირეშაული ბერიო,  
იმან ასწავლა ზურაბსა ალვის ხის მოსაჭრელიო:  
“კატა დააკალ, ზურაბო, რაკი დაგიდვავ კელიო,  
სისხლიან შამააწყვიტე, მოშორდეს ყველაფერიო.”  
ზურაბმაც დაკლა კატაი ყელფარღელაი, ჭრელიო;  
ჯაჭვი წავიდა პირაღმა, წიოდა, როგორც გველიო.  
იქიდან გადმოქცეულმა ჳმალაში დაჰკრა წვერიო.  
სულ მთელ ქალაქში ჩაზიდნეს, ძირ არ გაბადეს, წვერიო.

### 15. ვაჳსენოთ ღმერთი, ვაჳსენოთ

ვაჳსენოთ ღმერთი, ვაჳსენოთ მერე ბატონი ჩვენია.  
მენა ვარ ბერი კოპალა, დევ-კერპთან მეომარია.  
დევ-კერპთ ეჭირათ ქვეყანა, ჳმელეთი მიწა მყარია,  
ანადგურებდნენ კაცებსა, როგორც ნადირმა ცხვარია.  
მეც დამატყვევეს დევებმა და ჩემი დედა ქალია.  
დედა მამიკლეს დევებმა, შეჭამეს ცოცხალ-მკვდარია,  
მე კი დამტოვეს ცოცხალი, ბალღია უმეცარია.  
დატყვევებულმა ობოლმა ღვთისშვილთა ვთხოვე ძალია, —  
გამოვრევიყავ დევებსა, მკვდარზე მეყარა მკვდარია.  
უფალმ დამირტყა ბეჭედი, კი გავკდი ფალავანია.  
ციხეგორს ჰქონდა დევებსა, ციხე და ვალავანია,  
სკამ-ტახტად ეწყვა ლოდები, ის იყო იმათ სკამია.

კარებში სიძსა ჰყუდებდენ, არ ება ლახტის კარია.  
იქ იყო შაფარებული დევი, ყველაზედ მძლავრია,  
რომენმაც ჩემ დედის სისხლი შავ ღვინოსავით დალია.  
ჯირითში გამოითხოვე, საცა დიდ მეიდანია.  
შავკედით ირემთკალოსა, ჯირითს გავავლეთ თვალია.  
სამ ტონიან ქვებს წუნ დავდე — არ ვარგა, ცოტა არია!  
ვისროლე აქათ-იქითა, როგორც მჭედელმა ნალია.  
შევაცვლენინე ჯირითი, სამ ტონით ავატანია.  
მაშინ დაშინდენ კერპები, ერთურთზე დარჩათ თვალია,  
ბაშოსგორიდან გავტყორცნე, დაიძრა მთა და ბარია.  
იქა ჰყოლიყო დევებსა თურმე ეშმაკის ჯარია,  
უნდოდა გადმეცია, თუ ჩემ ქვა მაღლა არია,  
მაგრამ ვერ გადმეცია, უფალმ არ მისცა ძალია.  
კაშარსა ჰყვანდა დევებსა ცხრათავა ფალავანია.  
ახლა ის გამაიყვანეს, საშველი აღარ არია...  
უბისთავისას გადმოჩნდა, მაჰყვება მიწის კვალია.  
გამოჩნდა გულიკათ გორსა, გოდორს უგავდა თავია.  
გამოკდა ირემთკალოსა, ბევრ არ დალია ხანია.  
გადმაუძრახა მოყმეთა: “ვინ გაკდა ჩვენი მძლავრია!”  
შიშდაცემულმა დევებმა ჩემზე ჩაუკრეს თვალია.  
“მაგას კი როგორ ვეჭიდო, ჩემზე პატარა არია.  
უბრალოდ თუ კელი დავდე, ნაცრად იქცევა ძვალია...”  
გადავედ, გადმოვითხოვე, დიდად რო მოგაქვ თავია.  
დადებულ სიძზე გადმოვდეგ: “ერთურთს უსინჯოთ მკლავია,  
სისხლის ზღვა გმართებთ დევებსა, დედა თქვენგან მყავ მკვდარია,  
ვალ უნდა გადაგიწადოთ, ღვთიდან ბრძანება არია!”  
კელდამკლავ შავიყარენით, დაიძრა მიწა-წყალია.  
ერთხელ მოქნევით ძირს დავეც, მიწამ დაიწყო ჩქამია.  
მეორედ მენავ დავატყვრე, დაიძრა ცხრათავიანი,  
აღსრულდა ჩემი იმედი, დევებმ დაიწყეს ღრიალი:  
“კოპალამ ლახტი დაგვიკრა, გათავდა ოკერ-ტიალი.”  
არალალო, ელა-გელასა, ჭიქა მეკიდა კელასა,  
მოთქომსა, მაყურებელსა — ჯვარიმცა გწერავთ ყველასა!

## 16. კოპალას მშვილდო, მშვენვარო

კოპალას მშვილდო, მშვენვარო, გოზაწითელო, ფართოლო,  
რა ლამაზ სასინჯავი ხარ, ბორბალს რო დაემართოვო!  
წინ კი ვერავინ დაგიდგა, რახან ლახტ მაიმართოვო.

## 17. კოპალავ, კარატონო

კოპალავ კარატონო, მკვლავთით შამძლეო, ფალთოლო,  
არც მაშინ დაშინდებია, დევთვე რო გაემართაო?  
— არ დაშინდების კოპალა, თუ ლახტი მაიმართაო.

### **18. კოპალამ კარატიონმა**

კოპალამ კარატიონმა ქოთან რა უყვნა ქვისანი,  
დევისად დატაცებულნი სავსენი ნავთის წყლისანი.

### **19. დევების მელანიაი**

დევების მელანიაი ციხეგორს შამამკდარიყო,  
ჩემი ქვა გამეუტაცა, წინაკრის ძირსა მდგარიყო.

### **20. ცხრანი ძმანია დევები,**

ცხრანი ძმანია დევები, მეთე სტანავ მამაო,  
კართანას შაკრეს არაგვი, შუაფხოს შამომდგარაო.

### **21. წყაროსთაველი ჩიოდა**

წყაროსთაველი ჩიოდა, — უნდა პირქუში ვნახოლ,  
ამურმა ავასხმეინო, საყელო გადვინათოლ.

### **22. დღესამ დღეობა ვისია**

დღესამ დღეობა ვისია? — წმინდისა ქავთარისია.  
მთა-მთა მოვალის ქავთარი, ნაპრალს მამატვრევს მთისასა.  
ჭალაზე წმინდა თევდორე ალთოს მამამხვრევს წყლისასა.  
წმინდის თევდორის კარზედა ხე ოღვრად ამოშულაო.  
ზედა მოსხმულა ყურძენი, საჭმელად მოწეულაო.  
იმის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროვოდ დაშაულაო.  
ცხვარსად უმატე, თევდორე, თუ გინდა რქა-ჯანგიანი,  
ყმასად უმატე, ქავთარი, თუ გინდა მოსახელენი.  
პურსად უმატე, ქავთარი, თუ კოდნი გინდა სავსენი,  
ქალთად უმატე, ქავთარი, თუ გინდა მოშაირენი...

### **23. წმინდა გიორგი ცხენზე ზის**

წმინდა გიორგი ცხენზე ზის, ქვეშ უქრის ნიავქარია,  
მკარზედა ჰკიდავ მათრახი სამოცდა სამი მკარია.  
ვისაც დაუქნევს, დაახნევს, მაგის დაკრული მწარია.  
შამაუარა საყმოთა, სუ შააგროვა ყმანია,  
უგულოს გული ჩაუდგა, წელზე შააბა კმალია.

### **24. ბაადურს, გუდანის ჯვარსა**

ბაადურს, გუდანის ჯვარსა საყმო ხყავ ახუვებული,  
გიორგი კაკმატის ჯვარი — ჯვარებს ხყავ აკიდებული.

## 25. ქარი იყო და ხვიოდა

ქარი იყო და ხვიოდა, ფოთოლი ჩამოდიოდა.  
მშვილდ-ქაიბური ბერისა ქუდიელზედა ხვიოდა.  
ბარდა-ბელელან ჩაკოცნა, მუზასაც გული სტკიოდა.  
კაშრულა იმდენ არ იყო, რაც იმათ სისხლი სდიოდა.

## 26. ჭერო მიმიცავ ყმათადა

ჭერო მიმიცავ ყმათადა, მინდოდეს ულაშიანი,  
კამალა ჭიშმარიტისა, თუ იყო დავლათიანი.  
ღრუს კი არავინ ახარათ, არც მე ვარ დანდობიანი.  
მორიგემ ღმერთმა მამილოც საგმირო ასლიტრიანი.  
სადიდოეთოდ წამოვედ, გორ ავიარე კლდიანი.  
თავ მოვიბრუნე, მამყვება მინანი საფარვლიანი.  
კელ მივაწვადე, კელ მამცა ზალტიან-სათითიანი.  
დიკლო-შანაქოს გადმოვხენ, ვაც-ვერძ იბრძოდა რქიანი.  
წელი წაავლა მინანმა, დაუხვდა რქაჯანგიანი.  
ჭანჭახთად გადმოვიარეთ, გველ-მყვარს დაუდგა ღრიალი,  
მაღალ კარატეს ჩამოვედ დაღალულ-პიროფლიანი.  
ჩამამყოლიყო მოძმეი, შუბნური მათრაკიანი.

## 27. ხთის კარზე შავიყარენით

ხთის კარზე შავიყარენით ხთიშვილნ სამოცდასამნია,  
გადმოდგეს სასწორ-ჩარექი, კვირავ, გვიჭირე თვალია.  
სამოცლიტრიან რკინასა ქვეშ გავუტარე ქარია,  
დევს მოვუქნიე საგმირო, კლდეს მათარა თავია.  
კლდე ოთხად გავანაძოძე, დევს გამოვთხარე თვალია.  
დევი წავიდა, გაიქცა, თან გაჰყვა სისხლის კვალია,  
მიჩქვიფ-მოჩქვიფა წყეულმა აბუდელაურთ ტბანია.  
არ დავიშალე, თან ჩავყევ ბატარა იაქსარია.  
ჩავე და ველარ ამოვე, სისხლმა გამიბნა მკარნია.  
“ხატი დაგვრჩება ტბაშია!” — დაღონდენ ჩემნი ყმანია.  
შვიდ წელს ეძებეს ჩემ ყმათა ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია.  
მაიყვანეს და ჩამოკლეს — “ღმერთო, შენ მოგვეც ძალია!”  
ზეციტ ჩამოდგა ნათელი, გამეხსნეს სისხლის გზანია.  
შამოვჯე ბროლის ქვაზედა, შამოიბერტყენ მკარნია.  
ტრედივით შამოვლულუნდი, მთა-ბარს მუავლე თვალია,  
ფშავისაკ გამუემართე მენ, ხატი იაქსარია.  
ავისგორს შამიკიდოდეთ ჩემი ბატარა ზარია;  
დავკრა, კმა აკადს გავარდეს, იქ დაიწერონ ჯვარია.

## 28. ცხრანი ძმანია დევებიო

ცხრანი ძმანია დევებიო, მეათე მამა სტანიაო.  
შაიყრებიან ერთადაო, საცა დიდ მეიდანიაო.  
შაუკრავ ფშავის არაგვიო, შუაფხოს შამამდგარიო.  
შაწუხდენო ღვთისშვილნიო, სუ დაგველევა ყმანიაო.  
ირჩივეს, ამირჩივესო, ჩაგზავნეს იაწსარიო,  
მეხიან-მათრაჯიანიო, დევებთან მეომარიო.  
იაწსარმაო ლახტი გასტყორცნაო, ცხრანი გასწყვიტა ძმანიაო,  
მეათეს თოლი მოსთხარაო, ისიც დაჭრილი არიაო.  
იმ დევსაც კარგად სცოდნიყო ბუდელაურის ტბანიაო.  
— დევი ჩამიძვრა ტბაშიაო, თან ჩავყევ იაწსარიო.  
დევი მოიგდე ტბაშიაო, თავ დავამტვრიე ფარიო.  
ჩავედ და ველარ ამოვედო, სისხლით გაიბა ტბანიაო.  
— ხატი დავგრჩება ტბაშიაო, შაწუხდენ ჩემი ყმანიაო.  
მაიყვანეს და დამიკლესო ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო.  
ზეცით ჩამოდგა ნავიაო, გამიხსნეს სისხლის გზანიაო.  
შამოვჯედ ბელლის ქვაზედაო, მენ ხატი იაწსარიო.  
ტრედივით შამოვღულუნდი, ამოვიბერტყე მკარნიაო.

## 29. ხთის კარზე შავიყარენით

ხთის კარზე შავიყარენით ხთიშვილნი ყველა მკრისაო.  
პირქუში დაგვიგვიანდა — ოსტატი ყაწიმისაო.  
გვიან მოიდა პირქუში, ცრემლით იბანდა პირსაო.  
მოიდა, სიტყვა გვამდურნა: “შველა არ იცით ყმისაო.  
ბარს ვიყავ ყმათა საშველად, ზღვა გავიარე წყლისაო.  
ზღვას გავიყვანე, ზღვას გავყევ, ზღვა გავიარე წყლისაო”.

## 30. ჩვენ თავად წყაროსთაველი

ჩვენ თავად წყაროსთაველი მასდევს დევების ნაფრენსა,  
ფრთეთეთოს მაისრის ისარსა, მშვილდი ყორნებულ მაჰყევსა.  
ბარბარეს ქალნი დაბრუნდენ: “რა ლამაზ დილა გათენდა, —  
ჩვენ ბატონს დევი მაუკლავ, კაწალწევს ძალღებ ათრევდა.”

## 31. დიდია ჩვენი პირიმზე

დიდია ჩვენი პირიმზე, კმალს ირტყამს ლერწმის ტანზედა.  
არ მაიკდინა მოძალე, მოსული თავის კარზედა.

## 32. სანება ხკაზმებს ზედაგსა

სანება ხკაზმებს ზერდაგსა, სამწყარსა, სამის წლისასა,  
დაახვევს მასართავებსა, წითელის ატლასისასა.  
აღვირ-ავშარას ამასდებს, წვრილ-წვრილის მასკვლავისასა,  
ზედ თაოდ გადაბრძანდების, კიდურს აჭეხებს ცისასა.

### **33. მე ვიყავ წმინდა გიორგი**

მე ვიყავ წმინდა გიორგი, ჩემთან რა გაგიდიოდათ.  
ლურჯას შემოჰკრის მათრაკი, ზღვაზე კმელივით დიოდა,  
გაღმა აილის ბეგარა, გამოღმა გამოდიოდა.

### **34. წმინდა გიორგის მშვენება**

წმინდა გიორგის მშვენება შორს მიადგება გორასა,  
შორით მოჰრეკავს მლოცავსა, დაღონებულთა მონათა.

### **35. ლომისას ჯაჭვი ჰკიდია**

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია, ეგ არვინ იცის, ვისია?  
ქალმა შესტირა ლამაზმა: ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია.  
შავეთით გამოტანილი შავგვრემანაის ყმისია.  
წითელი ოქრო შესწირა, ლომისის საკადრისია.

### **36. ქაჯავეთ რად იარები**

— ქაჯავეთ რად იარები, გიორგივ, მგელთა ფერაო.  
— ვალი მივიდავ, ვალსა ვსთხოვ, რას მკითხავ, ქრისტეს დედაო.  
სინას შჭედს ქაჯთა მჭედელი, მივასწრევ წურვაზედაო:  
ქურთემულ მაუგლეჯივ, ცხენი შავაგდი ზედაო;  
ქაჯთა მჭედელმა კელ-კვერი ცხენს მიცა ბეჭებზედაო.

### **37. გვწყალობდეს ყველა ხატები**

გვწყალობდეს ყველა ხატები მთლად საქართველოს მხრისაო,  
მცხეთაში სვეტიცხოველი, მლეთაში ლომისისაო.  
ხევშია წმინდა სამება, მალლით მყურები ყმისაო,  
პირიმზე ფუძის ანგელოზ, მშველელი უყმო ყმისაო,  
ჟამ და უჟამოს მავალი, თავზარდამცემი მტრისაო.  
უჭირავს ცეცხლის მათრაკი, გამნათებელი გზისაო.  
ფშავშია გმირი კოპალე, მომკრეა პირიმზისაო.  
მფარველნი შემნახავნია თავისის მკვიდრი ყმისაო.

### **38. ჯანდოს წვერის ანგელოზო**

ჯანდოს წვერის ანგელოზო, ჩამოგელი წყალობასა,  
სამწყემსო გადამირჩინე, ჩემი თავი ჯანობასა.

### **39. დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა**

დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა ცაში დადგა საბერველი,  
გააკეთა რკინის კეტი, ჯოჯოხეთის სანგრეველი.  
სამი კუთხე დაანგრია, მეოთხესაც მიჰყო კელი,  
წამაუდგნენ ეშმაკები, ნება არ ასრულდეს შენი,

თუ მეოთხეც დაანგრე, ლოცვა აღარ იყოს შენი!  
გამობრუნდა ქრისტე ღმერთი, შუბლზედ გადაისვა კელი.  
— დახე, დახე ეშმაკებსა, როგორ მამიშალეს კელი!

#### **40. დიდის პირიმზის კარზედაო**

დიდის პირიმზის კარზედაო ხე ალვად ამოსულაო,  
თავში დაუსხამ ყურძენიო, საჭმელად შამოსულაო,  
იმის უჭმელიო ქალ-ვაჟიო უდროოდ დაშაულაო.

#### **41. ქადაგობს გაიდაური**

ქადაგობს გაიდაური: ბრძანებს გუდანის ჯვარიო,  
ჩემ კარზე შაიყარენით სამის ბატონის ყმანიო,  
სამი ააბით დროშაი, სამსავ შააბით ზარიო.  
ახიელის ძირ ჩავიდათ, ვატირათ ქალი, ზალიო.  
იქ უნდა დავზდვათ ბეგარი — კვამლად თითოი ცხვარიო.  
გაიგა არხოტის ჯვარმა, წელთ შამაირტყა ჳმალიო,  
— სხვაკნით ამელავ ბეგარი, დამპალო, სად მიხვალიო.







ნაქადაგრები



## 42. სამძიმარი

ა) ამაში მქონდა შაძლებაიო,  
ქაჯავეთ ვიარებოდიდიო,  
აბულეთაურთ ხოლიგასაო  
საცოლედ ვეწონებოდიდიო.  
ჯუათ ელენა ვეგონიდიო.

ბ) კმელეთზე ვიარებოდიდიო,  
სალაღობელნი დავაცხვნიდიო,  
სამკანა თითი ჩავადგიდიო,  
აბულეთაურთ იმედასაო  
ქალი საცოლედ მავსწონდიდიო.

გ) აბულეთაურთ ციხეჩიაო,  
მედგის ლოგინი ჩარდახჩიაო.  
აბულეთაურთ იმედამაო  
ცოლად წაყვანა მამინდომაო,  
გამაუფრინდი აიქითაო,  
იქავ აჩნიან ნაკოჭარნიო.

დ) მაში მძლივ მქონდა შაძლებაიო,  
ვიარებოდი ქალივითაო,  
ყურზე საყურსა ვიდებდიდიო,  
აბულეთაურთ ციხეჩიაო,  
მედგის ლოგინი ჩარდახჩიაო.  
აბულეთაურთ ხოლიგამაო  
ქალი საცოლედ მამინდომაო,  
ამ ჩემსა გამანაფრინდომსაო  
ისევ აჩნიან ნაკოჭარნიო.

ე) ამაში მქონდა შაძლებაიო,  
ქაჯავეთ ვიარებოდიდიო,  
მემრა ქალადა მავიქციდიო,  
საცერსა, ვარცლსა ჩაუჯდიდიო.

ფერაულიძეს ფშაველასაო  
საცოლედ ვეწონებოდიდიო,  
გოგოთურაის მწუნობარიო  
შუათ ელენა ვეგონიდიო.

ვ) აბულეთაურთ ციხეშიაო  
ქალურა ჩამაუარიდიო.  
მეგრელაურსა გახუასაო  
საცოლედ ვეწონებოდიდიო,  
დავიგრუშნიდი თავმანდელნიო,  
სალაღებნ თაო დავაცხვნიდიო.

ზ) ჭერო-კალოთა ამავეკდიდიო,  
ქალი ქალურას მავირთიდიო,  
ქალის ფაფანაგ ჩავიცვიდიო,  
დავიგრუშნიდი თავ-მანდელნიო,  
ამირათ ქალი ვეგონიდიო,  
საცოლედ ვეწონებოდიდიო.

თ) ზეპირად ვიარებოდიდიო,  
სალაღობელნი თაო ვქნიდიო,  
ზელილის გული ჩაუდვიდიო,  
აბულეთაურთ ხოლიგასაო  
საცოლედ ვეწონებოდიდიო.

ი) აბულეთაურთ ხოლიგასაო  
საცოლედ ვეწონებოდიდიო,  
ჩუათ კმარა რო ვეგონიდიო.  
გოგოთურა კი შავიცოდვეო,  
ჩაუწვიდი, ჩაუჟერნიდი საჯიჯგვენიო.

კ) ამაში მქონდა შაძლებაიო,  
კმელეთზე ვიარებოდიდიო,  
ჭიმა-ლახტარას ვზიდევდიდიო.  
ამაში მქონდა შაძლებაიო,  
აბულეთაურთ საღირასაო  
ქალი საცოლედ მავსწონდიდიო,  
ჩავეხვივიდი, ჩაუწვიდიო,  
ძუძუ-მკერდს გამავიხვივიდიო.  
ქაჯავეთ ვიარებოდიდიო,  
ნახირს აიქით ვადენდიდიო.

### 43. პირველად დასახა მორიგემა

პირველად დასახა მორიგემა  
 ბერი ბუქნაი ბაადური.  
 იმას მისცა მორიგემ ღმერთმა  
 საფერჳედ თეთრი ცხენი.  
 იმას დაუქვივნა სახელად  
 “ბედის ბედაური”,  
 ის არის იმის საკვეხური,  
 ცის კივკავებში სახეთქები!  
 ბაადურს ჩააცვა მორიგემა  
 ტანზედა კაბა სისვისაი,  
 ჩაქმან ჩააცვა რკინისანი,  
 თავზედ დაჰხურა თეთრი ქუდი,  
 ჭიგუნი მისცა თუჯისანნი,  
 კაბის საყელოთ მასაყრელნი.  
 მათრაჳი მისცა მორიგემა  
 სენსამსალაით გაფევრული,  
 მემრე გადმაუშვ კმელეთზედა!  
 მემრ მე დამსახა თერგვაული,  
 მალლა მთაშია მდგომარეიო,  
 ტანტ მამილოცა ოქროსაი,  
 შვიდმეტ ათასი წელ წავიდა  
 ჩემ დასახვითვე,  
 ღთის კარს მამცა სათავეიო;  
 როგორც კორციელნი ჩვენ გვლოცულობენ,  
 ეგრე ჩვენ ვლოცულობთ მორიგესაო.  
 სამ ათასნი ვართ ღვთის ნასახნი.  
 მორიგემა მეც კაბა ჩამაცვა სისვისაი,  
 ჩაქმან ჩამაცვნა სინისანი.  
 ჭიგუნი მამცა ოქროსანი.  
 მათრაჳი მამცა ცხრაკუთხიანი,  
 ქუდ აღარ მამცა მორიგემა.  
 საგმიროდ მამცა ოქროს ბურთვი,  
 ქაჯთ ბუბუნეებით მოტანილი.  
 ორნ მამცა მოწაფენი:  
 ერთს დამიქვივნა რუთიაო, ერთს რექაიო.  
 მემრ დამამკვიდრა ღვთის კარზედა.  
 მორიგემ უბრძანა ქრისტე ღმერთსა,  
 როცა შამოკდა ღთის კარზედა, —  
 ერთ შენც დასახე ანგელოზიო.  
 მაშინ ქრისტე ღმერთმა დასახა  
 ერთი ტანად აყრილი (ანგელოზიო).  
 მემრე უთხრა მორიგემა:  
 სახელს მე დავაქვივნებო.

მორიგეს უთხრა ქრისტე ღმერთმა:  
მწარნ ვერ დაუსახენ ანგელოზისნიო.  
მემრე უთხრა მორიგემა:  
“მწარნ დაუსახენ არწივისანიო,  
სახელ კოპალა დავაქვივნათო.”  
იმას მისცა ჩასაცომი  
ჩემსავით კაბა სისვისაი.  
ჩაქმან ჩააცვნა რკინისანიო,  
ჭიგუნ მიცნა სინისანიო.  
მარცხენაზე ქოთან მისცა ნავთიანიო,  
შიგა მათრაკი ფესვიანიო.  
შამცოდვეთაზე საწინწლები,  
ნავთი მათრაკითა ფესვიანითაო.  
ამას მისცა ხუთნი მოწაფენი,  
მორთულნი რკინის ტალავრითაო.  
ზღვის პირზე სასაგნავი  
კოპალას მისცა მორიგემა.  
ასლიტრიანი საგმიროი სინისაი,  
ცეცხლის ალივით ანთებული.  
ის მიულოცა მორიგემა,  
მემრე გადმაუშვა კმელეთზედა.  
თუ კოპალეს მეტმ ამ საგმიროს  
კელ მიახლას, ან ფეკი,  
ცეცხლ აშჩინდას, დაიწვას.

#### 44. მორიგევ ღმერთო

მორიგევ ღმერთო, გეხვეწებიო,  
მაგთხოვდი მადლსა, გიხრი ჩოქსაო.  
ქრისტის დედაო, მაგთხოვ მადლსაო,  
ჩამიშვი ოქროს ქოთანშიაო.  
ჩამარეცხიენ ღილ-ქამარნიო,  
ელჩობაი მაქვს მალოცვილიო.  
ყუდროს დამჭერო, გეხვეწებიო,  
ჩამაოლ მადლის სათხოვრადაო,  
ჩამაოლ წიგნის საწერლადაო,  
ბატონ-ყმათ დასარიგებლადაო.  
თუ მჯობი მჯობზე იდებოდასო,  
ზღვენ-სამსახური მზადდებოდასო,  
ყუდროს დამჭერი ზე ჯდებოდასო.  
აბა, წაოლა, გავბრუნდებიო,  
თავის ნაღვარსავ ვესტუმრებიო,  
თავის მოძმესავ ვექინძებიო.

#### 45. უხილავი არის მაგარი,

*(ნინო მკითხავის ნაქადაგარი ციხეგორს)*

უხილავი არის მაგარი,  
ჩვენ კი გვიჭირს ხილულებსა...  
შენ დიდება, ჩვენ — მშვიდობა,  
გაიმარჯვე ძალიანა!

...

ისევ ის ძალა აღდგეს,  
რაც კი იყვის უწინაცა.  
ქვეყანა წაღმ შამობრუნდეს,  
ძველ ბილიკებ არ დავკარგოთ...

...

მაშ, რაღა ვქნათ? უხილავი  
დამჭერია ამ ქვეყნისა.  
დიდ დიდება ზეციურსა,  
გამარჯვება ამ მსმენელსა!

...

ოთხშაბათს და პარასკევსა  
ხთიშვილთ პასუხ არ ჩამოდის,  
მაგრამ რაკი გაგვიჭირდა,  
პარასკევ დღემ აურია,  
გაგვიჭირდა ძალიანა...  
რაკი ბოროტ შამუარდა,  
ცით პასუხიც ჩამოიდა.

...

არ იცითა, ხორციელნო,  
რად გვებრძვიან უჩინარნი?!  
ბრძანა მამა ზეციერმა:  
დაითმინეთ პირი, დაითმინეთ ხორცი,  
არ გავტეხოთ უქმი,  
შევინახოთ კვირა,  
კვირა მადლიანი.  
ხატი არ შევლახოთ,  
ხატს არ შევცოდოთ  
ხელ-მახვილითა, პირისქართა.  
შაისმინეთ, ხორციელნო,  
ბრძანება მამა უფლისა.  
ღმერთს დიდება, ჩვენ — წყალობა,  
გაუმარჯოს კოპალასა!

#### 46. ბრძანება ბერ კოპალაიო

(მარიამის ნაქადაგარი)

ბრძანება ბერ კოპალაიო:  
ჩემ ძველ გზაზე დაგაყენეთო,  
ჩემ მონა-მორჩილნოო,  
ჩემო ტყვე-ტუსაღნოო, —  
ოქროს ღილებ რო შამაჰკედიოთო,  
გამახარეთ, გაიმარჯვეთო!

...

წყალი მიდგება-მოდგებაო,  
ნაგუბარზედავ ჩადგებაო.  
მამა იყო ხევსბერიო  
და შვილმა ვერ მაჰხელეო  
მამის ნალოც ხატიო...

#### 47. იავნანა

(ღვთის კარზე სათქმელი)

[იაუ] დანანა ო ჰო ჰო,  
ნანა ზეცივრისას, ოქროს ბუჩქებ-ჭალებ, საქართველოს დამლხნთ,  
მდებარე დედა ცისა და სოფლის შემნახველს,  
იაუდანანინა.  
ნანებით მოგმართავო,  
უფლის დედუფალო, დედავ მარიამო, იასოვ ქრისტევ, ძე ღვთისა,  
ღვთის პირო სევდისაო, ჯვართა და ამაღლებისაო,  
იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და და ნანინა მრავალჟამიერ.  
ნანებით მოგმართავ,  
მთავარმოწაფე მთავარანგელოზო, სამება ერთარსებაო  
ფერხატი და მწმელისაო,  
მაგდან დედა მოღავნანე, მოდაირე ხევ-მთისაო,  
იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და ნანინა მრავალჟამიერ.  
ნანებით მოგმართავო,  
წყაროსთავს წმინდა გიორგო, ალავერდო გულისაო,  
საქართველოს დედაბოძო, ქეთევანო უკვდავო სულისაო,  
ჰაი დიდება ქება თქვენ დიდ ძალასაო,  
იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და ნანინა ნანა.  
ნანებით მოგმართავო,  
აწყვერის თავში მბრძანებელო გიორგი მოსამართლეო,  
შუამთისღვთისმშობელო, ნინოწმინდავ, ქართველთაგანმანათლებელო,  
კაბადოკიელო, დიდოვ კალთიანო, დიდოვ საძირკვლიანო,  
დიდო სამართლიანო,  
იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და მრავალჟამიერ.



ნანებით მოგმართავო,  
 გავაზო გიორგი, დიდგორ სალოცავო, ნეკრესო ღვთისმშობელო,  
 ქართველო კაცო, მხვნელ-მთესველო, ოქროს გუთნიანო,  
 იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და ნანინა მრავალჟამიერ.  
 ნანებით მოგმართავ, გმირო კოპალე,  
 დედათადგან უკვდავ ივანე ნათლისმცემლისა,  
 სვეტიცხოველო, ჯორ დედა მატრიალებლისაო,  
 მამათა საძმო საუფლო კეთილად და მიხრისაო,  
 იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და ნანინა მრავალჟამიერ.  
 ნანებით მოგმართავო,  
 უკანწლის წმინდა გიორგი, მოგზაურო ხახმატო,  
 ხმალო ხმალურისაო,  
 ივრის თავში მბრძანებელო დიდოვ კალთიანო, დიდოვ საძირკვლიანო,  
 დიდოვ და სამართლიანო,  
 იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და ნანინა მრავალჟამიერ.  
 ნანებით მოგმართავო,  
 წაბლიდ დედავ, დიდოვ ძირკვიანო, დიდოვ მხრიანო,  
 დიდოვ ტოტებიანო ლალი ლაშარის ჯვრისაო.  
 დედავ თამარის, ძე ჭემმარიტო, უსახლკარო, უბინაო,  
 ქება პირიღვთისაო, დიდი და დიდი ბატონისა ლაშქარ და მიწებისაო.  
 იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და ნანინა მრავალჟამიერ.  
 რას გამადრჩები ცარელა მიდამოდ,  
 ქვეყანა იყოდ დარჩომითაო,  
 პატარა შვილები გვაჩუქე თითო მუჭა და სისხლისა,  
 ცოტა მადლით ცოდინი ქვეყანა დაგვიხსენითო,  
 წაღმა რო ჩარხი გვიბრუნე, ვაჟკაცი მარჯვენითაო,  
 იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და ნანინა მრავალჟამიერ.  
 გაუმარჯოს დღე-ღამეს, მზე-მთვარე, ვარსკვლავთ მნათობთა,  
 აღმოსავლეთ-დასავლეთ, ჩრდილოეთ-სამხრეთისა,  
 საზღვრიდან საზღვრამდის თეთრის მათრახის მატარებელი  
 გიორგისავო და,  
 იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და ნანინა მრავალჟამიერ.  
 გაუმარჯოს სამას სამოცდასამ წმინდა გიორგებსა,  
 ყველა ნათელი ჯავარდენად დაიდევნისა,  
 დიდება ძალასა, მშვიდობა საქართველოსა ჩვენსაო,  
 იაუდა ჰო ჰო ჰო ჰო, ჰად და ნანინა მრავალჟამიერ.

#### 48. ნანები

ნანა და ნანა, ნანა და ნანა!  
 გამარჯვებულო ჩვენო ლაშარო,  
 იავ ნანინაო.  
 ია და ვარდი გაშლილი ჰქონდეს,  
 ია-ვარდ გაშლილი გებძანებოდეს ლაშარსა.  
 ნანა და ნანა, იავ ნანას გეტყვი,

გაუმარჯოს შენ სიძრიელეს,  
ჩვენ სათავეში იარეო.  
გაუმარჯოს შენ სიძრიელეს, გადმოხედეყე,  
პატარები არიან შენი ტანჯულები.  
გებვეწებით, გევედრებით, იავ ნანინაო,  
გადმოჰხედე, დამწუხრებული პატარა ქორფები არიან,  
გაუმაძღრები არიან, იავ ნანინაო.  
ნანა და ნანა, ნანას გეტყვი,  
ჩვენო დედა ღვთიშობელო,  
იავ ნანინაო.  
დედა, დედა ღვთიშობელსა,  
მფარველი ხარ ტანჯულების,  
პატარა ქორფებზედა ია-ვარდი გეფინოსა.  
ნანა და ნანა, გაუმარჯოს თამარ დედოფალს!  
იავ ნანით მოვიხსენიოთ,  
იავ ნანინაო.  
გაუმარჯოს ჩვენ თამარ დედოფალს, სათავეში რომ ბრძანდება,  
ტკბილათ და შაქარათა, ია-ვარდ გაშლილი დამტკვარიყოს,  
იავ ნანინაო.  
გადმოჰხედე, გადმოჰხედე ტანჯულებსა,  
პატარები არიან, დამწუხრებული,  
იავ ნანინაო.  
ნანა და ნანა, ნანა და ნანა!  
გამარჯვებულო ჩვენო ნეკრესო გავაზისთაველო,  
შენი სახელის ჭირიმეო.  
ნანა და ნანა, იავ ნანა!  
გაუმარჯოს წყაროს თავსაცა,  
ფშავლების თავში რომ ბრძანდება, იავ ნანინაო.  
ნანა და ნანა, ნანა და ნანა!  
ალავერდო, შარიანო და გამარჯვებულო,  
იავ ნანინაო.  
ნანა და ნანა, ჩვენო დედა ბარბარე,  
ქვეყნის გადმომხედავო, ყველას მფარველო,  
ყველა დამწუხრებულებისა, იავ ნანინაო.  
გაუმარჯოს, გაუმარჯოს დედა ბარბარეს,  
გადმოჰხედეყე, ძალიან დამწუხრებულები,  
პატარა ქორფები არიან, იავ ნანინაო.  
საკმარისია იავ ნანით მოვიხსენიოთ,  
საკმარისია პატარა ქორფებმა გაიხარონ  
თავის ტოლ-ამხანაგებში, იავ ნანინაო.  
ნანა და ნანა, ნანა და ნანა!  
ჩვენო მინგრეულ-მონგრეულო ძელო ჭემმარიტო ღვთაება,  
იავ ნანით მოვიხსენიოთ, იავ ნანინაო.  
ნანა და ნანა, ნანა და ნანა!

გადმოჰხედე ტანჯულებსა, ტანჯულები არიან  
პატარა ახალგაზრდები, იავ ნანინაო.  
ნანა და ნანა, ნანა და ნანა!  
სამას და სამოცდასამ წმინდა გიორგის  
გაუმარჯოს, იავ ნანინაო.  
გაუმარჯოს იმათ ია-ვარდ გაშლილ მგზავრობას,  
ტანჯულებს უღელი აერთოთ,  
იავ ნანინაო.  
გაუმარჯოს, გაანთავისუფლოს,  
იმათ ტანჯულებს უღელი აერთოს,  
იავ ნანა, იავ ნანინაო.

#### **49. ჩვენ ბატონს გლოვა არ უნდა**

ჩვენ ბატონს გლოვა არ უნდა, რა შვილნი ექოცებიან?!  
წარნიცა ჰყვანან, ფურნიცა, მსახურნიც ემოვებიან.  
ბარით მასდიან მლოცავნი, წყალობას ეთხოვებიან.





საისტორიო



## 50. ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,  
ციდან ჩამოესმა რეკა,  
იალბუზზე ფეხი შედგა,  
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა,  
ოსებში გადაიარა,  
ჩერქეზებში გადარეკა.

## 51. უბისს ავაგე საყდარი

I

უბისს ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე,  
ზღვაში ჩავყარე სამნები, ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე.  
ისპაჰანს დავდე ბეგარა, სტამბულს ხარაჯა ავიღე,  
ამდენი საქმის მომქმედმა ცხრა ადლი ტილო წავიღე.

II

როს გავიზარდე, გავივსე, თავი ცათამდის გავიღე,  
მისრეთს ხმალი ვკარ, დარუბანდს, მუნ საბალახე ავიღე,  
ამდენი საქმის მომქმედმა სული ვარძიას დავიღე.

## 52. ერისთავმ ლაშქარ შაყარა

ერისთავმ ლაშქარ შაყარა, ყაჭისქედს შამაკდებისა,  
საკვესურეთოდ გაბედავს, მთას ფხიტუს გადმაკდებისა.  
ოშაურთისას გადმოდის, როშკისკორკ ჩამოდგებისა.  
ერისთავ ეტყვის ლაშქართა, რაც გულში მაუქდებისა:  
“როშკისგორ თეთრ ცხენი დგას, ძალზედ რაიც შაგვიდგებისა”. —  
“შაგვიდგას თუ შაგვიდგებოდა, ჩვენ მაგით რა წავიკდებისა,  
ენა ვკრათ ბალითიანი, მთის ვირიავ, რას მიხვდებისა”.  
გიაულთისას ჩამოდის, წყალს კარკოს გამოკდებისა.  
ყაწიმიანებ ვაჟები გრძელ კილდეს წამოდგებისა.  
ბეგენგორ ქალუნდაური ყვარნის გრილოებს ყვებისა.  
შაუბნობს კევსურთშვილებსა, ცუდებიც შეეცდებისა.  
კმლით ეცით, კევსურთშვილებო, ადგილ ხო თქვენდავ რჩებისა!

უთურგი მეწყინაისძე თქვენის გულისად კვდებისა,  
თორ ამლას უსხენ ცოლ-შვილნი, შინით რა წაუკდებისა.  
მამაისაის ფრანგულსა ვადათით ეცინებისა.  
კმლითა სცეს ჭორმეშიონთა, სისხლი გუბ-გუბად დგებისა.  
ღივასა გელდიაურსა ტანთ სისვის სკლატი კდებისა.  
საკმლითა ჩრდილელიშვილსა: წამოდექ! — ეუბნებისა.

### 53. ზურაბო, ერისთვისშვილო

ზურაბო, ერისთვისშვილო, ვერა, ვერ მოგცემ ზავსაო.  
შვილდს მავსწევ სარჩევთ გორითა, ხიდის ყურ ვაქნევ ჩქამსაო.

### 54. ყმანი რა უყვენ, ზურაბო

— ყმანი რა უყვენ, ზურაბო, ნაგროვნი შვიდის წლისანი?  
— ჩავრეკენ მათურაშია, გზაში ჰყონიყვენს კლდისანი.  
ღოლოვანს ამოვმართენით ფარანი თეთრის ცხვრისანი.  
მათურლებ ამოგვეწივნეს — არწივნი მალლის მთისანი.  
გვაყარეს კილო-წითელნი, გვაწითლებინეს ქვიშანი.  
თავქვევ ჩამართეს ფარანი, ფარანი თეთრის ცხვრისანი.  
ჩაგვყარნეს ტერელოშია ნარჩომნი სიკვდილისანი!

### 55. აივსო ლიქოკისთავი

აივსო ლიქოკისთავი ქორ-შავარდნითა, მგლითაო.  
ქერით ნაკვებსა ზვადებსა არ აქვის დადგომისაო,  
აღარც ნალ-უსმარ უძლებსა ოსმალს ფოლადისაო.

### 56. წინათ ღბრძოლია ზურაბი

წინათ ღბრძოლია ზურაბი მაგ ქუდნისლაისგორსაო,  
ვერცა რას გამაღრჩომია სამხარაულსა ლომსაო.

### 57. ფხიჭუთ მოვიდეს წერონი

ფხიჭუთ მოვიდეს წერონი, მაშვრალნი შორის გზისანი.  
როშვისგორს ზურაბ ჩამოჯდა, შუქნ ჩამუტივნა მზისანი.  
როშვას აწიწდეს ციხენი, ბლოს ბანნი ქვითკირისანი:  
“გვეშინის, დაგვეცემიან ნაზლობნი საძელისანი.”  
— “დადეგ, დაგვეკსენ, ზურაბო, ნარჩომნ ორთ შენის კმლისანი,  
თორ ჩვენაც შამოგვეცდებით, მესხნი ჩვენაც გვყონ წყლისანი;  
მაგვივლენ პირიქითითა ნაპირის ადგილისანი.”  
თან მახყვეს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი,  
ბეგენგორ ჩამოეწივა, ყმან ჩაჭრნა ზურაბისანი,  
ამანდით ამაბრუნვილმა სამანნ ჩახყუნა ქვისანი,  
რომენიც გარდააქცევდა, ცოდვან მახკიდნა კმლისანი.



### 58. როშკისგორ დაჯდა ზურაბი

როშკისგორ დაჯდა ზურაბი, შუქნ მზისან ჩამოუტივნა.  
ამაგით გითხარ, ზურაბო; “ვევსური კაცი უტია.”  
აგერ ბეგენგორს გახენე, — ფუტკარს ღვაგ, გამოუტია.  
ქალუნდაურმა ფრანგული ქარქაშით ამოუტია,  
კმლითა სცა ზურაბის ჯარსა, სისხლმა სიმურში უწია.

### 59. ზურაბო, ერისთვისშვილო

ზურაბო, ერისთვისშვილო, სისხლისიმც დაგლევს წყალია!  
შენ დაგვივოცენ ღალატით ნარჩევ ვევსურთა ყმანია.  
რად არ გაუშვენ ველადა ვევსურნი დ’ შენნი ყმანია?  
ამაშინ გამოჩნდებოდა, ვისიცა სჭრიდა კმალია!

### 60. სევდამც მაგზვდების, ზურაბო

სევდამც მაგზვდების, ზურაბო, დაგლევდამც სისხლის წყალია!  
თრუსოს აწვიენ ვევსურნი, კელით არჩიენ ყმანია,  
გაატეხინე დოლეით: “ფარა მალაღეთ ცხვარია”.  
თრუსოს მაასხენ მაშვრალნი, დანდობით გასჭერ თავია.  
რად არ სწორ-და-სწორ გააწყვენ ვევსურნი დ’ შენნი ყმანია?  
თითოს კი დაგიკანჭევდეს ფარს ქვეშ ნაწურთნი ყმანია!

### 61. ზურაბო, ერისთვისშვილო

ზურაბო, ერისთვისშვილო, შვიდსამც წელსამც ხარ სნეული,  
მეშვიდეს წელსამც მახკვდები სიმამრის კელმარეული!

### 62. თემურაზ ჩაეუბნების

თემურაზ ჩაეუბნების იმერეთ მეფის შვილსაო:  
“თუ ზურაბს მახკლავ, ქალს მოგცემ, მონა არ დაგცემს ცხვირსაო”.  
ზურაბმ ვერ იგრძნა ღალატი, კმალზეით ზურნას ხვსნისაო.  
“დახკარით, ნულარ გაუშობთ, — იძახდეს, — კახპის შვილსაო”.

### 63. საფურცლეს ზურაბ მოვიდა

საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო,  
გაუშალეს ხალიჩები, ზურაბ ზედ დაბრძანდისაო.  
აუყვავებენ სუფრასა, ზურაბ, შეექე ხილსაო.  
გიღალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო...  
კმლითა სცემს ბარამ ბატონი, — “დაჰკარით კახპის შვილსაო”.  
ხანჯარი თუშთ მოურავმა — მარცხენა ძუძუს ძირსაო.  
მუხრანით მოდის ტირილი სულძაღლის ერისთვისაო:  
— “ვინ მოგკლა, შვილო ზურაბო, ვინ შეგკსნა კმალი გმირსაო?  
ვინ ჩამოგყარა თაობა ქართლისა, არავისაო.”

#### 64. იმერეთს რად გამათხოვე

იმერეთს რად გამათხოვე, თემურაზ, ჩემო მამაო,  
ჭამა მამწყინდა ღომისა, ვაჰმე, კახურო ყანაო!..

#### 65. ქალსა სიზმარი ენახა

ქალსა სიზმარი ენახა, გამზდელსა ერისთვისასა:  
მითომა ჰქუხდა, ელამდა, სეტყვას ისროდა ქვისასა,  
ერისთვის ბაღში ცვიოდა, ტოტს ამტვრევს ალვის ხისასა.  
ერისთვის სიკვდილს ამბობენ, დაბნელებასა მზისასა.  
სანთელსა წაუძღვანებენ, კელაპტარს სამოთხისასა,  
ვეღარ მიუა სახლშია, ვაი დედასა მტრისასა!

#### 66. ვაჰ, დედას მტრისას

ვაჰ, დედას მტრისას, ზურაბო, ხელებ ვინ დაგჭრა გმირსაო?  
რა კეთილ დაგეყრებოდა გამტებო ხატებისაო?!  
გაგრისხდომია დავლათი ლაღის ლაშარის ჯვრისაო.

#### 67. შახფარავს გიორგწმინდასა

შახფარავს გიორგწმინდასა თუშთა ელვარე ფარია.  
აიღეს საკვირაოდა თეთრი მძოვარი ცხვარია.  
მამუკამ ქალუნდაურმა შორით მახკიდა თვალია,  
გორდი-გორ ჩამოდიოდა, მობუბუნებდა ჯარია.  
ალერდის წყალში გავარდა, ირემმ გაიღნა რქანია.  
შამაუბრუნდა, — ფარავდა პირზე მზე, ბეჭებს ფარია.  
შამოკდეს საფიხნოშია, მეშველნ მაუნდეს ცხრანია.  
— “აქით გამიშვით, ქალებო, შორით მიჭირეთ თვალია!”  
შამაეწია ლაშქარსა: “თუშნო, დაყარეთ ცხვარია!”  
— “ნუ მოგვდევ, ქალუნდაურო, არ გვინდა შენი ცხვარია.”  
არ დაიჯერა მამუკამ: “ატირდა ჩემი გვარია.”  
დაბრუნდეს მექობაურნი: შალვა, ივანე ძმანია.  
ივანე თოფსა ჩაუჯდა, გულზე დაჰხვია ალია.  
წაიქცა ქალუნდაური, ირემმა დასხნა რქანია.  
...  
ველსა ნუ მამჭრი, ივანე, — სახელი მაინც შენია.  
მკარზეთ თოფსა ნუ მამჭდი, — ჭიუხში ჯიხვთა მტერია;  
წელზეთ ჯმალთა ნუ შამჭსნი, — ვევსურთად კაის მქნელია;  
ტანზეთ ჯაჭვსა ნუ წამყრი, — ქერიგოს ქვიშათ ფერია.”  
...  
ნატრობდა ქალუნდაური: “ნეტავინ ამაყენაო!  
საც მექობაური სახლობს, იქამც კი ჩამაჩინაო!  
მეშველიმც დაგვიგვიანა, ერთურთი გვაცდენაო!  
მექობაურის ცოლ-დედას თვალიმც კი აჭერინაო!

### 68. ზეზვარ გაფრინდაულო

ზეზვარ გაფრინდაულო, ცოტა მოკლეო ენითა,  
გაჭირვება რო შეიქნეს, ამოსარჩევო კელითა.  
კარად არ გამოგიყვანონ, დაგაბალითონ ენითა.  
გამაიყვანეს ზეზვაი, დააბალითეს ენითა.  
ცივგომბორ გადაავლიან ძუაშელებილ ცხენითა.  
ქალაქში ჩაიყვანიან დაფა-ზურნითა, ლხინითა,  
ჩამოსმენ ქარვასლაშია, ბაგეს ილეჭავს კბილითა.  
მოდინ თათრის ალლარნი: ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა.  
“ზეზვა რად გინდათ, ძალლებო, მკვდარია თქვენის კელითა.  
უნდა გენახათ ბახტრიონს, ბრუნვედა ლურჯის ცხენითა,  
უკან მოგდევდათ ზეზვაი, გჩხვერავდათ შუბის წვერითა.”

### 69. ამ ბალაშვილსა პაატას

ამ ბალაშვილსა პაატას ჯვარი სწყალობდა ღვთისაო;  
ბოდბეში ჯარი შევიდა მზისა ამოსვლის პირსაო;  
გაილალა ლევის ჯარი პირიქით დაღესტნისაო.  
ალაზანზე რომ ჩარეკა, ბელადი იბანს პირსაო, —  
“მე რომ პირიქით გადავიდე, რა უთხრა იმდენ ქვრივსაო.”

### 70. ერეკლე ბატონიშვილი

იოროლაის კუდაი წევის მთას გამაჯდებისა,  
ერეკლე ბატონიშვილი ტახტზეით ჩამაჯდებისა,  
— ცხენი, ბაბლია!.. იძახა, — კევსურეთ დამჭირდებისა.  
ადგეს, წავიდეს კევსურნი, თქვეს — რაღა გაგვეწყობისა,  
მცხეთას მიუვლენ ბატონსა, სრუ წყრომით არ იქნებისა.  
კევსურთ მანდ ჩასვლით ერეკლეს მზე ცხრაკნით ამუჯდებისა.  
გამაემართა ლაშქარი, წინ თაოდ დაუდგებისა,  
გადაავლივა სურამი, აწყვერსთან დაუხვდებისა,  
აწყვერის სიმაგრეშია ლეკებ შიგ შაუდგებისა.  
ლეკებმ სიმღერე დაიწყეს, კევსურთ გულ ჯავრით სქდებისა...  
გადმაიშალნეს კევსურნი, ერეკლეს გადმახყვებისა,  
გადვიდეს სიმაგრეშია, წინ თაოდ გადუძღვებისა.  
აბაი ბიტურათაი დედასამც დაურჩებისა,  
ლეკსა ალგლიჯა მაჟარი, ცალეზედ არ დარჩებისა.

### 71. ბატონიშვილს ერეკლესა

ბატონიშვილს ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვნია,  
წყალი უსვამ ალგეთისა, თრიალეთზე უძოვნია,  
საჩალეში გადუგდიათ, მონადირეს უპოვნია.

## 72. მაღლის მაღალსა მთაზედა

მაღლის მაღალსა მთაზედა კურდღლისა სისხლი მდგარიყო,  
ჩამოჩვეულა არწივი, უსვამ და ვერა მძღარიყო.  
ერეკლე ბატონიშვილი ნაურვალ ცხენზე მჯდარიყო,  
შამაუვლია კმელეთი, მაშინღა ჩამომკდარიყო.

## 73. საწყალსა საქართველოსა

საწყალსა საქართველოსა შადქსნია რკინის კარია  
სადა ჰყავ მეფე ერეკლე, ან იმის მეომარია?  
დამდგარა ბაირახები, აღარ ჭექს ზარბაზანია.  
მცხეთას რო თეთრი ტაძარი, გვერდზე ჩამოდის მტკვარი,  
იქ არის ოქროს კუბოცა, ზედ დახატული ჯვარია:  
“კუბოში ჩამამაბძანეს ბაგრატიონთა გვარია.  
ვინც მოხვალთ საქართველოდან, ამინთეთ კელაპტარია.”  
კუბოსა ზედა სწერავის სიტყვები ორი-სამია:  
“ერეკლე გარდავიცვალე, შვილებს დავწერე ჯვარია.  
უფროს გიორგიმ შაირტყას ჩემი ნარტყამი კმალია:  
სანამდე ვიყავ, ცხენსა ვჯე, მივძარ და მოვძარ ზღვანია,  
ეხლა თქვენ შემინახევით ქალაქის მეიდანია.  
ჩემ შვილებს დარჩა ბევთარი, პირსისხლიანი კმალია.  
მაგას ნუ დამიცოტავებთ, მუნრანში დამრჩა ცხვარია.  
სხვასა არ წააყვანინოთ იმერელ მეფის ქალია”.

## 74. ბრალია შენი სიკვდილი

ბრალია შენი სიკვდილი ფუძნარში ჭავჭავაძეო!  
თავში გჭირს სამი ნახმლევი, ზედ ერბო-კვერცხი გაძეო.  
ადვილად აღარ მაჰრჩები, აფხუმოს ლუხუმთ ნაჭრეო.

## 75. აქნამდე, ღუდუშაურო

აქნამდე, ღუდუშაურო, სკამს იჯე ერისთვისასა,  
აეხლა გამისხორიგდი, მსახურს გაფერებ სხვისასა.  
არ გაუტეე მთრეხელი ჯევეს მიმავალი დისასა.  
ცხენი მასთხოვე, გიბოძა, მშვილდს რადაღ სთხოვდი რქისასა?  
— “მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა ნაპირის ადგილისასა;  
გზა ყველაისად სწორი ას, რად არ გამიშობ, ღთის მაღლსა?  
მგონინარ ნახალიზარი, ყამს თუ არ იყავ მტრისასა.”  
არ დაიშალა, გადასწვდა მკართ ნადებს მშვილდსა რქისასა.  
“გახლავარ ღუდუშაური, არ დაგიფერებ სხვისასა.”  
გულს დახკრა, სხვაკე გაღვარდა ფალავანს აჩხვატისასა.  
“კარგა ხანს სჭამე აჩხვატი, ეხლა მე გაჭმევ მიწასა.”  
გამაბრუნდების მთრეხელი, დაელნებას ღგავ ცისასა,  
მოსდევენ ღუდუშაურნი, განრისხებას ღგონ ხთისასა.

მიღმართა ყოვლაწმიდასა დედას მშობელსა სთისასა;  
 კარნ არ დაუხვდეს ღიანი ნაგებსა დედუფლისასა.  
 მივა და შაიხვეწების ძმისა მამკლავი დისასა:  
 “დაო, ვერ შემინახევი? ცხონებას შენის ძმისასა!”  
 — “წამოდი, შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისასა.  
 ნუ მახკლავთ, ჩემნო მამულნო, ნაჭაპნს ნუ მამჭრით თმისასა!”  
 კარისას არ გაუჭივნა, საკვით დაუკვრენ ისარსა.  
 ამბობენ ჩამაქცევასა ახალციხურის კლდისასა,  
 თან ჩაყოლასა ამბობენ ქერბეღელაის ძისასა, —  
 ვერ შეინახა სტუმარი, ვაი ვა დედას მტრისასა!

### 76. აქამდე, ღუდუშაურო

აქამდე, ღუდუშაურო, სკამს იჯე ერისთვისასა.  
 ეეხლა გამტრელებიხარ, მსახურს გაფერებ სხვისასა.  
 შამეყარა მთრეხელი სნოს მიმავალი სხვისასა.  
 ჯერე ჯორს გამევეკიდა სამ წყალთა სამის წლისასა.  
 მშვილდს რასალ ეკიდებოდი, მკართად ნაკიდსა რქისასა.  
 მშვილდი თაოდ უ მთრეხელსა, სნოს მიმავალსა სხვისასა.  
 მშვილდს დასწევს, ისარს გულს დახკრავს, ბატონსა ცხაოტლისასა.  
 თაოდ წყალდი-წყალ წავიდის, მკართ შლიდა შავარდნისასა.  
 წყალს გაღმი სახლსა მიუდგა ქორბეღელაის ძისათა.  
 — კარი გამიღე, ქალაო, სულთ ნუ დახკრულავ ძმისასა,  
 სხვა რო ვინ შამახვედრიყვა ძმისა მამკლავი ძმისასა.  
 მამდევენ ღუდუშაურნი, დაელნებას ღგვან ცისასა.  
 ჯაჭვსა ჰგავ ალიხანის ძე ასხმულსა ქვეცრივლისასა.  
 ამბობენ ჩამაქცევასა ახალციხურის კლდისასა  
 ამბობენ შიგ ჩაჭერასა ქორბეღელაის ძისასა.

### 77. ჩვენს ბატონს გაჰჭირვებია

ჩვენს ბატონს გაჰჭირვებია, წითლად ჩაუკდენ მზენია.  
 გიორგი ჩოლოყაშვილო, ეგეც ნაქნარი შენია,  
 შე ქვეყნის მოღალატეო, მოგედვას ცეცხლის გენია!  
 თავის სისხლ-კორცი გაჰყიდე, იუდის საქმე ჰქენია!  
 კაზახებ გამამიყენე, დღე დამაყენეს ძნელია.  
 გადაველ ჰევსურეთშია, ღამე ვიარე ბნელია.  
 შვილი მოვტაცე ხახასა, რჯულის დაგდება ძნელია!  
 ურჯულო შამომავლიე, ჭარ-ბელაქანი გძელია.  
 ლეკური ენა ვისწავლე, გამოუცვალე ფერია.  
 გუროში გუროელებმა ციხეს უმაგრეს წვერია.  
 ამიტყდა მოჯაბრეები, ვის ერთს უქციო ჰველია?!  
 თავადი დ' აზნაურები, ყველა გამიკდა მტერია.

### 78. ქალი ვარ ბაგრატივნისა

ქალი ვარ ბაგრატივნისა, განჯას თათარსა ვყევარო.  
დღისით მიყრიან ბორკილსა, ღამით თათართან ვწევარო.  
ჯერ რჯულ არ გადამიგდია, თავის რჯულზედვე ვდგევარო.  
ქალო და რძალო ლამაზო, სულ ჩემო მოსადევარო,  
შაკრიფეთ თითო შაური, მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო!  
სირცხვილი თქვენთვის, ვაჟებო თორღ მე კარგა ვყევარო,  
ტანთა მცვავე სიასამური, წულა-ქოშებზე ვდგევარო...  
ნეტარ ველარა გნახავა, შე საქართველოს მძღვევარო!



საგმირო





### **79. ხოგაის მინდი კვდებოდა**

ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,  
ცა ჭებდა, მიწა გრგვინავდა, სული გვიანა ჰხდებოდა.  
ჩამოდოდა მასკვლავი, მთვარეც უკულმა დგებოდა,  
ქორ-შავარდენი, არწივი სუ მხრებით იხოშებოდა.  
მაღლის ჭიუხის ნადირი სატირლად ემზადებოდა,  
ცხენი იმისი ტიალი ლურჯა ტოტებზე დგებოდა,  
ცოლი იმისი ბეჩავი სუ შავად იმოხებოდა,  
დედას იმისას საბრალოს ტირილს აღარა ჰხდებოდა,  
მამა იმისი საბრალო თმა-წვერით იხოშებოდა.

### **80. ალაზნის თავსა, კლდის თავსა**

ალაზნის თავსა, კლდის თავსა სისხლის წყარონი დიანო,  
არა სმენ მონადირენი, აროდის დაშრებიანო.  
ეგ ურჯულონი ლეკები სასმელად გადმოდიანო,  
დალევენ, დაითვრებიან, ერთურთს თავებსა სჭრიანო.

### **81. ჩასვლა გვინდა ჩაუვალსა**

ჩასვლა გვინდა ჩაუვალსა, ჩანაყეფსა ყორნისასა.  
გადმაჰყრიან მაღლით ქვებსა, ნამტვრევებსა ლოდისებსა,  
დაგვიკოცენ ყმაწვილებსა, უჩვეველებს ომისებსა,  
ფშავში ლექსებს გამოგვითქმენ იმ შამილთან ბრძოლისებსა!..

### **82. ვინა სთქვა, ენამც გაუქმო,**

ვინა სთქვა, ენამც გაუქმო ჩარგალში ცუდნი ყმანია,  
აფხუშო, ჭიჭაკევაზე სამას ლეკს მასჭრეს თავია.  
აფხუშურაზე გამოჩნდა სისხლისა ალაზანია,  
წინ მააქვ ფარი და კმალი, — უკვენ ლეკების თავია.

### **83. თუშები საქორაოდა**

თუშები საქორაოდა ყადუსთავ გროვდებიანო,  
ელიან უშაკალასა, წინამძღვარს ღონდებიანო.  
გაგვიძელ, ბეკურიშვილო, ლურჯას შენს აქებდიანო.

#### **84. თუშთ ნაქერალი ცხენები**

თუშთ ნაქერალი ცხენები ალაზნის გაღმა გროვდება,  
მაუვლის ომის ლილარი, ბახტრიონს ჩამოგროვდება.

#### **85. კისტან მოვიდა ლაშქარი**

კისტან მოვიდა ლაშქარი ურჯულო აკვაისაო.  
აბულეთაურთ ციხესა კარ არ შეგვიხსნათ ხისაო,  
შიგა ნადგომსა ხოლიგას ფერ არ უცვალოთ მგლისაო.

#### **86. ჭეჭყეთ მამწონდეს ციხენი**

ჭეჭყეთ მამწონდეს ციხენი, ასახენები გორია,  
შიგა ნადგომი თორელი, ბაბკიაური ქორია.

#### **87. ავად არს ღაჭაურაი**

ავად არს ღაჭაურაი, მოკვდებ, მორჩება ველარა;  
დედის დამცხვართა საგძალთა ველად გაიხომს ველარა;  
ცოლის დაქსოილ წინდათა ფეკზედ ჩაიციომს ველარა;  
შილდისთავს ცივსა წყაროსა, გვერდს მოუჯდება ველარა!

#### **88. ქმოსტის ძირ ჩამოტიროდა**

ქმოსტის ძირ ჩამოტიროდა ყელლილიანი ქალია:  
“ვინ მოკლა თამნიაური, თეთრი ქორაი კარია?”

#### **89. ლომო, შე ლომის მოკლულო**

ლომო, შე ლომის მოკლულო, ხადხეორხაის ძირსაო!  
ვინ შაგილება მკარ-ბეჭი წითელი პერანგისაო?!  
ვინ ამოგტეხა კბილები, თეთრები ბროლივითაო?!  
ლამაზად დაგიტირებდი, სათრი არ მქონდეს ქმრისაო!..

#### **90. მოლოდინი სჯობს მოსვლასა**

მოლოდინი სჯობს მოსვლასა, ლაშქრით ლამაზის ყმისასა,  
მოვა, მაიტანს ამბავსა თავისასა და სხვისასა,  
ჯერ სწორებისას გვიამბობს, მემრ თავის გამოცდისასა.

#### **91. ზენ ბაცალიგოს თოვლი სთოვს**

ზენ ბაცალიგოს თოვლი სთოვს, ქვენ ბაცალიგოს შრებაო.  
თინიბექაის ციხესა მარჯვენა კუთხი სქდებაო.  
თავს დაჰყეფს შავი ყორანი, ლიბუში გველი ძვრებაო.  
შიგა წევს თინიბექაი, გულს უწადინოდ კვდებაო.  
ცხენი იმისი ტიალი ლურჯა ტოტებზე დგებაო.  
გვერდს უზის ცოლი ლამაზი, სანთელივითა დნებაო.

## 92. იამბე, ციხის ნაშალო

იამბე, ციხის ნაშალო, რა დრო გაქ გამოვლილია,  
ან ვისგნი აგებული ხარ, ან ვისგნი ჩამოშლილია?  
ციხემ თქვა: ჩემთა ჩარდახთა ქალაქად აქვ დანაწერია,  
სალირამა და ხოლიგამ ზე მომაწერეს ხელია,  
იმ დროს მოლალა ზურაბმა ლაშქარი დაუთვლელია.  
თავზე მესხმოდეს ტყვიანი, გადამდიოდა მტვერია.  
მაშინ მამიკლეს ხუროი, ჩამამამყრივნეს თბენია,  
ცრემლმა, ჩარდახთით ნადენმა, ჩამააშავნა კლდენია.

## 93. საისაკ მიზდით, ფშავლებო

საისაკ მიზდით, ფშავლებო, ადგილ სად იცით ცხვრიანი?  
— “ქუდსაკადაში მივდივართ, კაცნი თქვენს ქონებიანნი.  
ბევრი ჰყვან ცხვარნი, ძროხანი, ქალნი ჰყვან ოქროს თმიანნი.”  
იქ ბებერმ დაიდუგდუგა, სიტყვა დადხარჯა გზიანი:  
— “თუ ჩახვალთ, ველარც ამოხვალთ, კაცნია გონებიანნი, —  
თვითონა დნაყენ წამალსა, ბაკნით უდგანან ტყვიანი.”  
— “მუქარით არ დავბრუნდები, ქალ ხო არა ვარ თმიანი?!  
გარა ვარ თურმანაული, ბევრკან მიქნავის ზიანი.  
ბევრკან გავწირე ნადგომი, ნამცხვრევი, ნაქურთლიანი.  
დავკოცე ლაშარისგორსა ქისტის კარები რქიანი.”  
ორშაბათს თენებისასა ბაკზე მიიღეს გრიალი.  
გამააქანეს ცხვარ-ძროხა, ქისტის კარები რქიანი.  
მაზღვედეს ქისტისშვილები, ტყვიას მაღქონდა წკრიალი.

## 94. მითხოს გასუქდი, შიშაგო

მითხოს გასუქდი, შიშაგო, რა ფიქრი ჩაგყოლებია?  
დაბერებულია გარაი, წვერს ჟანგი მაჰკიდებია,  
გზათა, გარაის ნავალთა, პირს ბორტვი წაჰკიდებია.

## 95. გარამა თურმანაულმა

გარამა თურმანაულმა მშავისხვე მიაიარაო,  
შაყარა მშავლის ლაშქარი, მათურა აიარაო,  
წითელ-ყვითელი დროშაით ბოროლა გადიაარაო.  
კისტან ატირდა ბებერი: “ჯარით სად მიხოლ, გარაო?”  
“შატილს მივდივარ, ბებერო, ვარდანამ დამიბარაო,  
მე დ’ იმან უნდა ვიომათ, უნდა იჭეხნას ცამაო,  
გვერდ უნდა გარდაიქცივნას ვარდანის ციხის ქვამაო,  
უნდა ჭყიოდან გოზანი ვარდანის ციხესთანაო.  
უნდა ტყვრებოდან ისარნი ციხის წვერთ ჩარდახთანაო.  
პირ ცრემლით უნდა იბანას შუქომ ვარდანის დამაო.

სისხლნი წავიდან ღვარადა, არ გაირივნას ზღვამაო,  
უნდა დახერდან ღურბელნი, აღარ იწვიმას ცამაო”.  
გადუჩნდეს საჭვრეტელშია, ცა წმინდა უცემს თვალსაო.  
ხმა გადის საგათენებოდ, ბიბინ დაიწყა ცამაო,  
საგათენებოდ დაეცნეს ვარდანას ციხის კარსაო.  
“კარზე გამაედ, ვარდანავ, ნუ მაიმთვრალე თავსაო,  
თას თუ გეჭირას ხელჩია, გადააწვადე სხვასაო,  
თუ ხელჩი ფანდურ გეჭირას, ძმას მიეც მგელიასაო”.  
“გამავალ, მგელიაის მზემ, გამავიყოლებ ფარსაო,  
დავიქნევ წარამარადა ჩემს მისურაულს ხმალსაო”.  
“ვაი თქვენს ვარდანს, მშავლებო, ველარ გადმავედ ქავსაო,  
თორ თუ ქავს გადმავსულიყავ, გათრევინებდით მკვდარსაო”.

### 96. შენ ეგრ ვერ მამკლავ, ჳევსურო

შენ ეგრ ვერ მამკლავ, ჳევსურო, როგორც ჳიჯვს მაჳკლავ მთისასა.  
აცა, გაზაფხულ მოიდეს, ჳარს შავყრი ფშავლებისასა.  
სანეს ჳარს მივგვრი ჳევსურთა, გზას დავინებებ მთისასა,  
გამოვიყოლებ გარასა, მანძილას ჳიუხისასა.  
წამოვალ ცირცლოვანზედა, მოგივალ წუბროვნისასა,  
ირმულად მოგეპარები, არ ავანქამებ ქვიშასა.  
გაყურებინებ გორვასა მაგ შენის ციხის ქვისასა.

### 97. თავს ჳადა, ბოლოს ცხავატი

თავს ჳადა, ბოლოს ცხავატი, შეიქნა დიდი ერია.  
ამბობენ თითო-ოროლსა, გუდამაყრელიც რევია.  
ამზადებს ტყვია-წამალსა ლუთხუბს ჳეჳაანთ ბერია.  
ჩავიდნენ ნაოზაშია, იქ დახვდა ლეკის ჳარია.  
ჳოცეს და ჳოცეს ურჳულო, ჳალას ჩაყარეს მკვდარია.  
ბერიც დაგვიჭრეს ურდოთა, გაწირეს ცოცხალ-მკვდარია.  
შენ, ჩემო ძმაო ადამო, შენთვიმც მოკვდება ბერია.  
ბევრჳელ სამ შამოიარე მალლა მალაწლის მთანია,  
მოგიკლი ჳარი ირემი, შინ მოგიტანი რქანია.  
მურყნოსელთ დადგი ჳუჩანი, შასანდობარი ჩემია,  
იქ ბუგონ ტყვია-წამალი, მიწას ადინონ მტვერია.

### 98. ხოშაქის ტურა ღმერთს ეხვეწ

ხოშაქის ტურა ღმერთს ეხვეწ: “ღმერთო, დღე მამე მზიანი,  
დამალევიე შატილი, ქაჩუი სიპერდიანი,  
ან გურო გამატეხიე, ახალგორ სიმაგრიანი,  
ანაც ტყვე დამატერიე, კისტნელი მანდილიანი”.

### 99. დავნატრი დაბადებასა

დავნატრი დაბადებასა ჯომარას ხახაისასა!  
 აისხამს იარაღებსა, ანგელოზსა ჰგავ ცისასა!  
 მკარზვედ გაიდებს დროშასა ლალის ლაშარის ჯვრისასა;  
 გამაუძღვება ფშავლებსა, სახელს აკსენებს ღვთისასა;  
 ავალის ქერიგომია, არ შასძრავს წვერის ქვიშასა;  
 გაჰმართებს საქისტეთოდა ნარჩევებს ვაჟებისასა;  
 შატილს მიუვლენ ქისტებსა ოთხშაბათს თენებისასა,  
 ცხვარ-ძროხას მოაბრუნებენ რჯულძალლის ქისტებისასა.  
 მოსდევენ ქისტისშვილები: — ვად დედას ჩვენის მტრისასა,  
 შინ ცოცხლებს როგორ გაუშვებთ წამკდენებს ჩვენის მწრისასა!?  
 თოფებს ერთმანეთს აშლიან, ტყვია ზედ აშლის ქვიშასა...

### 100. ხუზაურმ უთხრა მამასა

ხუზაურმ უთხრა მამასა: — მამავ, შავყაროთ ჯარია.  
 ჩავიდეთ მათურაშია, ამოვიტანოთ ცხვარია.  
 — შვილო, მათურას ვერ ჩავალთ, მოკლედ აჭრიან მთანია.  
 — მაშ, ჯომარაში ჩავიდეთ, იქ მრავალ ქალი დ' რძალია,  
 — არა, ჯომარას ვერ ჩავალთ, სახვევიანი გზანია!  
 — გოგოლაურთას ჩავიდეთ, იქაც სიმიდირე არია.  
 — გოგოლაურთას ვერ ჩავალთ, იქაც ავნია ყმანია.  
 კიბულს არ ჩავგაცილებენ ლომ-ხუზაურნი ძმანია.  
 — მაშ, ცაბაურთას ჩავიდეთ, ბეღელს მოვშალოთ თავია.  
 თინიბექმა და ალეკამ შეჰყარეს ქისტის ჯარია,  
 დაესხნენ ცაბაურთასა, ბეღელს მოშალეს თავია.  
 დილით ადრიან ხუზაურმ მტრის ლაშქარს მოჰკრა თვალია,  
 ძმას გადასძახა ლომასა: — ადე, გალესე კმალია!  
 ცაბაურთაში ქისტისა ჯარია ჩამამდგარია.  
 ჩვენის დის მზევინარისა ქვითინი მოდის მწარია:  
 კოჭლას ნუ გააგებინებ, სად ი(ვ)ლის ხაიბარია.  
 ჯვართანისწყალთან მიუსხდეს ლომ-ხუზაურნი ძმანია,  
 არ დაანებეს ქისტებსა გადასავალნი გზანია,  
 მარტო მაცნედლა წავიდა ალეკა ჯარის თავია.  
 ალეკას გამაეგება წინა უნცრუა რძალია:  
 — მამამთილაო, რა უყავ თინიბექ ჩემი ქმარია?  
 — იქ დარჩა მუჭისღელესა წითლის არაყით მთვრალია.  
 გვერდით დაუბი ლურჯაი, ტიროდა, როგორც ქალია;  
 თავით დაუსჭვე დროშია, აჟურიალებდა ქარია;  
 ჯვართანისწყალზე მოგვისხდეს ლომ-ხუზაურნი ძმანია.  
 წვიმურა წვიმდეს ისარნი, გვერდს უელავდეს კმალნია.  
 კოჭლამ კი ჯვართანისგორით ბეღელს აკერა მკვდარია.  
 თინიბექს ჯიბეს უპოვნეს დის მზევინარის თმანია.  
 ზედ დაანათეს ხანჯრები, დაკუწეს, როგორც მხალია.

### 101. ჩოხს დაიბადა არწივი

ჩოხს დაიბადა არწივი, ამბობენ ცოტა ხნისასა,  
არ დადევს საქმეს საგონსა, ძალს ჩივის ქისტებისასა,  
ამზადებს ტყვია-წამალსა: ხანს ეხლა მუელ ცდისასა.  
— გამომყევ, ჩოხის გიორგი, კმალსა ნუ მომრევ მტრისასა,  
— ტყვიას ჩამოჰქნის ტყვიაზე, სალაოს სწურავს ქვიშასა.  
ქვენა მთა გადმოიარა, ვაჟი ნამს დაბერტყს მთისასა,  
მუალის თამარიძესთან, ამბებს ჰკითხავდა მტრისასა:  
— ნუ გეშინიან, ბერაო, სასტუმროსა ხარ სხვისასა. —  
არხოტის ჭალას ჩადიან, ორანი თენებისასა.  
ჩავლენ და ჩაიმღერებენ, ვაჟნი ჩალახვენ ქვიშასა.  
წინ ქისტი შამეყყარა, სტუმრად ნამყოფი დისასა.  
— ქისტო, რამ გაგაგულდიდა, სტუმრად ყოფილხარ სხვისასა? —  
გავარდა ბერაის თოფი, წითლად შაღებავს ქვიშასა.  
— ბერაი არი, ქისტებო, შურს ეძებს ბიძაშვილთასა.  
ბერას რა დაავიწყებდა დაკარგვას ბიძაშვილთასა?  
ან ემაგ თამარიძესა კარგ თოლებს თავის ძისასა?  
— გიბარებს ქისტისშვილები, — ბერავ, დაგვეხსენ, ხთის მადლსა.  
ჩვენ ბეგარასა დავიდებთ წარისასა და ცხვრისასა.  
ან ფულსა გამოგიგზავნით სახსარსა თქვენი ტყვისასა.

### 102. ვერ გაიგეთა, ფშავლებო

ვერ გაიგეთა, ფშავლებო, მათურელთ ცხენებმ რა ქნესო?  
მათურით დაქცეულებმა ამოგას ქვიშან ჩაქნესო.  
ან მკვდრებმ როგორ გაიძლეს, ან ცხენებმ როგორ შასძლესო?

### 103. კესელოს ციხე მოსტაცეს

კესელოს ციხე მოსტაცეს, ჩამოტეხას ღვანდ ცისაო.  
დიდგულნო ომალოელნო, რად ენდობოდით ძილსაო,  
არ იცოდით, რო დაგვლევდეს, ვერც დაგვბედევდეს პირსაო.  
ბრალი ხარ, იჭირაულო, ღვინისი ძალი გჭირსაო.  
იჭირაულთა ჯუნჩალე ძმათ უარესად ცდისაო,  
ჯუნჩალეს ცოლის ნაცადსა დაღესტან გახკვირდისაო.  
შვიდს გაავადები თავები, გახკიოდ, გავარდისაო.  
მოზაცთ სახლს ჩაეხვივინიან, ალ თავზე გადასდისაო.  
შინაწ არ დახვდა დავითი, შვილ მამასავით ცდისაო.  
ზოდონა ხაბაშლიზეი ლამაზს იბრუნევდ პირსაო —  
დედა გავწირე ბეჩავი, საბრალოდ ატირდისაო,  
შეხყარის დიაც-ყმაწვილი, ცრემლი წყაროდა ზდისაო,  
წვრილის ყმაწვილის ცოდვაი ცას ნამად ჩამოზდისაო.  
მთვრალაცი თორკვილიზეი მიწა-წყალს ხედევდისაო;  
მამულსა დ' აოკრებულსა სამნებიც ამოზდისაო.

შენდობა ომალოელთა, ალუდებ იდგენ სხვისაო,  
 თუ ეგეთ მზებზე არა სთქვას, ცოდვამც გექნებათ მკვდრისაო.

#### 104. გამოიკმელა ზამთარმა

გამოიკმელა ზამთარმა ნეტაი ვისიმ ჭირადა.  
 ქიბდუხ არს ლუცის ლუხუმი, ვაჟკაცო, შენა ჭირადა.  
 გადმოვიდიან ლეკები, გაგიღეს ბოსლის კარია,  
 შიგიდან გამოგიყვანეს, ბუღა ბუბუნებს ჯარია.  
 გარომეს ლეკეთისაკე, წინ გაგიმძღვარეს ცხვარია...  
 ქიბდუხის თავალ გადაის შენაქოს მაცვლეთ თვალია.  
 ლუცის ლუხუმის სახლებსა ლიბოებ გამოზდიანო,  
 მაღლა ზის შავი ყორანი, ბუმბულნ ქვე ჩამოზდიანო.  
 ლუცის ლუხუმის ქალები სოფელ ტირილით დიანო,  
 არავინ ხყავის მოწყალე, გვარნი წილებსა ხყრიანო.

#### 105. ფარსმაში ლეკნი მოიდეს

ფარსმაში ლეკნი მოიდეს, აფხაზი დ' აშაკ მქვიანი  
 დაკოცონ ნურას გუცშვებენ, წინ მაგათ უქნავ რიალი.  
 თუშეთა თუშთ მოურავი ღვთისაგან დავლათიანი,  
 ჯარი შეყარა თუშისი, ჰევსურნ ათვალა კმლიანი.  
 დაგროვდეს ჩიღოს ჯაყაში დილა არს თვირთვილიანი,  
 სალამქროს ვაკეს გავიდეს, ცხენებს გახქონდა ძგრიალი.  
 ცხენს შეჯდა ბიღოზე დავით, ვადამ დაილო ჟრიალი,  
 გოთაყის ჩალის ფერაყმა ბაკზე დაიწყო ფხვრიალი.  
 რადარამ გამობრუნდება იდუაყ სახელიანი.  
 მუკლებიმ ვერ დაღალაა, კელიმ არ დაშვრა კმლიანი.  
 აქვარისთავა ცხვარი დგას, ნეტა რად დამთხვა ტიალი.  
 მწყემსებიც გაკვირებულან, გზა გვქონდა სახვევრიალი.  
 ალის სათიბეს გამოდის, ყოჩ-ვაცს მოხქონდის ძგრიალი,  
 ყიდუელ მდევარ მოვიდა, საომრით ბარაქიანი.  
 ბევრი გვასრიეს თოფები, ტყვიას მოხქონდა წკრიალი,  
 აბჯარი ბევრმან დაყარა, ცხენი ხყვანდ ოქერ-ტიალი.

#### 106. ქისტეთშიგ ამბავ დავარდა

ქისტეთშიგ ამბავ დავარდა, ცის ნაპირ ჩამოვარდაო,  
 თუშთ ახალ მეომარზედა ზღვა ჩქეფით გადმოვარდაო.  
 ნუ დაგვცინიდიო, თუშებო, დრომ აგვირია კვალიო,  
 დღეი დაგვეცა აგეთი, ზე გადმოგვესხნეს ზღვანიო.  
 ბორჩიკ ნანელის გაზდილი დაბრუნდა, როგორც ტარიო,  
 ბათირა ნესტორიზემა მანძილომ დასხნა რქანიო;  
 ლუხუმმა გოთაყიზემა ჩადმის ჰევს შეხვსნა კმალიო;  
 მთვრალამა თორწივლიზემა ალისა დადვა ტანიო.  
 ბრალი ხარ, ქაქოს კურდღელაყ ფარსმის ძირ იდვა მკვდარიო.

ცხენსად არ იჯდე თავლალსა, ორად არ ხყარო ჯარიო.  
ნაკუდაც გამაროზეო, ომსაწ ნაჩვევი ხარიო.  
ტყვიამ არ მოგცა ხანაი, სისხლით ვერ შეხვეერ კმალიო.  
სულეთში შემოგყვებოდა ბერი დედ-მამათ ბრალიო.  
შენდობა დუმსოს ნაკოცთა, სადაც გარიგდეს ჯარიო.

### 107. აქვარის მთაი მთაზედა

აქვარის მთაი მთაზედა, ლურჯი სძოვს იალაღზედა.  
ხანდიხან შეთამაშდება, ხან შეგოგვდება ნალზედა.  
ზედა ზის თოთის ქედაცი კელმწიფე დროშაყინი,  
კალთათ უხვიავ მარჯვენა აქვარელთ ბატონისაი.  
დედამა შვილი გაზარდოს, თოთის ქედაყო, შენფერი,  
ქვის გული გულად ჩაუდვას, მტრის შორის მაშინებელი,  
მგლის მუკლი მუკლად შეაბას, შორის გზის გამხანებელი.

### 108. შავჭალა შემოვიარე

შავჭალა შემოვიარე, შავ როჭო მოვკალ ისრითა.  
დავჯედი დ' ჭამა დავიწყე, გული ამევსო ნისლითა.  
შევხედე, შემოდოდეს შვიდნი ურჯულონ ჯარადა.  
შვიდთავ მასრიეს შვიდ-შვიდი, ბეჭზე დამასხეს ჯარადა.  
ერთი ვასრიე საწყალმა, სისხლი ვადინე ღვარადა.

### 109. დაგცილდა, მექობაურო

დაგცილდა, მექობაურო, ამოსაკდომი მზისაო.  
შადხვდი ვეშპების ნავალსა, ნათრევ გეგონა ხისაო.  
თქვენი ბრალია, თუშებო, ტკბილს რად იძინებთ ძილსაო?  
გარს გველი შამეხვია, თავი ბოლოსად წვდისაო.  
მეორე დილა გათენდა, სოროსაკ მიუდისაო,  
მილალნა სოროს კარზედა, იქ სხვა გველ დაუხვდისაო.  
გველებს გაუკდა ჩხუბადა, ქუხილ გვეგონა ცისაო.  
ჩამაჰკრის მექობაურმა, ნაკოდალ ჩამადისაო.  
გველი გაიდვა ჯიდადა, ზედ თუშებ გამოდისაო.  
გველზე ძნელ გასასვლელ იყო, ბრძანება იყო ხვთისაო.

### 110. მოყმემ თქვა პირშიშველამა

მოყმემ თქვა პირშიშველამა, შიბნ გავიარენ კლდისანი.  
გავგალენ, დავინადირე ბილიგნი ჭიუხისანი.  
ზე ბნელი ღამე დამეცა, შიბნ ვერ გავიგენ კლდისანი.  
ვეფხვსა შავღვარდი ნაწოლსა, თვალნი მარისხნა ღვთისანი.  
იწროს შამაგდა ყურეზე, მაწითებვიანა ქვიშანი,  
კელ კი დავღალე ქნევასა, ვადან მავცვითე კმლისანი.  
ვეფხვ მკლავზე გარმავიწვინე, მასკვლავ დათხოვდეს ცისანი.



ელიან სულთად ამოსვლას დარალიანი კლდისანი.  
 ამბობენ ჩათელებასა ყორანნი შავის თბისანი.  
 ჩემსა უთხრიდით დედასა, არ გინდან ქადაგ-მისანნი.  
 ჩემებმ დაძივნან სწორებმა იწრონ ყურენი მთისანი.  
 შაიძლებოდას დაკელან ნაგლეჯნი ყაწიმისანი.

### 111. ბენავსა ჩემსა დედასა

ბენავსა ჩემსა დედასა რად უნდა ქადაგ-მკითხავნი?  
 ჩემ თავს სხვის ძებნა რად უნდა, საყუვენ მოძებნონ მთისანი.  
 შევვარდი ვეფხვსა ნაწოლსა, ხანნ იყვნენ შულამისანი.  
 ადგა და ვეფხვმა ომი ქნა, თვალნი მარისხნა ღვთისანი,  
 ვიწრო ყურეში გამიშო, ბრალნ არ იკითხა ყმისანი,  
 კელი დავლაღე ქნევასა, ვადან დავტეხე კმლისანი.  
 ვეფხვმ მკლავზე შემომიწვინა, ტოტით დათხარნა ქვიშანი.  
 თავით ყორნები დამიწყო, ზეთით მოსულნი ფრთისანი.  
 სულთ ეშმაკნ გამოელიან, დარალიანნი კლდისანი.

### 112. ბაღლ ვიყავ პირშიშველაი

ბაღლ ვიყავ პირშიშველაი, წვერნ მოვიარენ მთისანი;  
 შამოვესროლე ჯიკვებსა, ჭალას ჯაკნ იქნეს რქისანი;  
 შევვარდი ვეფხვსა ნაწოლსა, ხანნ იყვნეს შუადლისანი;  
 წამამიფრინდა ტიალი, დამკოდა, დამდგა ნიშანი;  
 ჭალას რომ თოფი გავარდა, კმან ვიცნენ სიათისანი;  
 საწყალს დედაჩემს უთხარით, — რად უნდა ქადაგ-მისანი;  
 შაყაროს ჩემებ სწორები, შიბნ დაიარნენ კლდისანი;  
 დამმარხონ მკვდარი საფლავში, ზედ მამაყარონ ქვიშანი!..

### 113. მოყმემა პირშიშველამა

I

მოყმემა პირშიშველამა შიბნ გაიარნა კლდისანი,  
 მოინადირნა, დალაკნა ბილიგნი ჭიუხისანი.  
 შამაკდეს კილდის თავზედა ხორონი ჯიკვებისანი.  
 ჯიკვსა თოფ დახკრა ბეკენსა, ჭალას ჯაკნ იქნეს რქისანი.  
 შუა გზას შამააღამდა, დრონ იყვნეს შულამისანი.  
 გზას ვეფხვი შამეყარა, თვალნი არისხნა ღვთისანი:  
 შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი, მაშინ დაიძრნეს მიწანი.  
 კლდეები ჩამოინგრია, შტონ დაილეწნეს ტყისანი.  
 დრონ აღარ დასჩეს მოყმესა, ვადან ეწითლნეს კმლისანი.  
 ფარს უფარობს და ვერ ასწრობს, ვეფხვნი ჩქარნია კლდისანი.  
 გაზით გაართვნა კალთანი ჯაჭვისა, ჯავშანისანი.  
 მოყმემაც კელში იყარნა ვადანი თავის კმლისანი.  
 ნელ-ნელა გაჭრა ფრანგულმა, დრონ იყვნეს წაქცევისანი.

ვეფხვი კლდეთ გარდაეკიდა, ჩამააწითლნა ქვიშანი.  
თაოდ კლდის თავზედ შამოწვა მოყმე სულ-ამამდინარი.  
ვინ ეტყვის მაგის დედასა, კარს უსხენ ქადაგ-მისანნი,  
უერთოდ არ დაიხარჯნეს ჩვენის აფხაზის ისარნი.

## II

იარებოდა დედაი ტირილით თვალცრემლიანი:  
“ჩემს შვილს გზას ვეფხვი შაჰყრიოს გაჯავრებული, ტიალი.  
ჩემს შვილს კმლით, იმას ტოტითა დღე დაუბნელდა მზიანი.  
არც ვეფხვი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ დახვდა ჭკვიანი,  
მათ დაუპოცავ ერთუცი, არ დარჩეს სირცხვილიანნი.”  
ტირლით წყრულებს უხვევდა ვეფხვის დაჭრილსა კლანჭითა.  
“შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ, დაქანცული ხარ ჯაფითა,  
ი შენი ჯაჭვის კალთები ოკერმა როგორ დაფითა?!  
შენც იმის საფერ ყოფილხარ, კმალი ქნევაში გაგიცვდა,  
არც იმან მოგვა მეტი დრო, აღარც შენ დააცალია,  
ვეღარცაღ შენ დაიფარე შენ კელთ ნაქონი ფარია.  
ვეღარცაღ ვეფხვმა ტოტები, კმაღმა დაკუწა ძვალია.  
მაგის მეტს აღარ გიტირებ, შენ არ ხარ სატირალია.  
ლაშქარში, მეკობარშია არ იყავ საწუნარია,  
აქამდი მაინც გაგზარდე ვეფხვებსთან მეომარია.  
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს! ეგიც სამარის კარია”.  
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი ელანდებოდის მძინარსა,  
ხან მითამ ვეფხვი იმის შვილს ახყრის ტანზეით რკინასა,  
ხან ვითამ იმის შვილმ ძლივის, გარდაავლივის ყირასა.  
აიმაგ სიზმრებს ხედავდა, გამაელვიძის მტირალსა.  
ხან იფიქრებდა: “უდედოდ გაზდა ვინა თქვა შვილისა?  
იქნება ვეფხვის დედაი ჩემებრ დღე და ღამ ტირისა?  
წავიდ, მეც აიქ მივიდა, სამძიმარ უთხრა ჭირისა...  
ისიც მიაშობს ამბავსა, მეც უთხრა თავის შვილისა.  
იმასაც ბრალიდ ექნების უწყალოდ კმლით დაჭრილისა”.

### 114. ვაჟისძე დ' ფილიპიაი

ვაჟისძე დ' ფილიპიაი შაიყარნიან კარები.  
აღარ დაუხვდა მეშველი, დაანაფოტეს ფარები.  
ორთავ დადწოცეს ერთურთი, ლერწმისებ დასხეს ტანები.  
ორნივ დავმარხნეთ ერთადა, დაუტევს მიწა მყარები.  
ორკანავ შანდობა უთხრათ, ორკანავა კვნენ კარები.  
სწორ-სწორად ავატირნოდეთ დიკლო-კოშარას ქალები.

### 115. ჩანთელი დ' აფთარაული

ჩანთელი დ' აფთარაული ორნივ შაიბნეს კარები;  
მეშველი დაუგვიანდათ, დაანაფოტეს ფარები.

კმლითა სცა აფთარაულმა, ზედ მიანაყა ტარია.  
ზვავს ქვეშ ჩავარდა ჩანთელი, ჩამასდის ზვავის წყალია.  
ქვემოთით ამოდრიოდა ჩანთელის თოფის კმანიო.  
— “თუ დაგცდა, აფთარაულო, დიდხანს ცოცხალიმც ხარიო!  
თუ მოგზვდა ჩემი ნასროლი, ჩემი უნცროსიმც ხარიო!”  
— “ვერ დამკარ, ვაჟო ჩანთელო, ისივ ცოცხალი ვარიო”.  
“საითაღ დაუცდენია?!” იმას კვირობენ სხვანიო.

### 116. როშკისგორს ღილღველ თამაშობს

როშკისგორს ღილღველ თამაშობს, კელში უჭერავ კმალიო.  
გამათამაშდის ღილღველი: “კევსურებს შავსდვათ ზარიო”.  
ღამბერდამ გადმაიწია, მეშველნ მაუნდეს ცხრანიო.  
“აქეთ გამიშვით, ღილღველებო, კევსურთ უნდ დაუფთხვ ჯარიო”.  
კევსურთაც ამაირჩიეს ყმა ერთი შასადარიო.  
შაკანა გამაიყვანეს, კელში ეჭირა კმალიო.  
ერთმანეთისკე დაიქცნეს, ცამაც დაუცის თვალიო.  
ღამბერდამ ჩამაუქნია, ღილღველ ამლათივ არიო.  
“აცა, დაიცა, ღამბერდო!” შაკანამ შააგება ფარიო.  
ფარის გირგოლი გააწყვეტინა, “შაკან, გაგიწითდა მკარიო”.  
შაკანამაც შამაუქნია, მოვიდეს გალოს ჩქამნიო.  
შაკანამ შამააწვინის როშკისგორ ღილღველის მკვდარიო.  
მაგრამ შაკანსაც გამახყვა ღამბერდის ნაკანჭარიო.  
შაკან კი ისევ გამორჩა, ღამბერდ კი წაიღეს მკვდარიო.  
ღამბერდა კაი ვაჟ იყო, კაის დათმობა ბრალია.  
ვერც შაკან გადარჩებოდა, თუ არ ხქონიყო ფარია.  
კაცი ვარ გათეთრებული სიმღერის მაუბარია.

### 117. ერთი ვაჟკაცი ფხოველი

ერთი ვაჟკაცი ფხოველი შავწყალს საომრად დადგაო.  
ადგა და შინ წამოვიდა, გზას შავანელი შაკზვდაო.  
ჩაჭრეს, ჩაკაფეს ერთურთი, მაშველი აღარ შაშჩაო.  
ცითა მოვიდა ყორანი, მაგათ ნაომარს დახყვაო,  
ჯერა დაითვრა სისხლითა, მემრე ლემ ჭამა, გაძღაო,  
ადგა და ისევ წავიდა, მაგათ ვაგლახი დასცაო:  
“ორნივ ყოფილან უჭკონი! ერთმ მაინც რად არ დასთმაო?”

### 118. ბლოელ ბერდია, კირჩლაი

ბლოელ ბერდია, კირჩლაი სანეს შაყრილან სმაზვდა.  
ბერდიამ უთხრა კირჩლასა: — რო ვერ შემოგხვდი გზაზვდა,  
ე ჩემი მოკლე ფრანგული ვერ ვათამაშე შენზედა.  
— სხვას არვის უთამაშებავ მოკლე კირჩლაის ტანზედა.  
დაარიგნიდით, კევსურნო, ნუ გახკდით მტერობაზედა.

### 119. ქარი ჰქრის საქაროვნეში

ქარი ჰქრის საქაროვნეში, ღრუბლები ბერვედიანო.  
ძიბლად დ' თათულიკაი ერთმანეთს ძალევედიანო.  
მიწა დაუხვდა გვალული, კნავდენ და კვალევედიანო.  
უძახეს ამხანაგებმა: — თათო, წავიდეთ შინაო.  
თათო შინ ვეღარ წამუა, აქ ძიბლამ დააძინაო.

### 120. ჩავალის, ჩაეუბნება

ჩავალის, ჩაეუბნება, ტუნკით ივანე საღარსა:  
"ცხენავ, გეტყობა, გემინის, გულს მე ჩაგიდებ მაგარსა,  
ჩაგავლევ ტერელოზედა, ჩაგატანინებ ნაღარსა,  
შენაც იქ მოგვლავ, ზიალო, თავსაც იქ დაგდებ ჭაღარსა,  
ცოცხალ შინ ვერ დაგბრუნდები, იქ ვერ გაეწირავ მამასა,  
ცხეს დაუვნგრევ ისრითა, წვერზე გადავდებ ქამანდსა".

### 121. ჩავალის, ჩაეუბნების

ჩავალის, ჩაეუბნების როშკას გაზდილი საღარსა:  
"თუ თავი გეზუბუქება, მძიმეს დაგკიდებ ლაგამსა;  
თუ რომ გემინის, ის მითხარ, გულს მე ჩაგიდებ მაგარსა;  
ჩაგკიდებ გორგურიანსა, ჩაგაფრენ მაღალ-მაღალსა.  
ყიდოს აქებენ ყანებსა, დაგადებიანებ ნაღარსა.  
თავს დაგანებებ, ზიალო, რას ვსწყალობ ლეკის ყანასა?!  
დამკვლევენ ყიდულები, შუბს ღნახვენ ტარით მაღალსა.  
სწორებ დაიწყებს კითხვასა: ნასკვაურისძე სად არსა?  
ომშია ნასკვაურისძე, მაგის გამოსვლა გძლად არსა,  
კაცებს კოცს, კელს კი არა სჭრის — კევსურის წესი არ არსა!  
კელ მასჭერ, ნასკვაურისძე, უკელოდ სახელ არ არსა!

### 122. ცხენს ეტყოდ ნასკვაურიზე

ცხენს ეტყოდ ნასკვაურიზე, როშკას გაზდილსა საღარსა:  
გატყობ, გემინის, საღარო, ბეგს ვერა ხფრინავ მაღალსა,  
თივა-ქერს ბლომად დაგიყრი, თუ ბეგს შენფრინდებ მაღალსა,  
დაგაბამ სასაღამოდ ბუკუჩას ყოჩის ბაგასა.  
მეორე დილა ხედავდენ, ნასკვაურიზემ სად არსავ?  
ნასკვაურიზე ომში არს, იმის გამოსვლა გრძლად არსა.  
კელნ დასჭერ, ნასკვაურიზევ, უკელოდ სახელ არ არსავ.

### 123. ღმერთო, რა დიდი ბრალია

ღმერთო, რა დიდი ბრალია სიკვდილი კაის ყმისაო!  
ჭიმდას დაიქვა ქვითვირი, კუთხი გამასქდა ქვისაო,  
მინდიამ შეღმაიშვილმა შუქი ჩაკრიფა მზისაო.  
მზემა გაიგა, იწყინა, მასკვლავი ჩამადისაო,

მთვარემა ხუთმეტისამა შავი ჩაიცვა პირსაო.  
 იწრო ჭალაი შეუკრავ გოშტიკაურთა მზირსაო.  
 ბრალია მინდიაისად, ხან რო არ ექნა ცდისაო.  
 არ ხარჯნას ტყვია-წამალი, ჯარ უწყევ მასრაისაო.  
 ალუდაური დასხების, შავი ღრუბელი ცისაო.  
 ალუდაურის კირიმსა კვამლი სულწუხად სდისაო.  
 სისხლისა კვალზე გაუდგა, ყორან თან მისდევს კლდისაო,  
 აბჟორიტესა მახკელავს მა დაგაზული მგლისაო.  
 მთელსა მინდიას უამბა: “უმცროს გექნების გზისაო!”  
 ბარაქალ, ალუდაურო, არვის შაარჩენ ჭირსაო,  
 მანამდენ ნაწსოვარია, მანამდენ წყალი დისაო.  
 ნაქნარი ალუდაურის ანდრეზად არ ითქმისაო.  
 ამა ლექსების მათქვამი სანადიროში ზისაო.  
 უმწუხრე, არ მამივიდა თორმეტი ჯიკვი კლდისაო.  
 სალექსოდ გამამიტანე საპირისწამლე რქისაო.  
 არ მამცემ, არ მეწყინება, შენ უფრო შავკედებისაო

#### 124. კახეთში ყივის გუგული

კახეთში ყივის გუგული, ყივილით სქდება ველარავ.  
 ავად არს შველათ კოჭაურ, კვდების, მორჩება ველარავ.  
 მთებს შემოჰხედავს თუშეთის: “მთანო, დაგლახავთ ველარავ,  
 დედის ჩაყრილო საგძალო, ველად გაგიღებ ველარავ,  
 ცოლის დაკერილ ჩითანო, გუდას მიგიკრავთ ველარავ,  
 თუშეთში, თუშთა ბიჭებო, წინ გაგიძღვებით ველარავ,  
 შილდისთავს, გრილო წყაროვო, თავსთან დაგიჯდებ ველარავ,  
 ჭარშია, ჭარელთ ბიჭებო. თვალსა მოგავლებთ ველარავ”.  
 შენდობა შველათ კოჭაურს, სადაც გარიგდეს ჯარიო.

#### 125. კახეთს რად ღბრუნავ, ფუნჩაო

კახეთს რად ღბრუნავ, ფუნჩაო, გან სპილენძი ხარ ცვრიანი?  
 ერთხელ ფშავშიაც წამოდი, ბაკი მანდ გიდგა ცხვრიანი.  
 შაჰხედენ ნაქერლისგორსა, ვაც-ვერძ შაგიფთხვა თხიანი.  
 ძილს უჩიოდა მანგია, ლეკვებ მაილეს გრიალი.  
 ძაღლების იმედი მქონდა, ოკრებმ არა ქნეს ჟრიალი.  
 “ამიშვით”, იტყვის მანგია, “ხანჯრისა ვნახე პრიალი”.  
 მანგია წამაუფრინდა, ზედ აზის ვეფხვი ბწკლიანი,  
 გულს უგლის ღამის სიბნელე, უნათებს ხანჯრის პრიალი.  
 ხუთი მაუკლავ მანგიას, თავად წევს პირსისხლიანი.

#### 126. ვინა ხარ, გულჭირიანი

ვინა ხარ, გულჭირიანი, დიკლოს ვინ ბრუნავ ბანზედა?  
 ჭირით ჩამოლევ ზამთარსა, ზაფხულს მოელი ძალზედა.  
 საბუელებსა ჰკითხავდა: “ლეკნი სად დიან გზაზედა?”

“თუ მკითხავ, გურჯო, გიამბობ, ჩაუჯე ყორნის წყალზედა,  
მოდინ ლეკის შვილები, ნასახელებნი სხვაზედა,  
ფშავით მაუდის ტყვეები, ქალნი ტირიან ძალზედა,  
ნატრობენ კაცსა ქართველსა, ცრემლი ჩამოსდის თვალზედა”.  
“ნუ სტირით, ქალნო, ბეჩავნო, გიგლია გიზით გზაზედა.  
თუ ლეკებს წაგყვანინოსთ, წვერ ნუ დაესხას ყბაზედა,  
ნუმც იტირებენ დედანი, სწორნიმც ნუ დასმენ ჯარზედა!”  
წინ-წინ მიარტყა ბელადსა, ცეცხლი დაჰხვია თავზედა.  
მეორე სარქალს მიარტყა, ვისაც ქალნ ებნენ ჯღანზედა.  
მერე ხმლით გადაეტია, ხუთნი შეაჭრნა ხმალებზედა.  
ქალებ შინ გამაისტუმრა: “მშვიდობით, დებო, გზაზედა!  
მე თუში, თქვენაც ფშავლები, ნუ გამცვლით სხვა და სხვაზედა!  
ნუ იტყვით ჩემსა სახელსა, ვიყვნოდეთ და-ძმობაზედა”.

### 127. ჭირთა გიჩივლებ, ბატონო

ჭირთა გიჩივლებ, ბატონო, ჩემსა და ყივჩაღისასა.  
შამამეყარა ყივჩაღი ბოლოსა მუხრანისასა.  
პური მამთხოვა, ვაჭმიე, ირჩევდა თავთუხისასა;  
სასმელ მამთხოვა, ვასმიე, ირჩევდა ბადაგისასა;  
კორცი მამთხოვა, ვაჭმიე, ირჩევდა შიშაქისასა.  
მემრე ცოლს გამამეკიდა, ქალსა, გაზრდილსა სხვისასა.  
დამცხვენდა, ველი დავიდევ ნაჩუქარს ცოლის ძმისასა.  
მე დ' ყივჩაღმ ერთურთ დავკოცეთ ბოლოსა მუხრანისასა.  
მე აქეთ დავრჩი, ბატონო, ყივჩაღი ჭამდა მიწასა.  
ელასა, მელასა, ღმერთი გწყალობდასთ ყველასა.

### 128. შემომეყარა ყივჩაღი

შემომეყარა ყივჩაღი სამზღვარს მუხრანის გზისასა,  
პური მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი თავთუხისასა.  
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი ხობობისასა,  
ღვინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევდი ბადაგისასა.  
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც, მიმყვანდა სიდედრისასა.  
ან კი ცოლს როგორ მივცემდი, შვილსა გაზრდილსა სხვისასა.  
ხელი მოჰხვია, ავოცა, მოზიდნა ნაწნავს თმისასა,  
შესტირა საბრალო ქალმა: “ვაი ცოლს ცუდის ყმისასა”.  
მეც გულმა ვეღარ გამიძლო, მოვზიდნე ვადას ხმლისასა,  
უმაღვე იმან დამასწრო, ელვასა ჰგვანდა ცისასა.  
მაგრამ დაუცთა მუხანათს, ვენაცვლე მადლსა ღვთისასა,  
ახლა მე შამოუქნივე, ვენდვე მადლს ლაშრის ჯვრისასა.  
გავჭერი ცხენი და კაცი, წვერიც მომიხვდა ქვიშასა,  
არ იყო ღირსი, მომორდა ცქერას ნათელის მზისასა,  
ცოლი სიდედრსა მივგვარე, ის კი იქა სჭამს ქვიშასა.

### 129. ამბავსა გეტყვით, გიამბობთ

ამბავსა გეტყვით, გიამბობთ ამბავსა ყივჩაღისასა,  
 ჩვენ სამნი შევიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა.  
 პურსა მთხოვდა და ვაჭმევდი, ვურჩევდი თავთუხისასა,  
 ღვინოს მთხოვდა და ვასმევდი, ვურჩევდი ლალისფრისასა,  
 ხორცსა მთხოვდა და ვაჭმევდი, ვურჩევდი ხოხობისასა.  
 ცოლი მთხოვა და არ მივეც, ჩემი ვარჩიე სხვისასა,  
 ან კი ცოლს როგორ მივცემდი, მიმყავდა თავის ძმისასა.  
 არ დაიშალა, აკოცა ცხრანაწნავ გიშრისთმიანსა.  
 ასტირდა ქალი, ასტირდა: “ვაი უჯანო ქმრისასა!”  
 ისეთი გული გამიხდა, მორევსა გავდა ზღვისასა.  
 ლეკურ ხმაღს ხელი გავიკარ, ნაჩუქარს ცოლისძმისასა.  
 უწინა იმან მომასწრო, რისხვასა გავდა ხვთისასა.  
 ერთი ასეთი გადავცხე, წვერმა უწია ქვიშასა,  
 თავს ის მოკვდა და ბოლოს მე, ცოლი წავიდა ძმისასა.  
 დავჯექ და ქვაზე დავწერე — ჭალასა ცინცილისასა,  
 ვინც გაიაროთ, ასე სთქვით შენდობა დიაკვნისასა.

### 130. ქართველი ბიჭი მივდივარ

ქართველი ბიჭი მივდივარ, ცოლი მიმყავდა ძმისასა,  
 წინ ერთი კაცი დამიხვდა, ის უბედური დღისასა,  
 პური მთხოვა და ვაჭამე, ვურჩევდი ქაბაბისასა,  
 ღვინო მთხოვა და ვასმევდი, ვურჩევდი ბადაგისასა,  
 ხორცი მთხოვა და ვაჭამე, ვურჩევდი კაკაბისასა,  
 ცოლი მთხოვა და ვერ მივე, ჩემი ვარჩიე სხვისასა!  
 არ დაიშალა, აკოცა ნაწნავსა გიშრის თმისასა...  
 მაშინ შესტირა ლამაზმა: — ვაი უღონო ქმრისასა!  
 ჩემ ლეკურს ხელი გავიკარ, წვერი უწია ქვიშასა,  
 ერთი იმანაც გადმოძვრა, რისხვასა ჰგავდა ღვთისასა,  
 აქეთ მე მოკვდი, — იქით ის, ცოლი წავიდა სხვისასა.

### 131. შინ იყო ივანეური

შინ იყო ივანეური, დღეშუ ლესავდა კმალსაო,  
 დედა უცხოობდა საგძალსა, მამა უბანდავს ჯღანსაო.  
 ჩამეეწია ივანე ცაბაურთ მთიბლის ჯარსაო,  
 კმლითა სცემს ყარტიულასა, გამააგორებს მკვდარსაო.  
 შავიდა საქობეშია, წელთით ჩაჰკეტავს კარსაო.  
 გაიგო ხოშურაულმა, აღარა ზოგავს თავსაო.  
 საქობეს კარზე მივიდა, შაამტვრევს, წიხლსა ჰკრავსაო.  
 ცალ კელით სანთელს შაიტანს, ცალით — შიშველა კმალსაო.  
 დაარტყამს ივანეური, ჩაუქრობს კელაპტარსაო,  
 დაარტყამს ხოშურაული, მათგდებინებს თავსაო.

ივანეურის ფრანგულსა ქალაქს უმინჯვენ ფხასაო:  
“ბასრი ჰყოფილხარ, ტიალო, იმით თუ სჭრიდი ძვალსაო,  
ნეტავი შენი მჭედელი ველარ იქამსა სხვასაო?!”

### 132. ჭიმლაში ივანეური

ჭიმლაში ივანეური დღემუ გალესავს კმალსაო,  
დედა უცხოდა საგძალსა, მამა უბანდა ჯღანსაო.  
საფშაოდ გამაემართა, მამიდა დასწერს ჯვარსაო.  
მოვალის, წამოეწევა ცაბაურთ მთიბლის ჯარსაო.  
კმალსა სცემს ლაჭაურასა, შუა გაუპობს თავსაო.  
ავალის, გადაფრინდება, ჩეებარება ხატსაო.  
შაჰყვება ხოშურაული, მიანთებს კელაპტარსაო.  
მაუქნევს ივანეური, გაუქრობს კელაპტარსაო.  
მაუქნევს ხოშურაული, გააგდებინებს თავსაო.

### 133. ჭიმლაში ივანეური

ჭიმლაში ივანეური რას-რა შაატყობს თავსაო?  
გამოვა წინგარდაზედა, ღმართებდა სიათასაო.  
ფშაობა გაუბედავის, ვაჟი გაღლესავს კმალსაო.  
დედა დაუცხობს საგძალთა, მამა უბანდავს ჯღანთაო.  
ცირცლოვანს ჩამავიდოდა, მათგელებდა ფარსაო.  
როშკას მამიდას მაუვა, თეთრაულაის ქალსაო.  
მამიდა წამეეგება, ტირილს დაითხრის თვალთაო.  
გამაისტუმრებს მამიდა, ყინჩად დასწერდა ჯვარსაო:  
“წალმა დაჰყვ, წმინდა გიორგი, შენს პატიმარსა ყმასაო!”  
აჭისთავს გამოვიდოდა, გამაახანებს გზასაო.  
გავიდა გუგასჯვრის ღელეს, ათამაშებდა კმალსაო.  
“ღმერთო, ჯუთუას შამყარე, ან ყარტაულას წარსაო!  
მაკლულსა ჯუთუაისას ღმერთ აღარ დასდებს ბრალთაო.”  
ამანდით ჩამეემართა, კითხულობს ფშავლის გზათაო.  
მემრ მუჯისღელეს გამოვა, ფშაო, მოგავლებს თვალსაო.  
ამასხარავებს წყემსებსა, წოცას არ ხკადრებს თავსაო.  
ეუბნებოდა წყემსებსა: “ფშავლებ სად თიბენ მთასაო?”  
ამანდით ჩამეემართა, მაისაბლუჯებს ფარსაო.  
ჩამეეს ჩამეეწია ცაბაურთ მთიბლის ჯარსაო.  
კმლითა სცემს ყარტაულასა, ფეკქვემ გაიგდებს მკვდარსაო.  
სამსაოდ გაფრინდომასა სამს გასწირავდა მკვდარსაო.  
შავარდა საქობეშია, წელთით დახკეტავს კარსაო.  
“გამეედ, ივანეური. ნუ შამაცოდვებ ჯვარსაო!”  
მარჯვნივ კმალს მაიყოლებდა, მარცხნითა კელაპტარსაო.  
გამოვა ივანეური, გაუქრობს კელაპტარსაო.  
წინ-წინა ეგავ მაუქნევს მასჭრის მარცხენა მწარსაო.  
ხოშურაულმაც შამახკრა, სისხლმა შეასხა ქვასაო.



შეუშინებავ ფშავლები, ველარა დიან კარსაო.  
ველარ აწევდეს სტუმართა, ვისაც წელთ ღნახვენ კმაღსაო.

### 134. არ ვიცი ხანდო-ჭართალი

არ ვიცი ხანდო-ჭართალი, გუდამაყარი სად არი.  
მთიულეთს გამიგონია თორმეტი ციხე მაგარი.  
სამხრეთით წამოგვეწევა ვეშაგურთ ცხენი საღარი.  
ზედა ზის მამესწარაი, წელზე არტყია ხანჯალი.  
არაგვის პირას შამოხნდა, გამინახევრა ლაშქარი,  
დაბრუნდა, წყალზე გარეცხა ომში ნახმარი ფარ-ხმალი.

### 135. მაღლა მთას მოდგა

— მაღლა მთას მოდგა  
უცხო ფრინველი,  
უცხო ფრინველი,  
თეთრი ფთიანი,  
ბოლო წითელი.  
— ჟღელეს ჩამოდგა  
დიდი ლაშქარი,  
ოსი და დვალი,  
სულამ დვალელი,  
ფეიქომერი.  
— ომი შეიქნა  
ქალაქის თავსა  
გამთენიასა  
გათენებასა  
მზის ამოსვლასა.  
— ქნევა ხმალისა,  
ძგერა შუბისა,  
შუბის ნალეწი  
ზეცას ცვიოდა,  
ჩამოსცვიოდა,  
— ხმალი ორპირი  
სისხლში სცურავდა,  
ჯაფარ გაიქცა,  
სვეტი წაიქცა,  
სვეტი ოქროსი.  
— ჯაფარ, ვერ მიხვალ  
შინა მშვიდობით,  
ცოლს ვერ მიუტან  
ლაშქრულ ამბავსა,  
მწვანე ქოშებსა,  
წითელ კაბასა.

— ჩვენი რა იქნენ  
მოციქულები?  
— უკან მოდიან  
დაღალულები.  
— ქვე რა მოაქვეყე?  
ტანი ლაშქრითა,  
თავი გოდრითა,  
წვრილი წელები  
ხელ-კალათითა.

### 136. კარკუნით გამეემართა

კარკუნით გამეემართა ბალათერაი დილითა.  
დედისძმათ გაჯავრებული ქვა-რკინას ამტვრევს კბილითა.  
ჯუთისას შამაიარა მორთულმა იარაღითა.  
აივსნეს ქოთანისბეჭნი ქომოციხლების მზირითა.  
ყმაწვილად ბალათერამა ჳმალ მაიქნივა პირითა.  
ზოგნი ჳრნა, ჳოგნი ჩაკაფნა, ჳოგნი წაუვლენ ჳირითა,  
რანიც წავიდეს ჳირითა, სისხლსა მისთხვევენ პირითა.  
ერთმანეთს ეუბნებიან: “ნუმც წამოვსულვართ შინითა”.  
მარტუამ ბალათერამა მთა გარდიარა გმინვითა,  
გადაუჩინდა დედასა გაცინებულის პირითა,  
გადაუშალნა ქოჩორნი, გადაპოხილნი ტვინითა.  
ბალათერაის დედამა თმანი დაიჭრნა ძირითა:  
— “ბიძამ არ მაგცა ჩაჩქანი, აწ გაძლას შენი ჳირითა!”

### 137. ანდაკზე ამოდიოდენ

ანდაკზე ამოდიოდენ მონადირენი რვანიო  
წინ თორღვა მაუძღვებოდა, მობუბუნებდა ჳარიო.  
“სამჯერ მამიხვე, თორღვაო, სამჯერ დაგიკალ ცხვარიო,  
მეოთხე ამოსვლაზედა თეთრი ქორაი ჳარიო.  
თორღვავე, ნუ დამემდურები, ბოძალს ვერ მივეც ძალიო, —  
შვიდ წელს ვარ ნაავადარი, სამის წლის ნაცივარიო.”  
ძალიან კარგა მოიდა, მარჯვენა შაგრჩეს თვალიო,  
ყველა ერთურთში აზილა — ჯაჭვ-მუზარადი, სკლატიო.

### 138. ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო

— ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, ეშმაკის ნაჩუქარიო?  
— გაწწირე არჭილოშია, გაქანდა, როგორც ღვარიო,  
გამაუყენე მწევრები, ვერ მაუძებნეს კვალიო.

### 139. თოფ დაჰკრეს მექოჭიასა

თოფ დაჰკრეს მექოჭიასა, დადგა დაღეწა ცისაო,  
 სისხლით გაწითდა იორი დაბლა სნაყიდის ძირსაო.  
 ხავაზურაშვილმ გაიგო ჩქამობა თოფებისაო.  
 “ლევან, ამხანიგ რა უყავ, ერთგული ცოლიძმისაო?”  
 “ლევანს ამხანიგ არ უნდა, არც იმედი აქვ სხვისაო.”  
 ყაფრისგორს შამაეწია არწივი მალლის მთისაო.  
 მოციქულ გამაუგზავნა — ტყვიაი ვარშავისაო.  
 “არ ვიცი, მოგხვდა, რჯულძალლო, არ ვიცი, დარჩა ძირსაო.”  
 დაბრუნდა ბოროტიანი, ხან აღარ იყო ცდისაო.  
 შამაჰხვდა მექოჭიასა, ნაწოლსა ივრის პირსაო.  
 მარტოკა წამაიკიდებს, წაიღებს ერთი გმირსაო.

### 140. შატილსა ერთი ჯოჯობი

შატილსა ერთი ჯოჯობი თავდაბლა დაჯდა ჯარზედა.  
 მოზარდნა შვიდნი წიწილნი არწივის ნაბუდარზედა.  
 შვიდთავ უყიდა თოფები, მარჯვნივ დაჰკიდა მკარზედა;  
 შვიდთავ უყიდა კმალები, შაარტყა ლერწმის ტანზედა.  
 გამაჰყვა, გამაისტუმრა: — შვილნო, მშვიდობით გზაზედა.  
 თუ ქალ არ მოგიყვანავისთ, ნულარამც მოხვალთ კარზედა.  
 აკადს გოდერძის ციხეო, სამუქარო ხარ მტრისაო,  
 მოგიკდებიან ქისტები, ლიბოს გითხრიან ძირსაო.  
 გამაიყვანენ ქალასა, ცრემლი რო მასდის თვალზედა.  
 გაიგო ლაშარის ჯვარმა, ვეფხვი ჩაუსვა გზაზედა.  
 შამახვდა თხისტყავიანი მალლა აკადის მთაზედა.  
 სიცილით დაესაუბრა, ამბავი ჰკითხა ჭკვაზედა:  
 — ე ქალ საიდან მოგყავისთ, ცრემლ რო უბრწყინავს თვალზედა?  
 — აკადით წამოვიყვანეთ, დედოფლად დავსომთ ჯარზედა.  
 — რა ცუდი საქმე გიქნავისთ ლაშარის ჯვარის ყმაზედა!  
 თუ ეგ ქალ წაგაყვანინოთ, წვერიმც ნუ მსხმია ყმაზედა!  
 თხის ტყავი გადიგდებინა, ჯაჭვი გადიცვა ტანზედა.  
 შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა კელი დაიკრა კმალზედა.  
 გაურბინ-გამაურბინა, ექვსი ჩაკოცა წამზედა.  
 იქნევდა, გადადიოდა სისხლის ნაწვეთი თავზედა,  
 უცურდებოდა ფეხები ქისტების ნასისხლარზედა.  
 მეშვიდეს ყური მათრა: — შატილს დასჯდოდი ჯარზედა,  
 მაინვიოდი თეთრ ხამი ემა მოპარსულ თავზედა.  
 გულ რო გეტკინოს, ჯოჯობო, დაეფხინოდი ქვაზედა.  
 ექვსსა დაატრა თავები, დააწყვა შარავგზაზედა.  
 აჰყარა იარაღები, აისხა ლერწმის ტანზედა.  
 თავის კმალ თამარს შაარტყა, გადმააცილა მთაზედა.  
 საფშაოდ გამაისტუმრა: — მშვიდობით, დაო, გზაზედა.  
 ჩემ კმალ მამაშენს აჩვენე, ის თვითონ იცნობს ფხაზედა.

### 141. აკადში იყო ბებერი

აკადში იყო ბებერი, აღელებული მდიდარი.  
სახელად ერქვა გოდერძი, ათიათასად სადარი.  
გოდერძის ჰყავდა ასული — ხორას ალ მანათოვია,  
კრიალა, ყელმძივიანი, ყმაწვილთ გულს ლახვრის მსობია.  
გოდერძის ქალის სიტურფე შავან ქისტებსა სცოდნიათ.  
ხოხობის მოსატაცებლად შავანთ ცილობა ჰქონიათ.  
ქორწილს ამზადებს დოხჩიყო, დაკლა კარი და ცხვარია,  
ფშავში გაგზავნა ბეგარი, დღეს თუ ხვალ აქვე არია.  
აკად ისეთ დროს დეეცნეს, რო შუალამის ხანია.  
დეეცნეს, დაიჟიბინეს, აკადელთ შაზდვეს ზარია.  
გოდერძის ციხის კარებზე გამოდის ხანჯლის ჩქამია.  
აკადლებს ესე ეგონათ — თვალუწვდენელი ჯარია!  
თავს მაში დაღვმა გოდერძიმ, რო გატყდა ციხის კარია.  
ბერი საწოლშით გადმოხტა, ფრანგულს შამაჰკრა კელია.  
დაბერდა ჩვენი გოდერძი, ველარ იკმარა წელია.  
არ მოკლეს ბერი გოდერძი, — “რა მკლავი ვცადოთ ბერზედა”.  
გამაიყვანეს ლამაზი, მათირებენ გზაზედა,  
სოფლის ძირ გადმაავლიეს, მოტირის, როგორც ძმაზედა.

\* \* \*

ამ დროს ერთი მონადირე მომავალა მთა-წვერთითა,  
იცნო: შავანელებია, ქალი მოჰყავთ ტირილითა.  
“გულო, დაუხვდი ბოროტებს, უკვენ ნუღარა სდგებია,  
ან დედაჩემი იტირებს, იმგლოიარებს დებია,  
ან უნდა შვიდთავ მაგათა ნახონ შავეთის გზებია!”  
შამაუარა ფშაველმა, მშვიდობა უთხრა ჭკვაზედა:  
— საით მოგყავისთ ქალაი, რო მათირებთ გზაზედა?  
შამაუტია ბეგარმა: — ფშაველო, დადეგ განზედა!  
გზა დაიძებენ, ძმობილო, თხის ტყავ არ დაგრჩეს გზაზედა.  
თოფსა მოუცნა ნებანი, მაშინ ძირს დასცა ბეგარი,  
ველუკულმ გამაიტანა, ამაიწვავა სამღარი,  
შვიდთ განგებ გასჭრა თავები, ყორნებს უმზავა სამხარი.  
მემრ მიუბრუნდა ქალასა, აჩქამდა აჩქარებული:  
“ძმა აღარ გყავდა, ქალაო, სიყრმე არ გახარებული,  
ან იმ სოფელში ვაჟკაცი ქვე იყვა გათავებული?!”  
აჰყარა იარაღები, ქალას აასხა ტანზედა,  
საფშაოდ გამაისტუმრა, უთხრა, მშვიდობით გზაზედა,  
აკადს სოფელში შაჰკდები, ფეხონ იქნების ბანზედა.  
თუ ვინ რა გკითხა, უთხროდე, მარტომ ჩავკოცენ გზაზედა.

### 142. ამბობენ, თადიაური

ამბობენ, თადიაური მარტოკა დადის ცდაზედა,  
იჭერს ღლიღველთა, კევსურთა, ფინთ კაცს არ უშვებს გზაზედა.  
დღისით დგა ყარაულადა, ღამე ბექთ უვლის თავზედა,  
ვეფხვს მაჰკლავს, ტყავსა წაიღებს, ჩავა ერეკლეს კარზედა.

### 143. ძაღლი ჰყევს ჩეროს ბაკშია

- ძაღლი ჰყევს ჩეროს ბაკშია, ჩახედე, ქათმიაურო.
- მე იქ უშენოდ ვერ ჩავალ, ჩამამყევ, თადიაურო.

### 144. სად იყავ, თადიაურო

- სად იყავ, თადიაურო, ნამ რო ნაბადზე გდებია?
- მთას ვიყავ, შური ვიძიე, დამაშვრალს დამძინებია.

### 145. ხახარემ ნახა სიზმარი

ხახარემ ნახა სიზმარი, სიზმარი იყო მკრიანი:  
ან ცხორი დაზარალდება, ან შინ მექნება ზიანი.  
მეორე დილა გათენდა, მწყემსებს გაუყო ზიარი.  
ლუთხუმის ჭალას შემორბის ლურჯაი პიროფლიანი.  
გამოიხედეს ქალებმა: — ვინ მოდის დავლათიანი?  
მის ცოლმაც გამოიხედა, სიტყო რამა სთქო გზიანი.  
— “ჩვენის მემცხორის ცხენსა ჰგავს, ვადმე, თუ დავრჩი ტიალი!”  
ჩამოეგება დედაი თმათეთრი, ჭალარიანი.  
— შვილო, ნუ მოხვალ, ნუ მოხვალ, ნუ მოხვალ სირცხვილიანი.  
— ნუ გეშინიან, დედაო, არ მოვალ სირცხვილიანი.  
განა ღმერთი ვარ, დედაო, სულ მუდამ სახელიანი?  
ხახარეს გაუცხელეთ რამ, ხახარე ნამგზავრი არი.  
ხახარეს არა უნდა რა, ლოგინი უნდა მცვრიანი.  
ცოლმა დაუგო ლოგინი, ლოგინი პატივიანი.  
ზედ ხახარ წამოაწვინეს, ცხრა ტყვიით ნაჭრევიანი.  
როდეს ხახარე კვდებოდა, ცა ქუსდა, მიწა ტყვრებოდა,  
მზე შავით იკაზმებოდა, მთორე უკუღმა სცხრებოდა.  
ხახარეს ცოლი და დედა სულ ცრემლში იხვრიშებოდა.  
დაწვება გმირი ხახარე, კი ველარ წამოდგებოდა.  
გაჯავრდა დიდი პირიმზე, ღვთის კარზედ მიგოგდებოდა.  
“ნუ მოჰკლავ, გამარჯვებულო, კარგი ყმა დამაკლდებოდა”.

### 146. დუმაცხოს პაპო მჭედელო

დუმაცხოს პაპო მჭედელო, ნეტავი დედა შენსაო!  
კარგი გამოგყვა საეტლო, კარგა მაიწყობ თემსაო.  
დუმაცხოს ჩადღვი ქვიტვირი, შორით შადზარავ მტენსაო.  
შიგ შახოლ, შაჰქნი მაჟრებსა, ცხრას-ცხრას ჩაუშობ ღარსაო.

საკახოდ გამეყმართე, სამლოთო გველები თავსაო.  
პირიმზე გიდებს იმედსა: “ჩემგან ხარ ნაწილიანი.”  
ბოდავის მზორებს გეები, ხოდი გყავ პიროფლიანი.  
ემანდ შაგიკრეს ლეკებმა გზის თავ, გზის ძირი ტყიანი.  
ბევრი გესროლეს თოფები, ერთიც არ მოგხვდა ტიალი.  
ერთი ესროლა მჭედელმა, ყორნების სადილი არი.  
უკენ მოსცექერენ ლეკები: “რის დედის გაზდილი არი?  
ე კორციელი არ არი, ანგელოზია მჭრიანი.”  
ახმეტაში რო ჩამოხვე, ერეკლე დაგხვდა ყმიანი:  
— რამ ჩამოგაგდო მჭედელო, ე რო გზა არი მჭრიანი?  
— რა მოგაწსენო, ბატონო, ამბავი მამდის ზიანი.  
— ნუ გეშინიან, მჭედელო, სანამდე ჩვენი ძი არი,  
კელთა გაქვ ოთახნის წიგნი, დალიან-ბეჭედიანი.  
ერთსაც მე მოგცემ, ერეკლე, სუ ქართველთ საკითხი არი.  
საკელოს ვერვინ წაგართმევს, სანამდე ჩვენი ძი არი.

#### 147. ბაკურკვეს ციხე დაიქცა

ბაკურკვეს ციხე დაიქცა ნაგები ბასრის ქვისაო,  
ჯაბანას ებძვის სიკვდილი, ჭეხვა დგა, ელვა ცისაო.  
ჯაბანას ნუ ჰკლავ, სიკვდილო, ბრალია კაის ყმისაო.  
არ დაიშალა სიკვდილმა, მანძილად დასცა ძირსაო.  
ტიროდა ქალი და რძალი, ცრემლით იბანდენ პირსაო.  
ნუ სტირით, ქალო და რძალო, ჯაბანას არა სჭირს რაო.  
შავეთს წაბძანდა ჯაბანა, თან შუქი გაჰყვა მზისაო.  
სუფრა იქ დახვდა გაშლილი იმ თავის პურ-ღვინისაო.

#### 148. დედი, რად სტირი გიგასა

დედი, რად სტირი გიგასა, ომში ერეკლეს ხლებია,  
ყმასა და ბატონს ქნევაში დაუცვეთიათ ხმლებია,  
დაუძახიათ საომრად, ქუდზედა კაცი ხლებიათ,  
მყინვარწვერს გადასწვდენია ქორ-შევარდენთა ხმებია.  
მეფისთვის ცხენი მოუკლამთ, გიგა ფეხდაფეხ ხლებია,  
თავისი მარდი ლურჯაი მეფისთვის უახლებია.  
წამოჰპარვია თათარი, გულში ბოროტი სდებია,  
გულში მახვილი დაუცემს, თვალში მზე გასწითლებია.  
მაინც მოუსწრავ დაჭრილსა, ხანჯალი უძგერებია,  
მოუბლოჭნია ბალახი, წყლულზე მალამოდ სდებია.  
დედაო, ეგ შენი ლოცვა საგებლად ძირს დაჰგებია,  
ყურს ჩარჩენია ვალობა, ანგელოზების ხმებია,  
მოუსვლელ გზაზე წასულსა წინ ღმერთი მიჰგებებია.

### 149. მწყემსი ვარ, ამბავს გიამბობთ

მწყემსი ვარ, ამბავს გიამბობთ ჩემი და ჩემი ცხვრისასა:  
ძნელია, ძმაო, მწყემსობა, მუკლს ადნობს კაი ყმისასა.  
სახლი არა გვაქვს, არც კარი, შავ ნისლებს ვიხვევთ ცისასა,  
დღე-ღამე თავზე გვადგია, ზეცა გვაწვიმებს ცვრისასა.  
ზამთარში ბარად მოვდივართ ნაპირსა ალაზნისასა.  
მალ-მალ იძახებს დარაჯი შემოსევასა მტრისასა:  
“გვიშველეთ, ფშავლისშვილებო, მუკლს ვინ მაიბამთ მგლისასა,  
გულს ვინ ჩაიდებთ მაგარსა, გაუტეხელსა ქვისასა.”  
გაიქცა ნათელაშვილი, გვერდს აეფარა კლდისასა.  
პაპია თათარაშვილი შავარდენსა ჰგავ მთისასა, —  
შავარდა შუა ჯარშია, ვადას მასწია კმლისასა.  
არ დააცალეს რჯულძალთა კმარება ფრანგულისასა.  
დაღრიჯეს თოფი, დაგვიკრეს გულსა მთის არწივისასა.  
ადექ და წადი, ყორანო, სავალსა ერთის თვისასა;  
ფშავს მიიტანე ამბავი, იარე არაგვისასა.

### 150. მაშინ კარგია კაი ყმა

მაშინ კარგია კაი ყმა, რო დილა-ბინდზე დგებოდეს,  
იცვამდეს გრილსა რკინასა, “ომს ვიქამ”, ემზადებოდეს.  
ხვადი რო ჰხრავდეს ლაგამსა, წაღმა-უკუღმა დგებოდეს,  
ათოთქროვებდეს მკედარი, ტყვია ტანზედა ხვდებოდეს.

### 151. კაი ყმა ლაშქარს მოკვდება

კაი ყმა ლაშქარს მოკვდება სწორების მჯობინობასა,  
ისევ დარჩება ცუდაი ქალებჩი ლოგინობასა.

### 152. კარგი ყმა კმალსა ჩაჰხედავს

კარგი ყმა კმალსა ჩაჰხედავს: გამიჭრისუა თუ არა?  
ცუდაი — ქალსა ლამაზსა, შამიხვევსუა თუ არა?

### 153. ვაჟკაცს არ გამოადგება

ვაჟკაცს არ გამოადგება სოფელთ ჩვენება თავისა.  
კმალს უნდა აჭრევილებდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა.

### 154. ვაჟკაცს რო ემთქნარებიან

ვაჟკაცს რო ემთქნარებიან — ან შიან, ანა სწყურიან,  
ან უვლის ომის ხალიჯი, გულის ფიცარნი ჰყუვიან.

### **155. ნეტავი ლაშქარს შაგვყარნა**

ნეტავი ლაშქარს შაგვყარნა სამი ბატონის ყმანიო,  
მოგვწივა მძიმე ლაშქარი, სწორებს გვეცადა თავიო.  
მაღლიდან გადმაცქირა ლამაზი ქალის ჯარიო.  
ბევრ ქალს კი შასძულდებოდა თვალად ლამაზი ქმარიო,  
ბევრ ქალს კი შაჰყვარდებოდა პირად ჯულური ქმარიო.

### **156. ჳმალმა თქვა ფრანგეთ ნაჭედმა**

ჳმალმა თქვა ფრანგეთ ნაჭედმა: ფრანგეთში ფრანგმა გამჭედა.  
შამამბეს პირშიშველასა, მალ-მალე ამამამღერა.  
ჯერე ქნა თავის გულისად, ჩამაგა, ჯვარი დამწერა.  
ჳმალმა თქვა: დავჯანგებულვარ, ანაბრივ ჯაბანმ ჩამაგა.  
ვინცა მალ-მალე გამლესავს, აიმასამც კი შამაბა  
თოფმა თქვა: ჩემთა წამალთა შვიდრიგად უნდა დუღილი.  
მაისის ბერჩი დამნაყან, მემრ ნახან ჩემი ქუხილი.  
ერთს გორზეითა სხვას გორზედ ჯიჳვთ მოუნდების წუხილი,  
იკითხას ჩემმა პატრონმა ჩემის დაჭრილის წუხილი.

### **157. ჳმალი ვარ, ჳმალთა ბატონი**

ჳმალი ვარ, ჳმალთა ბატონი, მისრეთს მისრიას ნაქნარი,  
თორმეტი ჯორის ფასი ვარ, თამარის წელზე ნარტყამი.  
იკითხეთ მსოფლიოშითა ვინა ქნა ჩემი ნაქნარი;  
მივლენ-მოვლენე ქვეყანა, შუა ზღვას ჩავდგი სამზღვარი.

### **158. გადავალ შუა ხალხშია**

გადავალ შუა ხალხშია, სადაც დიდ იყვას ჳმაური,  
ხანჯარს წნელივით დავიქნევ, ჩემს დაკრულს მეავ მაუვლი.

### **159. ყველა ქალისას გიამბობს**

ყველა ქალისას გიამბობს, ხალიაისძე — ცდისასა,  
სუყველას ამბავს გიამბობს, სუყველას გამოცდისასა.

### **160. ხალიაისძის ჳირიმი**

ხალიაისძის ჳირიმი მითხოს ძირშია ჳეხდაო,  
ადგანდგარებდა მითხოსა, სანაპიროსა სძრევდაო.

### **161. ხალიაისძის ჳირიმი**

ხალიაისძის ჳირიმი ბორკილაშია ტყვრებოდა,  
გორებს გაჰქონდა გრიალი, ხე-ქვა ერთურთსა ხვდებოდა.



### 162. აწ მაკვდა რეკათ ჯამრული

აწ მაკვდა რეკათ ჯამრული, დაწვა და დაიძინაო.  
მზეი ჩაუდგა ბეჭებში, ღრუბელმა დაუჩრდილაო.  
ყორნები ჩავიდ საჭმელად, არწივებმ ჩაუქმინაო.

### 163. არწივო მკარკვერიანო

არწივო მკარკვერიანო, ყორნებს რად აძლევ ზავსაო?  
მინდორს რო მოკვდეს კაი ყმა, წინ-წინ ეგ დასთხრის თვალთაო.

### 164. რა ცუდი ზნე გჭირთ, ყორნებო

რა ცუდი ზნე გჭირთ, ყორნებო, ტირილ არ იცით მკვდარზედა,  
შაიმოსებით შავადა, თეთრს არ ჩაიცომთ ტანზედა,  
ვაჟკაცს გულს ამაარიდებთ, ჩამაარიგებთ ჯარზედა.  
რაც უნდა კაი ყმა მოკვდეს, ცრემლ არ მოგივათ თვალზედა,  
დაითხიფებით სისხლითა, ილტოზე წახვალთ წყალზედა.

### 165. გატეხილისა ვაჟისა

გატეხილისა ვაჟისა ყორანმა ლეში არ ჭამა,  
გაუტეხელის ვაჟისა, წინ-წინ მკლავები დაჭამა.

### 166. ყვარანო, ჭარის ბოლოსა

“ყვარანო, ჭარის ბოლოსა არ მათვლიე თვალია?”  
ველგუჯა არსად ღნახია, ხუშიაშვილი კარია?”  
— “ვნახე და ქვეც მამეწონა, დიდ-დიდნ სხდომიყვნეს თვალნია,  
საჭმელად ველარ ჩაუედ: არწივს ეფარნეს მკარნია.  
მარტუა არა ყოფილა — ორნი ეტანნეს სხვანია.  
კვესურეთობა ეგულა, ასდიდებივა წყალია.”

### 167. ჭიმლის კლდეთ ყეფდა ყორნები

ჭიმლის კლდეთ ყეფდა ყორნები, ერთი უძახებს სხვასაო:  
“ველთ მიოს ოჩიაური, გავხყვათ ამაგის კვალსაო;  
ჩვენის მისვლისად გასწირავს ყორის წყალაზე მკვდარსაო.  
უშიშა არ დაგვაკლებდა სახრაოდ ქისტის ძვალსაო.”

### 168. ქალი ვარ წოვა თუშისა

ქალი ვარ წოვა თუშისა, სახელს ვერ ვიტყვი, მრცხვენისა.  
ლეკებმა წამომიყვანეს, გზას მოვასველებ ცრემლითა.  
აგერა, კიდევ გამოჩნდა მიქაი თეთრის ცხენითა.  
დაკაფ-მოკაფა ლეკები, კალთა ამივსო კელითა.  
ნეტაი, ძმაო მიქაო, შვილი გქნა დედაჩემისა.  
თუ ღმერთსა არ ეწყინება, ანა გქნა ჩემის წერისა.

დაგაცვეთინა ჩოკები ნაქსოვი ჩემის კელითა.  
დაგატყვევებდენ ლეკები, დაგიკსნი მამის ცხენითა.  
თუ ცხენ ვერ გზღავდა ოკერი, საყურ-ბეჭდითა ჩემითა.

### 169. ლაშარს მოიდა თილისძე

ლაშარს მოიდა თილისძე, გულდიდად დაჯდა ჯარია,  
შამაეხვივნენ ფშავლები, როგორც ბატონსა ყმანია:  
— შენ აქ არ მოგვევალოდა, დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალია:  
დასწვი, დასდაგე კოშარა, ცამდე აუშვი ალია;  
გასწვიტე დიაც-ყმაწვილი, კალოდ გალენე მკვდარია,  
ნაკვეთაურის ციხესა შენ შახსენ რკინის კარია;  
სალუდე დასჭერ ქობები, ღმერთს მისდიოდა ჩქამია.  
— აცა, მაცალეთ, ფშავლებო, მალოცეთ თქვენი ჯვარია.  
სამხვეწროდ მამიყვანავის თეთრი ქორაი კარია,  
თანაც ეგ მამიყოლებავ, პირქუმელაი ცხვარია.  
ეგ მაშინ გავარიგოდეთ, როცა გამოვლენ მთანია.  
მთა შაშრეს, ქვიშა ჩამოლხვეს, ლურჯამ მაჰკიდოს ნალია.  
ვის უფრო სჭებდეს მაჟარი, ვის უფრო სჭრიდეს კმალია.  
მაყრიდეთ სეტყვასავითა, ტყვიას არ ჰქონდეს ძალია,  
უბისთავს დაგელდებიან — თილისძის ცხენის ნაღნია.  
ორწყალში შამოვებრუნო, ფშავლებო, თქვენი ცხვარია,  
მამდედეთ ყორნებივითა, ვერ მამიკვლიოთ კვალია.

### 170. დაგვლივნა კოშარისგორმა

დაგვლივნა კოშარისგორმა, იქ წყლის არ გამოდენამა,  
წოწკურაულის ისრისა უდროოდ ამოდენამა,  
სუმელჯაურის ფრანგულმა, სანათაურის ენამა.

### 171. მოიდეს წითელაურნი

მოიდეს წითელაურნი საკინძმაკრულნი ჩხირითა,  
შამოგვაყარეს ისრები, შამუაბიჯეთ ჭირითა.

### 172. სუმელჯი წოწკურაული

სუმელჯი წოწკურაული ქვევიდან ამოდიოდა.  
წოწკურაულის ისარი გველივით შამოწიოდა,  
შიგ მიდიოდა ჯარშია, ცხენებს მკედრები სცვიოდა.  
“შორს დავრჩი, ახლოს ვერ მივედ!” — ისევ იმასა ჩიოდა.

### 173. ვინა თქვა, ენამც გახჭმება

ვინა თქვა, ენამც გახჭმება, მითხოს გაბეგრდა ცხვარიო.  
გაიგო ლაშა გიორგიმ, წელზე შაირტყა კმალიო,  
კელში ჩაიგდო მათრაჰი შვიდკეცა, შვიდი მქარიო,

შამაუარა საყმოთა: “ყმანო, გალესეთ ჳმალიო!”  
 ვინც კი გალესა, გადაჰკრა: “მაგის დაკლულიმც არიო!”  
 გაქანდა ფშავლის ლაშქარი, როგორც ნაგუბარ წყალიო.  
 ქვაკიდს ჩავიდა ლაშქარი, არ შასწვდა წვიმის ცვარია.  
 ჩავიდნენ ტერელოშია ნასახელარნი ყმანია.  
 იქით ცხვარს გამოუშვებენ, თან მააქვ მთა და ბარია!  
 მასდევენ ქისტისშვილები, ნარჩევნი მეომარნია.  
 აყრიან სეტყვასავითა: ტყვიას არ მააქვ ძალია,  
 ნუ დაიკვებნებთ, ფშავლებო, ეგ ლაშარის ჯვრის ძალია.  
 გვერდს გიდგათ ლაშა გიორგი, გიქრისთ დავლათის ქარია.  
 აქა-იქ გადად-გადმოდის ტერელოვლების მკვდარია,  
 თან ძაღლებს ჩააყოლებენ; “ჩაკვნიტეთ ქისტის ძვალია!”  
 ემაგის მოლექსებელი ალვანში თუშის ქალია.  
 ქებით გალექსებთ, ფშავლებო, არ დამეკოცნენ ძმანია.  
 სალექსოდ გამამიგზავნეთ თითო შიშაქი ცხვარია,  
 ან თითო საყურ-ბეჭედი, აჟრიალებდეს ქარია.  
 ამავალ-ჩამავალებსა ჩემზე ეჭიროს თვალია.  
 კიდენაც უნდა რამ მეთქვა, ქმარამ შამასწვრა თვალია.

#### 174. ვინა თქვა, მოკვდა ჭუჭაი

ვინა თქვა, მოკვდა ჭუჭაი, ვინ მაიტანა ჭორადა?!  
 კიდევაც წავა ლაშქარი ჩამლა-ტერელოს, შორადა.  
 ვინაც ვერ ჩაჰყვეს ჭუჭასა, დედა შეერთოს ცოლადა!  
 ვერც ვინ საბაკეს დამასწროს, ვინც უწინ თოფის სროლასა!

#### 175. ორშაბათ დილა გათენდა

ორშაბათ დილა გათენდა, ორშაბათ საწყინარია.  
 მაცნე მოიდა ბაჩალსა: “ქისტებმ გარეკეს ცხვარია.  
 ორშაბათს გადმაულაჯავ ჩვენი სამშობლოს მთანია.”  
 სულითამც დაიკარგება, ბაგე ჰყავ წინამძღვარია.  
 დევსევიან ბაჩლელთა, ოთხ-ოთხ ლომივით ძმანია.  
 წინ მიუძღვება ბერიძე, შვიდის წლის ნაჩობნარია.  
 მაჰყვება ნაკვეთაური, გული აქვ, როგორც ჳმალია.  
 მარცხნივ ჭამაურ მაჰყვება, ეგ უფრო ომში ჩქარია.  
 უკან მაჰყვება მჭედლური, მძიმედ აბიჯებს ჳარია.  
 შამოკდენ მთაწმინდაზედა, მთას გამაავლეს თვალია.  
 პირიქით კვალი მაუჭრეს, არ იყო განავალია.  
 სანგლებს დაუწყეს კეთება, ვიწროდ შაუკრეს გზანია.  
 უწინ მაუწყეს ბელადსა — “ეხლა გარეკეთ ცხვარია.”  
 გადმოჩნდნენ გორის ფხაზედა ჯლუგაის ვაცის რქანია.  
 “სად მიუქეჩებ, ვასკაო, ხვარ აგერივნენ გზანია?”  
 კელი უსიეს, რო ნახეს რჯულძაღლებმ თავის მკვდარია.  
 მგლებივით შამეხვივნენ, ცხვრებივით გასჭრეს თავია.

რო თქვეს, რო დავიკოცებით, ერთურთზე დარჩათ თვალია:  
“დედ-მამა გვრჩება საბრალო, გუთანში შამბულ კარია,  
მამულე — დასაკნავები, ნაკნავებ — დასაფარია.”  
მაგ ლექსის გამომგონები კობრეშვილი ვარ გვარია,  
სახელად მქვია შაქარი, ყვარაში მცხოვრებელია.

### 176. ელიან გოგოლაურნი

ელიან გოგოლაურნი ჩაბრძანებასა მზისასა.  
ჩადიან, ჩაკითხულობენ გზასა მაგ მაისტისასა.  
მარტუან იქმენ სახელსა, გვარს არ ირევენ სხვისასა.

### 177. ღელეს მოიდა თამარი

ღელეს მოიდა თამარი, ლაშარს დაჯდება სკამსაო,  
მუდამ ახსენებს ხთიშვილთა, მუდამ უკრავდა ზარსაო.  
მტერი გვყავ შამოჩვეული, დაგვიზარალებს ყმათაო.  
ბორჩალოს თათრებ გაცვივდნენ, ბორნით გამოვლენ მტკვარსაო.  
იამხანაგეს ყორნები, ერთურთს უჭერენ მკარსაო.  
მაჰყვება ყარარამაზი ალგეთის კეობასაო.  
მააქვექვევებს ლურჯასა, მაანათებდა ნალსაო.  
“ნუ მიხვალ, ყარარამაზო, ემანდ ვეფხვი წევს გზასაო.  
თათრებზე გაგერშილია, შაგაჭრის კბილის ფხასაო.”  
იწყინა ყარარამაზმა: “გულზე რად მაყრით ჯავრსაო!”  
შამოკდა ყარარამაზი მალლა გოხნარის მთასაო.  
— რაად აძუებ, ფშაველო, საიალაღე მთასაო?!

— დაბრუნდი, ყარარამაზო, გულზე ნუ მაყრი ჯავრსაო,  
ნუ მიტრიალებ ქეჩებსა, ქვეითკენ მიმდინარსაო.  
გადაფრინდება მახარე, მეფთარება ქვასაო,  
აინალს შამაიბრუნებს, შამაყოლებს თვალსაო.  
თოფ დასცა ყარარამაზსა მარცხენა ძუძუს თავსაო.  
თათარ ცხენს ჩამოეკიდა, შაშვივით ალებს ყბასაო.  
— დაჩვეულ იყავ, რჯულძაღლო, გზაში მწყემსების ცრცვასაო,  
ჯიბეში კელის ყოფასა, კელზე ფულების თვლასაო.  
შარშან დახკოცე თუშები, იმათ უზიდავ წყალსაო.  
ემაგის მალექსებელი მათრავს უჭრელებ ტარსაო.  
სალექსო გამაუგზავნე ყაყინა თავის ძმასაო.

### 178. ჯანმატ პირდაპირ მზირი წევს

ჯანმატ პირდაპირ მზირი წევს, ქალმა მახკიდა თვალია,  
დაჯდა, დაიწყო ტირილი: — რა ვქნა, რა წუხად ვარია.  
შინ არ მყავ ალუდაური, მაგრა მყვირალი კარია.  
ჭერხოში მიწევს იმედა, ურჩო სჭირს ნახანჯლარია.  
გუდან ვინ გამიგებიებს, არვინ ას წამავალია.  
ჭორმეშავ გელდიაურსა კარს უდგას ხვთისა ვალია.

ეგ რო ზარდონამ გაიგა, ტანთ შაუიდა ქარია.  
მარტონ მაწირნა ჯალაფნი, გამაუდევნა კარია.  
გერეგოს ჩამამავალმა სოფელს დასწერა ჯვარია.  
ნაღვარ შამავა ზარდონა, ირემს შამახქონ რქანია.  
“რა გგულავთ, ცხენის მჭამლებო, ქვეც მაიქველე კვალია.  
ჯერ კი მე გაჭმევთ სადილსა, მემრ ჳევსურნ მავლენ სხვანია.”  
ზარდონა გელდიაურო, ღმერთმა გაცხონას მკვდარია.  
ჳევსურთა სანამეტნავო შენ მაიქნიე კმალია.  
შინ დასხდეს ჳევსურთშვილები, ერთმ ვერ გიჭირა მქარია.  
ზარდონას, ჳორმეშივნებო, კუბო აუგით რვლისაო,  
შიგ ჩააწვინეთ ზარდონა, ანგელოზია ხვთისაო.  
ჩაუდგით ოქროს საკვამი, შუქ რო ჩაადგას მზისაო.

### 179. კვირას იორზე გავედით

კვირას იორზე გავედით, დილა გათენდა მზიანი.  
გამოგვიცვივდნენ თათრები, დადგა ხანჯლების ტრიალი.  
სუყველა გამოვიქეცით, ყველა ქალ გავკდით თმიანი.  
გენჯელა გოგოლაური კარირემ დარჩა რქიანი.

### 180. მიქასა შარვანეულსა

მიქასა შარვანეულსა ვერვინ ჩაუვლის კარადა.  
ბევრი აქვ ტყვია-წამალი, ჯორი ვერ ზიდავს ცალადა.  
ლამაზნი ჳყვანან ძმა-შინშნი, მოსულნი ალვისტანადა.

### 181. მეშველა მილხაურისძე

მეშველა მილხაურისძე, ნიავო გერგეტისაო,  
კივკავ დარბაზის გამტეხო, მამტანო სირმაისაო,  
თორმეტის შურის მიძებნელო, კელად მამყვანო ტყვისაო.

### 182. თურმანმა ფაფარენელმა

თურმანმა ფაფარენელმა მარტომ შაყარა ჯარიო,  
ჳინვან აილა ქალაქი, დაავდა ნაოქარიო.

### 183. ლეგამ თქვა, ბოლონათამა

ლეგამ თქვა, ბოლონათამა: ენა-გონება მჭრისაო,  
მწადიან ლექსის გამოთქმა, თუკი ვაჟკაცი ღირსაო.  
ხორხისთავ მოსწყდა ვარსკვლავი, დაბლა დაეცა ძირსაო.  
ლეგაო ხუცურაულო, შენი თუ იყო ისაო,  
ბრალია შენი სიკვდილი, ტირილი შენი დისაო.  
ქალაქში ომი გუგუნებს, თოფი ჳეხს, ტყვია წვიმსაო.  
ვეღარ მოგივალ, დედაო, უწამლო ჳირი მჭირსაო.  
არ მოკვდა უსახელოდა, თორმეტი ტყვია სჭირსაო.

### 184. რაჯელ კარგი ხარ, ზაფხულო

რაჯელ კარგი ხარ, ზაფხულო, როდის მოგვივა სთველიო.  
ისეთ დრო როდის მოგვივა, ილასტებოდეს ქერიო,  
ბარში ჩქამობდეს ნამგალი, მთაში ელობდეს ცელიო,  
ემზადებოდეს მკედრები, ნალებს იკრავდეს ცხენიო.  
ვაჟი ჩვენს სოფელს ბევრია მჭრით მფრინავ შავარდენია.  
ბევრია სხვა სოფელშიაც ბაგაზე დასაბმელია.  
ვაჟ უნდა იყოს ისეთი, არ აშინებდას მტერია,  
არ აშინებდას ხანჯარი, ფოლადის სათითენია.  
მთვრალად დაიწყებს კვეხნასა: “სახელ თუ ვერა ვქენია,  
უნდა წავიდა ღილღოსა, ცხვარი მყავ მოსასხმელია.”  
მთვრალმა ბევრმ იცის კვეხნაი, რო მაფხიზლდების — ძნელია.  
ამაგ ლექსისა მათქომი ანგრილი ხახისფერია.  
აღარ წვებიან ქალები, სახელ თუ ვერა ვქენია.

### 185. ვინ ახველ საძელეზუდა

ვინ ახველ საძელეზუდა, გინათობს ტყავის საკელი.  
იქნება ბაბურაული, კირჩლას უყვარდა სახელი.

### 186. ტიტულის კიდურ გაკვრიტეს

ტიტულის კიდურ გაკვრიტეს მითხოვლთ ქალებმ ცქერითა:  
“როს გამოჩნდება ნეტარა, ბაბურაული ფრენითა?  
კირჩლავ ნურც გამასჩენილხარ თავის ლურჯაის ცხენითა”.

### 187. ლეგუას მადურათასა

ლეგუას მადურათასა საქმე არა აქვ შინაო.  
წიფროვანს გადმოუვლია, იქ დაუდვია ბინაო.  
ბაადოს ადიათასა საქმე არა აქვს შინაო,  
დაარჩევს მითხოვლებსა, ჩამოუძღვება წინაო.  
“შარშანდებული სწადიან,” — ლეგუამ გაიცინაო.  
გადმოდგა სანგარშიითა თავისფერ ლურჯი რკინაო.  
ფეკზე დეეცა ბაადოს, ველ ველარ დაიბჟინაო.  
ეძახდნენ ამხანაგები: “ადე, წავიდეთ შინაო!”  
ველარ წამოვა ბაადო, წიფროვანს დადვა ბინაო,  
დაითვრა წითლის ღვინითა, მაგარ ძილ დაიძინაო!

### 188. მოკლიკა ფილაიშვილმა

მოკლიკა ფილაიშვილმა მოკლედ შაიბა ჯმალიო,  
სამჯერ ატირა მითხოვსა დედისერთაის დანიო,  
დაკოცა ბიძა-ძმისწულნი, სახლს გამუჯარა კარიო.

### 189. იკითხის ემაგ ქუჯეგმა

იკითხის ემაგ ქუჯეგმა: — ცხვარი ვის უდგა ბორბლის ძირსაო?  
 — რასა ჰკითხულობ, ქუჯეგო, უდგა მეგრელაშვილსაო!  
 ისეთებია ბიჭები, ბეჭედში გაუდისაო.  
 არ დაიჯერა ქუჯეგმა, თოფს წამალ დაუწყისაო,  
 შაყარის მძიმე ჯარები, წინ თავად გადუძღვისაო.  
 ემაგ მეგრელათ მეგრელამ ბელადს კელ გამაჰკრისაო,  
 მაჰგვარის ლაშარის ჯვარსა, სამანზე დაუბისაო.  
 ამოდის საკარგეყოები ლაშარ გალავნის პირსაო,  
 ილოცებიან უფროსნი: — სრულამც კელ გემართვისაო!

### 190. ატირდა ტუტილ წისქვილში

ატირდა ტუტილ წისქვილში ნანა თორღვას ქალიო:  
 “შენ, მამა ჩემო თორღვაო, ნუმც შევიბამის კმალიო!  
 ნუმც გივოცავის ლეკები, ნუმც გიზიდნავის კელიო!  
 ხუთშაბათს თენებაზედა ქალსა დამეცნეს ცანიო.  
 მე თუშიშვილებ მეგონა, ლეკთ შამამიწყვეს ჯარიო.  
 ჩამიკოცნიან ძმა-შინშნი, მიბრუნვენ სისხლის ტბანიო;  
 კელნ დასჭრნეს, უბეს ჩამისხნეს, ქალამ დავიჭრენ თმანიო;  
 მავლიეს ფეკშიშველასა თვირთვილიანნი მთანიო;  
 ქავთრის მთას გადასაესა უკულმ მებრუნებს ქარიო.  
 ეგ ქარიც არა ყოფილა ქალისა ცოდო-ბრალიო.  
 დავნაყე საყურ-ბეჭედი, მამულთ ულიშნენ გზანიო;  
 წამოვა თუშიშვილები, აგებ მაკვლან კვალიო.  
 რჯულიანთ კელ-უკადრები აწ ურჯულოში ვარიო.  
 უთხარით ჩილოელებსა: ხახონს უჭირონ მკარიო!  
 ხახონიშვილო ნებიერ, თოფს დაუპირე ტალიო!  
 ჩემმა საქმარემ ხიწვამა მალლა შაიბას კმალიო!  
 თუ სოფლად ვერ დაიწონენ, მთას უდგას, უჭრან ცხვარიო!  
 შუაღამისას მავიდან ხახონის თოფის კმანიო;  
 დილას დასინჯეთ, ლეკებო, ხიწვაის ნახანჯრალიო!







სამონადირეო



### 191. ავთანდილ გადინადირა

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი, ტყიანი,  
ვერც მოკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი.  
შველსა ჰკრა გამოფრენილსა ისარი ორბის ფრთიანი,  
ცხენის ტახტაზე დაჰკიდა ტყავგაუხდელი, მთლიანი.  
ჩამოხტა ტყისა პირადა, ცეცხლი დაანთო ძლიარი,  
დაჯდა და თალა შამფური, მწვადი ააგო მცვრიანი.  
სანამ მწვადი შეიწოდა, ცხენსა მისცა საძოვარი.  
ცხენმა კაცი დაინახა — შორი გზიდან მომავალი.  
შეხტა ლურჯა, შესჭიხვინა, რომ ეს კაცი ავი არი.  
მეჯინიბეს დაუძახა: ლურჯა მომგვარე ჩქარადა,  
— გავაზე ხელი გადუსვა, ზედ წამოახტა მარდათა,  
გზა წვრილი გაარბენინა, მინდორი უფრო ჩქარადა.  
უკუ იხედა, მოსდევდნენ ის ურჯულონი ჯარადა.  
ასი ჰკრა, ასი დაჰკოდა, ერთი გადურჩა შავადა.  
იძანაც ერთი ესროლა, სისხლი წავიდა ღვარადა.  
მუხასა ბეჭი მიადო, შტო დაიწია ფარადა,  
დაჯდა და წიგნი დასწერა, მტრედსა შეაბა მხარადა.  
— ეს დედაჩემსა მიმირთვი, ველარ მოგივალ ჩქარადა.  
გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზე შეღებე შავადა,  
ეგ ჩემი ჩოხა-ნაბადი კარზე დაჰკიდე ფარადა,  
ეგ ჩემი ქამარ-ხანჯალი ღვდელს მიეც საწირავადა,  
ეგ ჩემი ცოლი პატარა არ გაათხოვო ჩქარადა,  
თუ მისცემ — ისეთ კაცს მიე, მე მჯობდეს თვალად-ტანადა,  
ეგ ჩემი ციხე-დარბაზი თან გაატანე მზითვადა.

### 192. შვიდთ ძმათა, მერვეს ბიძასა

შვიდთ ძმათა, მერვეს ბიძასა ვეფხვი კლდით გადმოგვეკიდა.  
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი, ვეფხვს ერთიც არ მევეკიდა.  
მერვემ ესროლა ბიძამა, ვეფხვი მწკლით ჩამევეკიდა.  
შვიდნივემც ქალად გვაქცივნა, ყროლ კაცს საქმარედ აგვეკიდა!  
ეს ჩვენი თოფ-იარაღი ჭალას მურყანზე დაჰკიდა!

### 193. სად იყავ, კარო ირემო

— სად იყავ, კარო ირემო, სად გაიბანე სისხლითა?  
— ალგეთით მოვალ, ბატონო, მთა გადმოვლახე ნისლითა.  
დამკოდეს ხათუთისძეთა, ისარი მამაქვე კისრითა.

### 194. ნისლი წევს საირმეშია

ნისლი წევს საირმეშია, მზევ, რად არ ჩამაჰშუქდები?  
გადაგდებული ვეფხვისა ბეჩავი ეხში ვბლუნდები!  
რას დამყეფ, შაო ყორანო? განა შენთვინა ვსუქდები!  
შავკმაზავ ჩემსა ლურჯასა, გავაზე მაუცურდები,  
მიუვალ თავის დედასა, თუ ღმერთსაც არ მოვძულდები.

### 195. დუშმანიმც არი, დედაო

დუშმანიმც არი, დედაო, მონადირისა ცოლია,  
ჯერ შუაღამე არ არი, გათენებული ჰგონია.  
გასწირავს თბილსა ლოგინსა, სალ კლდეებს ტყეში სტოლია.  
არ მინდა ნადირის კორცი, დაწევ, ნუ დამაღონეა.

### 196. შენ იქ ვერ ახვალ, ვაჟაო

შენ იქ ვერ ახვალ, ვაჟაო, საცა ჯიხვ დავას რქიანი.  
მოხეს სისვაურ დანალევს ვაჟ უნდა წრიაპიანი.

### 197. შინ რად არ იჯე, ცუდაო

შინ რად არ იჯე, ცუდაო, დედას უმართე ტარები.  
ზეით მხვალ, ძირში ყინული, ჯიკვთ როგორ ჩაეპარები.

### 198. სამი თვე დავრჩი ზოვს ქვეშა

სამი თვე დავრჩი ზოვს ქვეშა: მარტი, აპრილი, მაისი.  
მშვილდი დავკეჩე, ბოძალდი, ცეცხლი დავანთე იმისი.  
დათვი ტყავ-კორციტ შავსჭამე, კი წამწყმედსაა მე ისი?  
მაუვედ თავის დედასა, შვილ ველარ მიცნო თავისი.  
შავესწარ ცოლის ქორწილსა, ყისმათ თუ იყო აისი.  
სიყინულეს უჭერივარ, რო გავშრები, გავიშლები.  
ცოტა ფულ ჩამამაყოლეთ, ნისიათ ავივსები.  
საიქიოს დუქანია, ღვინოს დავლევ, დავითვრები.

### 199. არ გავიტეხავ გუნებას

არ გავიტეხავ გუნებას, თოფო, შენ გამოგფერავო,  
გამზადებ სანადიროთა, ჯიხვებს მკერდს გაუსერავო.  
ფეკისად ქუჩსა ვიმზადებ, კუნჩავ, შენც შეგიკერეო.  
ზურგზე თოფ-გუდა-ნაბადო, წრიაპო, შეგიფერეო.

## 200. შაუდგა კივკაზაური

შაუდგა კივკაზაური გუდანის ჯვარსა ძალზედა.  
უბარებს ბადრიაული მუქარას მუქარაზედა.

## 201. ამბობენ, კოვლიანაში

ამბობენ, კოვლიანაში მონადირეთა სძინაო.  
საძილედ რაად მოვიდნენ, ნულარამც წავლენ შინაო.

## 202. თქვენ ბერდიასა, ირმებო

თქვენ ბერდიასა, ირმებო, არ ელალატნა თვალსაო,  
მალ-მალ კი გაგაგონებდით ჩემი სიათის კმასაო.

## 203. ჯიკვებმ შასტირნეს კლდეებსა

ჯიკვებმ შასტირნეს კლდეებსა: — რა ცოდვით ვიკვებებითა,  
მშივრები, დაღალულები კლდის გრილოებში ვწვებითა...  
ამაჰდას დილის ცისკარი, საწოლზე შამავკვდებითა.  
გულში რო შიშიც არ გვქონდას, ამ დროს თოფ გამასტყვრებისა.  
არ სჯერდებიან თითოსა, სამი-ოთხ მაგვაკლდეებისა.  
წვერზეთ დაგორილები ჭალაში გავიყრებითა,  
აივსო მთელი არხოტი ჩვენის ჯიკვების რქებითა.

## 204. გადად-გადმოდის ღრუბლები

გადად-გადმოდის ღრუბლები, ცა ელავს, უცემს თვალსაო.  
მარტოკა ჯევისურიშვილი წინ მიუძღვება ცხვარსაო.  
ჯიკვების გადანავალსა ქვიშაზე ატყობს კვალსაო.  
“ნეტავ შამყარა ჯიკვები ამ დილას თექიანსაო,  
ჯიკვს კლდეზე გადმოვაგდებდი რქაჯანგიანსა კარსაო.”

## 205. თოვლი სთოვს, ჯიკვი ფეკს უცემს

თოვლი სთოვს, ჯიკვი ფეკს უცემს, გულს გიგლის მონადირეო!  
— ვაჰმე, ვერ დაგკარ, ტიალო, სისხლი ვერ გაგადინეო!  
ვერ გადმოგაგდე კლდეზედა, რქაზე ვერ დაგაბჟინეო!

## 206. ჯიკვო გუნებამძიმეო

— ჯიხო, გუნებამძიმეო, რამ გადმოგაგდო კლდიდგანა?  
— ისარმა კილოწითელმა, მშვილდმა ჩემისავ რქისამა,  
გორზეთ გორზე ნასროლმა პირშიშველაის ყმისამა.

## 207. ჯიკვნ შასჩივიან ჭაუხსა

ჯიკვნ შასჩივიან ჭაუხსა, ჭაუხის მაღალ წვერსაო,  
ჭაუხის კუჭულაზედა სინდაურაი წევსაო.

## 208. ძაღლო, ჩაჰყეფე, ყურშაო

ძაღლო, ჩაჰყეფე, ყურშაო, შე შავის პატრონისაო.  
პატრონი კლდეზე გიკიდავ ფურ-ბერწის საბანდიტაო.  
ესრიან, ჩამაგდებენ ძმობილის ბოძალიტაო.

## 209. ჯიკვების განავალი კლდე

ჯიკვების განავალი კლდე რო ნახო, გაგიკვირდება,  
იმათ ნაწოლსა, ნადგომსა თოლი არ მამეკიდება.  
ფეკ რო მაუსხლტეს ტიალსა, კლდეზე რქით დაეკიდება,  
იმათ მიმყოლსა ვაჟკაცსა რა კარგი წაეკიდება.  
ჯარჯი ჩაჰხედავს ჯიკვებსა, რო მშვენიერნი წვანანო,  
რქა რქაზე გადაუხვევავ, ანგელოსებსა ღგვანანო.  
ჯარჯივ, ნუ მისდევ ჯიკვებსა, მოგინელებენ ტიალნი,  
არ დაიჯერა ჯარჯიმა, — სხვაც ბევრ მამცდარა ჭკვიანი.  
ჩამაუქაძლა ვაჟკაცმა ხირიმი სპილოს ძვლიანი,  
წინ ჯიკვთა, უკან ჯარჯიმა კლდეზე გადიღეს გრიალი.  
არხალოს ჭალას ჩაცვივდნენ არხალოს პერანგიანი.  
ჩაბანოს ჭალას გავარდა მოყმე ფეკწრიაპიანი.  
ამაიტანეს მამკვდარი, ტირის ქალი და ზალია,  
შამააწვინეს კარზედა კლდის დაფლეთილი ტანია,  
გადაგლეჯილი თავ-პირი, ყორნის დათხრილნი თვალნია,  
სახსოვრად ჯარჯის საფლავზე დააკრნეს ჯიკვის რქანია.  
ერთ გვერდზე თოფი სიათა, მეორე გვერდზე კმალია,  
ზედ დააწერეს წერილი: ჯარჯი ჯიკვთაგან მკვდარია.

## 210. ბეთქილი

ბაილ ყველა დაილოცოს აქ მყოფი,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, საბრალო ბეთქილ, საცოდავო ბეთქილ!  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ბეთქილ, დალის მოლალატევ,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, მულახ-მუჟალი იკრიბება,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ფერხულით უვლიან ჟამუმის მოედანს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, გადმომხტარა თეთრი შუნი,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, გაძრომია ბეთქილს ლაჯებში,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ეს ბეთქილის წერა იქნება!  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ამის მდევარი ვინ იქნება?

ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ამის მდევარი ბეთქილი იქნება,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ბეთქილი ბანდულებს იბანდავს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, გადაიკიდებს თავის იარაღს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ბეთქილი შუნის კვალს დასდგომია,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, წინ სამარხილე გზა მიუძღოდა,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, უკან გზები იკვრებოდა,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ესეც ბეთქილის წერა იქნება,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, საჯიხვეებში როცა შესულა,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, დალი უფლის სამყოფელში,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ბეთქილის ზემოთ შუნი იდგა,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, თურმე იგი დალი ყოფილა,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ბეთქილს ცოტა თავბრუ დაესხა,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, როცა დალი დაინახა,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, გამარჯობა, უფალო დალო!  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ბეთქილი მორცხვად ეუბნება:  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, როგორი კარგი დღეც გექნება,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ისეთი გზები შენ გექნება,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ჩემი მოცემული მძივი რა უყავი?  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ის საწოლის სასთუმალქვეშ დამრჩა,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, შენ გეგონა მომატყუებდი?  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ახლა კი შენ ხარ მოტყუებული,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, დალი უფალი გამქრალა,

ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ბეთქილი კი კლდეს შერჩენია,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, მარჯვენა ხელის მოსაკიდი ექნება,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, მარცხენა ფეხის დასადგამი ექნება,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ჩემი ცოდვა ჩემს თამარს ჰქონდეს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, თამარს, ჩემს რძალს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, უწმინდური გამაგზავნე სანადიროდ,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ჩემს ცოლს უთხარით,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ობლები კარგად გამიზარდოს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, თმები კი ძირში შეიჭრას,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ჩემს ტოლებს უთხარით,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ზარი კარგად მითხრან,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ქვევით დათვი დაძუნძულებს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
თითქოს ბეთქილის მძორი სურდეს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ზევით ყორანი დაჰყრანტალებს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
თითქოს ბეთქილის თვალები სურდეს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, მულახ-მუჟალი დაძრულა,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ზოგს ნაბდის ტვირთი მოაქვს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ოი, ბეთქილის დასახსნელად,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, მანამდე ბეთქილი გადმოვარდნილა,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, მის მძორს დათვი ჭამს,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, მის თვალებს ყორანი კორტნის,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, გადმოუსვენებიათ სამსხის გადასასვლელზე,



ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ყველა დაილოცოს აქ მყოფი,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ.  
ბაილ, ამ ამბის მსმენელი,  
ბაილ ილბა, ილბა ბაილ!

### 211. დილაზე დილაობითა

დილაზე დილაობითა კარირემს დავკარ ისარი.  
ჩარგლისთავს გადაიარა, გადააწითნა ქვიშანი.  
სადრა-რა მოკვდა ოკერი, რქანი სადა სხენ მისანი?  
სადრა-რა ეთელებიან არწივნი მალლის მთისანი?!

### 212. ჯიკვო, შენ ნულარ გეშინის

ჯიკვო, შენ ნულარ გეშინის, ლაღად აბრუნე რქებია,  
თოფს ველარ დაგკრავს ომარი, სისხლით ვერ დაისვრებია.

### 213. ლეგვედარ ჯიკვებ დავკოცე

ლეგვედარ ჯიკვებ დავკოცე, შუნებიც ჩავატანია,  
გულს ჭირად დამჩა, ბატონო, რქებ რო ვერ მაგიტანია.

### 214. კარგსა მონადირესაო

კარგსა მონადირესაო თუ დაუთოვა მთანიაო.  
კირტიშოს ჯიხვი კვინტრიშობსაო:  
— მომკვდარა ჩემი მომკლავიო.  
— ჩაბალახაში ჯიხვებო სასროლზე ჩამოდიანო:  
— რა იქნაო ჩვენი მომკლავიო?  
და მომკვდარაო ჩვენი მომკლავიო!

### 215. კლდემა გასძახა კლდესაო

კლდემა გასძახა კლდესაო: — მონადირეა ჩვენსაო.  
ვაჩუქოთ მსუქანი ჯიხვი, თვარა მოგვიკლავს მჭლესაო.

### 216. კასრას დასწყიეს ჯიხვებმა

კასრას დასწყიეს ჯიხვებმა: — დაშრეს კირტიშოს ვეძაო.  
მოგვივლის ერთი სურვილი, არ ჩავალთ, არ იქნებაო.  
ჩავალთ, დავლევთ და წამოვალთ, თითო მთავარი გვრჩებაო.

### 217. შენ მონადირე იყავი

შენ მონადირე იყავი, გამსროლი ერეჯიბისა,  
გიყვარდა მონადირობა, ჩამოგორვება ჯიხვისა.  
თოფის მაშა მოგტეხოდა, საბმური შემოგწყვეტოდა,

თოკი ძირს ჩამოგვარდნოდა.

შენი ნასროლი ფინთიხი დიდი თანისში ჭყიოდა.

### 218. თოფმა სთქვა

თოფმა სთქვა: ჩემსა პატრონსა ჩემს უკეთესი რა ჰქონდა:  
ზედ მესხა ვერცხლის ჩახმახი, ოქრო უბებით დამქონდა,  
ჩემი ნახოცი ნადირი ყვავსა და ყორანს გაჰქონდა,  
ერთი ისეთი თხა მოგვკალ, შვიდი მტკაველი რქა ჰქონდა.

### 219. ქალსა ვისმე ერქვა შრუშანა

ქალსა ვისმე ერქვა შრუშანა,  
ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედნი.  
ბეჭდის თვალსა მოლი მოსრულა,  
მოლთა შუა ნაძვი ასრულა,  
ნაძვის წვერსა ქორს ბუდე ედგა,  
ბუდე ედგა აბრეშუმისა,  
კვერცხი ჰქონდა იაგუნდისა,  
შვილი ჰყავდა მარგალიტისა.  
ღმერთო, ერთი ჩემთვის გაზარდე,  
გაზარდე და კარგად მიმყოფე,  
სანადიროს გზა გაუწაფე.  
ვისადილე, ვისადილე.  
ნასადილევს მოგვკალ ირემი.  
ჩემო ცოლო, ხოხობო ჭრელო,  
ამ ირემსა ბეწვი წაჰგლიჯე,  
შენ იმისი ჩონა დამირთე.  
რა გადარჩეს — წინდა-პაიჭი.  
ჩემო ქმარო, ლომო და გმირო,  
ალვის ხეს ტოტი მოსტეხე,  
შენ ამისი სახლი დამიდგი.  
რაც გადარჩეს — წისქვილ-ბეღელი.



სატრფიალო



## 220. შენ ჩემო დიდო იმედო

შენ, ჩემო დიდო იმედო, კოშკო, ნაგებო კირითა,  
კახეთს მოჭრილო ისარო, ქალაქს ნაღებო ინიტა!  
წითელო მოვის პერანგო, შვიდგან შეკრულო ღილიტა,  
ცავ წმინდავ, ვარსკვლავიანო, მზევ, დაფენილო დილიტა.  
უკვდავებისა წყარო, ნადენო ოქროს მილიტა,  
შენთანამც ყოფნით გამაძლო, შენთანამც წოლა-ძილიტა.

## 221. მინდორ-მინდორ კოშკი დავდგი

მინდორ-მინდორ კოშკი დავდგი, ზედ მოვადგი ნარიყალა,  
შენმა შუქმა მზე დაბნიდა, დღის შუადღე გადიყარა,  
საღვინეთი ღვინო გედგა, შიგ თურინჯი ჩაგეყარა,  
ათნი თითნი ბროლისანი ზედ კალთაზედ დაგეყარა.  
ერთი აქეთ შემომხედე, შენი ჭირი შემეყარა.

## 222. ვინა ხარ, ვინ იარები

*ხვარამზე:*

— ვინა ხარ, ვინ იარები, ლალო, მაგ ლალის ცხენითა,  
თავს რად არ შამაიბრუნებ, ყანას რად მამკვევ ცრემლიტა?

*ვაჟიკა:*

— ის გეგონაა, ქალაო, გუშინ რომ მედიდებოდი!  
შენს დედასა და მამასა საკლავით ვეხვეწებოდი.  
კაც-შუაკაცებ ვიგზავნე, თხაწალებურად ხტებოდი;  
ისე გაგახდევ სურვილსა, ნემსს ყუნწზე აეგებოდე!  
ჩაჰქონდე დილის ნიავსა, უსულოდ ჩაელღვეოდე.  
პატარას ნარის ჩიტასა თვალში ფხად ჩაეგდებოდე.

*ხვარამზე:*

— ვერცხლის თასადამც მაქცია, რო ღვინით აგვესებოდი,  
დაფერილი მქნა წითლადა, შამსვამდი, შაგერგებოდი.  
ანა მქნა ვერცხლის სათითე, რო ხელზე ჩაგედებოდი;  
ანა მქნა ოქროს ბურთვაი, კალთაში ჩაგემლებოდი;  
ან ვერცხლის ფულად მაქცია, ჯიბეში ჩაგეყრებოდი!  
ან შენი ნამგლის ყანა მქნა, რო ფხაზე შაგეჭრებოდი;

ანა მქნა ვარდი, ყოილი, რო პირზე დაგეყრებოდი;  
ანა მქნა მოის პერანგი, რო გულზე დაგადნებოდი!  
ან შენი ძმა მქნა მოწილე, აროდის გაგეყრებოდი:  
ან შენი ნანდაური მქნა, გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი!  
ძალიან დაწუსებული გზაზედამც შეგეყრებოდი!

### 223. საფრანგეთისა ატლასო

ატლასო საფრანგეთისა ატლასო, ალისგან გადამეტი ხარ,  
უძირო ზღვაში ნაშობო, ლალისგან გადამეტი ხარ!  
სამოთხის ველის ყვავილო, კვალისგან გადამეტი ხარ!  
კვესით აბედის დამწველო, ტალისგან გადამეტი ხარ!  
სირმა-ვერცხლისა ტაბაკო, ჩინეთით მოტანილი ხარ,  
მკლავები შიმშას მიგიგავს, გულ-მკერდით დახატული ხარ!  
ტანი ალვის ხეს მიგიგავს, თითები ვერცხლის ლულასა,  
პირის სახე მზეს მიგიგავს, ლოყები — ბამბის ქულასა!

### 224. შენ ქალო ლალო, ლამაზო

შენ ქალო ლალო, ლამაზო, ცაში მრომელო კიბითა,  
ცაში გიდგანან დარბაზნი, გადალესილნი კირითა,  
შიგან გისხედან სამ ძმანი, გადაბმულნ ოქროს შიბითა.

### 225. ქალო, ვისი ხარ, ლამაზო

ქალო, ვისი ხარ, ლამაზო, შენის დედ-მამის მზესაო.  
სილამაზითა მზეს გავხარ, თვალეები გიგავს მწყერსაო.  
ჩვენ ვერ ავცდებით ერთმანეთს, კარგად იცოდე ესაო.  
ვაი, თუ წერა აგვიჩნდეს, ვაჰ, დედაჩემის ღმერთსაო!  
სხვის ხელში როგორ გიყურო, გულ როგორ მომითმენსაო.  
ან მოგიტაცებ, იცოდე, ან ქრთამს დაგხარჯავ ბევრსაო,  
ან ნალოცს შემოვაპარებ, ისე წაგიყვან ჩვენსაო.  
არ ამცდე, ქალო ლამაზო, იმ დედიშენის ღმერთსაო.  
მაშ, რა ვქნა, სიყვარულისგან ლამის გამიჩნდეს კვენესაო.  
ლამაზო, შენის ბედითა შორს კლდეს ჩავტირი კვენესითა.  
მზის ადგილს გულში შენ დაგსვამ, გზას გავინათებ კვენესითა.  
უშენოდ აქ ვერასა ვძლებ, თუ შენ არ გნახე მალეა,  
დარდებს ნუ მომხვევ გულზედა, ღმერთი იწამე მალეა.

### 226. ეჰა, განთიად აღდგები

ეჰა, განთიად აღდგები, ცისკარო, ნარგიზნარეგო,  
წარბო, აყრილო მშვილდურად, პირსუფთავ, მოცინარეო.  
დაო, რა წიგნი მოგწერე, ღვთის მადსა, შემიწყნარეო.  
დაო, ამ თვალთა ნათელო, დაო, სახე გაქვს მზისაო,  
დაო, მშვენება ვინ მოგცა სამოცი ვარსკვლავისა!  
ცაში ნაბანო ვარსკვლაო, ხელთ დასაჭერო მზისაო,

გახსონდე, მამიგონებდე, მე შენთვის ცრემლი მდისაო.  
წიგნო, ეახელ იმ ქალსა, იმ ჩემი გულის წამალსა,  
ენა-ბუღბუღსა, შაქარსა, ხმატკბილსა, მოუღალავსა.  
თვალი გამსგავსე სამოთხეს, პირი მზეს, ტანი საროსა.

### 227. აქითა გავხედ — შორია

აქითა გავხედ — შორია, შუ მარგალიტის გორია,  
ტანტურფა, ქალო ლამაზო, ყელი და ყური ბროლია.  
ვინ და ვინ გადაგიყოლებს, თავმომწონარი ბევრია.  
შეგისვამ ლურჯის გავაცხე, ლურჯის გავაცი მტყელია,  
გზაში ნუ შეგვიწუხდიდი, ნუც გზისად გვითხრიდი, გრძელია.  
გზას უგზოდ გაგავლევები, ვაჟის გუნება ხელია.

### 228. მთაზეით, თოვლო, გადახველ

მთაზეით, თოვლო, გადახველ, ჩემ გულით, დარდო, რად ვერა?  
მე მთელს ქვეყანას დავხყურებ, ჩემსამ ნანდობსა რად ვერა?  
წყლისა და ცეცხლის შუა ვარ, ორისივ ვარი ნებასა;  
ცეცხლი მიპირობს დაწვასა, წყალი თან გაყოლებასა.

### 229. ნეტა ვიცოდე, ჯეილო

— ნეტა ვიცოდე, ჯეილო, გუნებას აგისრულებდი:  
ჭრელებს მოგიქსოვდ, ჩულებსა, ცხენს კოხტად შევიკმაზებდე,  
დაგიჭერდ ცხენის უზანგას, ნელ-ნელა ჩაგიცინებდე.  
მომირეკავდი სწორებსა, მე კოხტად დაგიხვდებოდე,  
სიტყვას გეტყოდე ისეთსა, ვაჟკაცს თავს მოგაწონებდე.  
— რადამ გიხარისთ, ქალებო, კარგი ყმისა ცოლობაო?  
კარგი ყმისა ცოლობასა კარგი უნდა ქალობაო;  
კარგსა სახლსა მოვლა უნდა, ეზო-ყურეს მშვენიებაო,  
მოსულ სტუმარს ხვედრა უნდა, კარგი გული, გუნებაო.

### 230. ცით მარის მარსკვლავმ იძახა

ცით მარის მარსკვლავმ იძახა: მოყმევ, დაყარე ცხვარიავ!  
არ მოწყინდ მეცხვარეობა, არ მოგაგონდა ბარიავ,  
ქალსთან ლამაზთან წოლაი, იმასთან საუბარიავ.

### 231. მოყმეო, დედისერთაო

მოყმეო, დედისერთაო, ველთა გაზდილო მინდორთა,  
ვაშლო თეთრო და წითელო, მაღლა ნაბამო ხეზედა,  
იაგუნდისა ბეჭედო, ჩასადებელო ყელზედა.

### 232. ვისია მწვანე კარავი

ვისია მწვანე კარავი, კარვებში არ ერეოდა?  
ვისია ქალი ლამაზი, ქალებში არ ერეოდა?  
გვერდს ეჯდა კარგი ვაჟკაცი, ჰკოცნის და ზედ ელეოდა,  
გვერდს ედგა საღვინით თასი, სვამდა და არ ელეოდა.  
გარედან ხალხი შეჰნატრის:  
ნეტავი მაგის დედასა, სხვა რაღა დაელეოდა!

### 233. არურუს ჩამომღეროდა

არურუს ჩამომღეროდა დიასამიძის ქალიო,  
ეკეთა ყურზე საყურე, უფრიალებდა ქარიო.  
არ ვიცი, ვარსკვლავს ჩამოჰყვა, არ ვიცი, მთვარე არიო.  
ე მაგის კალთაზე მამკლა და არ დამარქვან მკვდარიო.

### 234. შენ, გაზაფხულო, ცქრიალა

— შენ, გაზაფხულო, ცქრიალა, გული რამ აგიფრთხიალა?  
— ალბათ ტრფიალი თუ იყო, ელვად რომ გადამიარა,  
ტყემლის ყვავილი მომართვა გულის პასუხის ზიარად,  
ყველა გიჟმაჟი ჩანჩქერი შიგ გულში ამიჩხრიალა.

### 235. ქალმა სთქვა

ქალმა სთქვა, ნეტავ მზე ვიყო, თრიალეთს მოვეფინები,  
დაული მემცხვარეებსა, სულ ყველას მოველხინები,  
გაუთობ სულსა და გულსა, ნაბადზე მოვეფინები.

### 236. ჩავჯექი ხომალდში

ჩავჯექი ხომალდში, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეო.  
ხმელეთი სულ დავიარე, ვერ ვნახე შენი სახეო.  
ანთებულ სანთელს გამსგავსე, დილის ცისკარზე ვნახეო.  
ხელში ყმაწვილი გეჭირა, ფარსავ ვერ დაგინახეო.

### 237. თავ-ფარავნელი ჭაბუკი

თავ-ფარავნელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა,  
ზღვა ჰქონდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა.  
ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა.  
ერთი ავსული ბებერი ვაჟისთვის ავსა ლამობდა,  
სარკმელზე ანთებულ სანთელს აქრობდა, აბეზარობდა,  
თან ამას ეუბნებოდა, წინადაც ეგა გყვარობდა.  
ვაჟი მიანგრევს ტალღებსა, გულმკერდი არა ჩქამობდა.  
ცალხელით დოლაბი მიაქვს, ცალხელით ნიავქარობდა,  
ზღვის გაღმა ერთი სანთელი გამოღმა კელაპტარობდა.  
ღამე ჩამოდგა წყვდიადი, უკუნს რამესა ჰგვანობდა,



ტალღა ტალღაზე ნაცემი ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა.  
დაჰკარგა ფონი, შეშჭირდა, მორვეი ბობოქარობდა.  
გათენდა დილა ლამაზი, კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა,  
წყალსა დაეხრჩო ჭაბუკი, ჭოროხზე ეგდო, ქანობდა,  
წითელი მოვის პერანგი ზევიდან დაჰფარფარობდა,  
ლექს დასჯდომოდა ზედ ორბი, გულს უგლეჯავდა, ხარობდა.

### 238. ია მთაზედა

ია-მთაზედა, თოვლიანზედა,  
ია დავთესე, ვარდი მოსულა,  
ია კოჭამდე, ვარდი მუხლამდე.  
ირმისა ჯოგი შემოჩვეულა.  
ნეტამც ეძოვნათ, არ გაექელათ,  
სიძე-სიმამრი მთას წამოსულან,  
შეხვდათ ირემი ქორბუდიანი;  
სტყორცნა სასიძომ — მოჰკლა ირემი,  
სტყორცნა სიმამრმა — მოჰკლა სასიძო.  
— შვილო ბარბარე, მე რა გახარო,  
საქმრო მოგიკალ, თავს ნუ მოიკლავ.  
— შენ მამა ჩემო, დარბაისელო,  
შენ ჩემი ცოდვით არ მოისვენო,  
როცა გითხარი, არ გამათხოვე,  
ეხლა მათხოვებ — მომიკალ ქმარი.

### 239. გავხედავ ჩაბანოსაკა

გავხედავ ჩაბანოსაკა, მსურს გაყოლება თვალისა,  
ჩემს გულს დაათრობს სურვილი ემა ალბუთათ ქალისა.  
ივრისაკ შამოვებრუნდები, დალევა მინდა წყალისა,  
ვიკითხავ შალვათ თამარსა, ნეტა რარიგად არისა?  
გულის ჭრილობას ვაფერებ, ხან მალამოსა ჰგავისა.  
მამენატრება, არაგვო, კლდეებზე შენი ჩქამიცა.  
ჩარგალში ამბავ მეკითხვის მიხაის ნაბიჭვარისა,  
შუაფხოს ბადროს თამარი ხვარავინ დაითავისა?  
ოთხისავ მგლოვიარე ვარ, ტანზე ჩამცმელი შავისა,  
ოთხისავ თვალებს მაგათას ბევრის გულ მაუკლავისა.  
მენაც მეტყობა ჭრილობა, გულისპირს სისხლი მცხავისა.  
ემაგის მალექსებელსა მთაში ძროხები მყავისა.  
გაღმ მგელი ყმუის ოკერი, მალლა ყორანი ჩხავისა.  
სახელად იოსებია, ივრისპირელი გვართა.

### 240. მაგ გიშერივით თვალებსა

მაგ გიშერივით თვალებსა, ყაჭის ძაფივით თმებსაო,  
თვალებსა შავსა — შალშავსა, შავ ლამეს — კუნაპეტსაო,

წარბებსა — მოხრილ მშვილდებსა, გამოთლილს შინდის ხისაო,  
პირსა — გავსებულ მთვარესა, სხივების დამგზავნელსაო,  
გორის პირს ამოჩენილსა, შავ ღამის გამთეთრესაო,  
ბაგესა — ვარდის ფურცელსა, ხელუხლებ შეურყვნელსაო,  
ჩამწველსა, ჩამნაცრებელსა, ვაჟკაცის სიცოცხლისაო.  
კბილებსა — მარგალიტებსა, აწყობილ რიყის ბროლსაო,  
ტანს — ჩემ კარზე მდგარ ვერხვის ხეს, მასავით ამოლტილსაო,  
მკლავებსა — იმის ტოტებსა, ცისაკენ წამოწვდილსაო,  
თითებსა — სწორე კელაპტრებს, ჭევისბრის ჩამოქნილსაო,  
იას — თხილის ძირს მოსულსა, მიჩქმალულს, მინაბულსაო,  
ვაიმე, რო ვერა ვნახავ შენზე კარგ სანახველსაო.

### 241. ლამაზო, ყვითელთმიანო

ლამაზო, ყვითელთმიანო, ურჯუკათ ქალო ნინაო,  
რამ მოგცა ოქროს თვალები, წარბ-წამწამ შემოგფინაო.  
პირ-ტუჩნი ვარდის ფერისა, კბილნ ბროლად ჩაგიმწკრივაო,  
ტანი გერხევა ლერწმადა, მაგ ჩრდილში ვის რა სცივაო.  
შენიმცა თავი საბედოდ ღმერთს ჩემთვის გაეჩინაო.  
თუ შენი ღირსი არა ვარ, არ დაგიდგები წინაო...  
სადაც გინდოდეს — გზა გქონდეს, იქ აირჩიე ბინაო.

### 242. ეტყობა დღესაც მთაზედა

ეტყობა დღესაც მთაზედა დანაბიჯები მგლისაო.  
მწვანეზედ რჩება ხაზადა ბილიკი ქოხებისაო.  
მააგონდებათ ქალებსა საღამო ზაფხულისაო,  
სიმღერა ერთმანეთშია, ლექსობა ვაჟებისაო.  
თეთრად ვათენებ ღამესა, რა დამაძინებს ძილსაო.  
ქალო, სადა ხარ, ლამაზო, შავთვალავ, ჩემის მჭრისაო.  
ეხლაცა ვფიქრობ შენზედა მეცხვარე, მწყემსი სხვისაო...  
ნისლივით მეღანდებიან ნაწნავნი შენი თმისაო...  
მორსა მგონიხარ ძალიან, როგორც ნაპირი ცისაო.

### 243. კალმით არ აიწერება

კალმით არ აიწერება, შენი სიტურფე, ნინაო,  
ნეტა ვინ გირწო აკვანი, ნეტა ვინ გშობა, ვინაო?  
ჯერ მომწონს შენი სიტურფე, მიდგახარ თვალებს წინაო,  
მერე ჟუჟუნა თვალები, ოქროს წყლით მოსვედილაო  
და სახე მშვიდობიანი, როგორც მაისის დილაო.  
სიცოცხლით სავსე გულ-მკერდი ვარდივით გაფურჩქვნილაო.  
ნეტა თუ შენისთანაი სხვაც ვინმე გამოზრდილაო?  
ათასნაირმა ფიქრებმა პირს ოფლი დამადინაო,  
ნისლის მორევში გამართო, გიფიქრო როდემდინაო?  
ნეტა რას ვფიქრობ ამდენსა, არა ვარ თავისთვინაო.

რა ვქნა, ეს გული ოხერი დარდმა ვერ შეაშინაო.  
ჩემი თავგადასავალი შენც კარგად იცი, ნინაო,  
ტყე არის ჩემი სახლ-კარი, დამტირებელი წვიმაო.  
შენ ცეცხლის ალში გამხვიე, სხვა შემობრალეებს ვინაო?

#### **244. მათურის ძირას წისქვილნი**

მათურის ძირას წისქვილნი მარილის გულებს შლიანო.  
შიგ ქალნი სხედან ლამაზნი, ვაჟკაცის გულსა ჰგლიანო.  
გამოვლენ, კელ-პირს იბანენ, შუქნი მთათ გადადიანო.  
ვაჟკაცსა შენისთანასა წელზეთ კმალსა ხვსნიანო.  
სწადიან — დაატყვევებენ, სწადიან — დაიკსნიანო.

#### **245. შენ რაღად სტირი, ღრუბელო**

შენ რაღად სტირი, ღრუბელო, დამდგარო გორის ფხასაო,  
განა შენც სატრფო დაჰკარგე ამ ოკერ ჯეობასაო.

#### **246. ნეტავი მოგვკვდე**

ნეტავი მოგვკვდე ხის ძირსა, ფოთოლი დამედინოსა,  
მოვიდეს ქალი ლამაზი, თვალს ცრემლი მოედინოსა.

#### **247. ობოლივით ატირება**

ქალებს ჭრელებ კაბები სცოვ, ბუბულაით ნაყიდები,  
ყელზე ვერცხლის შიბებ უსხავ, ბოლო-ბოლო საკინძები.  
რახან გზაში შამეყარნან, გამწყრალივით გავსცილდები.  
რა გავსცილდა, გამავხენებ, ობოლივით ავტირდები.

#### **248. აქამდი სიყვარულისა**

აქამდი სიყვარულისა დამცინარ ვიყავ სხვისაო,  
ეხლა კი მიაც მამინდა შორიდან ცქერა გზისაო,  
ფიქრობა გულით გულშია მალოდინ ლამაზისაო.

#### **249. ტარიელივით უნდა ვქნა**

ტარიელივით უნდა ვქნა, უნდა გავიდე ველადა,  
შამოიარო ქვეყანა საყვარლის საძებნელადა.

#### **250. გაღმა-გამოღმა ბალები**

გაღმა-გამოღმა ბალები, ზედ შეხვევიან ქალები.  
ერთი შეხედვით შავატყობ, რომელსაც შავებრალეები.  
შავხედე ჩემსა სატრფოსა, ცრემლით ავსოდა თვალები.

### 251. ქალო, შენმა სიყვარულმა

ქალო, შენმა სიყვარულმა შუა გზაში მამიარა,  
დამაკარგვინა მათრაკი, მაბრუნა და მატრიალა.

### 252. სადრა-რა გძინავს

სადრა-რა გძინავს, ჯეილო, დამრჩალსა ცივსა ქვაზედა.  
ყელს გველი გადაგხვევია, თავი დაუდვავ თავზედა.  
ვაჟკაც არ გაგაჯულუროს, სენ არ შაგყაროს ტანზედა.  
შემყვარებიხარ, სხვის შვილო, მწყემსად მოსულო ცხვარზედა.  
ემაგას გულში დავიკრავ, სპილოს ძვალი აქვს ტარზედა.  
მაგრამ იტყვიან იმასა: “ქალმ თავ მაიკლა რაზედა?”  
მაიკლას, თუკი მაიკლავს კარგი ყმის პირობაზედა.

### 253. გაფრინდი, ჩემო წერილო

გაფრინდი, ჩემო წერილო, გზა გაიარე ფრენითა,  
შეგიპყრობს შენი მკითხველი მაუწყენელის ცქერითა.  
ეგების გულმა აამოს ამა ამბისა სმენითა.  
უარს ნუ მეტყვი, ლამაზო, თვალს ნუ ამივსებ ცრემლითა.  
როგორც ყვავილნი მზისაგან, ისე მე ვხარობ შენითა.  
უარის თქმას კი მიჩვენავ, რო მამკლა შენის ჳელითა.  
მოხვიდე, მკერდი გამიპო მახვილით, ჳორცის მჭრელითა.  
ეს ჩემი ტანჯული გული დაჰკუწო დანის წვერითა.  
პასუხს ვერავინ ვერ მოგთხოვს, ვერც ვინ რას გკადრებს წყენითა.  
ეხლა შენა ხარ ჩემთვისა მოკეთეცა და მტერიცა.  
შენ შეგიძლია, რომ მამკლა, გინდა მაცოცხლო ლხენითა.  
მზეო, დამატკბე შენაცა უხვად სხივების ფენითა.

### 254. ვიწროდ გაგბანდავ, ჳუჩაო

ვიწროდ გაგბანდავ, ჳუჩაო, გამხანებელო გზისაო.  
ნელ-ნელა შემოგაბიჯებ ჳალავ, შე არხოტისაო.  
საგათენებოდ მოგივალ, ქალაო, ჩემი ხნისაო.

### 255. დაგილამდება, ჳევსურო

— დაგილამდება, ჳევსურო, ველარ მისწრობ ღულსაო.  
— მე ბნელაჩიაც გავივლი, მთვარეს არ ვუგდებ ყურსაო.  
მივალ და გადავხვევი საყელომაქარგულსაო.

### 256. ადე და, ნისლო, მთას წადი

ადე და, ნისლო, მთას წადი, რას მებურები თავზედა?  
უნდა გავხედო, ვიხილო მეტად ლამაზი წამზედა.  
კარებზე მიდგებ-მოდგება, ყალმუხის ქუდი თავზედა.  
რაკი არ შაუშვენდება იმ ხოხობივით თვალზედა.

სწორში რო დეეყუდები, ანგელოზ გადგა მკარზედა.  
სუყველას შენა სჯობინარ, ყველას მაჰქივი თავზედა.  
ემაგის მალექსებელსა მე ცხვარი მყავის მთაზედა,  
დავდივარ თუშეთისაკა, ფეკსაც არ დავდგამ ფშავზედა.

### 257. შენტან დამიგო ლოგინი

გვწყალობდეს სალოცავები ჩვენი მთისა და ბარისა.  
ქალო, ხო იცი, მონა ვარ დიდი ლაშარის ჯვარისა.  
შენტან დამიგო ლოგინი და შენტან ძილი მაღირსა,  
დამაყნოსვინა ყვავილი შენ მკერდზე გამლილ ბაღისა,  
შენ გვერდით გამამალვიძა შენზე ფიქრებით დაღლილსა.

### 258. ნეტავი როდისა ვნახავ

ნეტავი როდისა ვნახავ ფშავის არაგვის ჭალათა?!  
შენგამო დაწუხებული ვოცნას დავუწყებ ქვა-ლამთა.  
ერთი სული მაქვს, ნეტავი როდის შამხვდები, სანათა!..  
ხალხნი რადა ვართ ბეჩავნი, სიყვარულს რადა ვმაღავთა?!  
შენს მეტი არავინ მინდა, სხვებსაც ბევრს ვიცნობ ქალათა...  
შენტან წამოსვლას ვაპირებ, არაფერს ვკითხავ ჯალათა.  
შენ თავს არავის დავუთმობ, შავებში ლეკთა, არაბთა.  
და, თუ შენც უარი მითხარ, თავს მივცემ კლდეთა ქარაფთა.

### 259. რად არ მენაც გამათხუებ

რად არ მენაც გამათხუებ, ჩემო მამავ, ხვთისავარო?  
მენაც ადამიანი ვარ, განა ხე და ქვისა ვარო!  
არც ისეთი პატარა ვარ, ოცდახუთი წლისა ვარო.

### 260. ნეტამცაე მამკლამცაე

ნეტამცაე მამკლამცაე, ასო-ასო ამქნამცაე.  
ჩემი სისხლი ყვავსამცა და ყორანსამცა ასვამცაე.  
ძირს ეკალი დამიგო და ზედ მდულარე მასხამცაე.  
სუყველაფერს გავუძლებდი, უშენოდ არ დამსვამცაე.

### 261. ზეცას ყანა დგას უფლისა

ზეცას ყანა დგას უფლისა, ბრინჯაოს გააქვს ნათელი,  
ქარით უბრუნავს წისქვილი, მესაფქვეთ უზის ათერი.  
— ათერო, გარდმამაფარე შენის ქათიბის საკველი.  
— დამეკსენ, აბურსელაო, არა ვარ შენი საფერი.  
შენ დიდი დიდებული ხარ, დედა-მამით ხარ ქებული,  
მე გლეხი, გლეხის ქალი ორ, გლეხურად თავდადებული.  
— დედამიწას გეფიცები, ნაწილსა ბარძიმისასა,  
თუ მაგას არ დაიჯერებ — დღეს დაფენილის მზისასა;

მე რო ბანი-ბან გეძებდი, შენ რო ქორულას გეძინა,  
ყვითელი ოქროს ქოჩორი ბეჭებზე გარმაგეფინა.  
ათერი, აბურსელაი ღმერთმა შაყარნა საფერნი,  
ემშაკიმც დაიწყევლების კარგის ქალ-ვაჟის გამყრელი!  
ათერს მზე გარმაეშალა, ტილ ააჩინა რამთვენი.  
იძახა აბურსელამა — ქალი ვის გინდათ ათერი.  
— ქალი მე მინდა, ქორწილი, ჭირნიც მე მინახიანო.  
— შვილო, ვისა გკლავს სურვილი, ვისა გაღვიძებს მძინარსა.  
წაოლ, აქ მოგვვრი ათერსა, გულზე გამოგზვევ იმასა.  
— შე დედაჩემო მუშტარო, ათერსა კარი უარე,  
თუ გკითხა ჩემი ამბავი, უარ-უარე, უამბე.  
არ გკითხას ჩემი ამბავი, ფეწი დაუცი დ' იარე.  
— შვილო, მოვიდა ათერი, თვალებს თუ გაქვის ნათელი.  
შამოკდა წინგარდაზედა, სიპი შამაძრა — ყავარი.  
სარკმლიდან შუქი ჩამუშვა, სა წევ სულამამავალი.  
— თუ მახვედ, შინაც შამეედ, მოკლე გაქვს შამოსავალი.  
აქ მოსვლისადა ათერსა ჩემ ცხენ უბოძეთ საღარი,  
კვიციც თან გაუყოლეო, რემაი, ჩქარა მავალი.  
დღენიც გძელნ გქონდა, ათერო, ცხრანი ძმანი გყვან მრავალნი.  
— ან დღენ რად მინდა ძაღლასა, ან გზანი შინ წასავალნი.  
მომიკლავ დედისერთაი ახალ წვერამამავალი,  
წამიკდენავის სულეთი, აღარ მაქვს იქ შესავალი.  
— არ გინდაე ჩვენი ცხენი, ძუა-ფაფარ დასირმული?  
არ გინდაე ჩვენი ქვაბი, დიდოეთით მოტანილი?  
არც აბურსელა არ გინდა, საკელმწიფო მომზადული?  
— არცა თქვენი ცხენი მინდა, ძუა-ფაფარ დასირმული;  
არცა თქვენი ქვაბი მინდა, დიდოეთით მოტანილი;  
არცა აბურსელა მინდა საკელმწიფო მომზადული.  
მიბოძე ქამარ-ხანჯალი, აბურსელაის ნაბამი.  
(მაკვდის აბურსელაი და)  
გულსა დაიცა ათერმა, — მეცა მაგასთან წავალი.  
ათერი, აბურსელაი აიქამც ადგებიანა,  
ადგომაც წესი არ იყვა, სულითამც ცხონდებიანა.  
გზის ძირში დააღირებენ, გზის თავში დაღმარხიანა.  
ფოთოლათ მიაღირებენ, მიწათაც მიაყრიანა,  
ამდინარ-ჩამდინარები შენდობას ეტყოდინა.  
ათერზე ვარდნიც ამავლენ, აბურსელაზედ — იანი,  
შარიმბოლაზედ — ვირთ ნარნი, ვირნი საძოვრად დიანა.

## 262. ცივწყალი გადავიარე

ცივწყალი გადავიარე, ქალი მჯდარიყო წყალზედა.  
თავი ვთხოვე და არ მამცა, შორს დამიწერა ქვაზედა:  
“კასა ვყევივარ ვაჟკაცსა, ხაჩა რო ჩადის ცხვარზედა.  
მე იმას არ ვულალატებ, შავი არ დავდვა ძმაზედა.”

### 263. წამუედ მინდორშიითა

წამუედ მინდორშიითა, ლურჯაი მყვანდა ჩქარიო.  
ნადობის კართან ჩამოვკე, კართაკე დამრჩა თვალიო.  
ნადედობ გამამეგება, თვალცრემლიანი არიო.  
დაჯდა, დამიწყო კითხვაი — როგორ გავიდა ცხვარიო.  
— ცხვარი კი კარგა გავიდა, ჩემ ნადობ როგორ არიო?  
— შენ ნადობ როგორ იქნება სამი კვირეის მკვდარიო.  
ჩამამეკოცნეს კელ-მუკლნი, შუბლზე დამასხა ნამიო.  
წამუე გაჯავრებული, ცრემლით დავრეცხენ გზანიო.  
გაზაფხულზედამც დამლევდა ადიდებული წყალიო,  
ან ზოვი ჩამამიტანდა, რო დალხვებიან მთანიო.

### 264. ამოჟიჟინდი, ნიაგო

ამოჟიჟინდი, ნიაგო, შენ, დაბლით, კახეთისაო,  
ამაიყოლე სურვილი ლამაზის ქალ-ვაჟისაო.

### 265. ჩონგურო, ცოლი მითხოვე

ჩონგურო, ცოლი მითხოვე, ყელლილიანი ქალიო,  
ჩამოჯდეს კერათ პირშია, ჩამაიჭაპნოს თმანიო.

### 266. კაცსა, ღვთისგან გაჩენილსა

კაცსა, ღვთისგან გაჩენილსა, თოლი უზის ეშმაკისა,  
ათას კარგი ცოლი ჰყვანდეს, მაინც ეკეთება სხვისა.

### 267. ა, ბეჩავ, ჩვენებურებო

ა, ბეჩავ, ჩვენებურებო, სისვ-რკინან ნათობდიანო.  
კვირა, კვირაე დილასა ბანებზე ქუჩობდიანო.  
დაიყენებენ ჯილდასა, თოფებს თოფებზე სცლიანო.  
ვაჟასა ზოგიერთასა, რო შახვდეს, გამოღვლიანო.  
ქალებს რად უნდა ქებაი, ცაში ქორებულ დიანო,  
ბევრი ხყავ შამამბრუნავი, ბევრაის გულსა ღვლიანო.

### 268. აის დრომც იყოს, ქალაო

აის დრომც იყოს, ქალაო, ყვარას რო იყო ქორწილი,  
ლამით რო წამამიყვანე, ბანზე დამიგე ლოგინი.  
ეხლა აის დროც მოვიდა, ფეკებზე მიდევს ბორკილი,  
შენ ლაშარ-ღელეს მიდიხარ, მე ციმბირს მივალ ცოდვილი.

### 269. ნეტავი ნამტირაღევსა

ნეტავი ნამტირაღევსა შენი ხმა გამაგონაო;  
შენთანამც ლოგინ დამიგო, შენ მკლავზე დამაგორაო;  
შენი საყელოს სახსნელად ამაყოლ-ჩამაყოლაო.

### 270. ნეტავი შენა, მთვარეო

ნეტავი შენა, მთვარეო, რო სუყველასა ჰხედავო.  
კიოთ სად არი ქორწილი, ტოშიოთ სადა ტყვრებაო.  
თამაშობს წითელკაბაი, რაკი არ შაუკდებაო.  
თამაშობას რო მორჩება, ნაძმობს წინ გაუძღვებაო.  
მივალის სახლის კართანა, კარ დაჯრილ დაუხვდებაო.  
მობრუნდება და წამუა, საბძლისკე გაუძღვებაო.  
გაუბუმბულებს ლოგინსა, გვერდ თავად დაუწვებაო.  
პატარა ხანიც გამუა, მამალიც აჩქამდებაო.  
“ჩემი ცოდვა გაქ, მამალო, წიწაკამც აგაჩნდებაო.  
მე შუაღამე მეგონა, ესლა კი გათენდებაო.”

### 271. თიბა-მკა არის ტიალი

თიბა-მკა არის ტიალი, დგა სუ ბალღების კივილი,  
მე კი დავძრწივარ აქა-იქ, ვის მისდის ჩემი ჩივილი.  
დამიღამდება გზაშია, სოფელს რო მოვივლ-მივივლი,  
მოვძებნი ჩემსა ნადობსა, მაწუხებს გულისტკივილი!

### 272. მაღალო ახუნისგორო

მაღალო ახუნისგორო, შენამც დავშალა ქართია,  
გადამახედნა, მენახვა ალაზნის პირი თვალითა.  
იმასამც ზვარა ვნახავდი, ვინც გულ მამიკლა შხამითა.  
არც შახედულად მამწონხარ, არც ისრ ძალიან გვართია,  
მაგრამ არ იშლის ეს გული, იწვება ცეცხლის ალითა.  
შენისამც მუხლის პირსა მქნა, დაბჯინებულის ხელითა,  
შენ კალთა ამავსებინა თვალით ნადენის ცრემლითა.

### 273. ორშაბათ დილა გათენდა

ორშაბათ დილა გათენდა, მთაზე გავშალე ცხვარია.  
გადაუხვივე მთიულეთს, ამოწიწინებს ქარია.  
ქოხიდან ქალი მიკივის: — ბიჭო, გარევე ცხვარია!  
— რა იყო, ქალო, წყეულო, რადა გაქვს ჩემი ბრაღია?!  
მეც ხო უცოლო ბიჭი ვარ, არც შენ გყოლია ქმარია.

### 274. ნეტავი მთვარედ მაქცივა

ნეტავი მთვარედ მაქცივა, მოსიარულე ცაზედა,  
გადმოვიდოდი მალი-მალ ზანდუკით გამსის თავზედა.



ჩამოვიდოდი სოფელში, მოგივიდოდი კარზედა.  
გამოხვიდოდი შენაცა, პირს დაიბანდი წყალზედა.  
ოჰ, როგორ გავლალდებოდი, ქალავ, შენ დანახვაზედა!

### **275. მთვარეო, მთვარის ნალეო**

მთვარეო, მთვარის ნალეო, ჭიჩოს თავს მიდი მალეო,  
იქ არის ორი ლამაზი — ერთი მზე, ერთი მთვარეო.  
ერთი შენ წამაიყვანე, ერთიც მე წამამგვარეო.

### **276. წყალსა არ შავალ იორსა**

წყალსა არ შავალ იორსა, თუ შავედ — ფონსა ავარჩევ.  
არ ვეძებ შენისთანასა, თუ ვეძებ — კარგსა ავარჩევ.

### **277. კევსურეთისკე წამოვედ**

კევსურეთისკე წამოვედ კოხტაობითა, ჩოჩქვითა.  
კევსურის ქალებ ამბობენ: “ეს ვაჟა ვინლა მოდისა?  
წელსაო ცხრამეტიისა ვარ, აწ კი გავკდები ოცისა”.  
შავაწიოკეთ ცეცხლანი ნანეკრალაის წოწკვითა,  
წყალში კარტოხა ჩავყარეთ, ცეცხლზე შამოვდგით ქობითა.  
კმარაი დ' სამძიმარაი მიგებენ ჩალის ლოგინსა,  
ორ ქალთ შუაში ჩავსწვები, გამათავებენ კოცნითა.

### **278. მონადირე ირემს მაჰკლავს**

მონადირე ირემს მაჰკლავს, დაუჯდება მუჯაზედა,  
ბევრ ქალ გადაიბოტიტნებს ლამარობას ლურჯაზედა.

### **279. ერთხელ ვიყავ ერობასა**

ერთხელ ვიყავ ერობასა, აღარ წავალ ჩემობასა,  
თეთრი ღამე გამითენდა ერთი ქალის ფერობასა.

### **280. ციხით ნარეცხნ გადმოვღვარენ**

ციხით ნარეცხნ გადმოვღვარენ, ძირჩი მამრჩეს თორანია,  
მე ხო შენთან არ დავსწვები, გინდა ვიყვნათ ორანია.

### **281. ხეი მიწვება-მაწვება**

ხეი მიწვება-მაწვება, შიგ შავი გველი ჩაწვება,  
აის ქალაიმც მაკვდების, რომენიც თქვენთან დაწვება.

**282. ჭიჩოს გათხოვდნენ ქალები**

ჭიჩოს გათხოვდნენ ქალები, ჭიჩო ბაღდადი ჰგონაო,  
იარონ ბინდაურთასა, ითრიონ ფიჩხის კონაო.

**283. წუხელი სიზმარი ვნახე**

— წუხელი სიზმარი ვნახე, ხორბალაურთან მეძინა.  
ქვეშ მეგო არხა-ურხუა, ფარჩის საბანი მეხურა,  
გვერდთ მეწვა ლამაზი ქალი, პირი მისაკენ მებრუნა.  
— ეგრე არ იყო, შავ ბიჭავ, საღორის კარსა გეძინა.  
ქვეშ გეგო ჩალა-ჩულანი, ზედ ნაბდის ძველა გეხურა,  
გვერდთ გება ფაშატი ვირი, პირი მისაკენ გებრუნა.



შრომის ლექსები



## გუთნური

### 284. შენი ჭირიმე, გუთანო

შენი ჭირიმე, გუთანო, მაგ შენი მრუდე ყელისა,  
წამოუწვები გვერდზედა, აღება იცი ველისა,  
შენა ხარ პურის მომყვანი, დამძველებელი ქერისა.

### 285. გამარჯვებულმა გუთანმა

გამარჯვებულმა გუთანმა სამოცჯერ შემოუარა,  
ნეტა ან რა ხარმა გასძლო, და ან რა მეხრემ იარა?

### 286. შენ, ჩემო გუთნისდედაო

შენ, ჩემო გუთნის დედაო, ხარი გიბია მტრედაო,  
მეხრეებს გამოართმევდი, შეუხტებოდი ზედაო,  
სიმღერა კარგი გცოდნია, დასძახდე ზედი-ზედაო.  
ჭირიმე შენი, გუთანო, მაგ შენი მრუდე ყელისა,  
ვინც შენ მიდევნას შეიძლებს, პური აქვს ძველის-ძველისა.

### 287. გუთანო, უფლის ნაკურთხო

გუთანო, უფლის ნაკურთხო, ღრმად გაუარე კვალია,  
გამვლელსა და გამომვლელსა მტერს შენზე დარჩეს თვალია.

### 288. აჩაჩამ უთხრა გუთანსა

აჩაჩამ უთხრა გუთანსა: გუთანო, პური მშინაო,  
პატარა პური მაჭამე, გადახდა შამიძლიაო.  
— შე წაწყმენდილო აჩაჩავ,...  
საჭვრეტლით მოხვრეტილი ხარ, არ გირევია სატეხე,  
სულ რო ნარბილი არა ხნა, ერთხელ ყამირი გატეხე.  
თუ მე შენ პური გაჭამო, კისერი ძირში მამტეხე!

### **289. ხარმა სთქვა**

ხარმა სთქვა: ხარი ვერ მომკლამს, თუ მეხრე მიდგა ღვთიანი,  
ხშირ-ხშირად უნდა დამძახოს სიმღერა ლაზათიანი.

### **290. ანეულობა, ფეტვობა**

ანეულობა, ფეტვობა, ვაჰმე, რა ცუდი დღეაო!  
დაეძინება მეწრესა, პირი დარჩება ღიაო.  
ან ჩაუძვრება ბაყაყი, ან მოწამლული ჭიაო.

## **თოხნური**

### **291. ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი**

ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი, მალე ყანის მკაც მოვაო,  
ჩვენსა იქნება სიმღერა, მტერთან კი დიდი გლოვაო.

### **292. დამწკრივებულან ქალები**

დამწკრივებულან ქალები სიმინდის სათოხნელადა,  
ლოყები დასწითლებიათ ბიჭების საკოცნელადა.

### **293. ხელხვაგია, ხელხვაგია**

ხელხვაგია, ხელხვაგია, ხელბარაქელაო.  
ღმერთო, მომე მკლავში ძალა,  
მუხლში ძალა, ხელბარაქელაო.  
ასი ურემი, ერთადო, ხელბარაქელაო,  
კურდღელსა შეშა მოჰქონდა, ხელბარაქელაო,  
ასი ურემი ერთადო, ხელბარაქელაო  
ეზოში ვერ ჩამოტია, ხელბარაქელაო,  
ღობე მოტეხა შარისა, ხელბარაქელაო,  
მიქელი და გაბრიელი, ხელბარაქელაო,  
ყანა მოგვცა ხვავრიელი, ხელბარაქელაო.

## **მთიბლური**

### **294. გამოთიბე, ჩემო ცელო**

გამოთიბე, ჩემო ცელო, ქადას გამოგიცხობენო!

### 295. ტიალო ხაჭო-წყალო

ტიალო ხაჭო-წყალო, მკლავში გაქვ დიდი ძალო —  
ვერცა-რა იმან გათიბა, ვინც ხაჭო-ერბო ჭამაო!

### 296. მოკვეთილაზე დავდივარ

მოკვეთილაზე დავდივარ ჩემი გუდასტვირითაო,  
მუშებსაც ვამხიარულებ, მთას ავავსე თივითაო.  
მარტოხელა მთიბელი ვარ, ეს მამერგო წილითაო,  
გამოვლესე ქართულ ცელი — სხეპავს ორივ პირითაო.  
შრომაშიაც განთქმული ვარ, განა მარტო სტვირითაო?  
ზარმაცებს კი არა ვგეგვარ, რო გამოვძღე ძილითაო.

### 297. ისე გავლესე ჩემ ცელი

ისე გავლესე ჩემ ცელი, ავასხი ეკალაიო.  
გალმით გამამხედავენ ლელაი დ' მზექალაიო.  
იტყვიან: “აის იქნება ფოთოლათ მერცხალაიო”.

### 298. ცელო, მოუსვი ბალახსა

ცელო, მოუსვი ბალახსა, განზე გაიტა პირია;  
გამოჰკა, გამოიტანე ნიშა, ნიკორას წილია;  
იონჯა, ურო, სამყურა სათიბად გადახრილია.

### 299. ქარო, დაღბერე

ქარო, დაღბერე, ჩითისკრულოო,  
მთიბელი სიცხემ შააწუხაო.

### 300. მთიბელო, ჯვარის სასვესაო

მთიბელო, ჯვარის სასვესაო  
თოფმ რო ბუჩამა ჩამაგხვივლაო.  
დაგაწყვეტივნა კაფიანიო,  
ნამწრევენი სისხლით დაგასვრივნაო.  
ნამწრევეთ სათავეს დაგჩა ცელიო,  
ნამწრევეთ ბოლოში სალესველიო,  
შუაზე შენ კი მალგორავდიო.  
ფასიორათამც უშობს ღმერთიო,  
გამწესებელსა დურბინისაო.  
აკუშოს თავით გამაგხენაო,  
აკოსთავ გიცნა მთიბლებშიაო,  
ლეგლუგეებში წითლოსანიო.  
ადგა, ბიჯითავ გეემართაო.  
ვეფხვმა გაქცევა არ იკადრაო,  
ნუ გაიქეცი, იმედაო.

აპარეკაიც გამაგიდგაო,  
მაკლა მამკლავი იმედამაო.  
მამკლავ თუ იყვა თორელისიო.  
თოფმ, ნამართებმა თათარისაო,  
მამკლავ არ გაუშვ პატრონისიო.  
ავკოს ტირიან ლიუტასაო,  
გუდელას იწვა იმედაიო,  
გმინსა და გმინსა აყოლებდაო.  
ტირილ რად უნდა ავკოელსაო,  
ღვედით აასხეს იარაღიო.  
ტირილი უნდა გუროელსაო,  
ვერცხლით მართულსა პიტალოდაო.

### **301. თიბდა უბისთავ ბაჩანაიო**

თიბდა უბისთავ ბაჩანაიო,  
ხანდახან კიდევ ნადირობდაო,  
ხან ცელს ნამწრევში დაჰყუდებდაო,  
ხანაც კი ისევ ნადირობდაო...  
— დედავ, არ მინდა ბაჩანაიო,  
უბისთავ ვნახე მთიბელჩიაო.  
თიბდა, არცარას ახანებდაო,  
ხან ცელს ნამწრევში დაჰყუდებდაო,  
ხან თვალთა წითელ-ყვითელობდაო,  
ჭინჭველთ ნაჭამთა დათვივითაო.

### **302. ყანა მკვევ, დედის ნებიორაო**

ყანა მკვევ, დედის ნებიორაო,  
საკელნ არ მკიან სკლატისანიო,  
ღელით ბუბაი გამოგხენებსო,  
ობლისკალოთა შარინდაიო.  
გიცნობენ წითელპერანგასაო.

### **303. ცელო, გამიჭერ**

ცელო, გამიჭერ, გზის პირიაო,  
ქალებ შად-გადის, სირცხვილიაო.

### **304. ეჰეი, ცელო, გამასჭერ**

ეჰეი, ცელო, გამასჭერ, ნალევაო,  
გამასჭერ, თორე გამაგნაყეო.  
აი, მიწმიდ-მაწმიდე ახალზალივითაო,  
დაავორ ქოჩებ შურთხივითაო.



**305. ცელლამაზო და ცოლლამაზო**

ცელლამაზო და ცოლლამაზო,  
ნამწრევლამაზო სწორებჩიგაო,  
არ ვიცი, ან თუ გიჭრის ცელიო,  
არ ვიც, თუ გიხალიზებს ცოლიო.

**306. ცელო, გადაყარ-გადმაყარეო**

ცელო, გადაყარ-გადმაყარეო,  
ლამაზის ქალის თმათავითაო;  
ცელო, შენ დაახორხოშავეო  
ობლის ყმაწვილის ცრემლთავითაო;  
ცელო, აბრუნდი ჭარივითაო,  
დაწმინდე ახალზალივითაო.

**307. მაგრჩეს ოკრადა, ცოლისდაო**

მაგრჩეს ოკრადა, ცოლისდაო,  
წითელ-ყვითელნი ქოქობანნიო.  
მე შენდა გამახედვნაშიაო  
ცელაი ქვათად ჩამერეკაო.

**308. კოჭნი არ დამჭრნა, საზიზღარო**

კოჭნი არ დამჭრნა, საზიზღარო,  
ნალევი გამაფხაებეიო.  
ქოჩნი ჩამამცდეს წკმუტუნითაო,  
ცელის ნალევის დატუქსვილნიო.  
მაგრჩეს ოკრადა, ცოლისდაო,  
წითელ-ყვითელნი ქოქომონიო,  
მე შენდა გამახედვნაშიაო  
ცელის ნალევიც გავამტვრიეო.

**309. ახუნსა შამასტირნა ქალმაო**

ახუნსა შამასტირნა ქალმაო:  
— ახუნო, რა უყავ ძმანი ჩემნიო?  
— ქალო, მე ვნახნენ ძმანი შენნიო  
ჩარგალს ვეძაზე დაკოცილნიო.  
ძმათ რო ერთმანეთ ენადირაო.  
ტაბლავ, კელუკუღმ გადმოდგმულო,  
ზედ არამ გადმოყოლებულო.  
უთხროდით ჩემსა მამის ცოლსაო,  
მთიბლები აღარ მოვლენ შინაო.  
ბატარა კვერა გამოგზავნოსო.  
ბატარა რაიმ გამეეცხო,

ცეცხლაკვერაი, თხელაიაო.  
ნახევარ გვერდზე დამწვარიყო,  
ნახევარ გვერდზე კმელაიაო.  
ერთმანეთს ძაღლებს ულაღავდენო:  
“გვიშველე, ძაღლო, ბაირამო,  
ველის ნადირთა ნუ დაგვაჭმევო.”  
ძმათ რო ერთმანეთ ენადირაო...

## სამკალი

### 310. მომკალი რასმე მოეკლა

მომკალი რასმე მოეკლა, ნარსა თუ გვირილასაო.  
ნამგალი ნარსა ეკიდა, სამკლავე — გვირილასაო.

### 311. გაღმა-გამოღმა ყანაო

გაღმა-გამოღმა ყანაო, შუაში გამოგვალაო,  
ე გაღმაური ქვრივები გამოღმა გამოდგვარაო.

### 312. სოფლის ბოლოს ყანას ვმკიდი

სოფლის ბოლოს ყანას ვმკიდი, ნამგალს გაჰქონდა ბზრიალი,  
სამხარი გადმამიტანეთ — ეგ ოკერი და ტიალი.

### 313. დახედე ობლის ყანასა

დახედე ობლის ყანასა, ქოხი და ქოხი უქნია,  
ფათალა გადადხვევია, თავთავი აღარ უქნია.

### 314. კელეური და ულო

კელეური და ულო,  
შენ გაიხარე, გულო!

### 315. ყანაო ფათალიანო

ყანაო ფათალიანო,  
ბიჭებიც აქ არიანო!

### 316. ყანაო ფათალიანო

ყანაო ფათალიანო,  
გამიშვი, გადავიარო!

**317. ყანებ აღარ მოგვივიდა**

ყანებ აღარ მოგვივიდა ჯერ შარშანა, ახლა წელსა,  
მეძნეურებ დაგვიცვივდა ჯერ გუშინა, ახლა დღესა.

**318. ყანას უნდა ბაგა-ბუგი**

ყანას უნდა ბაგა-ბუგი, ომი გადასავალია.  
ყანა იყოს მოსამკალი, თორღ ბიჭი მრავალია.

**319. ერწოს დაიმკო ქერები**

ერწოს დაიმკო ქერები, სად არი თიანელები?  
მოიდენ, მააკაკუნეს სათითიანებ ჰელები.

**320. შე დალოცვილო ყანაო**

— შე დალოცვილო ყანაო, ეგეთ რამ მოგიყვანაო?  
— ჯარმა მკნა, კაცმა დამთესა, მეუფემ პირი მბანაო.

**321. ყანაო ფათალიანო**

ყანაო ფათალიანო,  
ბიჭები დაგძახიანო.

**322. გლესავ და გლესავ, ნამგალო,**

გლესავ და გლესავ, ნამგალო, ნამგალო, ჩემო რკინაო,  
გაგლესავ და მიგაყუდებ კარსა ვენახისასაო.  
მოვიდეს და მოგიპაროს ქალმა მეზობლისასაო.

**კალოური**

**323. ქარო, დაჰბერე, დაჰბერე**

ქარო, დაჰბერე, დაჰბერე, რო ხოვი დავანიავო,  
ბზე მოვაცილო ხორბალსა, ბეღელში ჩავახრიალო,  
პური დაფუცხო ბაღლებსა, მჭირალებ დავაჭკვიანო.

**324. ჰეი, დაჰბერე, ნიავო**

ჰეი, დაჰბერე, ნიავო, რო ხოვი დავანიავო,  
დაგიკლავ წითელ მამალსა, შენ ბუმბულ გააფრიალო.

## საფეიქრო

### 325. არალო დარეჯანასა

არალო დარეჯანასა, გარეთ გამასდგამს ჯარასა.  
ჩასთულს დასძახავს ერთ წამსა, სხვას ყურს არ უგდებს არასა.  
შინ რო ყმაწვილი ტიროდეს, გარედან ეტყვის ნანასა.  
ორ დღეს საჩოკეს გამასჭრის, მესამეს — ბაჭიჭ-შარვალსა,  
თან ეხვეწება უფალსა, ყელზე ჩაიდებს შანასა.

### 326. ჩახსაკრავი ვარ ნაქსოვი

ჩახსაკრავი ვარ ნაქსოვი ტანათ ალვა, პირათ მზისა,  
მისართმევი ვარ ლომისა, მლოცავი ვარ მაღლის სვთისა.  
ქალმა მოქსოვა მავანმა.

### 327. ქალი ვარ და ჯარას ვართავ

ქალი ვარ და ჯარას ვართავ, გადვივარცხნი დალალ-კავსო,  
მე თუ ბიჭი მომეწონა, თვალიც დადგომია ქმარსო,  
შემიძლია მივატოვო, იმის შემდეგ გავყვე სხვასო.

## მეტიური

### 328. ფარჩის კაბას დავპირდი

ფარჩის კაბას დავპირდი  
ლივ-ლივ, ქეთო, ლივ-ლივ ქეთო,  
ფარჩის კაბას დავპირდი.  
გამიფხუკიანდა —  
ფარჩის კაბას დავპირდი.  
ისევ გადმამიბრუნდა,  
ისევ გადმამიბრუნდა,  
ლიახვო! ლიახვო! ლიახვო!

### 329. სატიოზე ტივი შევკარ

სატიოზე ტივი შევკარ, ტივი არი ნაძვის ხისა,  
ორთაყვირები მოვასხი, მოსასმელი არი წყლისა.  
ჩემო ტივო, მაშინ გაქებ, რომ ქალაქში ჩასულიყო,  
თავს მუშტარი დაგხვეოდეს, სხვაზე მეტად გასულიყო.

## ურმული

### 330. ურემო, ფერსომაღალო

ურემო, ფერსომაღალო, ხუნდი გიყრია გიშრისა,  
კაი ხარები გიბია, მაგრამ ტალახი გიშლისა.

### 331. გენაცვა, შავო კამეჩო

გენაცვა, შავო კამეჩო, პატარა ზაქის დედაო,  
შენი დაზრდილი ზაქები მიმიდის მარილზედაო.

## ყურძნის წურვის სიმღერა

### 332. საწნახელო, მადლიანო

საწნახელო, მადლიანო, დევის მუცელს გადრიანო,  
დიდ-პატარა შენს ჭკუაზე სანამ უნდა ატრიალო?!  
დიდო ქვევრო, მაჭრიანო, მუშტრიანო, ვაჭრიანო,  
სანამ შენ არ დაილევი, მარნის კარი ვაჭრიანო.

## საწყალზედო

### 333. თებრონე მიდის წყალზედა

თებრონე მიდის წყალზედა,  
კოკა უდგია მხარზედა,  
კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.  
კარგო, მოგივალ წყალზედა,  
გაკოცებ ორსავ თვალზედა,  
კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.  
თებრონემ კოკა გაავსო,  
თანაც შეიდგა მხარზედა,  
კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.  
მიდის და თვალი შეასწრო  
ქოჩორა ბიჭსა გზაზედა,  
კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.  
თებრონემ კოკა ჩამოდგა,  
მანდილს იფარებს თვალზედა,  
კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.  
თებრონემ კოკა გატეხა,  
ცრემლი მოადგა თვალზედა,

კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.  
ბიჭმა თებრონეს აკოცა  
იმ სოფლის შუა გზაზედა,  
კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.  
თებრონე მიდის წყალზედა,  
კოკა უდგია მხარზედა,  
კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.  
დანიშნულს დაჰპირებოდა,  
აქ ჩამოდიო წყალზედა,  
კოხტა გოგოვ გენაცვალე, ხევ-ხევ თებრონეო.



წუთისოფელი





### **334. წუთისოფელი რა არი?**

წუთისოფელი რა არი? აგორებული ქვა არი,  
რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი.  
საცა სოფელში მიხვიდე, სუყველგან ორი გზა არი,  
შუაში არი ხმელეთი, გარშემო დიდი ზღვა არი.  
ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არი,  
ჩვენსა და სომეხებ შუა განყოფილება რა არი.  
თუ ქალი გეტყვის დობასა, ის უკეთესი და არი.  
აგეთი გქონდეს გუნება, ვით მოწმენდილი ცა არი,  
თუ არ იწამებ ამასა, მუცლით ნაშობი რა არი?

### **335. ტიალო წუთისოფელო**

ტიალო წუთისოფელო, ჰგევხარ აუწყავ ქისასა,  
ძილსა ჰგევიხარ, სიზმარსა, დაელნებასა ცისასა.

### **336. ტიალო წუთისოფელო**

ტიალო წუთისოფელო, აკავანივით ესწები.  
ჯერ კი წაიციდენ ვაჟკაცსა, მერე დალუპვას ეცდები.

### **337. ვაი, შე წუთისოფელო**

ვაი, შე წუთისოფელო, შენ ხარ მტყუანი, უპირო,  
შენ არ დაინდობ კარგ ყმასა, რაც უნდა კელი უჭირო.

### **338. ადამიანის ძვალ-მანი**

ადამიანის ძვალ-მანი ათას ხუთი ხურდა არი.  
ათას წელიწადს იცოცხლებს, იტყვის, ერთი წუთა არი!

### **339. “რა ვქნისა” ციხე ავაგე**

“რა ვქნისა” ციხე ავაგე, ჯავრი შავაბი კარადა,  
საიქიოდან მოიდენ ამ ციხის სანახავადა.  
ბევრი უარეს ციხესა, კარ ვერ გატეხეს ძალადა.  
მემრე თქვეს: დრო რო მოალის, კარ გაიღების თავადა.

### **340. ნეტაი მამცა ჩონგური**

ნეტაი მამცა ჩონგური, რა კარგებს დავაბარებდი,  
ერთად შავყრიდი სწორებსა, სუ ერთურთს შავადარებდი.

### **341. პავლემ თქვა, ჩიტუაშვილმა**

პავლემ თქვა, ჩიტუაშვილმა, გაცინებულის პირითა:  
ცათა ქვეშ დავდგი სასწორი სამის ლერწამის წბილითა,  
სიყვარული და სირცხვილი, ორივე ავწონე იმითა, —  
სიყვარულ მეტი მოვიდა სირცხვილზე სამის წილითა!..  
ვიცინი, თანაც ცრემლ მამდის, როგორც წყარონი მილითა —  
მეტოტავება სიკვდილი, სულს მაქცევინებს ჭირითა...  
ნეტარ ველარა გნახავა, მზევ, მოფენილო დილითა!

### **342. ვინცა საწუთროს ენდობა**

ვინცა საწუთროს ენდობა, ისიც თავისა მტერია.  
იმას რა მკარავს უნახე, სუყველა მკარე ჭრელია,  
ძმაც ვიცანი და ძმობილიც, ფეწებ ქვეშ მიწის მთხრელია.  
ვინაც მოკეთე მეგონა, ის უფრო გაკდა მტერია.  
ეჰ! ამისთანა სიცოცხლე აბა, რა სანატრელია.  
ნუ დაენდობი საწუთროს, საწუთრო ჭრელი გველია.

### **343. დაგლევ, მაღაწლის წყარო**

აქ მოსვლა აღარ მეგონა, სიმწვანე ბალახისაო.  
წასვლა აღარა მწადიან, დაწირვა სწორებისაო.  
დაგლევ, მაღაწლის წყარო, ცივად ნადენო კლდისაო,  
წავალ და დავიკარგები, როგორც მასკვლავი ცისაო.

### **344. დამყვა სიკვდილის ყორანი**

ვტირი, ჩამამდის ცრემლები, როგორც ნაწვეთი კლდისაო,  
თავ მებრალება იმითა, ვარ უბედური დღისაო.  
ჯეილებ დამიძახებენ — ჩვენთან გადმოხედ, ბიძაო!  
ისე ვარ ჯეილებთანა, როგორც ოქროში ბრინჯაო.  
ერთხელ მეც კიოთ მოვკვდები. მოგებარები, მიწაო,  
გავხდები შენი ერთგული, მერე რაც გინდა მიყაო.  
მეც იმას მიზამ ნიადაგ, რაც უწინ სხვისთვის გიქნაო.  
მაგრამ ვერ ჩავხვდი, სადაა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაო,  
დამყვა სიკვდილის ყორანი, მთელი სიცოცხლე მძიძვნაო.

### **345. სად წახვალ, სად დაემალვი**

სად წახვალ, სად დაემალვი, გინდ ცათ გაგიღონ კარიო.  
სიკვდილი ყველგან დაძვრება, სადაც სიცოცხლე არიო.  
სწრაფვით ვერც ტყვია გაასწრებს, ვერც დაღლის ნიაგ-ქარიო.

მერნიდან ყველას გადმოსვამს, იყოს რაც უნდა ჩქარიო.  
 ჩანგს ყველას დააგდებინებს ამ უჩინარის ჳმალიო.  
 ვერ დაიფარო, უფარო გინდა ფოლადის ფარიო.  
 ვერ მაისყიდო, აძლიო, რაც ქვეყნად ოქრო არიო...  
 ვერ დაგიფარავს ობლობა, თვალთაგან ცრემლი ცხარიო,  
 ვერც ყელის აბუღბუღება — სიმღერის ნიაღვარიო...  
 არ უშლის უამინდობა, არც საქორწილო დარიო,  
 არც სილამაზეს ერიდვის — თავად უმსგავსო არიო...  
 არ იცის, ვის ჳყავს რამდენი მისი მახვილით მკვდარიო,  
 ჳამგადასული ვინ არი, ვის სცემს სიცოცხლის ქარიო...  
 თავისით დაუდგენია მოსვლის ჳამი და ჳარიო,  
 მოსვლისას მაიპარება, გავა-გაჳყვება ჩქამიო!  
 ბრძენთა სახელებს ვერა ჳკლავს, ამაზე მწყრაღად არიო...  
 ღმერთო, მზესავით ადიდე ამ ლექსის მთქმელის გვარიო!..

### 346. ამიერ სოფელს გადაყვევ

ამიერ სოფელს გადაყვევ, შევკარ და მიმაქვს ბარგია.  
 ვინაც ამ ქვეყნად ვინარეთ, იმ ქვეყნად არას გვარგია.  
 ვისაც სიმართლე მიუძღვის, ის უფრო დიდი მადლია.

### 347. ალვანში შემოსულიყო

ალვანში შემოსულიყო თიბელაშვილის ცხვარია.  
 გაჯავრდენ თუშისშვილები, რო დააყარეს თვალია.  
 ეუბნებიან დავითსა: — არსენა სადღა არია?  
 — მთაში დავტოვე არსენა, ალუდით დამათვრალია, —  
 იმას ამბობდა დავითი, — ახლა ჩამოსვლის ხანია.  
 სიმამრს ეობენ დავითსა: — ის კაც აქ ჩამომგვარია,  
 ცხვარი გვყავს უალაგოდა, შირაქში წასავალია.  
 ჩივიან მაგის მწყემსები — გვერევა გზა და კვალია,  
 ველარა გაგვიჳამკრებავ, ველარც გაგვიღავ გზანია.  
 მთაში წავიდა სიკვდილი, ცოდვიან-შხამიანია,  
 აბანოსცერში გადაჩნდა, როგორც ცეცხლისა ალია.  
 არსენა ცხვარში მიდიოდ — უნდა გავპარსო ცხვარია.  
 წინ სიკვდილ შემოეყარა, შეხედვით საზარალია.  
 — საით მიდიხარ, არსენავ, საით გაგიღო გზანია?  
 — ალვანში უნდა წავიდე, უნდა გავპარსო ცხვარია.  
 — შენ ცხვრისთვის აღარ გცალია, დახუჭე ორივ თვალია,  
 ეხლავე უნდა დავადნო ეგ შენი ლერწამ ტანია,  
 ეგ შენი პირისახეი მიწა გავხადო მყარია,  
 ეგენიც მოისვენებენ, კეპნის ჳირკვანავ გზანია.  
 შალაქნაფუძრით ბინებსა ქოხს გამოეჯარ კარია.  
 ველარც მიდგება ვაცები, რქის წვერით გადაბმულია;  
 ველარც მიდგება ცხენები, ოთხითავ დაჭედილია.

აბანოსთავის ცერები, ქვიშებზე გასავალია,  
ხახაბოს თავის ყანები ჯაგირზე ჩასავალია.  
ხახაბოს შუა უბანში თავს დაატეხა ცანია.  
მოვიდეს დედა-მამისდან, ცრემლი დაღვარეს ცხარია,  
დაი მოიდა დაროი, ცრემლით მორეცხნა გზანია.  
ცა ჭეხს და მიწა გუგუნებს, წყაროებმ მისცეს ბანია.  
შენი ცოდვითა, არსენავ, იწვება მთა და ბარია.  
წლით იყავ შესრულებული, ჭკვიანი დ' ხათრიანია.  
არსენავ, ნათელ დაგადგეს მზიანი დ' მთვარიანია.

### 348. თურსიეს წყალო მდინარო

თურსიეს წყალო მდინარო, ნაწურო მაღალ მთისაო,  
ჩამთქმელო თეთრის ცხენისავ, ზედ კაი ჭაბუკისაო,  
ზეპირა წამომღებელო ქუდისი დ' მათრავისაო.

### 349. მე ბევრი მიტირებია

მე ბევრი მიტირებია, გზა მშრალი მისველებია,  
ტირილით ველარა მიქნავ, თავის თავ მიშავებია.  
რა არა მარგე, ტირილო, თვალების დამღამებელო,  
ისევ და ისევ სიცილო, გულდარდის გამქარვებელო.  
გულზე არ მედევ, ყინულო, გულს, დარდო, არ მერეოდე,  
ტანზე არ მეცვე, შავ ჯაჭვო, სიბუქად ვიარებოდე.

### 350. გული მამიკლეს სევდებმა

გული მამიკლეს სევდებმა, შებოჭეს, შეკრეს რკალითა,  
ცეცხლი დაანთეს ძლიერი და მე კი დამწვეს ალითა.  
სევდისა ღვინო მომართვეს, დამალევიწეს ჯამითა,  
საჭმელად მომცეს გენია, იცოცხლე მაგის ჭამითა...  
პურს შასჭამ რაის ცოდვითა, წყალს დალევ ძალისძალითა.  
უფსკრულს ჩავარდნას ვაპირებ, ზღვას ვერ გავცურდი ნავითა.  
სხვისა გულისად ნუ ჰკვდები, შენ, ჩემო თაო, მაინცა,  
თუმც ბევრგან ბევრი ყოილი უსარწყაობით წაიქცა.

### 351. ნეტაინ სული მამეგო

მოყმესა ჰკითხეს შავეთში: — შენ ქონებისა რა გერგო?  
— ნეტაინ ჩემი დღე-წერა მე სამზეოზე გამეგო.  
ნეტაინ ჩემი სასახლე შუა გზაზედამც ამეგო,  
გამვლელის, გამომვლელისად, ყველათად კარი გამელო.  
მშვიდრისად პური მეჭმია, გაყინულ ცეცხლთან გამეთბო,  
ამთვენ ცოდვების მოქმედსა სულ იმით მაინც მამეგო.

### 352. ამაყებაანთ ქებაო

ამაყებაანთ ქებაო, ქვეყანას გაეგებაო:  
იმათ რო საყდარი დადგეს, ხმელეთად დავარდებაო,  
თეთრად გალესეს კირითა, გუმბათი მოუხდებაო.  
იმათ მკვდრებსა, მდებიარეს, ნათელი დაადგებაო.  
მიქელი და გაბრიელი კელეპტრით გაუძღვებაო.

### 353. სულეთ შავიდა დავითი

სულეთ შავიდა დავითი კმამალა კივილითაო.  
მამა ეხვევის დავითსა: — ნაპირ რად დამეც ცისაო.  
დედას რა ვუყო ბებერსა, ჯავრ სა წაილი მტრისაო?  
არ გასტყდა, მაისტლის ქალო, დედაო კაი ყმისაო.  
ნუ გენანების დავითი, ხალხის სათავეს ზისაო.  
ას ყველას გამეტებული, ულუფა მასდის ღთისაო.

### 354. სულეთ შავიდა წიქაი

სულეთ შავიდა წიქაი, კელით შაალა კარიო.  
სიმღერე უთხრა ჩუამა, უთხრა ხალხიამ ბანიო.  
ერთსხვა გაიცნეს ვაჟებმა, დასხდა ქორების ჯარიო.  
წყალშიც ჩაღვარდი, წიქაო, მაცილმ გიქცია მკარიო.  
ჩამაგყვა ჩავარდნაზედა მზის შუქი, უფლის თვალიო.  
გასწირე შუაგზანია მარადულაი ჩქარიო.  
ჭყვივლით გამაიარნა მარადულამა გზანიო.  
შამაკდა კალოს კარჩია, ატირდა, როგორც ქალიო.  
მადლა სცოდნიყვა ტირილი, ქვითკირებმ მისცეს ბანიო.  
შატილ გასწირე, წიქაო, თორმეტ ქვითკირის თვალიო,  
კაცთაგან დაუფასები სრუ იარაღი რვალიო.

### 355. სულეთ რად არ შახვ

სულეთ რად არ შახვ, ბებერო, სამზევოს რაზედ კმებიო.  
რა გაქვავ ცოდო-ნაქნარი, მე რად არ მეუბნებიო.  
ამბობენ ბეწვის ხიდასა, იმას რომ გადასცდებიო,  
ჯოჯოხეთში გადახედებიო. მადლი თუ გაქვავ ნაქნარი,  
მტრედვიით გადახტებიო.

### 356. სულეთში ღულელთშვილები

სულეთში ღულელთშვილები ჩივილით შამადიოდა:  
“მწარ არ გვიჭირეს ჯევსურთა, მარტოთა არ გადიოდა”.  
ღულელთშვილების ნაკოცი მკვდარი კლდეთ გადმადიოდა.  
ღულის ძირ წყალი დაგუბდა, ორწყალში აღარ დიოდა.

### 357. ნისლი ჰკრა, ბინდი დაეცა

ნისლი ჰკრა, ბინდი დაეცა მაღლა ქსილისის მთასაო,  
დადის, დაეძებს სიკვდილი თათარას, კაი ყმასაო.  
შიგნით უბია გუთანო, საკუთრეულად ხნავსაო.  
გაიგეს მანგლისელებმა, ვაჟკაცს სიკვდილი ჰკლავსაო.  
მანგლისის გზები შეუკრეს, აღარ უშვებენ მგზავრსაო.  
შირაქში შაატყობინეთ ივანეს, ჩემსა ძმასაო.  
გვერდს უზის ცოლი ლამაზი, გულზე აშლიდა თმასაო.  
აქაც მიყვარდი, პატრონო, მანდაც ვერა გთმობ მკვდარსა.  
თუ წახვალ, აღარ დაიშლი, არ ჩაგაყოლებ ჯავრსაო,  
ობლებსაც კარგად დაგიზრდი, არ დაგინებებ თავსაო.  
სამთავ გუყვიდი იარაღს, მტერს იმით მიცემე ზარსაო.  
მშვიდობით, ცოლო და შვილო, გელით შენდობის თქმასაო.

### 358. რა იცის წუთისოფელმა

რა იცის წუთისოფელმა შავეთს რა სამართალია?  
შავეთს ჯარი ჯნავს ცალარქა, ბარაქა მესტუმრისია.  
შენ რომ ქრთამს ეშურებოდი, მეც აღარ მოგიშალია;  
მოვიდეს წერამწერელნი, ჩვენ გვექონდა სამართალია;  
შუაზედ ბეწვი გაწყვიტეს, ეგ არი მაკრატელია;  
ვაი ამ ბეწვის ხიდზედა რა ძნელი გასავლელია!..  
ქვეშ შავი წყალი გამოდის, ზედ მაუგდია პერია;  
მაგ ჯოჯოხეთის კუთხესა რა ძნელი შესასვლელია!  
ცოდვიანს შეაბრუნებენ, გზად ნარ-ეკალი ჰფენია;  
შიგა დგა კუპრის ქვევრები, დულს და ამოდის ცხელია;  
გარშამო ეშმაკებ უდგა, ძირში ანთია გენია.  
კაცს კაცის მოღალატესა ჩაუყვეს ენის წვერია;  
მამამ შასჩივლა უფალსა, ეგ დიდის ცოდვის მქნელია;  
კელი ჰკრეს, ჩააგდეს შიგა, მანდა ხარ შესაფერია.  
თან ეშმაკ გადააყოლეს, რომელიც უფრო შტერია;  
კარგა შეექე, ეშმაკო, მაგისი სული შენია;  
მალ-მალ ჩაასხი პირშია ნადული კუპრი ცხელია;  
კაცისა მკვლელიც იქ არი, ნათლიის შემგმანელია.

### 359. შავეთს რა გვიჭირს უკლოთა

შავეთს რა გვიჭირს უკლოთა, წინ შუქი გვიდგა სანთლისა;  
თეთრის ტირიფის სახლ გვიდგა, შიგ კომლი ბრუნავს საკმლისა;  
სკამ გვიდგა სასვენებელი, კარ გვიბავ ცოდვა-მადლისა.  
წინ გვიდგა ოქროს ტაბაკი, სალაღებელით ბაღლისა;  
ზედა დგა ჭიქის ჭურჭლები, სავსე ნაკურთხის სასმლითა.  
გვერდით რომ წყარო ჩამოდის, პირის საბანი ქალ-რძლისა;  
გვერდით გვიბავის ცხენები, დაყაჯრულები, ლაგმითა;

თუ სად ვმა გატყდეს, იძახონ, იქ წავალთ ცხენით, საგზლითა;  
როდესაც დაგვიქროლებენ, იაქსარ უდგა ლახტითა.

### 360. თუ მკითხავთ, კიდევ გიამბობთ

თუ მკითხავთ, კიდევ გიამბობთ ოკრისას შავეთისასა.  
შავეთს დიდ-დიდებს რა უჭირს, ვად დედას ბალღებისასა!  
სახელს თავ-თავად იტყვიან პურისასა და წყლისასა.  
ვინც ბალღ ეჭირა დედასა, შადბიროდა სხვისაცა.  
ჩემნიმც დღენ დაადგებიან, ვინც ცოლს შაჰყვარდეს სხვისასა!  
ჯერ შავეთს დადწვენ, დადგვენ, მემრ ქაჯთ მისცემენ ზღვისასა.  
იქით თავს ველარ დაიკნის, ფულიც რო ედვას ქისასა.  
შიყრებიან უკლონი, ნახვას ნატრობენ მზისასა:  
მუკლებს ველარა კმარობენ, ნატკივნებს ლოდებისასა,  
ვერც თვალებს აჭრევიანებენ დათხრილებს გველებისასა.  
დედ-მამის ავად მამქცევი რისხვასა დგვანდა ხთისასა.  
მამქცევი ამოგემოდა წირვასა დჯობდა ღდლისასა.

### 361. ლექსს მიაც ვიტყვი

ლექსს მიაც ვიტყვი, ბიჭებო, ტირილ არ შამიკდებისა.  
საწყალი კევსურიშვილი როგორ უდროოდ კვდებისა.  
გზიდან მეორედ დაბრუნდა, სიკვდილ წინ შეყვებისა.  
იფიქრებს: “როგორ ვერ წავალ,” სიბრაზით წამადგებისა.  
წამადგა, მაგრამ დაეცა, ტანს ძალი აღარ ხყვებისა.  
დაჯდა, დაფიქრდა, ინატრა ამაშინ შველა დედისა.  
წამადგა გულჯავრიანი, გზას თაოდ გაუდგებისა,  
გაივლის, თანაც იფიქრებს: “სიცოცხლის წუთი ქრებისა”.

### 362. სულეთ შავიდა წიქაი

სულეთ შავიდა წიქაი, კელით შააღა კარია.  
სათავეს გადაიკდინეს, დაუდგეს ოქროს სკამია.  
სამლევიარო იძახეს, დაბლა დარეკეს ზარია.  
ჩუამ სიმღერა იძახა, მისცა ჩალხიამ ბანია.  
სახელად ჯალაბაური, ბაგრატიონის გვარია.

### 363. უსამართლო, სიკვდილო

უსამართლო, სიკვდილო, არ აიღებდი ქრთამსაო?  
თუ აიღებდი, მაგცემდი ტყავ-საღამოსა, რვალსაო,  
ცხენს შაგიკაზმებდ გიგვი, დაგიკიდებდა კმალსაო.

### 364. რჯული აქვს როშკისგორზედა

რჯული აქვს როშკისგორზედა, ყალივნიანებ ისხდესა.  
მეაც იქ დამიპატიჟეს: — ერთი-ორ სიტყვა თქვი, — მითხრესაც.

მე უნცროსებთან მეწადა, უფროსებმ არ გამიშვესა.  
მავლიეს ყალივნიანთა, სულეთში შამაჩინესა.  
ატირდეს ჩემ დედ-მამანი, — აქ საით მოხვედ? — მითხრესა.  
გვერდზე წყალ ჩამოდრიოდა, კელის ხილეულს რწყვიდესავ,  
ცოდვილ, საბრალო ყმაწვილსა სალაღებს უზიდიდესავ.

### 365. აღარც სიკვდილი მოვიდა

აღარც სიკვდილი მოვიდა თავისი ბასრის ცელითა.  
მანამა მყვანდა ცოლ-შვილი, არ გამოსულა ჩვენითა;  
სულ ერთ გორაზე მისვენავ ხუთ შვილი თავის დედითა.

### 366. ღმერთმა დაგწყევლოს, სიკვდილო

ღმერთმა დაგწყევლოს, სიკვდილო, დახვალ ეშმაკის გზაზედა.  
მეუკაცურე ყოფილხარ, ზიხარ უკაცურთ სკამზედა.  
მისვლით კი მიიპარები, კმასა სტეხ გამოსვლაზედა.  
ფეწშიშველაიმც დაგავდო მაღალ არხოტის თავზედა,  
ფეწთ მოგაზრობდა სიცივე, ჭარ გახყვებოდა ჯღანზედა.

### 367. ამბობენ, მაქართაშია

ამბობენ, მაქართაშია დგას დიდი ცოდვა-ბრაღია:  
შამოპარულა სიკვდილი, წელზე აქვ შავი კმაღია.  
ბეჩავნო მერებიანო, თქვენთვის წვიმს, სხვაგან დარია,  
ორი მოგიკლათ მემცხვარე, მესამე ნანეფარია.  
ვანომა ნახა სიზმარი: “შორსა ვარ წასასვლეღია,  
კელში მეჭირა სანთელი, გარს ევლო თეთრი ნავია.  
დედასაც დავემშვიდობე, ცოლმაც დამიკრა თავია.  
დასა უთხარით ფეფენას, ნურაფრისა გაქვ ჯავრია,  
დამილოცნია შენტვინა მშობლები, დედ-მამანია.  
გულზე შაიბი შანები, მამისგან ნაჩუქარია,  
შენაც არ მოგკლას სიკვდილმა, დედას დავხუროთ ცანია.”  
ვანო, ნათლიმამაო, გექნა სინათლის გზანია,  
ჩემი ნათქომი შაირი შენტვის ალაღიმც არია!

### 368. ტალაურმა თქვა

ტალაურმა თქვა: ნეტავი ჩემგანამც შაიძლებოდეს —  
წესი ამ წუთისოფლისა როგორმე შაიცვლებოდეს.  
დამეშრო ცოდვის მორევი, აღარვინ ატირდებოდეს,  
არ მოკვდებოდეს ჯეილი, მანამ არ დაბერდებოდეს.  
რო დედა შვილის კუბოსა გვერდზე არ დაუჯდებოდეს,  
თავის სილაღეს მიწაში თვალი არ ჩაუყვებოდეს.  
ცოდვაა, ახალგაზრდაის ცაზე ვარსკვლავი ჰქრებოდეს,  
ტიროდეს მთელი სოფელი, დედისერთაი კვდებოდეს.



### 369. ნეტავ არ ჩაედებოდეს

ნეტავ არ ჩაედებოდეს ფოლადის გული სხეულსა.  
მალე მოჰკლავდა სიკვდილი, არ დასტანჯავდა სნეულსა.  
მადლია ცივი სამარე, დაასვენებდა ეულსა,  
გაეშვებოდა პირიდან ამ წუთისოფელს წყეულსა,  
ათასნაირად მტანჯველსა, სიტკბო-სიმწარით რეულსა.  
ფლიდია წუთისოფელი, დაუგმავ ყველა გრძნეულსა.  
მიწაა ჩვენი მფარველი, დედას ვადარებ ხვეულსა,  
გულ-მკერდში ჩაკონებულსა, შვილზე კელგადახვეულსა.  
სუყველას გულში ჩაიკრავს — უვარგისსა და რჩეულსა,  
უაღერსოს და უღონოს, მკერდში სისხლგამოღეულსა.  
თუ საიქიო არ უჯობს ამ წუთისოფელს წყეულსა,  
ერთს მაინც ვისმე ნახავდით იქიდან გამოქცეულსა.

### 370. ეს ჩემი დარდი რა არი

ეს ჩემი დარდი რა არი, განა უძირო ზღვა არი,  
ზღვა თუ ილღვა კოვზითა, — დაუღვეველი რა არი?  
ჩემი ფიქრები რა არი, მიუწვდომელი ცა არი.  
გული მაქვს დაულაღავი, შიშით არ იცის, რა არი.  
ჩემი ცხოვრება რა არი, კლდიდან ნახსლვეტი ქვა არი  
ქონება არაფერია, მაგრამ სახელი სხვა არი.

### 371. ცეცხლი ვთქვი

ცეცხლი ვთქვი, პირი არ დამწვა — რად მაგდებთ ცეცხლის ალშია,  
მე ვთქვი და თქვენ ნუ მიიღებთ, რაც არ გიჯდებათ ჭკვამია;  
გულს რად მიხზვლეთავთ გველის ფხით, ან რად მისველებთ შხამშია?

### 372. საწყალო ბუნებიშვილო

საწყალო ბუნებიშვილო, მზიდველო მძიმე ტვირთისა,  
ცხოვრება ცვალებადია, ხომ ხედავ, როგორ მიდისა?!  
გაჩერდი, ის თუ გაჩერდა, გაიქეც, ის თუ მირბისა!  
ფიქრი მომავალ დღეებზე გულს მიღრღნის ათას რიგისა,  
ლამეს მივანდევ იღბალი და ტყეში ფოთოლთ ქვითინსა.  
რა სჯობს მკვცებთან ცხოვრებას, მწვანე ბალახის ბიბინსა,  
რომ ქვეყნად არვის ეკუთვნი, გარდა ცისა და მიწისა!  
შამშიზღდა, ხალხნო, ქვეყანა ძალღური, ძაღლის ჯიშისა.  
ვისაც ენდობი, არ გინდობს, მაჭმას გიპირობს ისიცა,  
არც სიყვარული არსებობს, ღვაგ ჩხრიალს მშრალი ქვიშისა.  
ყველა ყველაფერს კისრულობს, სირცხვილ აღარვინ იცისა.  
ნახავ ნამუსის გაყიდვას, ნახავ გატეხას ფიცისა.  
სჯობ, წყალმა ჩაჭრას ქვეყანა, დავრჩე მდინარის იქითა.

### 373. ბერიკაცსა და უღონოს

ბერიკაცსა და უღონოს მალე დაათრობს მაჭარი.  
გაყიდდი, სიჯეილეო, რო მოგიტანდეს ვაჭარი.  
ბევრია მაგის მუშტარი, მაგრამ გამყიდველ სად არი?!

### 374. გლოვნამც არ იყოს წესადა

გლოვნამც არ იყოს წესადა, არც ატკიება გულისა.  
წეს იყოს ჩასვლა-ამოსვლა შავეთში მოციქულისა,  
ამაიტანდა ამბავსა, თუ ყოფნა არის სულისა.

### 375. წუხელა ვნახე სიზმარი

წუხელა ვნახე სიზმარი: “ტირილ ჩამოდის ჩვენითა.  
შავეთში მიმამგზავრებენ ჩემის მიმინოს ცხენითა.  
ცხენის ტახტაზე მეკიდა ჩემზე მოჭრილი შენი თმა”.  
გული დამიკლა, დედაო, შავმა ბეჭედმა რქისამა,  
შავეთით გამოგზავნილმა შავგვრემანაის ყმისამა.

### 376. შავი წყალი მოდიოდა

*(ერთი ბიჭი ყოფილა ავადა და სიზმარი უნახავ იმ ბიჭსა.  
გამაელვიდა და დედას უამბო)*

— შავი წყალი მოდიოდა,  
დედავ, რა არიო?  
შიგ კიდობან მოგორავდა,  
დედავ, რა არიო?  
შიგ ლაინი მაიშლება,  
დედავ, რა არიო?  
შიგ ბატკანი მობლაოდა,  
დედავ, რა არიო?  
წინ თეთრწვერი კაც უძლოდა,  
დედავ, რა არიო?  
ეზოს ფური გამოყვირის,  
დედავ, რა არიო?  
მთას ირემი მოყვიროდა,  
დედავ, რა არიო?  
მინდორთ ტრედნი ღულუნებდნენ,  
დედავ, რა არიო?  
ლობეს ჩიტნი ჭიკჭიკებდნენ,  
დედავ, რა არიო?  
ალვისი ხე გადმოიქცა,  
დედავ, რა არიო?  
იმას ტოტები დაატყდა,

დედავ, რა არიო?  
— შავი წყალი — ჩვენი ცრემლი,  
ვად, შენ დედასაო!  
კიდობანი სამარეა,  
ვად, შენ დედასაო!  
ლაინი — გასახურავი,  
ვად, შენ დედასაო!  
ბატკანი — სულის საჯსარი,  
ვად, შენ დედასაო!  
თეთრწვერ კაცი ღვდელ იქნება,  
ვად, შენ დედასაო!  
მთას ირემი — მამაშენი,  
ვად, შენ დედასაო!  
ეზოს ფური — დედაშენი,  
ვად, შენ დედასაო!  
მინდორთ ტრედნი — შენი დები,  
ვად, შენ დედასაო!  
ღობეს ჩიტნი — შენ ცოლ-შვილნი,  
ვად, შენ დედასაო!  
ალვისი ხე შენ იქნები,  
ვად, შენ დედასაო!  
იმის ტოტები — შენ მკრები,  
ვად, შენ დედასაო!  
*და დალივა კიდევ სული...*

### 377. ბაშტით ჯარი გამოხყვირის

— ბაშტით ჯარი გამოხყვირის, იცი, ბიჭო, რა არის ის?  
შუით ფური გამოზრინავს, იცი, ბიჭო, რა არის ის?  
მთას ისრები გადადიან, იცი, ბიჭო, რა არის ის?  
ციხეს მტრედებ ღულუნებენ, იცი, ბიჭო, რა არის ის?  
ღობეს ჩიტებ ჭრიკჭრიკებენ, იცი, ბიჭო, რა არის ის?  
ჭალას ვოკობ ტრუზუნებდა, იცი, ბიჭო, რა არის ის?  
კიდობანი ჩამოგორავს, იცი, ბიჭო, რა არის ის?  
შიგ ქალადდებ იშლებოდა, იცი, ბიჭო, რა არის ის?  
— ბაშტით ჯარი გამოხყვირის — მამაჩემი იქნებაო;  
შუით ფური გამოზრინავს — დედაჩემი იქნებაო;  
მთას ისრები გადადიან — ძმებ ჩემები იქნებიან;  
ციხეს მტრედებ ღულუნებენ — დებ ჩემები იქნებიან;  
ღობეს ჩიტებ ჭრიკჭრიკებენ — შვილებ ჩემებ იქნებიან;  
ჭალას ვოკობ ტრუზუნებსო — ცოლი ჩემი იქნებაო;  
კიდობანი ჩამოგორავს — ჩემი კუბო იქნებაო;  
შიგ ქალადდებ გაიშლება — ჩემ სუდარა იქნებაო.

### **378. შენ თუშეთ წახვალ, გუგულო**

შენ თუშეთ წახვალ, გუგულო, ბზობასა დ' ხარებობასა.  
ნუ უთხრიდ ჩემსა დედასა — შენ შვილ მზეს ველარ ხედავსა.  
დაიყრის ვასა, ვაგლახსა, დაიხვევს მეზობლობასა.

### **379. ჩემ მტერსა, მათურელებო**

ჩემ მტერსა, მათურელებო, მე რო კი ვნახე სიზმარი,  
ჩემ წილ მზე-მთვარე დაბრძანდეს, უკუღმ ამოკედეს ცისკარი,  
ჩემ წუთისოფელ დაიქცა, კი თუ მამერგო ღვთის ვალი.

### **380. მოგვიკვდა უჯერებელი**

მოგვიკვდა უჯერებელი, დავკარგეთ უქშერებელი.  
თქვენ სხვა ვინ გაგიგონიათ უკვდავი, უბერებელი.  
ვუარეთ, ველარ ვუშველეთ, ჭირ შადხვდა უშველებელი.

### **381. ორშაბათ გათენებადა**

ორშაბათ გათენებადა ვასთავ, ვაბრუნებ ტარსაო.  
ეგრ ჩამოვყარე ცრემლები, როგორც ნისლები ნამსაო.  
როგორ მიკვირან ჯალაბნი ნეტარ ამბობენ რასაო?  
როგორ კარგია სიკვდილი, რო მიტირებდეს ქალსაო.  
დაქუჩდებოდეს ნარჩევნი, შამუავლებდი თვალსაო.  
ჩვენებურ ახალგაზრდანი მზესა ღგვან ამომხდარსაო.  
გამიკეთიდით კუბოი, მიწა არ იჭერს წყალსაო,  
არამც რა ლოდის ნაწური ჩამამივიდეს თვალთაო.  
გველიც საბუდრად გაილევს ქალის ყვითელსა თმასაო.  
ბევრა გვყოვ ცოდვის მათქვამი, სულეთ შაუკრავ გზასაო.  
საჯოჯოხეთოდ წავლალავ, შავთ მივაბარებ ზღვათაო.  
ჩემ ცოდვა საბოსლოია, ნეტა რას გიზამს კასაო.  
ჩვენჩი მასულო სტუმარო, დახოლ უხანოს ხანთაო  
რად დახოლ წარამარათა, რაად მილაღებ სხვათაო?!  
ავდგებ, მე გადავითხევი, ქალ არ გიბრუნებ თავსაო.



ზმით ნატირლები



## ხევსურული

### 382. შარმანაულო, შავარდენო

შარმანაულო შავარდენო,  
მთიბელნი გიხარიანლაეო.  
მთიბელ-მამკლისა სანაყროდაო  
დუმას ზისცვარში ხარშავლაეო.  
ბევრაის ჯიჰვის გამგორესაო,  
თოფსა ვირიმსა ზიდავლაეო.  
მტრისა ბევრაის გამჯავრესაო,  
წელზე ფრანგულსა იბამლაეო.  
სტუმრის ბევრისა მასახურსაო,  
ტყავსა ქემხითა ხკერავლაეო.  
ბევრაის მტრისა გამრიგესაო,  
ენასა ბჭეჩი ზიდავლაეო.

### 383. გუშინ გავიგით ჴევსურეთაო

*(ბერდია ციხკარაულზე)*

გუშინ გავიგით ჴევსურეთაო,  
ციხე ახიელ დაიშალაო —  
ციხეი ჯურჯიაულთაიო.  
კოჭლათ აღარ ხყავ ბერდიაიო,  
შაეჴსნა ჴმალთ თემ-სოფელსაო,  
მშვილდმა მიზანი ჩამოყარნაო.

### 384. შატლიონთამც ვენაცვლებიო

შატლიონთამც ვენაცვლებიო  
ომჩი მამვრალთა, სისხლით მთვრალთაო.  
არა იციან ფარ-დანანიო,  
უკიდავ აღი თოფის წვერსაო.  
კაცს რად გჭირდება შუაკაციო,

წიქათ ბეწიკა არ ხარაეო?  
გათქმული ჩაჩნის ბოლომდიაო.  
კაც თუ დაგჭირდა შუაკაციო,  
ჩვენს კარად გარმაიარიდიო,  
უფროსსა უძახიდი ჩვენსაო.

### 385. ადე, შე თათართ ჯავახაო

ადე, შე თათართ ჯავახაო,  
გამაიქეცი ხარათითაო.  
ზულაის წვერი გადიარეო,  
მდევართ ქვე რას მიღმეტდებოდო.  
დედისერთა ვარ, რად არ სთქვიდიო,  
დამჩებ დედაი ბებერაიო,  
გაკდებ თიაცათ საყვანელიო.  
ჯიკვო, სადგომით გადმოღვარდიო,  
ირემო, დაიჯეკენი რქანიო.  
გაგიხტათ ქორის წიწილაიო,  
წაგექცათ ოქროს აკავანიო.

### 386. სისხლი მავიდა გუდელასაო

სისხლი მავიდა გუდელასაო,  
მავიდა წყალი სისხლიანიო.  
ხალხმა ერცხვაი ინადირაო,  
დისწულ-დედიძმებ აირივაო.  
გულზე მასვლა ქვე რად გინდოდაო,  
შე ჩვენი ბერი ფურის ჯბოო.  
შენ რად მიქნევდი, ბიძაჩემოო,  
ბაღლმა მავის მეტ ვერ ვიცოდო.  
წადი დ' ეხლ დედას ახარიდიო,  
ბიძა გავწირე სისხლიანიო.  
დედა დაგიცხობს ლოცვის კვერთაო,  
დისწულს არ მახკვლენ დედისძმანიო,  
მოკლან და იქავ იტირებენო.

### 387. ოჩიაურნი ჩამოსეტყვნაო

ოჩიაურნი ჩამოსეტყვნაო,  
მეხ დახკრა ნინიაის სახლთაო;  
იწივლა გველმა ლიბუჩიაო,  
კეზ გატყდა, კერას გაერეკაო,  
ოროლნი გაიხვივნა ძმანიო,  
ორნივ გადასჩეს დედ-მამანიო,  
ტოტით მბღუნავნი ბებერანიო,



ცელები ჩამაყარნა ზვავმაო,  
ქვიშას მამჩლები ნამწრევეჩიაო.

**388. ადე, ვაჟკაცო, რაი ჰქენიო**

ადე, ვაჟკაცო, რაი ჰქენიო,  
ცისეო, რატომ დაიშალეო,  
კულაო, რატომ წაიქეციო.  
რას ფიქრობთ, ბუნღიაურებაო,  
მოდო და ნურცა გაუშვებთაო.  
ან თქვენ, შვილებო, რას იზამთაო?  
სიკვდილსა მიუტანოთ ქრთამიო.  
იქნება ისევ დაგვირჩასაო...

**389. გიტირებ, კაცო, არა გინდაო**

გიტირებ, კაცო, არა გინდაო,  
ჯალაფო კაის კაცისაო.  
კვერდიდო, ტაბლა შვენიერო,  
ბევრაის სტუმრის მასპინძელო.

**390. გამოვიარე როშკისგორიო**

გამოვიარე როშკისგორიო,  
როშკისგორ მიწა აინდგლიაო.  
ახალათ ბიძურაის შვილმაო  
წამასადგომად აიწიაო.  
ცისე დაგვექცა, დედროვანნო,  
ჩაწვა როსტომი მიწაჩიაო.

**391. დაი ენაცვალოს თავისაიო**

დაი ენაცვალოს თავისაიო  
მამესწვერასა მაწმაოელსაო;  
არ მისცა მზეი დათვისელსაო,  
საფქვავნი მთაში აზიდვნივანაო,  
წავიდა, იქაც დაუშალნაო.  
წყალი არ მისცა დათვისელმაო,  
წისქვილ არ გააბრუნებიაო.  
მამესწვერამა მაწმაოელმაო  
გაურჯულეები გაარჯულაო,  
ქაჩეს წისქვილი გააბრუნაო.

**392. გორგიო, დედა შაგენაცვლაო**

გორგიო, დედა შაგენაცვლაო,  
ბერის ჯიკვის რქათ გიგონ წვერნიო,

ბევრის დედა აატირეო,  
აეხლად ტირის დედაშენიო.  
გორგი, შენ ხარა უთურგათიო,  
იყავ არდოტის ერთკი მკარიო.  
შენ სიკვდილ ქისტებს გაუხარდაო,  
იყავ მითხოვლთ ნიავ-ღვარიო.

### 393. აგეთასამც კი ნუვინ ივდისო

*(ძმაზე ნატირალი დისავან)*

აგეთასამც კი ნუვინ ივდისო,  
მე რო ვიწადე ფარსმის თავაო,  
ძმას მივეყუდე ნატყვიარსაო,  
სიპრიელათა იღობებდაო.  
თავითი ყორნებ უგოგევდაო,  
თვალთად კი ვერა დაეწონაო,  
კელი ზდებიყვა დაშნაზედაო.

### 394. თვალჭრელო, ჩვენო აბულეთაო

*(მატილივნებზე ნატირალი მზექალუაისავან)*

თვალჭრელო, ჩვენო აბულეთაო,  
ნადირობ არ იყავიაეო,  
მაღალი წვერი არიშკისიო  
აღარცად მაიარიიაეო.  
ჭანთეთ არ ჩინდა ტერელოიო,  
თოფის წმა არ მადიოდაეო.  
იდუა არცად ომობდაეო,  
ხოლიგა არ იცინოდაეო.  
ყელჭრელი იდუაის თოფიო  
სულწუსად არ გადიოდაეო.

### 395. გამიცინებენ ლაღნი კაცნი

*(ცოლის ნატირალი ქმარზე)*

გამიცინებენ ლაღნი კაცნი,  
ყმაწვილ-ყმუწვილნი უმეცარნი —  
ქმარს ტირის ტოლათ შუქიაი,  
შვიდის კვირის ახალზალი.  
შენ წილ გაიყვეს, შე სამიწეო,  
შენ მოგარგინეს ახალ სახლიო  
ცეცხლდაუნთები, უმყოფლავიო.  
მე გეტყვი, ვერვის დაუწონაო,

შენ ცელსა აყენებენ დოღვსაო,  
შენ ჯარებს გაიყარეს წილიო.

**396. სულეთის ღმერთო მადლიანო**

*(გარსიათ ივანეზე ნატირალი მისი ცოლისაგან)*

სულეთის ღმერთო მადლიანო,  
მამე ნებაი საუბრისიო:  
გამამაცხადე სამზეოსაო,  
შენ ამადრაზე სამზეურთაო,  
ახლა ჭურჭელი მამეც კელთაო.  
ჯიჰვო, წაედი საწოლთკედაო,  
ვეფხვო, დახყარე საომარიო.  
ჩემო ოჟაო, გადამიშვიო,  
შამილის თავით გეხვეწებო,  
წილი გაგიწყდა, ბაბლიააო,  
ხმა გამიტეხე წყალსიქითაო.

**397. ეგ მინდა, დაი დაგენაცვლა**

*(დის ნატირალი ძმაზე)*

ეგ მინდა, დაი დაგენაცვლა,  
წიქავ, სისხლიან ტალავარსა.  
გეუბენ, გაუმთხილდი მტერსა,  
თორემ თოფს დაგკვრენ მესისხლენი.  
არ შაგიბრალებს ურჯუკაი  
მამკლავსა იმედაისასა.

**398. ტანიეს ამბავ გავიგონეო**

*(ბერდედას ნატირალი ბიძაშვილზე)*

ტანიეს ამბავ გავიგონეო,  
ციხემა ჩარდახ ჩამოყარნაო,  
მაუკლავ ოჩიაურიო.  
გამავრდი, შუქიაურთ ქალო,  
გაჯავრდი, გაიმაგრე გულიო.  
დაზარდენ ქორის ბაჯალანიო,  
წალალენ შურის საძებრადაო.

**399. რა ვქნა, დედანო, მატირალნო**

*(ნანუკას ნატირალი მამიდაშვილზე)*

რა ვქნა, დედანო, მატირალნო,  
რაჯლა ვიქჩერა სატირლადაო  
ეგ ცისკარაულთ ფალავანიო,  
ციხეი ახიელელთაიო,  
ციხე უდროოდ ჩამოშლილიო.  
ხანჯარო, შენამც აგაძრახაო,  
ხანჯარო ბერდიაისაო,  
მაგცამც პატრონის საქციელიო,  
ენამც ჩაგიდვა უენოსაო.  
გულს მოგდებ, ჩემო მამიდააო:  
წაოლ, უამბობ ნათელასაო,  
შინითაც გატიალებულსაო.  
ბერდოვ, დედიდა შაგენაცვლაო,  
ესაჩუს გადმიარიდიო,  
შინშ ბეწინტურიც მომგვარიდიო,  
გიჟმაჟ ბიჩინაგურაიაო,  
ჩემი მზე, ჩემი დამლუპავიო...  
შენ არაი გაქვს სახათრავიო,  
დისწული დედისძმათაიაო,  
სულის ღმერთს გამაეთხოვიდიო,  
წამამგვარიდი ბეწინწურიო,  
ბოთლანი შაუნახენ ჭრელნიო,  
ცხენი უკვებე ქერ-თივითაო.  
ლურჯამ დანაყა ნალ-უსმარნიო,  
ლურჯამ, პატრონის მადებარმაო.

**400. დედანო, რა ვქნა, ვერ ვიტირებო**

*(დის ნატირალი ძმაზე)*

დედანო, რა ვქნა, ვერ ვიტირებო,  
მიმძიმს ტირილი ერთის ძმისიო,  
ვერ ვქჩერობ დასატირებლადაო  
იმედსა ჩემსა ჩამოშლილსაო.  
და შაგენაცვლას გიორგისაო,  
ვაშკაცს სახელის მოყვარულსაო,  
მავალსა შურის საძებრადაო,  
ქისტების ტყვიით დახარჯულსაო.  
ძმობამ, ვერ გავსძლებ უშენოდაო,  
შენ ვერ გიგონებ სამარესაო,  
მზეს ვერ შავხენებ უშენოდაო,

მზეს — უშენობით დაჩრდილულსაო.  
შენ ცოლს ვერ ვიჭერ შინ წასულსაო,  
ქალსა — სიკეთით არჩეულსაო.  
დედას ვერ ვიჭერ გულ მტკივანსაო,  
მამას — ტარივით აბრუნვილსაო.

#### **401. ხომიზურაო, შაგენაცვლეო**

*(ხომიზურაზე ნატირალი ცოლისდისგან)*

ხომიზურაო, შაგენაცვლეო,  
მე იმას რაად მატყუებდიო,  
მაგიოლ გიორგიობასაო,  
მაგიტან ჯიკვის სატყავეთაო,  
შაგენანდა, ხომიზურის მზემაო,  
საკარის მაღალ შაჯდომაიო,  
არხოტიონთად მეტობაიო,  
კმლითა სანგალში გადასვლაიო.  
დამეწვნეს შენნი სიძობანიო,  
მემრ ჩემის ცოლისდაობანიო,  
თავჩიით ამამკვნიტენ თმანიო,  
ჩაისხენ ჯიბის მასრაჩიგაო.  
აეგრავ მია კუჭულანიო,  
მესხნიან სარტყლის უბეჩიაო.  
აის დრო არ გვერჩიყვისაეო,  
შატილ ვისხდიდით ციხის კარაო,  
ად-ჩადიოდის ხოყანაიო,  
არც კი ვის გადავხენიდითაო.

#### **402. სიძევ, გენაცვლოს ცოლისდაიო**

სიძევ, გენაცვლოს ცოლისდაიო,  
მაგვწონდი მაკეთეობითაო,  
კარგ იყავ სამაკეთეოდაო.  
გირჩიეთ ქალი ქალეებჩიაო,  
ხახონთ ლელაი პირლამაზიო.  
ლაშქარ მეტობა რად გინდოდაო,  
განა შენ ქალ-ზალ მადიოდაო.  
მიშველე, იმას ვინ გეძახდაო!..

#### **403. აბეჩავ, ჭოლიკაურთ ვეფხოვო**

*(სამძიმარის ნატირალი ჯღუნაზე)*

აბეჩავ, ჭოლიკაურთ ვეფხოვო,  
მორიალესა ღგვანდი მგელსაო,

მტრისაკენ დასატიებლადაო,  
მგორიალესა ღვგანდი ქვასაო,  
მთაშიგით ჭალას გავარდნილსაო.  
ეს ტახტიც რად არ გაიყოლეო,  
გვერდების მოსასვენებლადაო,  
ნაბადიც უნდა წამოგელაო,  
ავდარჩი დასაფარებლადაო,  
დვირბინიც უნდა წამოგელაო,  
ნადირთად გასახენებლადაო.

#### 404. დედა გენაცვლოს, დედის ქალაო

*(ნათელას ნატირალი მამაზე)*

დედა გენაცვლოს, დედის ქალაო,  
ახალ ტალავარ ჩაიცვიდიო,  
ე თმანი ხუთად დაიწნიდიო,  
სულეთ ბიბინით იარიდიო,  
ობლის ობოლი გაზარდიდიო,  
დედო, კალთაჩი ჩაისვიდიო,  
თოხოლჩათ ქალ ორ, იკვეხნიდიო.

#### 405. ვიტირებ, აგრემც გენაცვლებიო

*(თარუას ნატირალი ვიგიზე)*

ვიტირებ, აგრემც გენაცვლებიო,  
ღირხარ ვაშკაცი სატირლადაო,  
შურის საძებრად დამავალიო,  
არხოტის ჭალას დაზღეპილიო,  
ტყვისგან დანაგაბრებულიო.  
შენ დაალეგენ დედ-მამანიო,  
შენ დააოჭრენ სამნი დანიო.  
ეხლა მიზდიხარ სამუდმოდაო,  
მზე გიდგას უკენობისაიო,  
გჩება აბჯარი, იარალიო,  
დაგჩა შვინდაი უმკედროდაო,  
ცხენი დაგეძებს საოჭროიო,  
იკლებს სოფელსა ჭიხვინითაო.  
ცოლი შინ დაგჩა ახალზალიო,  
ცოლი, ნარჩევი სიკეთითაო,  
კარგის დედ-მამის გვარისაიო.

**406. გორგი შენა ხარ თველექათიო**

*(მზიას ნატირალი გორგიზე)*

გორგი შენა ხარ თველექათიო,  
მთანი მკოცელი ჯიკვებისაო,  
ჭალას მითხოველთ ვაჟებისაო.  
შენ შენ ფერნ გინდან მატირალნიო,  
შენის ვაჟობის დამფასავნიო.  
ბრალია მგელა არ მამიკვდასო,  
რო დასწვა მიწის ლოგინზედაო.

**407. ათათა, ბიჭო, ბალახაიო**

*(მზექალუასგან ნატირალი სამუკაზე)*

ათათა, ბიჭო, ბალახაიო,  
გამკვირებინარ სამუკაიო!  
იმით კი უფრო გამიტრელდიო,  
სკლატის ცმა არა იცოდიდიო,  
ლევა ჩოხაი ჩაიცივიდიო,  
გვერდზედა ქუდი გაიგდიდიო.  
ალაღებულსა ღგვანდი წყალსაო,  
ვერ გასავალსა ცხენისასაო,  
პირგამართულსა ღგვანდი თოფსაო,  
კმაძალიანსა სიათასაო.

**408. ჩემო მამაო, მამამთილო**

*(დანიშნული ქალის ნატირალი საქმროზე)*

ჩემო მამაო, მამათილო,  
ჩემი აქ მოსვლა რად გეწყინაო?  
შენ შვილს მიქებდეს სანეფოდაო,  
წამოვედ იმის საცნობლადაო.  
ეგ კარჩი აღარ გამოჩინდაო,  
აღარ იკადრა ჩემ ნახვანიო.  
დავსწყვივა, დედის ერთაიაო,  
თუ არა, მყოლებ დამიწბილაო.  
ჩოკა მოვართვი ორშიანიო,  
თათი, ბაჭიჭი ყაჭისაიო,  
არ იღებს, გაჯავრებულიაო.  
დღეს მოვედ, იქავ წაოლ ხვალაო,  
უკლო უკლოდავ გავბრუნდებიო.  
გვირგვინი მაშინ გამიშავაო,  
აეხლად მიწამ გააშავოსო.

**409. ლელაო, დედა შაგენაცვლაო**

*(ბერდედის ნატირალი შვილზე)*

ლელაო, დედა შაგენაცვლაო,  
გამწყრალი მიხოლ დედისაიო.  
შენმა მზემ, შენი სიკვდილითაო,

მე არას გამოვიღვე გონსაო,  
ვერ დამაცილებ გიგიასაო.

**410. გიტირებ, ლამიანის მზემაო**

გიტირებ, ლამიანის მზემაო,  
აგრე მიწასა გასარევაო.  
შენ შამაჩვენე სრუყველასაო,  
დიაცმა ქმარი დაგიტირეო,  
მავალი არიარეზედაო,  
ველზე მთენეო ღამეთაო,  
მლაკაო მთა-ლემადეთაო.  
გაუტეხელო რკინის კვერო,  
მავალო საურჯულოოსაო.  
ველ მაგიმართას მშვიდობითაო,  
წახვედ, მიუხოლ თავისებსაო,  
წერასამც მოხჭდი თათუასაო,  
ყალანსამც მოხჭდი მოკლიასაო.

**411. ფასიორათამც დაღლევს ღმერთიო**

ფასიორათამც დაღლევს ღმერთიო,  
მისცეს დვირბინი იმედასაო,  
აკუშოსღელეთ გამახენაო,  
იცნა მთიბელი მთიბლებჩიაო,  
ლეგოსანი წითლებჩიაო.  
მთიბელო, ჯვარის სათიბეთაო,  
თოფმა ბუჩამა ჩამოგზვივლნაო,  
დაგასრევივნა კაფიანიო,  
ნამკრევენი სისხლით დაგასვრივნაო,  
ნამკრევეთ სათავეს დაგჩა ცელიო,  
ნამკრევეთ ბოლოჩი სალესველიო.



## ფშაური

### 412. სიკვდილო, შვილი გაგიზარდე

სიკვდილო, შვილი გაგიზარდე,  
მე სხვა დედებს კი არა ვგეგვარ,  
ძალიან დაღონებული ვარ,  
სისხლის და ცრემლის ტბორში ვზივარ.  
აქამდე ბედნიერი ვიყავ,  
ესლა კი მწუხარების მზე ვარ,  
დაღონების მზე გადახრილი,  
გორს იქით გადაფარებული.  
ვაჰმე, სიკვდილო, რა ყოფილხარ,  
ხანჯრებით ჩამიკაფე გული.

### 413. სიცოცხლის ღირსი აღარა ვარ

სიცოცხლის ღირსი აღარა ვარ,  
მცხვენთან თვალთა გახილება.  
მე შვიდი შვილის დედა ვიყავ,  
ესლა არცერთი მებადება.  
ვერ გამიგავის, ვის დედა ვარ —  
სიკვდილისა თუ სიცოცხლისა?!  
დღესა და ღამეს ველარ ვარჩევ,  
ჩემთვის სუ არი უკუნეთი,  
ჩემთვის სუ არი ჯოჯოხეთი.

### 414. ხალხო, რად გიკვირთ

ხალხო, რად გიკვირთ, გიჟი რო ვარ,  
ანადა რო ვარ დაკელითი?  
შვილი დავკარგე ქვეყნის სწორი,  
სახე ცრემლით მაქვ დასეტყვილი.  
გმინვა ვარ გულის გამლენწავი,  
შავ შუაღამე გადასული,  
მე სუ უკუნეთ ღამედ ვივლი,  
გული მაქვ, გული დაგლეჯილი.  
სიკვდილო, თუკი ადვილი ხარ,  
ერთხელ შენ თავად რად არ მაჰკვდი,  
თოვლივით მზეზე რად არ დასდნი?  
წელან აქ ვინამ დამაყვედრა,  
სუყველა შენი ბრალი არი:  
სიცოცხლე თავად გააჩინე,  
სიკვდილიც შენივ შვილი არი.

**415. ნეტავი გაუმარჯვა ღმერთსა**

ნეტავი გაუმარჯვა ღმერთსა,  
შავეთსამც მისცა — შავეთს — კარი,  
რო შვილებისად თვალ დამეველო,  
ჩემ სანათაი როგორ არი.  
თამარ — ვერ გაიზრდებოდაა —  
გასათხოვარი ნეტარ ქალი?

**416. კოწიწათ ქალი არა ვარა**

კოწიწათ ქალი არა ვარა?!  
თავმწვეტი მწივან გველივითა.  
მე იმდენ ყისმათს რა მამცემდა,  
ორ-ორი ვაჟი მექორწილა,  
მეზიდნა საკვლევლეები,  
ჭრელ ფარდაგები მაქსოვინა;  
ორ-ორი დამრჩა ყდაზე ქსლები,  
ქსლები, რა ქსლები — ორშივნები;  
ბეჭ-სახეხელის გრიალშია  
ცის ქუხილ აღარ მამდიოდა.  
დედა ენაცვლოს ჩემ ქალებსა,  
ჩემ ნინოსა და მარიამსა,  
ვზივარ ორ კუბოს შუაშია,  
ორპირად მიწა მენგრეოდა.

**417. ნეტავი ღმერთსამც გაუმარჯვა**

ნეტავი ღმერთსამც გაუმარჯვა,  
ნანატრი ჩემიმც გამიცხადა,  
ჩემი თამარი გამიცოცხლა,  
გაცოცხლებული ვაჟიმც მიქნა,  
მთაში მთიბელში გამირია,  
ჭალაში ყანის მომკალშია,  
ქალს მე ქალობით არ გიტირებ,  
ქალი ხარ ვაჟებს მისათვლელი,  
ტვირთს ვაჟკაცურად აიკიდებ,  
ცულსაც ხეს დაჰკრავ ვაჟურადა.

**418. ღამეო, შენამც გენაცვლები**

ღამეო, შენამც გენაცვლები,  
შენაც ჩემ დარდი გაგიგავის;  
ძალიან ბევრი გიტირებავ,  
ვარსკვლავნი ცრემლად დაგიღვრავის.  
გათენებაო, შენც გენაცვლე,

შენც ჩემი დარდი გაგიგავის;  
მთის ყვავილებზე, ბალახებზე  
ცვარ-ნამის ცრემლი დაგიღვრავის...  
ჩემ შვილს რად უნდა სამოსელი?  
ჩოხა გახადეთ, გადააგდეთ.  
მიწის სამოსელ შაუკერეთ,  
სარჩულად მოთქმა დაუდევით,  
ცრემლები ღილად დაუკერეთ,  
სამარეს პირი გაუკერეთ  
ჩემი ცრემლების ძაფებითა,  
ხავერდოვანი ბალახითა.  
სამარევ, პირი დაიბანე  
მწუხარე დედის ცრემლებითა,  
მიწაო, შვილი შემინახე,  
შენ შემოგჩივი ვედრებითა.

#### **419. შენ სწორად ზეცა გატეხილა**

*(ჩვილის დატირება)*

შენ სწორად ზეცა გატეხილა, შვილო,  
ჩამუარდნილა, დაგცემია, შვილო,  
ატატაი გაგიკეთესა, შვილო,  
სიარულს თუ გასწავლიანა, შვილო?!

#### **420. დაღამებისა ოთხშაბათსა**

დაღამებისა ოთხშაბათსა  
შვილსა საკინძი გამაუბი,  
გავვზავნე სალხინებელჩია,  
პირსისხლიანი მამივიდა.

#### **421. ნათესავ-მოკეთენ მოგივიდენ**

ნათესავ-მოკეთენ მოგივიდენ,  
დედა-შვილობას, ამაჰხედენ...  
ვად, შენ დედასა და მიწის წვენი! —  
ვეღარ თუ წახვალ სათიბლადა...

#### **422. ო, რა ცოტახან გამალაღე**

ო, რა ცოტახან გამალაღე,  
სულ სანთელივით მინათებდი.  
შენ იყავ ჩემი მზის ნათელი,  
გამიქრი, დავრჩი ბნელაშია.

**423. დედა ენაცვლოს შენ სიყრმესა**

დედა ენაცვლოს შენ სიყრმესა,  
მაგ შენ განიერ მხარ-ბეჭებსა,  
შვილო, შენ გავლა-გამოვლასა,  
გაცინებასა პირისასა.  
შვილო, რა მიყავ, სად მიდიხარ,  
ბებო-პაპათ აქ რად მიწირავ?  
დალონდებიან საცოდავნი,  
უშენოდ ველარ გაიძლებენ.  
მე კი მზეს ველარ დავინახავ,  
ველარც გამუალ შინაითა.

**424. დედა გენაცვლოს, ჩემო ქალო**

დედა გენაცვლოს, ჩემო ქალო,  
დედის მემთეო, მებარეო.  
დედის მექსლეო, მეჯარეო,  
ცხვარი გიყვარდა სამზეოსა,  
საიქიოსამც მოგივალის  
თეთრ ბატკნიანი ბლავილითა.

**425. სიკვდილო, მოკალ მარჯეკალი**

სიკვდილო, მოკალ მარჯეკალი,  
ჩემი ხოშარას გამთხუები.  
წყალსა ვერა ვსვამ გუბისასა,  
წყაროსასა ვარ დაჩვეული;  
პურსა ვერა ვჭამ ქერისასა,  
წმინდისასა ვარ დაჩვეული;  
ბრაწზე ვერ ვაბამ აკავანსა,  
გაწყდება, გადამივარდება.  
მინამ მე მივალ საკრეფადა,  
უწინ ყორნები მიმასწრებენ.  
ვიგროვებ კაბის კალთაშია  
ტვინსა ჩემისა შვილისასა.

**426. სამთა ფრინველთა ჩამეერეს**

სამთა ფრინველთა ჩამეერეს,  
სამთავემ ფარსნიელაობით.  
ულვაშნი პირით გადმოჰქონდეს,  
მა ტერელოთა გუშინისა,  
ლაშქარს ნამყოფი ვაჟკაცისა.  
სუყველა პირშიშველა იყო,  
თუ იქნებოდა თორღვაისი,

თუ იქნებოდა ჩემ შვილისი.  
ბევრი ვეხვეწე, ვემუდარე,  
ულვაშნი აქ ჩამამიყარეთ,  
დედა ხვარ იცნობს, ვისნიაო,  
მაგრამ მე არა გამიგონეს.  
პირთავქვ წავიდნენ საოკრონი,  
ულვაშნიც გაიყოლეს თანა.

#### 427. სულნ დამეღალნენ, ჩემო შვილო

სულნ დამეღალნენ, ჩემო შვილო,  
მამაც დაბერდა ტკივილითა.  
რარიგ მწარეა გაზაფხული  
მწვანითა, ტყე-ველთ ბიბინითა,  
ოკრადა გდია გუთანიცა,  
კარებ დადიან ბუბუნითა.

#### 428. დაიცა, ცეცხლო, ნუ მედები

*(ბახანას მეუღლის ნატირალი)*

დაიცა, ცეცხლო, ნუ მედები,  
ვერ დაგიწვივარ და ვერც დამწოვ;  
დაიცა, გულო, ნურც შენ მებძვი,  
ვერ მოგიკლივარ და ვერც მამკლავ!  
სიკვდილო, ნურც შენ მოგწონ თავი,  
სირცხვილზე მეტი არც შენა ხარ...  
თქვენი ჭირიმეთ, ჩარგალელნო:  
დებო და ძმებო, ბიძებო,  
განა რო შამიფერა ღმერთმა,  
არ მაპატია, მაზღვეინა  
გადამდეგობა თემსოფლისა,  
გადამდეგობა თემთ პირისა!  
რას უშავებდა ეე ბალღი,  
აქ არ ვიყავა დამნაშავე?!  
რადარ დამთხარნა ორნივ თვალნი,  
რადარ დამიკმნა ორნივ ჳელნი...  
დედა მოგიკვდეს, მასონაო,  
აგალებინე ენა-ყბადა,  
წაგალებინე ქარსა დ' წყალსა!

#### 429. მინდვრის პატარა ბულულაო

მინდვრის პატარა ბულულაო,  
ფშავში ყვავილად ამოსულო,  
შე ცოტაის ხნის სიხარულო,

სიკვდილის ცელით მოთიბულო,  
სიცოცხლისაგან წილაყრილო.

**430. ობოლ-ოცრობით გაზრდილი ვარ**

ობოლ-ოცრობით გაზრდილი ვარ,  
მაღალსა ვეხვეწები ღმერთსა,  
ერთი მყავ შვილი, ნუ ჩამამყრი,  
ნულარ დამიღვევ წილ-ნაწილსა.  
ნუ გამამიჯრი სახლის კარსა,  
ნუ გამიოცრებ წილ-ნაწილსა.  
ნუ ჩამიჯანგავ ცელ-ნამგალსა,  
კელჩი ნაჭერსა შვილისასა;  
ნუ გამიოცრებ კარ-გუთანსა,  
ნულარ დამიღვევ წილ-ნაწილსა.

**431. მე ძმა გავგზავნე ტერელოსა**

მე ძმა გავგზავნე ტერელოსა,  
მე ძმა გავგზავნე ჯულურაი,  
თორმეტ მეომარს გავაყოლე,  
ტერელოთ სახელს მაიტანსო,  
ეხლა მესამე თვე შესრულდა,  
თეთრ საჩიქილე დავაბარე,  
საკაბე კიდევ — წითლიანი.  
გზათაკ თვალი მაქვ, არ გადმოჩნდა,  
ეხლა გადმოჩნდა დამამკვდარი,  
მაგრამ გადმოჩნდა ხისფეხითა.  
შავ საჩიქილე მაიტანა,  
საკაბე კიდევ — ჯიგრიანი.  
ვეღარც მარჯვენა მაიყოლა,  
ისიც ურჯულოთ მაუჭრავის,  
თავის ციხეზე დაუკრავის.

**432. დაიცა, მზეო, ნუ ბრძანდები**

დაიცა, მზეო, ნუ ბრძანდები,  
დაიცა, დღეო, ნუ ღამდები,  
და-ძმათ ბევრი გვაქ სასაუბრო.  
ელდიათ შვილო, ელიზბარო,  
ელდიანი ხარ, დაკელთილი,  
უკანაფშაველთ, დალეულთა,  
კელში როგორღა ჩაუვარდი.  
ნეტა რომელი უფრო სჭრიდა,  
ენა მტრისა თუ ხანჯარიო?

### 433. ჩემ სულაი და კურდღელაი

ჩემ სულაი და კურდღელაი  
ახუნს დავგზავნე სათიბლადა,  
ეხლა მესამე დღე გაუკდა,  
ნამკრევე არადამ დააჩინეს.  
არ ვიცი, რადრა მაუვიდა,  
არ ვიცი, ქარმა გადაჰკარგნა,  
ახუნი დახვდა ქარიანი.  
ან თუ ფშავლებმა დამიკოცეს,  
ფშავლები ღალატს უპირებდენ.  
ჩემ სულაი და კურდღელაი  
ჩარგლისკარს იყვნენ დაჯოცილნი.  
სისხლის მორევში მოდიოდეს  
ფშავლების კმლებით ჩაკაფულნი.

### 434. ქალმა ახუნსა შაუტირნა

ქალმა ახუნსა შაუტირნა,  
ქალმა, საყელო ცრემლიანმა:  
— ახუნო, რა ჰქენ ძმანი ჩემნი,  
ჩემ სულაი და კურდღელაი.  
ვად, თუ ფშავლებმა დამიკოცნეს,  
ფშავლებმა ღალატიანებმა!  
ჩარგლისკარს იყვნენ დაჯოცილნი,  
სისხლის მორევში ტრიალებდნენ.  
კელში ეჭირა თავის კმლები,  
ყორნებს ერთმანეთს უგერებდნენ;  
კელში ეჭირა ფარებიცა,  
ერთმანეთს მზესა უჩრდილავდნენ.  
რახან სულაი ცელს გამართავს,  
ბალახნი დაეღონებიან;  
რახან კურდღელა თოფს გამართავს,  
ნადირნი დაეღონებიან.

### 435. სიკვდილის ჯავრიმც ამამყარა

სიკვდილის ჯავრიმც ამამყარა,  
იმასამც მისცა ოროლი და,  
ორივ ერთურთზე უკეთესი.  
ორივ მოკლ-მოკლედ დაუწოცა,  
მე კი შორაით მაკვლეინა,  
გავიხარებდი მაშინისა.

**436. მაგრა ნუ დაჰკრავ, ჩემო ძმაო**

მაგრა ნუ დაჰკრავ, ჩემო ძმაო,  
აგრემც დადმარხავ თავის დასა,  
თორღ მათრაკი დაგიწყდება.  
ლაშარობას რო შაიყრებით,  
მაშინ სწორები დაგცინებენ —  
დაუწყდა, კმარობს ველარაო...

**437. ნეტავი, ძმაო ერეკლეო**

ნეტავი, ძმაო ერეკლეო,  
ერთა ქალაიმიც დაგრჩომიყო,  
ატირდებოდა, გზის პირია,  
მგზავრები, ავლილ-ჩავლილები, —  
სუყველა პურას მაუტეხდა.  
გაგებრდებოდა, ძმაილამა,  
ძმაო, მამგონე გექნებოდა,  
მამგონე, ძმაო, სამზეოსა,  
შვილი გეტყოდა შანდობასა.

**438. ე ნამგალ რადლა დაამზადე**

ე ნამგალ რადლა დაამზადე,  
ძმაო ბუთლაო, აბა, მითხარ,  
აგრემც ღვთისავარ გენაცვლება,  
ჯერ ხო ყანის მკან არ არიან.  
რძალო, სადა ხარ, მარიამო,  
ხაა, შე ვევედრაულთ ქალო?  
აბა, სათითენ სადლა ჰქონან,  
სახელეურე დ' სალესველი? —  
გამაუტანე სუყველაი,  
პურიც ჩაუდეგ გუდაშია.  
ბუთლა თუ სამკალს ემზადება,  
ეგებ მეც გამიყოლოს თანა,  
ძნიეებს მაინც შაუკონავ.  
ვად, შენ ღვთისავარსა, აგრიაა!  
რაად დაღუპე სახლი დ' კარი,  
რაად დაღუპე თავის ძმები?  
ვადმე, ენა-პირ არ მივარგა,  
შენთან საუბრით რა გამაძღებს.



**439. ცითამც მეს დასცა მათურელთა**

*(ცოლის ნატირალი)*

ცითამც მეს დასცა მათურელთა:  
პაპალიასა, ჯარიასა, —  
მაგათ მამიკლეს სარქიანი,  
მაგათ დამხურეს თავზე ცანი!  
მუშტით რას უქამ ურჯულთა,  
მუშტით ურჯულთ მეომარო.  
გაბრუნე — ველარ დაგაბრუნე,  
გაგები ჩოხის ბოლოზედა...  
მათურელთ ისიც მამიგონეს:  
“თეთრუამ ქმარი მოწამლაო”.  
არა ვარ შენი მოლალატე,  
ნუმც მილალატოს შენ მწერალმა.

**440. მიშველოს წმინდა გიორგიმაო**

მიშველოს წმინდა გიორგიმაო,  
იმ ჩემის მამის სალოცავმაო,  
დავდნები შენ წილ კერაზედაო,  
შენ სახლში არ გავაქრობ ცეცხლსაო,  
საყელს შიგნით შიბთ დავმაღავო,  
ჩამოვიფარებ ჩიქილასაო,  
მოვკვდები შენის გულისადაო,  
არ გილალატებ არასდროსაო.

**441. ადე, თავმკვდარო, რას უწევხარ**

ადე, თავმკვდარო, რას უწევხარ,  
რა ვუყვა მე შენ ჭირნახულსა,  
სუ არიარე მოფანტულსა.  
ანდა რა ვუყვა შენ კარებსა,  
კარში მოვწირავ, დასჭამს მგელი,  
შინ შავყრი — წყალში დაირჩვება,  
ბანზეით ჩამონადენშია.  
სად არი ჩემი დიდ კარები,  
ობოლ-ქვრივთ ნახვას ნაჩვევები.

**442. იყვეს სირცხვილი, თუ იქნება**

*(დანიშნულის ნატირალი)*

იყვეს სირცხვილი თუ იქნება,  
იცინოს, ვინაც გაიცინებს.

ეს დედამიწაც მაგარია,  
ცაც მაღალია, ხალხო, ჩემდა!  
მოიდა მზე და მუელ მეცა,  
დედაო, განა დედამთილო,  
შვილს უთხარ, კარჩი გამოიდეს,  
თორო შავარცხვენ, შავალ შინა.  
შენ თავს მიქებდენ, ახალგაზრდავ,  
ყვარას ადგილად მიწუნებდენ.  
მე კი შენ არას მამეწონე,  
ადგილ ძალიან მამეწონა.  
მე იმდენ ყისმათს რა მამცემდა,  
შენი ჯალაფი გავმხადრიყავ.  
ბარში დამემკო მამულები,  
მთაში წილობა გამეთიბა.  
დაგითხუებდი ლამაზ დებსა,  
დაგიმარხავდი დედ-მამასა.  
ბატარძალს თეთრი კაბა უნდა,  
მე რად ჩამაცვი ეს შავები?!  
გაურჯულებელ გავარჯულე,  
უნეფოდ მუედ ბატარძალი.  
ბატარძალს სიცილ მაუკდება,  
მე კი რად მუედ ტირილითა?!  
ავდგები, წავალ ისევ შინა,  
ნახეთ, სიმწარე როგორია!

#### 443. ნეტარ მეც კი თუ აგძრახდებით

ნეტარ მეც კი თუ აგძრახდებით,  
ჯალაფნო ჩემნო, უცნაურნო,  
აბა, რა ვიცი, სადა მყვანდით,  
ერთხელ როგორ ვერ მამიხვედით,  
კი მაინც გამეცნობინენით.  
ახლა მითხრიან, ვადმე, სხვათა:  
ქალო, სუყველა გაგითავდა...  
ხუთ-ხუთ მულ-მაზლი, ვერ ვიუბნებ,  
მეექვსე არი დედამთილი.  
შენზედ მამიდის, ბიჭო, თვალი,  
დედისერთაო, შე ერთაო.  
იმთვნადამც დაეცადა ღმერთსა,  
დაექორწილე დედ-მამათა.  
ნეტავი ფეკზე დაგაყენა,  
ე ცხენ კოხტიმც შავიკმაზა,  
ხურჯინიმც აგიკიდა ზედა.  
შენც ქამარ-ხანჯარ შემოგარტყა,  
ისე გაგმართა სამგზავროსა,

ვიტყოდი: — ჩემი მაზლი არი,  
რარიგ თავ მამეწონებოდა.

#### 444. ეგეთ კი არვის რა უნახავ

ეგეთ კი არვის რა უნახავ,  
ერთ რო მე ვნახე, ბეყოს ქალმა:  
წითელი გველი წოლილიყო  
ლამაზი ვაჟის საფლავზედა.  
ფეკი ამოვკარ, გადავაგდე,  
ისევ დამიძვრა ძვალეებშია.

#### 445. ბუნების ძალავ, დალოცვილო

ბუნების ძალავ, დალოცვილო,  
იმ ჩარგლელ ვაჟებს გადახედე,  
ჩარგლელებს, ჩარგლით წასულებსა —  
დედებს მშვიდობით მაულაღე,  
დედებსა დაღონებულებსა.  
ვაჰმე, ნუ გახდი, დალოცვილო,  
ველზე ყვავ-ყორანთ საჭმელადა;  
ეგებ დაბრუნდნენ მშვიდობითა,  
თავის ოჯახებს მაჰპატრონდნენ,  
ოჯახებს დაღონებულებსა.  
დაულადება დუშმანიცა,  
დაუთხოვდება ცოლებიცა,  
აუტირდება ობლებიცა;  
ნეტარ რას იქამთ, ბეჩავებო,  
შავეთში გასაოჯრებშია,  
დედები გულით გიტირებენ,  
ცოლები კიდევ გულგარეთა.

#### 446. არ გვიღალატოს მაღალ ღმერთმაო

*(ოთხი ძმა ბაჩლელის დატირება)*

არ გვიღალატოს მაღალ ღმერთმაო,  
გვიშველოს ყვარის ღვთისმშობელმაო,  
თითო მარჯილში ორ მკვდარიაო,  
გაგვანადგურა, ხალხო, მტერმაო;  
ყურებიც აქვთო დაჭრილებიო;  
ამათ აღარც რა შაუძლიათო,  
გვიშველეთ რამეო, შამბრალენო,  
ორ მარჯილიაო, ოთხ-ოთხ მკვდარი,  
აქ ჩვენ მეშველიც აღარ არიო.

**447. ნეტავი ლოგინ შაგვიცვალა**

*(მარტოხელა მოხუცი ქალი ვაჟს)*

ნეტავი ლოგინ შაგვიცვალა,  
მე შენ მაგივრად მოვკვდებოდი,  
რა ჯალაფუნ დამიღონდებოდნენ,  
რა ობლებ ამიტირდებოდნენ.

**448. სახლიც ტირის და კარიც ტირის**

სახლიც ტირის და კარიც ტირის,  
სანაპირონი ჩამოდიან.  
წვიმათოდენი ცრემლი გინდა,  
ფოთოლთოდენი მოტირალნი.

**449. ჩათაღო, კულულაღათ შვილო**

ჩათაღო, კულულაღათ შვილო,  
ადგილის წილით გამოსულო,  
შე სახლის წილით გამოსულო,  
აიმას არ მეუბნებოდი —  
რო ოროლ ჩოხა მამიქსოვე,  
ორივ ზედიზედ ჩავიცვაო;  
ოროლ ახალოხ შამიკერე,  
ორივ ზედიზედ ჩავიცვაო;  
მე კი შენ ნათქომ შავასრულე,  
ჯანაბას წადი, თუ არ მოხვალ.

**450. შენ, ჩემის მამის სალოცავო**

შენ, ჩემის მამის სალოცავო,  
ლაღო, ლამაზო, იაკსარო,  
მარჯვნის მკრით ჩაჰყევ ჩვენ მიხასა,  
ეგებ რო წყალში არ ჩააგდო.  
ღმერთო, უშველე, დალოცვილო,  
ნუ გაუოჯრებ სახლსა დ' კარსა.  
უშველე თავის სალოცავო,  
ნუ გაუოჯრებ ცხვარ-ბინასა.  
თქვენაც უშველეთ, სულწმინდანო,  
ნუ დაუქვრივებთ ლამაზ ცოლსა.  
ცხენას კი აღარ ავაკსენებ,  
გაუშვით, კლდეზე დაილიოს!  
ცხენია შენი მოლალატე,  
წყალში როგორ არ გაგიყვანა!

**451. ქეთო, რა გიქნავ, ქალო, ესა**

ქეთო, რა გიქნავ, ქალო, ესა,  
რად დაალონე დედაშენი?  
შენ ჰელით ოქრო იწურება  
და შენ მიწაში ვინ გიგულებს!  
კუბოს ფიცრებო, გეხვეწებით,  
გადაიქცენით ქვა-რკინადა,  
ქეთოს მიწა გულს დაეყრება,  
ამას მიწის გულ არაი აქვ.

**452. აბა, ივანე, მითხარ, ბიჭო**

აბა, ივანე, მითხარ, ბიჭო,  
ე ბაღლ როდის გაზარდეთ იმოდენი,  
რო თავის წილ-ადგილ მაიკითხა?!

**453. აბა, მიწის ხალხნო, როგორა ხართ**

აბა, მიწის ხალხნო, როგორა ხართ?  
პატარა სტუმარ მოგიყვანეთ,  
თქვენ იცით, კარგად მაუარეთ.  
დედის ძუძუსაც ჩაგაყოლებთ,  
ზამთარია და შაგცივდება.  
წამლებსაც ბევრსა ჩაგაყოლებთ,  
ავადმყოფს გულიც აგტკივდება.

**454. დაიცა, მზეო, არ დაბრძანდე**

*(ვაჟა-ფშაველას დატირება)*

დაიცა, მზეო, არ დაბრძანდე,  
ღამით მე ვერას გავარიგებ.  
ვინა თქვა, ვაჟა აღარა გვყავს,  
ცა-დედამიწამც დაქცეულა.  
უღირსნი დარჩნენ სამზეოსა,  
ვაჟკაცნი მიწამ უნდა ჭამოს.  
შენ იყავ ქვეყნის თანასწორი,  
მზე-მთვარესავით მოსდიოდი  
ბეჩავთ, ქვრივ-ობოლთ შველისადა.  
ღმერთმა გიმრავლოს ე საყოლი.  
მზეო, დაიცა, არ დაბრძანდე,  
იქნება ლუკა გაგვიცოცხლდეს,  
იმ ქვეყნის სწორმა გაგვახაროს,  
ხალხინოდ გახდეს სატირელი.

**455. თათარავ, მამკლავს არ დაგიწყევ**

თათარავ, მამკლავს არ დაგიწყევ,  
შენი მამკლავი ნუმც მოკვდება,  
სუ ცა და მზესამც გააკმება,  
ბევრსამც ისეთას შავსწრობა,  
რასაც შავსწვრა დედაშენი...

**456. სიკვდილს ვენაცვლე, რა ყინჩია**

სიკვდილს ვენაცვლე, რა ყინჩია! —  
გამაგებინა ხვთისოს ფასი,  
აქამდე არცრად არ გამაჩნდა,  
ეხლა იმის დარ არვინ არი...

**457. ბუნების ძალავ, დალოცვილო**

ბუნების ძალავ, დალოცვილო,  
გამჩენო სიკვდილ-სიცოცხლისა,  
ცაზე დამფენო მზე-მთვარისა,  
ცაზე დამსხმელო მასკვლავისა,  
თუკი გვაჩუქე ე ქალაი,  
რად არ დიდი დღე დაუწესე,  
რაად მასწყვიტე სამზეოსა?!

**458. აგრემც შავრჩება ერთაი ძმა**

აგრემც შავრჩება ერთაი ძმა,  
აგრემც მტრის ტყვია ნუ მოგიკლავს;  
აგრემც შავრჩება ე ქალაი,  
შენ ჩაგაბარებ იოსებსა,  
ვერავის იცნობს შენის მეტსა.  
შააპატიუნე პური, წყალი,  
ეგება ჩათქას ორივეო.  
კიოთ მაურჩა, ქალო, ყელი,  
კიოთ შეეძლო პურის ჭამა.

**459. არ ვიყავ, არა, მოლაღური**

არ ვიყავ, არა, მოლაღური,  
ნათელო, შენის ბაბალესი,  
არ მოიტანე სილაღითა,  
არა, ის პატრონ გათაული!

**460. ჩემო თიკანო, ჩემ მძახალო**

ჩემო თიკანო, ჩემ მძახალო,  
შეგვხვეწები ერთს რასამა:

ქალა რო ნახო პატარაი,  
შამახვეწოდი დედამთილსა, —  
ეგება კარგა მაუაროს,  
აე, ბაბალეს გულისადა.  
ეგებ შასხვიოს პურსა, წყალსა,  
ეგებ შიმშილით არ მაუკლა.

#### **461. შენი ჭირიმე, შენ გენაცვლე**

შენი ჭირიმე, შენ გენაცვლე,  
აგრემც შენ სულ-ხორცს ვენაცვლები,  
ხვარ ვინ მოვიდნენ გომეწრითა  
წითლისა, თეთრის ცხენებითა.  
აქაოთ არის ჩვენ გიჟაი,  
შავგვრემანაი, ჯაღალაი.  
ნუ ეტყვი ჩემსა აქ ყოფნასა,  
თორღ ძალიან ეწყინება.  
სუ ცდითა გკითხავს ჩემს ამბავსა,  
ეგრე იცოდის საუბარი.

#### **462. ვაჟუნავ, ხახათ ვაჟუნაო**

ვაჟუნავ, ხახათ ვაჟუნაო,  
ვარსკვლავო, ცაზე მოარულო,  
ჩამოვარდნილო, დაკარგულო;  
ბიჭო, რა იქენ, სად რა წახვედ,  
ბეჭებ სად დასხენ ლომისანი,  
კბილნ სად დაჰყარენ ბროლისანი?

#### **463. მაჰკვდი, ბეჩავოიერემო**

მაჰკვდი, ბეჩავოიერემო,  
დასდევა სიღარიბის ჯოხი?  
მიწანიმც დაილოცებიან —  
შიშველნი მოგიმაღნა ხორცნი.

#### **464. დღეს ოთხშაბათი დაღამდება**

დღეს ოთხშაბათი დაღამდება,  
ხვალ ხუთშაბათი გათენდება.  
სამღთო ექნება ჭამაურთა,  
დაგპატიჯებენ, დაგვრენ თოფსა.  
ლოგინზე წოლა არ გიხდება,  
უნდა სტუმრებსა მასპინძლობდე,  
კელში გეჭიროს კელადაი,  
დიდიდ სასმისებს კითხულობდე.  
გიჯავრდებოდე დამეხილი —

დიდიდ სასმისებ რად გინდაო?  
მეხარბებოდა ყველა შენდა,  
ეხლა აღარა მეხარბება,  
ქარმა წაიღოს ყველა, წყალმა.

#### 465. მე დღესა გნახე პირველადა

მე დღესა გნახე პირველადა,  
ბიჭო, დედ-მამის დამღონეო,  
ყვავილო გაზაფხულისაო,  
უდროოდ ჩაყვავილებულო,  
მიწას ყვავილივით მოწყვეტილო,  
ყვავილივით მოშორებულო;  
წყალში შესულო სიმღერითა,  
იქიდან მარცხით გამოსულო,  
დამთხრელო დედის თვალებისა,  
მომჰსნელო მამის ბეჭებისა.  
დედის შავებით შამმოსველო,  
ძმისად მომტეხო მკარისაო,  
ოჯახის ამწიოკებელო...  
ბიჭო, გაქებენ ძალიანა,  
არა ჰყოფილხარ საქებელი.  
სიკვდილო, მეხიმც დაგეყრება,  
შენც კარგ გინდარის, შე წყეულო.  
რარიგ ახალგაზრდებს წაიყვან,  
ზედ არ შეხედნებ ჩემფერასა.  
ნეტაი მიწას მიმაბარა,  
მე აღარა ვარ სასიცოცხლო.  
ადე, ადგილი გამიცვალე,  
შენ შენ დედ-მამას დაუბრუნდი,  
მაგრამ ჩემ სიტყვა შენ არ მოგდის.  
მტერ ადგეს, როგორც შენ ასდგები.  
ამის მეტს აღარ შეგაწუხებ,  
წადი, იარე მშვიდობითა,  
სავალნი გზანიმც აგიყოვდებიან,  
ცრემლ წყაროს წყლადამც მოგექცევა,  
ტანთ ნაცვამ შავებ ჩრდილებადა,  
მშვიდობით იყავ, მშვიდობითა.

#### 466. შენ თავს მირჩვენავ მენ ე ხვთისო

*(მოტირალთა გასაუბრება)*

და:

შენ თავს მირჩვენავ მენ ე ხვთისო,  
თუნდა გეწყინოს, და დამარხე.



დედა:

თუ ძმას გირჩევნავ თავის ქმარი,  
შავნა გვირგვინსამც დაიხურავ!

#### 467. მიშველე, ჩემო გიგათ ქალო

— მიშველე, ჩემო გიგათ ქალო,  
ნეტარ ვეღარას მიშველაო?  
მე ოროლი ძმა გავისტუმრე,  
სამ-სამი შვილი ერთ წელშია.  
— შენ ვერას გიშველს გიგათ ქალი,  
თვითონაც უჭირს გიგათ ქალსა.  
თორმეტი შვილის გამზრდელი ვარ,  
თერთმეტი შვილის დამმარხავი.  
მეთორმეტე და მეცამეტე  
უფროსი ძმა და იმის შვილი,  
მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე  
დედამთილი და მამამთილი  
სამ წელში მიწას მივაბარე.  
მე ისევ დავალ სამზეოსა,  
როგორც რო უფერული ჩრდილი.  
თვალებში ცრემლი ამამიშრა  
და ეხლა უცრემლოდღა ვტირი.

#### 468. ფშავიდან ღრუბელნ გაიკრიფნეს

ფშავიდან ღრუბელნ გაიკრიფნეს,  
ლეკის მთას შავროვდებიანო.  
ფალავანია ჩემ ბერიძე,  
ცა-ღრუბელთია მეომარი.

#### 469. აღარც ვაჭსენებ კარატესა

*(ხვთისო ბადრიშვილზე ნატირალი)*

აღარც ვაჭსენებ კარატესა,  
აღარც ვადიდებ იაჭსარსა,  
რად არ გიშველა, ხვთისოვ, რაი,  
რადარ უკვენავ გააბრუნა  
ი ელვა, შენკე წამოსული...  
მეხი რად დასცა შუაფხოსა!..

**470. ჳევსურას შვილსა არ ვეძახდი**

ჳევსურას შვილსა არ ვეძახდი,  
სხვაგანა მყვანდა “გაყიდული”,  
სიკვდილმა მაინც მამიკელა,  
აღბათ, გულში თუ ვთავისობდი!

**471. შენ მამკლავს ცოცხალს არ ვავლევდი**

შენ მამკლავს ცოცხალს არ ვავლევდი,  
ხეს რო მეეკალ, ხეს დავწოვდი,  
ქვას კი რა ვუყვა, ხო ვერ დავტენ,  
დავტენო — უფრო გაბევრდება!

**472. მამიკვდი განა, ძმავ ივანე**

მამიკვდი განა, ძმავ ივანე,  
მამტეხე განა მარჯვენაი?!  
ცაზე დაობლდნენ მზე-მთვარენი,  
დედამიწაზე დაშრა წყალი.  
მამწყინდა, ძმაო, უშენოდა  
ლაშქარ-ველობას სიარული...  
შავეთის კარი გამილოდი,  
უკვენ არავინ დამაბრუნოს!  
შენთან მინდარის საუბარი...  
მტერსამც მაეკალ ბარევალა,  
რომ მალე გამოგიგზავნიდი.  
ვაი, რო სიკვდილს არა ეზმის,  
უჩინმაჩინით მოარულსა...

**473. უბისთავს შავხვდი შენ მამკვლავსა**

უბისთავს შავხვდი შენ მამკვლავსა,  
დალისტნის გზანი გავასწავლენ,  
რადარ ვიცოდი, იათამზევ,  
თუ უბეს ესხნეს ჳელნი შენნი!

**474. ოცდათორმეტი ჯალაფისაო**

ოცდათორმეტი ჯალაფისაო  
დარჩა ყმაწვილი აკვანშიაო.  
მამის მამული ასწავლოდითო,  
თუ იქნა უშიშარის ფერიო.

## თუშური

### 475. დალაობა

*(მიცვალებულის გლოვა თუშებში)*

დალა თქვით, დალაი, მკედრებო!  
დალაი, დალაი,  
ძნელი არს დალაობაი,  
დალაი, დალაი...  
ბრალი ხარ (სახელი),  
შენი ულაშქროდ სიკვდილი, დალაი...  
ჩვენ ნურვის შევატყობინებთ  
ლომის ერეკლეს სიკვდილსა, დალაი...  
იარ, არ წამოხვიდოდე  
მაგ შენის წითლის ცხენითა, დალაი...  
ლაშქარს გიკითხვენ სწორები,  
წინ აღარ გაუძღვებია, დალაი...  
მტერთან კმალამოღებულო,  
სწორში თავგამოდებულო, დალაი...  
სულ მამა-პაპის დროიდან  
მტრისათვის რისხვის მიმცემო, დალაი...  
ჭკვიანო, საქციელიანო,  
გამჭრეო, მოსამართლეო, დალაი...  
იმედო თავის ქვეყნისა,  
გამრიგევ თუშეთისაო, დალაი...  
კარზე გიდგენან სტუმრები,  
შინამ არ შეუძღვებია, დალაი...  
ვაჟი ხარ სახელიანი,  
კარგამ არ დაუხვდებია, დალაი...  
სტუმართა დღეო მზიანო,  
პირწყალო თუშეთისაო, დალაი...  
შენი დედაი ბეჩავი  
სანთლებურ ჩამოდნებაო, დალაი...  
ეგ შენი ცოლი ბეჩავი  
სუროსვით ექანებაო, დალაი...  
ეგ შენი ნაცომ-ნამოსნი  
დარბაზს არ იცვითებოდეს, დალაი...  
შენი ცხენი და აბჯარი  
უდროოდ იხარჯებოდეს, დალაი...  
შენი ნაწოლი ლოგინი  
ია-ვარდივით ჭკნებოდეს, დალაი...  
შენი წვერი და ულვაში  
მწვანილად ამოდიოდეს, დალაი...  
ნეტავ შენ, საიქიოსა

შიგ შეხვალ მტრედის ფერადო, დალაი...  
სულეთს გიდგენან კოდები,  
გადმომდინარე პირითა, დალაი...  
სუფრა გიდგ გარიგებული,  
გაკვეთებული თეთრითა, დალაი...  
ზედ გიდგან მეღვინეები  
ხუცითა, დიაკვნებითა, დალაი...  
ამოიღებენ, დალევვენ  
ვერცხლისი ვეშრაპებითა, დალაი...  
შენდობა (სახელი),  
ღმერთმა გაცხონოს სულითა, დალაი...  
დალაი, დალაი, დალაი...

#### 476. იარ, შვილ, იარე

იარ, შვილ, იარე, თვარ დაგილამდებავ,  
გზა შორს იტყვიანავ იმ სულეთისასავ,  
ხარივ ცუტუნაყივ დაგეშინებისავ,  
სახლსაც გიგგებენავ უკარ-უსარკმლოსავ,  
დაგაშინებენავ მიწისფერდებულნივ,  
დედოვ, — იძახება დ' ველარ გაცგონებავ.

#### 477. დედას იკვლევავ

დედას იკვლევავ, შვილო, შენ დედასავ,  
სიამ დაზდიხარივ დედის მკვლევარეივ,  
ვისამ შეეყუდებივ დედა გონებითავ.  
ვისამ აფეთებავ პატარა თვალებსავ,  
ვისამ შეხედავავ, დედა მოგიკვდესა.

#### 478. დედა მოგიკვდესთავ, ჩემებოვ შვილებოვ

დედა მოგიკვდესთავ, ჩემებოვ შვილებოვ,  
ბევრნო დ' უდერანოვ, სი წამიხვედითავ?  
სი დამეკარგენთავ, ჩემებოვ ქალებოვ,  
დაჯარაყებულნო აღმის კეობასავ.  
ჩემებ სიძეებოვ, კარგაყებ კაცებოვ,  
რად არ მიკითხავთავ, მიწა დამენატრავ.

#### 479. დედა მოგკვდესთავ, ჩემოვ იაკობოვ

დედა მოგკვდესთავ, ჩემოვ იაკობოვ,  
დესეწ დართლოთავ, ცოდვით სამსვიაივ, —  
ძვალეივ რიყედ ხყრიავ, ულვაშ-მწვანილადავ.

**480. დახლ მოგიდიანავ ელესანაეებივ**

დახლ მოგიდიანავ ელესანაეებივ,  
შავნაბდიანებივ, ალუდის სტუმრებივ.  
კოზებს იქნევენავ კმლების მაგიერავ,  
ლუკმებს ისვრიანავ ტყვიის მაგიერავ.  
იმაშ სიდ იყვნესავ, შენ როცა გიჭირდავ,  
რად არ გიშველესავ, რკალში რო ღბრუნევდევ.

**481. დედა მოგიკვდესავ, ჩემ ადალ, დედაივ**

დედა მოგიკვდესავ, ჩემ ადალ, დედაივ,  
შენ ველარ გადიგვლივ ლაროვნის ღელესავ,  
სტუმრად ველარ წახვალ დანოს დაოსთანავ.

**482. ტირილ რამ მასწავლავ**

ტირილ რამ მასწავლავ — ჯალაფთ გაწყვეტამავ,  
წარამარადაევ მე იმათ კოცვამავ.  
ერთმავ თავ მომიკლავ, ერთ ცხვარში მომიკვდავ,  
ორივევ სამ თვესავ.  
ერთ კიდენ დამრჩავ, — სამხედრომ წამართვავ.  
სახლ-კარ დაგვეკეტავ, შინ აღარავინ დაგვრჩავ.

**483. შვილო, რად ვირჩიევ თქვენი დაზარდაივ**

შვილო, რად ვირჩიევ თქვენი დაზარდაივ,  
წყალ რად არ დავასხვივ ობლების კერასავ,  
წყალს რად არ გავხყევივ დანოს ძირითასავ,  
ვინ მომიკითხევდავ, მე ვინ მომიკვლევდავ,  
უმამისახლოსავ, ეჰ, შექა ჩემ თავსავ!  
ტყეში ვერ წავალივ, შეშას ველარ მოვშჭრივ,  
კევეგადმ თუ გავალივ მაკტის მოღებადავ.

**484. ჩვენ ამუედითავ, ზალოვ, ნაქერალავ**

ჩვენ ამუედითავ, ზალოვ, ნაქერალავ,  
შენაწ მანდავ დაშივ, ზალოვ, საყდრისკარავ,  
გარევ ჩამოვლენავ, ზალოვ, საბარგედავ,  
ზალვ, ჩაღმის ბიჭებივ, მადლიანებიავ.  
და-ძმობა უთხრიდივ, ამოგიყვანენავ,  
ცხენსაც მოგცემენავ, გიქვეითებენავ.  
მანდ ვერას იქნებივ, ზალოვ, ალონშიავ,  
ალონ მონაიავ, ჩამისიცხებისავ.

**485. ავაი, შენ, წვერაიზეოვ**

*(აღამ ბობლიაშვილზე ნატირალი)*

ავაი, შენ, წვერაიზეოვ, შვილ რად მომიკალივ,  
შვილ თუ მომიკალივ, თავ რად მომიჭერივ,  
თავ თუ მომიჭერივ, რადალ დამიგორევ,  
თავ თუ მომიჭერივ, მე რად არ მომკალივ.

**486. ღმერთო, ღმერთიწ ხარივ თავის თავისადავ**

ღმერთო, ღმერთიწ ხარივ თავის თავისადავ,  
მაღალი დ' მაძღარივ, დიდი და მდიდარივ.  
შენ რაგვერ უნდ გიგოვ ცხვათ გულის ტკივილივ.

**487. ქმარიმ რად გინდოდავ, ნადაცო, ლამაზივ**

ქმარიმ რად გინდოდავ, ნადაცო, ლამაზივ,  
ენით მოგატყუავ, ბინა დაგირღვიავ,  
ერთ დროს ქუხდავ, ხალხნოვ, სანდოანთ ნადაცივ.

**488. მარეც მოიდავ, გარსოვ, ადექილავ**

მარეც მოიდავ, გარსოვ, ადექილავ,  
გაცვლილოვ ცხვაზედავ, წინდებიც მოგიტანავ,  
ჭრელებ წინდაცებივ, მოგიკვდეს დედაივ.

**489. შვილოვ, სანატრელოვ სკამზე საჯდომლადავ**

შვილოვ, სანატრელოვ სკამზე საჯდომლადავ,  
შვილო, სანატრელოვ სანათესაოდავ.

**490. დედა მოგიკვდესავ, ნაბადნამიანოვ**

დედა მოგიკვდესავ, ნაბადნამიანოვ,  
თექატელიანოვ, ფეკარხილიანოვ,  
სწორში გუალაოვ.

**491. დედა მოგიკვდესავ, ჩემო პლატოვ**

დედა მოგიკვდესავ, ჩემო პლატოვ, დედაივ,  
დედას ვინ მოგცემდავ, ობლად გაზარდილოვ,  
ნაჯეჯგოვ დ' ნატუქსო დედინაცვლისაივ,

**492. შვილო, შიოლეო, შიო, გიგოლეო**

შვილო, შიოლეო, შიო, გიგოლეო,  
ვაიმე, დალევაო, აღარვის ყვანაო,

კართ საკარჩხილეო, ჯინჭრის ამოსვლაო,  
სახლთ ჩაბრუნებაო, ნაცრის გაქექვაო.

#### 493. გულო დადაგულო, აქ დანა დაკრულო

გულო დადაგულო, აქ დანა დაკრულო,  
შვილო შიოლეო, შვილო გიგოლეო,  
რად დამატანეთა დართლოს დაღევასა,  
კარებ დაგულასა, სოფელად ბოსელასა,  
სარკმელთ დაჩულვასა, კარჩხილთ ჩაგდებასა,  
მამულთ გაყოფასა, სამნებ ამოყრასა.  
ხალისით ნაგებო ლიბოხ დარღვევაო,  
მოდგმათ დაკარგვაო, სოფელსაც გაყრაო.  
ღმერთო, რა შეგცოდე, რად მზე დამიბნელე?  
ყოფა-სიცოცხლეი რადაღ გამიძნელე?  
ან რად გამახარე სიცოცხლის ფესვითა?  
ან რად ამომავდე სიკვდილის თესვითა?  
ოფლისი დ' ამაგის ღვარ-წყლის წაღებაო,  
შვილთ უსაშველოო თვალთ დაბნელებაო.  
მზეო, ჩემ სწორაო, ღრუბელთ ფარებაო,  
ცოდვილ უძეოთა კედელს ფარებაო,  
საიქიოსაცა არვის ძახებაო,  
ოხ, ტვირთო, ცივ ქვაო, ზურგით ტარებაო!

#### 494. ჩემ ზალო, ჩემ ზალო, ჩემ ლაზათიანო

ჩემ ზალო, ჩემ ზალო, ჩემ ლაზათიანო,  
ჰმა გუგონებელო სოფელ-მეზობლისავ,  
შენ გამსტუმრებელო სტუმარს სტუმრულადავ.  
შენაც ცრემლი გინდა ცის ცვრისოდენაივ,  
მოტირალიც გინდა მასკვლავთოდენაივ.  
ვერც კერას ვხედავავ, ჩემ ზალოს ნაჯდომსავ,  
ვერცა საგებელსა — ჩემ ზალოს ნაწოლსავ.  
სულიმც ამიძალდეს, თავსა შემოგველე.  
ზალო, თუ მოვედი ემაგ ადგილასავ,  
გზა გამასწავლიდი ჯოჯოხეთისაკევ.  
ნამო დილისაო, კაცთ შუუწყენელო,  
წყალო გუბისაო, მდუმრად გამდინარო.

#### 495. ტყუბებ დავწირენი, წიფლოვნის ჭალაცავ

ტყუბებ დავწირენი, წიფლოვნის ჭალაცავ,  
არ დამიშინოთავ, თუშის მემცხვარენო.  
იქნებ გიგონოთავ ბალღების ტირილი,  
არ გასდიდგულდეთავ, ჰმა გაცგონიდითავ.  
წყალს არ დეცწაფნეთავ იმ ალაზნისასავ,

წვეთ არ დუყლიოთავ გულს გადამდინარევ.  
ძირიმც დაგიშრებავ, ჳეო მცენარეო,  
რადამ გადამიქცი აკავან ნაფტვადა.  
სიამ გიფიქროთა, პატარა შვილებო,  
იფერფლებითაევ ფხიან კლდეებზედა.  
დილაივ, არ მამწონ, ეს ჟინჟლიან დღეევ,  
არც უღრუბლო ცაზე აწვიმებულ მზეევ, —  
იქნებ დასტიროდა ჩემ შვილების ჳმასა,  
იქნებ უღობავდა უჩინარში გზასა.  
ვინამ გაჩუმებესთა წვრილ მატირაღეთა,  
ვინამ ჩავისვათა უცხომ კალთაშია,  
ან ვინ მოგეგებათ მაგ ბნელ მწარეშია?  
თვალ არ გადევნოთა უცნობელა ხალხსა,  
ან არვინ აფეროთ, შვილებო, დედასა,  
ან არა მიენდვნეთ ადიდებულ წყალსა.  
გზაიმ რად გავიღე ალაზნისთავისკე!  
სუდრად გავაყოლე ჳრელ ხურჯინის თვლები,  
საბნად გადავხურე ალაზნის ტალღები.

#### **496. განამ ბიჭ იყავი, ლაგან რად გინდოდა**

განამ ბიჭ იყავი, ლაგან რად გინდოდა?  
ვაჟკაც ყოფილხარი თავის დედისადა.  
ძროხა ჩამოსულა, ასმათ, ბელუქითი,  
თან ჩამოჰყოლია შენი ილიკოი.  
ადექ დ' გაჰყევი ემაგ ილიკოსა,  
დედა მოგიკვდესა, შენ მონა დედაივ!  
ვინ შემომიღებსა, ასმათი, კარებსა?  
ვინ შემომამყრისა დიიდა თვალებსა?  
შენ გავამგზავრებენ შენ ბერდედასთანა,  
მე აქ მოვიკვლევა შენ ყაჩაღ მამასა.  
იარევ, შვილო, იარევ, დაგიღამდებისავ,  
გრძელ გზას ამბობენავ იმ სულეთისასავ.  
ქალო, ქალიწ ხარივ, ქვაიმც დაგედებავ,  
ცუდ ჳორს დაგითქვამენ, გარევ შეგვარცხვენავ.





ეპიტაფიები



#### **497. უდროვით მამკლა სიკვდილმა**

უდროვით მამკლა სიკვდილმა, არ დამაცალა ხანია,  
შავს მიწას ამამაფარა ოცდა ორი წლის ქალია.  
დედა წუხდება შვილისთვის, ვაი, დაუდგა თვალია.  
ერთი წლის შესრულებაზე დაკარგა ორი ქალია.

#### **498. დამბადებელო, მანიჭე**

დამბადებელო, მანიჭე განათლება და ცხოვნება,  
მამკვიდრე სასუფეველი, შემისუბუქე მონება.

#### **499. ღმერთო და ჩემო გამჩენო**

ღმერთო და ჩემო გამჩენო, ჩემფერა ბევრი გყოლია.  
ცოდვანი შემიმსუბუქე, სამარეს ჩასაყოლია.  
ძე არვინ დამრჩა მამგონე, გაქრა ცეცხლი და ბოლია.  
სამზეოს გამუესალმე, სიკვდილს არ ვინა ბრძოლია.

#### **500. როგორც უდროოდ მომკვდარო**

როგორც უდროოდ მომკვდარო, ღმერთმა გაცხოვნოს მკვდარია,  
კარგი იმედი დაგვაკლდი, ღმერთმა გიცხოვნოს გვარია.  
შენი მარჯვენა შენზედა დადნეს, ალალი არია.

#### **501. უდროოდ დღენი მომისპო**

უდროოდ დღენი მომისპო ამაო სოფლის ცქერამა,  
ვერ დამაბრუნა უკანა მეუღლის ცრემლის დენამა.  
სამყოფად ბნელი სამარე მარგინა ბედისწერამა.  
დავაგდე სახლი უმწეოდ, მეუღლე უნუგემოდა.  
იმდენიც აღარ მაცალა, სიტყვა რომ მეთქვა პირადა.  
კაცი, საძილედ ნამყოფი, ვეღარ დავესწარ დილასა.  
სათქმელი ბარემ ბევრი მაქვს, მაგრამ ვერ ვიტყვი ვერასა,  
მხოლოდ ამას გთხოვთ საერთოთ შენდობა მითხრათ ტკბილათა.

**502. მგზავრო, შეჩერდი**

მგზავრო, შეჩერდი ერთ წამსა, ჭაბუკს შემავლე თვალია,  
მე მშობლებს ჩემი სიკვდილით ვუწიე ცოდვა, ბრაღია,  
ჩემი სიცოცხლის მაგივრად იდენს ამ წყაროს წყალია.



**საყოფაცხოვრებო**



### 503. რაჭას მივდივარ

- რაჭას მივდივარ  
— მაია, სად მიხვალ?  
— რაჭას მივდივარ.  
— რაჭას რა გინდა?  
— ქმართან მივდივარ.  
— ქმარი რათ გინდა?  
— შვილებითვინა.  
— შვილი რათ გინდა?  
— მამულისთვინა.

### 504. ახალი პატარძალი ვარ

ახალი პატარძალი ვარ, ჭკუა ვერ მოვიგონეო;  
ჩიქილით სახლი დავგავე, ცოცხი ვერ მოვიგონეო,  
ადგილზედ ცომი მოვზილე, ვარცლი ვერ მოვიგონეო;  
კედლზე პური დავაკარ, თონე ვერ მოვიგონეო;  
საცერი ცეცხლსა მივეცი, კეცი ვერ მოვიგონეო.

### 505. მცხეთას ერთი ქალი იყო

მცხეთას ერთი ქალი იყო, სახელად ერქვა ლელაო.  
თორმეტი მჭადი შეჭამა, ათი ქოთანნი წველაო,  
კერას უკან წამააფსა, ნაცარი დაასველაო,  
ერთი საწყალი ოჯახი სულ იმან დაანელაო.

### 506. ზოგიერთი წუწკი კაცი

ზოგიერთი წუწკი კაცი ცოლით გაეყრება ძმასა,  
წავა და გომში დადგება, გვერდზე გამოუღებს კარსა.  
ძმა მაშინ მოაგონდება, როცა წავა ყანის მკასა;  
თითონ წყალზე გაიქცევა, ხელეური მიაქვს ქარსა.  
ძმაო, რაი სჯობს ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა.  
ერთმანეთი ვერ ვიცანით, დახე ჩვენს უგონობასა.

ძმა მაშინ მოგაგონდება, შვიდნი რომ გცემდნენ მარტოსა,  
მაშველებელი არ იყოს, ეფარებოდე ფლატესა.

### 507. იმ სატიאלო კულევსა

იმ სატიალო კულევსა იქ რაღა მიმაშურებსა?  
სახლში ამბავი დავაგდე, ბლომად მოვიტან ფულებსა!  
ქუთაისს გავხდი ავადა, ნაბადი წამახურესა.  
ციება შემომეჩვია, გამომიბერტყამს ყურებსა,  
ცხრა დღე და ღამე იქ ვიწექ, გავყე გაღმამხრულ ურმებსა.  
შევხედე ჩემსა ხარებსა, წელელებში დაკაკულებსა,  
შავი კამეჩი დამდგარა, ნიკორა იქნევს ყურებსა.  
ეს რომ ჩემმა ძმამ გამიგოს, ძალიან მომინდურებსა.  
მაგრამ ვენაცვალე ღმერთსა, გუნებას მოიბრუნებსა,  
გამართამს კარგათ ურემსა, ქალაქში გამისტუმრებსა.

### 508. ერთი შვილი — არა შვილი

ერთი შვილი — არა შვილი,  
ორი შვილი — მითომ შვილი,  
სამი შვილი — კიდევ შვილი,  
ოთხი შვილი — დასტურ შვილი,  
ექვსი შვილი — მართლა შვილი,  
შვიდი შვილი — აი, შვილი.

### 509. არა საჭირო ყოფილა

არა საჭირო ყოფილა ჩვენი ანდაკი, ბორკილა.  
გოქციისას ჩამოვიარე, ფილამ შვილ დააქორწილა.  
მარწყვა ბატარა მოვგვარეთ, ე ნეფე დიდი ყოფილა!

### 510. გაღმიდანა გამოვსახლდი

გაღმიდანა გამოვსახლდი, მე ვარ კიკნაძე ბერია,  
თორმეტი ფარა ცხვარი მყავ, თან მიაქვთ მთა და ველია,  
თორმეტი ხვედა ძალლი მყავ, არსად გაუშვა მგელია,  
თორმეტ უღელი ხარი მყავ, სუ წინ და უკან ჭრელია,  
თორმეტი ნიშა ფური მყავ, ერთ დილას დასაწველია,  
თორმეტი ნიშა კვიცი მყავ, სუ ერთად დასახედნია,  
თორმეტი პატარძალი მყავ, სუ აკვან დასარწევია,  
ზღვაში გოდორი ჩავაგდე, თევზები დასაჭერია,  
ორი გოდორი თეთრი მაქვს, სუ უზალთუნი ჭრელია,  
თამარ დედოფალ მეწვია, მჭადით ვარ მასპინძელია.



### 511. რა მოგახსენო ბატონო

რა მოგახსენო ბატონო, არრაცი დიდი მთა არის.  
სამასი სული ძროხა მყავს, იმისი ხბონი სხვა არის,  
ათასი სული ცხვარი მყავს, იმის ბატკანი სხვა არის,  
ექსასი სული ღორი მყავს, იმისი გოჭი სხვა არის,  
ორმოცი სული მწყემსი მყავს, მოშალავათე სხვა არის.  
ასი მეც მომირთმევია, ვითომ თავს ჯდომა რა არი?

### 512. ვაი ავ ცხენსა ჯდომასა

ვაი ავ ცხენსა ჯდომასა, ვაი სულ ქვეითობასა!  
ვაი ავ ცოლის პატრონსა, ვაი სულ უცოლობასა!  
ვაი დოვლათის პატრონსა, ვაი სულ უდოვლათობასა!  
შინ რო არა ექნება რა, გარეთ დაიწყებს თხოვნასა.

### 513. შორით მესმა

შორით მესმა ქება შენი, უცხო თემსა მიაძებესა.  
შენი ბედი, შვილო ჩემო, ღმერთმან იცის, მიაძება.  
გულოს უნდოდა გადმოფრენა, მაგრამ ჯაჭვით დამაბესა.  
ხელთ ბორკილი, ფეხებს ხუნდი, ვაჰ, თუ დამიგვიანდესა!  
თუ ვერ გნახავ, შვილო ჩემო, შეგავედრებ ზენარესა.

### 514. პატარა ხარ

პატარა ხარ, მაგრეთი ხარ, გაიზდები, რა იქნები!  
წახვალ, ცაში გაფრინდები, შავარდენი შეიქნები.  
შენ ბატონი მწყალობელი, მე ერთგული ყმა ვიქნები!

### 515. კაცსა სტუმარი ეწვიოს

კაცსა სტუმარი ეწვიოს, სტუმარი არნახულისა,  
დასწვას ფიწალი, არნადი, ზამთრისა შენახულისა,  
ურმისა მორგვი დააპოს, ცეცხლი დაანთოს გულისა.  
სუყველა მუქთად ჩაუვლის, თუ არ ასმევდეს ღვინოსა.

### 516. გეტყობისთ მამაცობაი

გეტყობისთ მამაცობაი ნარჩევთ ფალავანთასაო.  
სტუმართა კარგად დახვდებით, შორაით მამავალსაო.  
არ იცით ამპარტავნობა, ძველს იცომათ ტალავარსაო.

### 517. მასვლამც ქნა კათა სტუმართა

მასვლამც ქნა კათა სტუმართა, შინ წასვლა წესიმც არ იყვა;  
ან დგომა შავის ლუდისა, გათავებაიმც არ იყვა;  
სიცოცხლე თქვენ კვალაისა, სიკვდილი წესიმც არ იყვა.

### **518. სტუმრებო, სტუმრების მზესა**

სტუმრებო, სტუმრების მზესა, უსტუმროდ არა ლხინია.  
უსტუმროდ პური, სასმელი მწარი ას, არა ტკბილია.

### **519. ეს სახლი შაჩვეულია**

ეს სახლი შაჩვეულია შასმასა, შამღერნებასა,  
ამ სახლის დიასახლისი სტუმართად მასპინძლობასა,  
ამ სახლის მამასახლისი — ლაშქართა წინამძღვრობასა.

### **520. ხმა ისმის მასპინძელისა**

ხმა ისმის მასპინძელისა, ჩვენაც შავედით შინაო.  
ასი სკამს ეჯდა სტუმარი, ორასი დაეძინაო.  
იჯდა და ფანდურს უკრავდა, ღმერთმანი, მაეწყინაო.

### **521. ა გიდი, კევსურის შვილო**

ა გიდი, კევსურის შვილო, სამი მზე მოგდის კარზედა:  
ერთი მზე — ცოლი ათერი, გაგიგორდება მკლაგზედა;  
მეორე, — მასპინძლობისა, სულ სტუმარ გისხედს ჯარზედა;  
მესამე — გულადობისა, კელი მიგიდის კმაღზედა.

### **522. ყველაწმინდა ხთიშობელი**

ყველაწმინდა ხთიშობელი ჩამორბოდა თავშიშველი.  
ღმერთმა ყველა გვიდღეგრძელოს სტუმარი და მასპინძელი!

### **523. აგეთისას კი ნუ მიხოლ**

აგეთისას კი ნუ მიხოლ, მასპინძელს გული სტკიოდეს,  
სტუმრისა შასმულ-მაჭმულსა ცოლი ქმარს შამასჩიოდეს.

### **524. სტუმართად ცუდი დიაცი**

სტუმართად ცუდი დიაცი არხოტის მთასამც დარჩება,  
დაუქრის ქაროელაი, სულიც ეშმაკებს დარჩება.  
ამაგის ლეშით დათვები იანვარშიამც გაძლება.  
სხვაგან რო იყოს სიცხის მზე, იქ ნიაგ-ღვარიმც ასტყდება.  
კელთ — შვილი, ზურგით — აკვანი, მეშველიც აღარ შაშჩება.

### **525. ქალი, ავისა მოქმედი**

ქალი, ავისა მოქმედი, მალღ ხკიდი, დაბლამც დნებაო.  
ვაჟს, ცუდად დამკვეხნებელსა, ხიდნიმც წყლად ჩაეყრებაო;  
წყალზე წავ მოწყურებული, მდინარიმც დაუშრებაო;  
წისქვილ წავ მოშივებული, მბრუნავიმც დაუდგებაო;  
შინ წავა გაჯავრებული, ცოლ-შვილიმც აუწყდებაო;

ცოლიცამც მაუკვდებისა ცელგაის წინა დღესაო;  
კარიცამც მაუკვდებისა კარგაის წინა დღესაო;  
ცხენიცამც გაუსქდებისა ლაშქარ წაისე გზასაო;  
თოფიცამც გაუსქდებისა პირველად ომში შეისა;  
კმანიცამც გაუწყდებისა კელდაკელ წადენაშია.  
სწორნიმც იღებენ ნაბდითა, გზაშიამც უღამდებაო;  
შინამც მიღგვრიან დედასა, მეწზეამც უშავდებაო;  
შეუდიოდეს მნახავი, ნაჭარიმც უძიძიმდებაო;  
პირში ასხმოდენ აშურას, ყელშიამც ექინძებაო.

### 526. ქმარისად მონა დიაცი

ქმარისად მონა დიაცი ზეთავიმთასამც დარჩება,  
კელთ შვილი, ზურგთ აკაკანი მშველელიმც ნურა დახვდება.  
ცეცხლიმც უნთია ჩალისა, სციოდეს, ვერას გათებება;  
კელთამც უჭირავ კოტორი, შიოდეს, ვერას გაძღება;  
მანდით გამოცურებული არყოვნის ჭალას დადგება;  
ემაგის მზორის ჭამადა დათვებიმც კვალზე დადგება;  
გადმაივლიდა ყორანი, დაიყრანტალეებს, დაჯდება;  
ჯერ თვალეებს დასთხრის ტიალი, მერე ლეშითაც გაძღება.

### 527. მე რო რძალი მოვიყვანე

მე რო რძალი მოვიყვანე, ურცხვი იყო, თარაქამა.  
მეორე დილა გათენდა, გამამჯოხა დ' გამამთარა.  
მესამე დილა გათენდა, შუაკაცებ შამიყარა:  
ერთი სახლი მამარგინა, ზვით აღარ ეკრა ჩალა;  
ერთი ქობი მამარგინა, გვერდში აღარ ეკრა კალა;  
ერთი ჯამი მამარგინა, კოვზი აღარ დამიტანა;  
კოჭლი ვირი მამარგინა, ისიც ტყეში გამეპარა.  
ვეძებე, ველარ ვიპოვე, ისიც მგელმა შემიჭამა.

### 528. ზოგიერთი ბატარძალი

ზოგიერთი ბატარძალი წამოწვება ძელივითა;  
რორცა ქმარს შინ დაინახავს, კუდს მოიქნევს ძელივითა.  
ქმარი რორცა შორს წაუვა, დაიწივლებს გველივითა;  
მოწილევებს თავს ამაღლის გუთნისდედა მკვნიელივითა.  
იმას იფნის საკრე უნდა, ჩაეგრინოს წნელივითა,  
დილასა და საღამოსა ნაყვა უნდა გველივითა.

### 529. სოფელში ავენა კაცი

სოფელში ავენა კაცი მალ-მალ ავადამც გაკდება,  
კარს და გუთანს რო გაღმართავს, ბარაქა სოფელს დარჩება.  
ვინაც მამისთვის ავია, გამოქცეულებს დარჩება.

სწორები იქმენ სახელსა, სახელობასამც დასცდება.  
ვაჟკაცი, ცოლის დამწუნე, უარესადამც დარჩება,  
წინის გულისიმც მაუვა, შვილებიმც დაუობლდება.  
ქალი, ქმრის დამწუნებელი, ბეზირგნის ქარსამც გაჰყვება.  
ავ რძალი დედამთილისად ძველა შუაშიმც დაწვება.  
გველებ დაუწყებს კბენასა, სულიმც ეშმაკებს დარჩება.  
სტუმართად ცუდი დიაცი დაქუახზედამც დარჩება.  
სხვაკან რო სიცხის მზე იდგას, იქ ნიავეღარიმც ასტყდება.

### 530. ტალაურმა თქვა: არ ვიცი

ტალაურმა თქვა: არ ვიცი იქნება მტერიც მრჩებოდეს;  
იქნებ ვინ იყოს ისეთი, რო ვიტანჯები, ტკბებოდეს;  
ესმოდეს ჩემი ამბავი, გახარებული რჩებოდეს,  
ჩემი ტანჯული სულისა ამოსვლას ელოდებოდეს.  
პატივნაცემი ჩემგანა იყოს და იწყევლებოდეს;  
შვრებოდეს დანაშაულსა, იმას არ მემართლებოდეს.  
მეც გადაუხდი მადლობას, როგორიც მაუჯდებოდეს:  
ჭირი გააჩნდეს ისეთი, წამალი არ უდგებოდეს.  
ლოგინზე იწვეს გამხდარი, მაგრამ ველარა დგებოდეს.  
ვერ იძინებდეს შიშითა, სიზმარში ეჩვენებოდეს —  
ტანზე ეხვიოს გველები, მრავალი ეტანებოდეს.  
სტკიოდეს მთელი სხეული, ნერვები ეწამებოდეს.  
საშინლად იყოს გაჯდილი, მნახველი ერიდებოდეს.  
სიცოცხლე ჰქონდეს ხანგრძლივი, სიკვდილი ენატრებოდეს.  
ვერა ვმარობდეს ჰელებსა, თავის მოკვლასა სჩიოდეს,  
აღარა ჰყვანდეს მიმყვანი, პური ძალაზე შიოდეს.  
ენატრებოდეს ჰაერი, გარეთ ვერ გამოდიოდეს,  
ისიც დასეტყვოს სიკვდილმა, გული ჩემსავით სტკიოდეს.  
არ უშრებოდეს თვალები, დღე-ღამე ცრემლი სდიოდეს,  
ცოცხალსა სჭამდენ ჭიანი, მატლები გადმასდიოდეს.  
კბილით იგლეჯდეს სხეულსა, ვერ გრძნობდეს, რასა შვრებოდეს.  
კბილით ნაგლეჯი კორცები პირიდან გადმასდიოდეს,  
ემატებოდეს სიმწარე და გველივითა წიოდეს.

### 531. ანდლ ბიძა როსტიაი ხარ

ანდლ ბიძა როსტიაი ხარ, იმის გზა-კვალზე დამდგარი.  
ნეტავი შენაც იქა გქნა, სადაც ის არის ჩამდნარი.  
გამოგდევია შენაცა ჭერხოს ნაზიდი თავ-მწრები,  
ლაშარით დაპარულები ჯვარ-გუმბათები, თასები.

### 532. სამან-სამზღვრისა ამრევსა

სამან-სამზღვრისა ამრევსა ზურგზე აჰკიდნეს კლდენია:  
“ეგ გინდა, ვერ ეგა ზიდნე, მემრ ჯოჯოხეთი ბნელია.”

**533. ვაი, დედასა, დასაო**

ვაი, დედასა, დასაო! ვაი, უძმოსა ქალსაო!  
მის-გ-მეტ არა სძე პატივი, როგორც შარასა გზასაო!

**534. არც კარგი იმას ეწევა**

არც კარგი იმას ეწევა, ვინც გაიცინა ბრმაზედა,  
იმასაც მალე მიერგოს ჯოხით ბატბატი გზაზედა.

**535. ავსა, ავისა მგონესა**

ავსა, ავისა მგონესა ავისად უნდა ლოღინი,  
ან ადრე, ანდა გვიანა ავისა უდგა ლოგინი.

**536. ნეტავი, მთაო მაღალო**

ნეტავი, მთაო მაღალო, დაგადაბლებდა ქარია,  
კოშარა გამოჩნდებოდა, ელია წმინდა თვალია.  
ერთხელამც კიდენ მასმია კოშარას ცივი წყალია.  
მამისახლამოწყვეტილსა ავად მექცევა ქმარია.

**537. ქალი ტიროდა, ქანანა**

ქალი ტიროდა, ქანანა, იჯდა ფშავეთის მთასაო:  
— ჩემნიმც დღენ დაადგებიან, ვინც ქალი ენდოს ქმარსაო.  
წუხელ მოიდა ლაშქრითა იმ შუალამის ხანსაო,  
კარზეით შამამიძახნა: — რად არ გამიღებ კარსაო?  
ავდეგ, ავანთე სანთელი, ჩავიცვი ლერწმის ტანსაო.  
მე საკოცნელად მინდოდა, იმან კელი მკრა ყბასაო:  
— შე უნამუსოს გაზრდილო, რადა ვპირდები სხვასაო?  
— დას არ მაუკვდეს თავის ძმა, არა ვპირდები სხვასაო!..  
ავდეგ, შევკაზმე შავრაი, შაუდეგ შავსა გზასაო.  
თავი ვიბრუნე, მამდევა, მათგელვებდა კმალსაო,  
გადადი, გადაუძახე შალვა, ივანეს — ძმათაო:  
— დასა გიჭრიან, გიკუწვენ, გული იძახის ვასაო!  
ორღობეს ამომავალსა მაზღმა შამასწვრა თვალია.  
— აქ მოდი, ქალო ქანანო, აქ არი შენნი ძმანია!  
მივე, მე მართლა მეგონა, შავაღე სახლის კარია.  
უკან მობრუნვა მინდოდა, მაზლებმ შამიკრეს მკარია,  
საკმისას ამამახედნეს: — მთა-ბარს მათგლე თვალია!  
ჩამამსვეს ხალიჩაზედა, ჩამკაფეს, როგორც მხალია!  
ბეჩავს დედაჩემს უთხროდით: წაიხვნას ჩემნი თმანია,  
დაჰკიდოს დარბაზის კარსა, ამლიავებდეს ქარია.  
გრძელნი კი აღარ არიან, — შვიდ ადლი, შვიდი მკარია!

### 538. ალაზანსა და იორსა

ალაზანსა და იორსა დავეწაფები — ყლაპს ვუზამ,  
აიმ მთასა და ემასა კელს მოვკრავ — ჯაჭა-ჯუქს ვუზამ;  
ცხრა ლიტრა რკინისა ზოდსა პირში ჩავიდებ — კნატს ვუზამ;  
გაავებულსა დიაცსა გაუშობ, ველარას ვუზამ.

### 539. პარასკევს ცოლი გამექცა

პარასკევს ცოლი გამექცა, შაბათს დავკარგე ვირიო.  
ნეტავი კიდევ მაჩვენა იმისი თეთრი ცხვირიო,  
ფათილასავით ყურები, ცისაკე გაშვერილიო,  
იმისი კოხტა ფეხები, მშვილდივით მოდრეკილიო.

### 540. პავლემ თქვა პაპიაშვილმა

პავლემ თქვა პაპიაშვილმა: მარტოკაი ვმკი ყანასა.  
ამ გულის თიბა-მკაშია ჩემ რძალ ქსელს უზის, ჯარასა,  
ააქან-ჩამააქანებს ჭრელის ფარდავის გარასა.

### 541. გათენდა, გაჩნდა სოფელი

გათენდა, გაჩნდა სოფელი, სოფელთავ სამი სანთელი.  
არც შენ მინდიხარ, მოყმეო, არც მამაშენის სახელი...  
შენ არ იყო, სხვაც იქნება, სხვამ ჩაიქნიოს საკელი.

### 542. თივათ ვთრი ოროლობითა

თივათ ვთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო.  
ჩაგხედავ, ჩემო სოფელო, ნაპირის ადგილისაო,  
მირგვლივ ნახვევო მთა-წვერო, რო გალავანო ქვისაო.  
იწროო, ჩვენო ჭალაო, ძლივ ჩასავალო წყლისაო.  
სამძღვარო, სისხლით მოსვრილო ჩვენო და ქისტებისაო.  
ბევრ მენადირე გინახავ მავალ ცის პირის ძვრისაო,  
თოფიან-დურბინიანი, მაგარ საბანდით, ჯღნითაო.  
ვაჟი, ნადირთვე წასული, ბევრა შალვარდა მზირსაო.  
ბევრამ მაილა სახელი, ჯარზე გულდიდად ზისაო.  
ბევრიც მართვეს ჯალაბთა, გულს ნატყვიარი სჭირსაო.  
ნუ გაუცუდებთ სახელსა, თასილ მიეცით ხისაო.  
ბევრამ გაწირა კირიმი, შვილს დასჩა, შვილიშვილსაო.  
ბევრამ გააბა წრიაპი არწივის მალლის ჩრდილსაო.  
ჯიკვების გადალაკულო, შიბო და შიბო კლდისაო.  
მეწყალი, მენადირეო, დამრჩალო წვერის ძირსაო.  
ჯიკვების მუქარაზედა ღამეს ათენებ გრილსაო.  
პურსა ვერა სჭამ მშიერი, შიგ თვირთვილ გამადისაო.  
ესო, ნათხარო ტოტითა, სალოგინედა, ქვიშაო.  
ადგების, იქავ გაგწირავს, ნასადგურალო ყმისაო.

დილა გამოსულს გნახავდა შავი ყორანი კლდისაო.  
შორით დაგიწყებს ყეფასა, აგივლ-ჩაგივლის მჭრითაო:  
“ნეტავი გამალალებდი, გამაძლებდ სისხლის სმითაო.”  
ეეწინდელებს ახლებსა ძველები სჯობდეს ცდითაო,  
ამაგრებდიან ადგილსა, თოფით იჭერდეს, კმლითაო.  
წვერებს ისვამდეს ველებსა, ქავში სხდებოდეს ცვლითაო.  
ბაკნებით ედგათ წამალი, ძღებოდეს თოფის კლითაო.  
სახელ რჩებოდა ვაჟებსა, ბევრას დაიტევს მიწაო.  
ველში ეჭირა თასები, შიგ ლუდი ედგა წმინდაო.  
მაგის მეტს აღარ გილექსებთ, არა მაქვს ლექსებისაო.  
საქონის საჭმელ გათავდა, თივა, ნათიბი მთისაო.  
ლექსო, არ დაიკარგები, ნათქვამი ომაისაო.

### 543. ეხლა კი უნდა ვილექსო

ეხლა კი უნდა ვილექსო, დღეისწორს გზაზე ვდგებიო,  
შირვანში ჩვენმა თოხლებმა გადაიწრიხეს რქებიო,  
მაჯავრებს, როგორ იქნება ტარიმანაის ცხვრებიო.  
დუშმანი გაგვილაღდება, რაიონში გვეყვ მტრებიო.  
მით მიხაროდა ზაფხული, ცხვრით რო გათეთრდის მთებიო,  
მაგით წამუელ შირვანში, სუ დავისწავლე გზებიო.  
კარგი ალაგი ყოფილა, ნაპირზე უდგას წყლებიო.  
ბევრამ მიშალა, ნუ წახვალ, შენ, ბურთავ, ჭკვიდან ცდებიო,  
სუ გზაზე გაგითავდება და შენც ციხეში ჯდებიო.  
გაკსენებ, სამღთო მაღალო, თუ მკარზე დამადგებიო!  
უნდა გავკვებო თოხლები, ცდავ, ხო არ დაბერდებიო!  
ნუ დაუკარგავთ ამაგსა, ჯარში რო გვეყონან ძმებიო,  
აგვიტირდება ხიზანი, შამოგვჩივიან რძლებიო:  
არ არი თქვენი ნაყოლი, შრომობდენ ჩვენი ქმრებიო.

### 544. რა ლამაზი ხართ, ქედებო

რა ლამაზი ხართ, ქედებო, ქედებო ყინულიანო,  
ცოტა აიშრეთ თოვლები, ბალახებ აჩნდებიანო.  
მაისის ნახევარშიგა ბატკნებიც გვეწვევიანო.  
მთის წვერზე მებატკნეები გადიან-გამოდიანო,  
წყაროზე კალსა გაზელენ და მერე დასხდებიანო.  
ტკბილის სიტყვების სათქმელად ერთმანეთს გაჰკვივიანო,  
პატრონდაკარგულ ძაღლები გორებზე დაყმუიანო.

### 545. ყორანო გადამავალო

ყორანო, გადამავალო, გადამიარე თავსაო,  
ჩემსას ცუდს ნურას გაიგებ, — ჩემ მტრისას კიდევ — კარგსაო...  
გული ჰკარ სამართებელსა, მუცელი — დანის ფხასაო.

### 546. ჩინარაულის ფეკთეთრო

ჩინარაულის ფეკთეთრო, ძუამ ნუ გიშვი გძელია,  
ნუცამ გასულხარ საველოდ, ნუმც გიჭამავის ქერია.  
ზედითა გადმოგიღია ქურაზიშვილი მგელია.  
ბრალი ხარ, ქურაზიშვილო, ჩამოგთელეგდა ცხენია,  
ფეკ არ გედგ ავზანტაშია, ლამაზად თითის წვერია.

### 547. მემცხვარე ვარ, შამცივდა

მემცხვარე ვარ, შამცივდა, ბერავს აწუნტის ნიავი.  
უყურებ ჯონის მკარესა, ადგილი ბარაქიანი.  
მანდ არის ჯევსურთ ფარები, ცხვრებია შიშაგიანი,  
პატრონის გამხარებელი, ლალიან-ბარაქიანი.  
გართობაი აქვ ვაჟებსა, მესმის ფანდურის ჟრიალი.  
ქალიც კარგია ლამაზი, თვალჭრელი, ყვითელ თმიანი,  
ტანად ჩაცმული მშვენვარი, დაფიქრებული, ჭკვიანი.  
ვაშკაცის გამლაღებელი ვინტოვკა არშავიანი.  
საჯიკვეებიჩი ხვიოდას შამშანა მაღალჭმიანი.  
ჯიკვო, სიცოცხლე გიჭირდას, დიდი რომელ ხარ, რქიანი.  
ვაჟო, ნუ დასდეგ ჯიკვებსა, არამც რა გიყვან ზიანი.  
გაგიწყდებ წრიაპის კანჭი, ქვიშას გაიღო ხრიალი.  
ბეჩავ ხარ, მენადირეო, ეხი გაქვ ყინულიანი.  
გაყინა ფევის ქალბანი, წრიაპს გააქვის წკრიალი.  
ამაგ სიტყვების მათქვამი ცოტა კაცი ვარ, ხნიანი,  
დალიეთ გამარჯვებისა, ჭიქებს რად უნდა გვიანი!..  
ერთ დროს მეც ვდიე ჯიკვებსა, მთებ ვლაკე ყინულიანი,  
მამწყინდა, აღარ მინდოდა ვინტოვკა არშავიანი,  
გუნება გამამეცვალა, ქალი ვირჩიე თმიანი.

### 548. ლექსს ვიტყვი ჩემებურადა

ლექსს ვიტყვი ჩემებურადა, არას დაგიდევთ მოტივსა,  
ან კი რა იცის ტუსალმა რითმების კოხტად წყობისა...  
დარდი დამაწვა გულზედა, როგორც სიმძიმე ლოდისა,  
გულიც ატირდა, ოკერი, თვალეებზე ცრემლი მოდისა.  
იტყვიან ძველებურები — კვერ არა ცხვება ობლისა.  
არც ჩემი კვერი გამოცხვა, დაიწვა ჩემის ცოდვითა.  
წეროთ რომ არევს არწივი, გვიანლა დაეწყობისა,  
ეგრეთვე ჩემი საქმეა, გაგვდი ნაპირი ღობისა,  
ყველასთვის ჯელის საღერი, საშლელი მთელი სოფლისა.  
იქნებ მეც რამე მიშველოს მადლმა და ძალმა ღვთისამა,  
ჭალაზე შამაიაროს ტუსალმა ციმბირისამა.  
ტოტებმა თავი დახარონ გაღმა-გამოღმა ტყისამა,  
ტალღებმა ბანი მოსძახონ მდინარე არაგვისამა.  
იაროს ქვეყანაზედა სახელმა გიორგისამა,



იცხოვროს თავისუფლად მოქმედმა არაფრისამა.  
ბევრი კი ვნახე სიმწარე ნატეხმა სალი კლდისამა.  
თუ ესეც გადავიტანე, მერე კი არა მიშავრა,  
თუ უცხოეთის მიწამა სიყმე არ ჩამამიშალა.

#### **549. ლუთხუბო, მთების მეფეო**

ლუთხუბო, მთების მეფეო, ფასანაურის მკარეო,  
შენი შვილი ვარ, ოკერო, ისევე შენ ჩამიბარეო.  
შორს გადმოკარგულ ტუსაღსა, მოდი, მომხედე ჩქარეო,  
ისევე გამიღე კარები, როგორც რომ დამიჯარეო.

#### **550. დამეკსენ, სუჯიაშვილო**

დამეკსენ, სუჯიაშვილო, მრუდად ნუ მხედავ თვალზედა.  
ერთხელ მეც ვიყავ უფროსი ფშავ-კევესურეთის წყალზედა.  
ვერც ხალხი მემღურებოდა, არც თქვენ გაგყიდეთ ქრთამზედა.

#### **551. ნუ მტანჯავ, სუჯიაშვილო**

ნუ მტანჯავ, სუჯიაშვილო, გვერდზე ნუ მიბღვერ თვალებსა.  
უწინდელ ნაძმობილარო, ეხლა რად მიკრებ შარებსა?!  
ბევრი დროება ვატარე, ბევრკან ვეხუმრე ქალებსა,  
კიდევ შაივლის ლურჯაი ფშავ-კევესურეთის ჭალებსა,  
გზაზე ქორებლივ მიჰქროდეს, მიანათებდეს ნალებსა.

#### **552. მიყვარხარ, ჩემო სამშობლო**

მიყვარხარ, ჩემო სამშობლო, შენის ნდომითა ვკვდებია.  
შენს სანახავად მოვდივარ, თუ მოსვლას ველირსებია.  
ყინულ წყარო მომწყურდება, მისი მშობელი მთებია,  
კლდეზე დაქნილი ბილიკი, წვრილ ბაწარივით გზებია.  
ფანდურზე დაჩხაკუნება, ჩვენებურ სიმღერებია.

#### **553. აგრილდა, ჰქრიან ქარები,**

აგრილდა, ჰქრიან ქარები, ფოთოლ ჩამოდის ტყისაო.  
მტერიც არ შემხვდა მტრისფერი, ვარ უბედური დღისაო.

#### **554. მაჰყვება ხელაისშვილი**

მაჰყვება ხელაისშვილი ცივის გომბორის სერებსა.  
ზამთარს ჰყვავიან იანი, აქ კაცს რა დააბერებსა.  
ფშავისკევეს დავემშვიდობე, ხინკლებს და ქადის კვერებსა,  
წაწლის დაგებულ ლოგინსა, ბალიშს რო შააცერებსა.  
თავის წაწალთან დაწვება, გააცივ-გააცხელებსა.  
მაუტანს თავის წაწალი ყურებში გასაყრელებსა,  
თუშურ დაფეკილ ფულებსა, ზედ გულზე დასაკერებსა.

ზაფხულს მოველი დამდეგსა, ფოთოლ-ბალახსა მთისასა,  
სიუხვით აყვავებასა ამ ჩვენის ადგილისასა,  
ნაიალალარ ირემსა, მოყვარულს სწორებისასა.

### 555. საფშაოდ შავი ღრუბლები

საფშაოდ შავი ღრუბლები ნეტა რად გადადიანო?  
რა ნისლი მოგიხვევია, მთავ, წმინდავ, ბარაქიანო?  
თავზე ნამს გადმოგაყრიან ხშირო ქუჩ-ბალახიანო,  
გადგიჩრდილებენ, ოკერო, მზის ნახვას დაგიშლიანო.  
კელშაკრულს ჩამოგავლევენ, მისრიაშვილო, კმლიანო,  
დაგკრავენ, დაგაკვნესებენ, კარო მანძილავ, რქიანო.  
ალექსი ველარ მოგივით ფშავში დეკა და ღვიანო,  
ველარ ამოხვალთ ლაღადა, არაგვის პირზე იანო.  
ნუ ასტირდები, ხოშიავ, ცრემლებით სილაღიანო.  
კარგა დაზარდე ობლები, თვალეზ არ მაუწყელიანო.  
ქვეყანა არ დაგივიწყებს, სწორებში სახელიანო.  
ფშავლები ლაშარ-ღელესა თავს ერთად მაიყრიანო,  
დაჰპატიუებენ შენ შვილებს, წინ სუფრას გაუშლიანო.  
დალევენ შასანდობარსა, თასებსაც გამასცლიანო.  
შენ სიკვდილს მე მაბრალებენ, ცოდვიანს მეძახიანო.  
როდის მოხვიდე, ზაფხულო, ვინტოვკავ, აგახმიანო,  
ბევრისა დედა ვატირო, ბევრ უჭკვო დავაჭკვიანო.  
მტრის ჯავრის ამამყრელი ვარ, ხელაშვილს მეძახიანო.

### 556. ფუნჩიამ თქვა: რა უნდა ვქნა

ფუნჩიამ თქვა: რა უნდა ვქნა, უგონთა ვარ, მთვრალივითა,  
წამივიდა ჯეილობა, გამიარა ქარივითა,  
გადამაგდო დროებამა ბაღში მწარე მსხალივითა,  
დარდმა გამიგალა გული ცხენის ფეხზე ნალივითა.  
თავმჯდომარევე, გენაცვალე, ნუ მაწუსებ ჯარიმითა,  
შენ რაღას გადამეკიდე კევსურაის ფარივითა!  
საცა მნახავ, გამიკვივლებ იალაღის კარივითა,  
ფშავისკევს შამაეჩვიე ფუტკრის მონავალივითა.

### 557. ცაბაურთა არას მამწონ

ცაბაურთა არას მამწონ, ცასა ჰკიდავ ზარივითა,  
ცაბაურთას არვინ მამწონ დედუნაის ქალივითა!  
დამიწუნა მა წყეულმა: “ღვინოსა სომ წყალივითა!”  
ვსომ და თავისასაცა ვსომ, არ მამაქვის თვალივითა!

**558. ნეტავინ მე და ჯოროსა**

ნეტავინ მე და ჯოროსა ქალებიმც არა გვეყოლიყო,  
ყველა ჩვენ სიძე რად გაქდა, თუ რა იორზე ყროლ იყო.  
მე ხუზაურამ წამართვა, ჯოროს წიქაი ჰრბბოლიყო.  
ჯორომ უჯოროდ ვერ შასძლო; რადგან ივრამდე შორ იყო.  
მაღედვე მეეწეოდა, თუ ჯოროს ჯორი ჰყოლიყო.

**559. წითელაურებს გაუქდათ**

წითელაურებს გაუქდათ ფაშინაგურის ცლაზედა,  
სხვა ყველა დააშოშმინეს, თოთიკა დადგა ძალზედა,  
გაავსო ბაღის სურჯინი, გადაიკიდა მქარზედა.

**560. წითელაურნ ჩამოდიან**

წითელაურნ ჩამოდიან ნაწლავების საცლელადა.  
ერთმანეთს ეუბნებიან: “რა კარგია საჭმელადა!”

**561. მავიდეს სულთა კრეფანი**

მავიდეს სულთა კრეფანი, დავათრევ მაზდაგურასა.  
სანაძლეოზე ვესრიე ისარი ბაჩაყურასა!  
ბანზეით გარმამფრინდალი ძალს გადავაჯე მურასა.  
გადმაძიბრუნდა მურაი, გემო უნახა დუმასა.  
გასაოკრებო მურაო, რას მემართები სტუმარსა?!

**562. ვეშაგურთგორზე შაყრილა**

ვეშაგურთგორზე შაყრილა ყვავ-ყიჭალაის ჯარები.  
ბერდია — ბრუნა გაგორდა, სუ დაიმტვრივა ძვალები.  
ვერ ამასთრიან მაზვრები, მანძილებ უნდა ხარები.  
აფსემდა შენისთანებსა ჩემისთანაი ქალები.

**563. ესო, მესო, ამ მურღულთა თქვესო**

ესო, მესო, ამ მურღულთა თქვესო,  
წიფორის წმიდა გიორგი როგორ გატეხესო.  
ხელი შევყავ, ვაჭრიჭინე, კლიტე გავტეხეო,  
ჩანგალზე თვალი ავაგე, სისხლი ვივინეო,  
სისხლიანი ახალუხი ვერცხლის ყბაზე დევსო,  
წადი და გამაიტანე, ჩემადანზე დევსო.

## მხარეები, სოფლები

### 564. არ ვიცი კანდო-ჭართალი

არ ვიცი კანდო-ჭართალი, გუდამაყარი სად არი,  
კადაში გამიგონია სამოცი ციხე მაგარი.

### 565. კადა არის კადისფერი

კადა არის კადისფერი, კადას იცის თეთრი ქერი,  
კადას ნურვინ შააძაგებთ, კადა არის კადისფერი,  
შარშან დადგმული გოდრები წელსაც ისევ არის მთელი.

### 566. ისევ კადიდან გამოვა

ისევ კადიდან გამოვა კაი მუშა და მძლე კარი.

### 567. დუშმანი წავა წკერესა

დუშმანი წავა წკერესა, შახედოს მალლა სერებსა,  
ავა და ველარ ჩამუა, ჩამაიწელავს გვერდებსა.

### 568. წკერესა და მულურესო

წკერესა და მულურესო მტრედი ზის და ღულუნებსო.

### 569. წკერეს შაჰყივლა მამალმა

წკერეს შაჰყივლა მამალმა, იუხოს — კოდალამაო,  
ჩქარა, გადმოდგით ქობები, იდულოს ქოთანამაო!

### 570. ბურსაჭირი — სულთა ჭირი

ბურსაჭირი — სულთა ჭირი,  
სული კბილით საჭერია.  
ხელში — ბალღი, ზურგთ — აკვანი,  
კარი კბილით საღებია.

### 571. სიონის ციხე მაღალო

სიონის ციხე მაღალო, საყდარო გუმბათიანო,  
ქალო და რძალო ლამაზო, ვაჟკაცო ლაზათიანო.  
შენ გორისციხე ქვიანო, სულ მუდამ ქარნი ქრიანო;  
არც წყალო, არცა წისქვილო, არც მეზობელო ღვთიანო.

### 572. გორიჯვრის წმიდა გიორგი

გორიჯვრის წმიდა გიორგი გადმომცქერალი მტკვრისაო,  
ტივი ბევრი ჩამოივლის ქარელისა და სკრისაო.

**573. ახლო-ახლო ხართ**

ახლო-ახლო ხართ ხართ, სოფლებო, გაღმა მეტეხო, წიაბო.  
მე შენთან როგორ ვივლიდი, ცხენი არა მყავ იაბო.

**574. ტიალო ზედა ქსოვრისო**

ტიალო ზედაქსოვრისო, კარგი სოფელი გქვიანო.  
არც წყალო, არცა წისქვილო, არც მეზობელო ღვთიანო!

**575. რას ვაქნევ შავშვებს...**

რას ვაქნევ შავშვებს, ნაწრეტსა, ნადარბაზვესა ქვიანსა?  
მეჯუდას ძირის ჭირიმე, ირემს ჰგავს, ქორბუდიანსა.

**576. ყველაწმინდა ხვთიშობელო**

ყველაწმინდა ხვთიშობელო, ყანობლები შიშობენო.  
შუადღეხი კარებს ჰკეტენ, სტუმარს აღარ უშობენო.

**577. ოსო, გუდუნით ნაზარდო**

ოსო, გუდუნით ნაზარდო, შე იმერელო, ღომითა.  
საწყალო არაგვის კაცო, გაუმადლარო ომითა.

**578. ქალი ქიშტი ზჯობს**

ქალი ქიშტი ზჯობს კევსურსა, ვაჟკაცად — არხოტ-ბლოველი.  
სამდევროდ — გუდამაყრელი, თავის ბან-კარზე — სნოველი.

**579. რა კარგი არი ფშარაო**

რა კარგი არი ფშარაო, ქვიშიანაის ბუნება,  
როგორ დამტანჯა ტიალმა, გამოომიცვალა გუნება.

**580. ისევ ჭონთიოს გადავალ**

ისევ ჭონთიოს გადავალ, ციხეს შავლესავ კირითა,  
შიგ დავამყოფებ ობლებსა, გაზრდილებს ცოდვა-ჭირითა.

**581. ჯაბანა მინდოდაურიო**

ჯაბანა მინდოდაურიო ხოშარელებსა ბრიყვობდაო,  
ხოშარით ტყემალ დასწვადნაო, ეგებ ხილ გაჩნდეს ჭიჩოსაო,  
მალიმალ თავს მაიბრუნებსო, არავინ დამიხლიჩოსაო.

**582. ტიალს ჩვენ გორმაღალასა**

ტიალს ჩვენ გორმაღალასა, ცივნი წყარონი ზდიანო,  
დაბუბუნებენ კარები, რქებით მიწასა სთხრიანო.

**583. არაგვო, რად ხარ მქუხარე**

— არაგვო, რად ხარ მქუხარე, ერთხელ არ დაიძინება?  
— მაგ შევითხვავზე, ძმობასა, რატომ არ გაიცინება?  
მე რო ძილ-ღვიძილს მივეცე, ფშავეთი გაიწირება.

**ბუნების მოვლენები, წელიწადი დრონი**

**584. თუ ცამ საღამოს იწითლა**

თუ ცამ საღამოს იწითლა, დილა გათენდეს დართა,  
და თუ ცამ დილით იწითლა, დღე წვიმით, ანდა ქართა.

**585. მზით რო წვიმდეს**

მზით რო წვიმდეს, გოდორი წან,  
მზით რო თოვდეს — დანა ლესე.

**586. აღდგომა სჯობ**

აღდგომა სჯობ ნამიანი, ამაღლება დარიანი.

**587. მარიამობა დღესაო**

მარიამობა დღესაო ქარი არ დასძრავს ტყესაო.

**588. მზებუდობა**

მზე — ბუდეში,  
დათვი — ხვრელში,  
შუა ქრისტეშობის თვეში.

**589. იანვარსა რვასა**

იანვარსა რვასა  
ნუ გამოსვალ კარსა.  
ნურცა წახვალ დისასა,  
ნურცა მამიდიასა.  
თუ სად წახვალ დისასა,  
ფული გედვას ქისასა.

**590. მელმა თქვა**

მელმა თქვა: კარგად დავცადე იანვარშია წვიმაო,  
გადმოდიოდა ლუბები, მე იმან დამარჩინაო.

**591. შაშვო, დაგიწვი გალობა**

შაშვო, დაგიწვი გალობა ამ შუა იანვარშია,  
არ იცოდია, ზამთარი არ დადგებოდა ცაშია?

**592. წყალკურთხევის წინა დღესა**

წყალკურთხევის წინა დღესა, ენკენიის უკანაო,  
ხორცი მის მეტ არ იჭმევა, როგორც ძალღი წუნკალაო.

**593. გაზაფხულის ნამტენაო**

გაზაფხულის ნამტენაო, ქარმა ტყეში გაგტენაო,  
აგიტანა ბებერამა, ხოკრის ძირხი ჩაგტენაო.

**ფრინველები**

**594. ღმერთო, გემდურნის წერონი**

ღმერთო, გემდურნის წერონი: გზა მოგვეც შორით საგალი.  
მოგვეც და რადღა აგვსიე არწივი, მალღით მაგალი?!

**595. წეროები კითხულობენ**

წეროები კითხულობენ: — გერგეტის თავს რა დრო არი?  
— რას ჰკითხულობთ, წეროებო, შუადღისა სამხრო არი!

**596. მერცხალმაც იცის**

მერცხალმაც იცის, ვინ არის, რომელ კუთხეში შობილი,  
მოვალის გაზაფხულობით შავებში გამოწყობილი.

**597. ადევ და წადი, გუგულო**

ადევ და წადი, გუგულო, აღდგომის წინა ბზობასა,  
მეც ძალე წამოგეწევი, არ იყო შუა გზობასა.

**598. ჩიტი ხეზე ზისა**

ჩიტი ხეზე ზისა,  
ცრემლი ჩამასდისა  
აქეთ-იქით იხედება:  
“დედა არ მადისა?”

### 599. ძერამ წაილო წიწილა

ძერამ წაილო წიწილა, კრუხმა ვერ უყო ჩხუბია.  
თუ მე ეს შენ შეგარჩინე, ჩემი სილაჩრე ცუდია.  
თავ დაიხურა ჩაჩქანი, ვით რო ბოხოხი ქუდია,  
წელს შემოირტყა ხანჯალი, ხელში აილო შუბია.  
ზევიდან ძერა მოვიდა, ძირს გაიმართა ჩხუბია.  
კრუხმა სცა ხმალი ფრანგული, წავიდა სისხლის გუბეა.  
იხმარეს შუბი და ხმალი, ლახტების ტკაცა-ტკუცია.  
ძერამ თქვა: წავხდი სილალით, თვალი შემექნა მრუდია,  
მთას დამრჩნენ წვრილი ობლები, ინით ნაღები ბუდია.  
ისინი დაიზრდებიან, იმათი კანჭიც ბრუნდია!

### 600. თეთრო ქათამო

თეთრო ქათამო, საით მიფრინავ?  
რაჭას მივფრინავ, ბატონო.  
რაჭას რა გინდა, თეთრო ქათამო?  
ყაჭის საყიდლად, ბატონო.  
ყაჭი რად გინდა? სიძეს მოვიყვან.  
სიძე რად გინდა? შეშას მომიტანს.  
შეშა რად გინდა? ცეცხლს ავაბოლებ.  
ცეცხლი რად გინდა? წყალს ავადულებ.  
წყალი რად გინდა? თავს მოვიფუფქავ.

## ცხოველები

### 601. ვირი გავგზავნე წყალზედა

ვირი გავგზავნე წყალზედა, წყალი სვი, ხვრიმე ნარიო,  
არ მოგეპაროს კუდრუცი, ტყისაკ გეჭიროს თვალიო.  
მიჰპარებიყო კუდრუცი, არა სჭერიყო თვალიო.  
— ნუ შამჭამ, ჩემო კუდრუცი, არა ვარ გაურჯელიო;  
ქალაქით მამიტანავის შვიდნი მარილის ქვანიო,  
გავინაწილოთ ძმურადა, შაანელოდე მხალიო.  
— არ ვიცი მხალამხულათი, არა სჭამს ჩემი გვარიო,  
ჩემ მამა-პაპას უყვარდა გამოსახრავი ძვალიო.

### 602. მგელმა სთქვა

მგელმა სთქვა: გუშინ გორს ვიყავ, ატენს ავიღე ვალია.  
გადავხედე ვენახში, დამწიფებულა ბალია,  
ატამი გაყვითლებულა, ყურძენს შესვლია თვალია.  
გავხედე ჩემსა ძმობილსა, გადმოეშალა ცხვარია.



დავთვალე, მეტი მოვიდა, და ის ურჯულო თხანია.  
მე და თხა დავიტაკენით, თხამ დაიძახა “ვაია!”

### 603. მგელმა სთქვა

მგელმა სთქვა: ქორწილს ვაპირებ, ღვინო ჩავასხი ნასეტყვი.  
წავალ, მეცხვარეს ცხვარსა ვთხოვ, ციკანს მამცემს თუ კრავს მეტყვის.  
არ მამცემს, ძალად წავართმევ, თუ ატირდება, ბანს ვეტყვი.

### 604. შინ სიღარიბე შასულა

შინ სიღარიბე შასულა, დაუდგამ რკინის სკამიო.  
რალაც რამ ღმერთსა უშველავ: შინ შაუყვანავ ცხვარიო.  
იძახა სიღარიბემა: გავალ, გამიღეთ კარიო.  
იქით კარმ დაიბუბუნა: აცა, მოიდენ კნვანიო,  
ასეთ კლდეზედა დაგლიო, არ დასწვდებოდენ თვალნიო.

### 605. საწყალი დედაბრისასა

საწყალი დედაბრისასა თავგნი ყანასა მკიანო,  
დეგნი იქმოდენ ულოსა და გმირნი შეუკვრიანო,  
კურდღელი მოურავია, სამეულებსა სთვლიანო.  
ირემი ურემს აბია, კალოზე ძნასა ჰყრიანო.  
შველნი კალოში შევაბათ, რა ტურფად დაუვლიანო!  
მგელი წისქვილში გავგზანოთ, უჯეროთ დავგიფქვიანო.  
სალამოთ მოვლენ მელები, კუდებით კალოს ჰგვიანო.  
წერონი ანიაგებენ, ბატები აცხავიანო.  
ტრედი ჩააკრავს თონეში, გვრიტები ამოჰყრიანო.  
ტოროლა ცაში გავგზანოთ, ფრინველნი ჰპატიჟიანო.  
შევარდენი და გავაზი ზემოთავს დასხდებიანო.  
ჩვენ ჩხიკვსა, მადლსა, ნუ გვიწვევ, სუფრასა აგვიშლიანო.

### 606. მგელო, ნუ შამჭამ

მგელო, ნუ შამჭამ, მგელბერო, არა ვარ ოხერტიალი:  
ამთვენი მამისძმანი მყავ, რამთვენიც ჩალა-ბზე არი.  
მამა მყავ — მონადირეა, შილშავში მეთოფე არი.  
გადაჰწყავს ტყვია-წამალსა, რამდენიც კვირადღე არი.  
მე კი, მგონია, რო მოგკლას, შენდ დიდი სირცხვილი არი.





გალექსებანი



### **607. რად გინდა ჩემი გაგება**

*(მერცხალა მამასახლისს)*

რად გინდა ჩემი გაგება, ან ჩემი ამბის კითხვაო?  
ფოთოლათ მერცხალაი ვარ, ურძნის ჯოხივით ლიტაო.  
კარზედ დიდი მაქვს მამული, — სახნავი ერთის თვისაო,  
ას კოდთანში ქერ მიძე, ორასიანში წმინდაო;  
კარზედ მიბრუნავს წისქვილი, დავფქვავ, რომელიც მინდაო.  
კარიკურ ხილით სავსე მაქვ, ვაშლითა, ხელის სწლითაო...  
ბიჭი ვარ კაის-ყელშია, რაც მინდა, პირსა ვკითხაო...  
კარჩი მგელ ვერას შამიჭამს, შინ შამოტანილს — ციცაო.

### **608. შეთემ დაიწყო მჭედლობა**

*(მბლავან დავითი — შეთეს)*

შეთემ დაიწყო მჭედლობა, ჩქამ არ მასვენებს კვერისა,  
ძოღან ქარჩ გამოუპირავ მიხვილას გერისა,  
უჭკუათ სვიმანს აჯობნა, კარგ იქნა, კარგის ველისა.

### **609. ჩემ ძმობილ მბლავან დავითომ**

*(შეთე — მბლავან დავითოს)*

ჩემ ძმობილ მბლავან დავითომ რად-რა მიღექსა გრდემ-კვერი?  
მაშინ რას იქამს ნეტარა, რო დასჭირდება ჩემ ველი?!  
როცა ექნება ცივ რკინა რკინაზე დასადებელი,  
“ვომს წადი, — მაშინ მეც ვეტყვი, — იქ თავისი გყავთ მჭედელი!”

### **610. ჭრელამ დაკარგა ვირიო**

ჭრელამ დაკარგა ვირიო, თან მიაყოლა ფქვილიო.  
ბოძათ დავითომ გაიგო, მაგრა უწყინა ჭირიო.  
ხუთ ლიტრა ჩამაეტანა, ფარდაგზე მობერტყილიო,  
ჩამააყარა წისქვილსა, არ იყო დაკეტილიო.  
თვითონ ბუსნოზე წამოწვა, მაჰკიდებიყო ძილიო.  
ქურდ რაიმ გადაესია, ი ნამუს გარეცხილიო!  
მივიდა, ვირი მაჰპარა, ოთხით გააბა ფთხილიო.  
თვითონ წისქვილში შავარდა, ფქვილისთვინ დაყმენდილიო.

მანახევრა ტომარა, მემრე წააკრა პირიო.  
წამიკიდა, წაილო, გაწირა გატლევკილიო.  
ვირ ჯაგიანში დააბა, თეთრ გამაშვირდა ცხვირიო.  
ალარც კი დაიყოფინებს, — ეშმაკმ შაუკრა პირიო!..  
გამაელვიდა ჭრელასა, არ იბადება ვირიო.  
ადგა და ძებნა დაუწყო, დავალის დაკუნკვილიო.  
გადაუხედნა წისქვილში, არ იბადება ხრილიო.  
წისქვილის კარზე ტრიალებს მჭადივით დაბჯღლეთილიო,  
ჭრელაის ცოდვით იწვება კანატიაის ძირიო.

### 611. ყრუვ გიორგიმ დაიუბნა

ყრუვ გიორგიმ დაიუბნა:  
— მოგვივიდა რა დრუება?  
ლახატოში გადმოვიდა  
არტნის საზოგადუება.  
ცოლ-მვილნ დამითავწვერავდნენ,  
დავწვი მაგათ აფუება!..  
მართა უკანაფშავს მაღხვდა,  
არა მკითხა გათხუება.  
— მე უშენოდ არსად წავალ! —  
მამას იმას მატყუებდა.  
ყრუვ გიორგიმ რა გაიგო —  
მართა ბალღსაც აწუებდა.

### 612. მზე ჩაესვენა მთის კიდეს

*(გიორგი ელიზბარაშვილი — ვახტანგ თვარელაშვილს)*

მზე ჩაესვენა მთის კიდეს,  
ბუნებას მწუხრი ეფარა,  
ვახტანგი იჯდა ნადიმად,  
ხინკალ ხინკალზე ეყარა,  
იმპორტულ სასმელსა დსომდა,  
სიმთვრალე შამაეპარა,  
ქუჩაში იდგა სიბნელე,  
ადგა და გამაეფარა.  
მივალის ჳელის ანდითა,  
ჯიბეში ბოთლა ეჩარა.  
იაჳსრის დაზეზებული  
წინ დევი შამაეყარა,  
სილა ჳკრა ჳიდის ყურშია,  
ვახტანგი გადაეფარა.  
წყალს კი არ წავაღებინეთ,  
ფეჳ ოდნავ შამაეხარა.

აქ პავლოვიჩი ჯავრობდა:  
ვახტანგ სად არის ნეტარა?  
მაგის იმედზე დავწირე,  
საბჭოს კარ გამაეჯარა!  
კაცისფერ კაციმც მაჩვენა,  
სამდივნო გადამებარა,  
ეგ კი გამეგდო აქედან,  
ძალღივით გამამეთარა,  
ან ერთ თაური მეგლიჯა,  
ჯავრ იმით ამამეყარა!

**613. ბებოქალიშვილმ დამჯაბნა,**

*(ვახტანგ თვარელაშვილი — გიორგი ელიზბარაშვილს)*

ბებოქალიშვილმ დამჯაბნა,  
ლამის დამადგას ბეგარა.  
მაგისგან დაშინებული  
რითმს რითმზე ვაწყობ ველარა!..  
სად იყო აქამდისინა,  
რა მოლევის ქვას ეფარა?  
ეგეთა ნიჭის პატრონსა  
ენა რა უკან ეჩარა!  
მაგას დაურჩენ ეშმაკთა,  
მე თუ დევ შამამეყარა...  
მაგას თავს ზურგთაკ მაუქცევ,  
მე თუ ფეკ შამამეხარა.  
იანვარშიამც გამეგო,  
გომურის კარზე მეშარა,  
არ გამეწირა ჭლიკმბული,  
და მეწრუწუნა მკვეხარა.  
ბლომად დაზღვევა მეტყლიშა,  
ჯავრ იმით ამამეყარა.  
ჩამეგდო განსაცდელშია  
ეგ წუნტი, ნაცარქექარა.  
ამიგდო თავგათავითა,  
ნელ-ნელად შამამეპარა.

**614. ფრთხილად იყავი, გიორგი**

*(ვახტანგ თვარელაშვილი — გიორგი ელიზბარაშვილს)*

ფრთხილად იყავი, გიორგი,  
კარს გაუყარე ურდული,  
თორღო მაგ შენსა დიაცსა  
დაჰპატრონდება ბურდული.

ველარას გიშველს ჳმლის ქნევა,  
ველარც თოფი და შურდული,  
ერთურთს რო ჩაეხვევიან  
იადონი და ბუღბული.

**615. მამიტანეთ, ჩამამისხით!**

მამიტანეთ, ჩამამისხით  
მწარე წყალი მუცელშია.  
კარგა ვიცი, კიდევა დგა  
ქალიკმამის ჳურჭელშია.  
მაგის ფარაგშიმც გამხვია,  
როგორც მთვარე — ღრუბელშია.

**616. აკაკი შანიძის და ყრუვ გიორგის შამღერნება**

*აკაკი შანიძე:*

— რატო არ შამამიღერნებ,  
გიორგი ლახატუელო?  
კაფიაობა მწადიან,  
შენთან საღექსოდ მუელო.

*ყრუვ გიორგი:*

— თუ შამიმღერნებ, შავმღერნებ,  
ყრუვი ვარ, განა უენო?..

**617. ფრუშკა და ყრუვ გიორგი**

*ყრუვ გიორგი:*

— ჩემთან გადმოკე, ფრუშკაო,  
ქალ მოგცა, როგორც ეთერი.

*ფრუშკა:*

— მე ეთერივით არ მინდა,  
ბეჩავი მინდა, ჩემფერი.

*ყრუვ გიორგი:*

— შენ საჩეჩლების მკეთო ხარ,  
ჩემ ქალ გექნება მჩეჩელი.

*ფრუშკა:*

— მე შენ ქალ არაად მინდა,  
ათასგან კვერცხის მდებელი.

*ყრუვ გიორგი:*

— არც მოგთხოვდება, ფრუშკაო,  
ყროლი ჳყოფილხარ, ბებერი.

*ფრუშკა:*

— ხილი სჯობ დამწიფებული,  
რადა ხარ შაუგნებელი.



*ყრუვ გიორგი:*

— ჯერ შარცხვეს ეგეთა ქალი,  
მემრ მამა, ქალის მქებელი.

### **618. ფრუშკა და ვაჟა-ფშაველა**

*ვაჟა-ფშაველა:*

— ჩემთან მოდი, სოფლივნელო,  
ვაჟამ გითხრას არაკები.

*ფრუშკა:*

— ჩარგალს იმით გადმოედი,  
არტანს მოვსპე არაყები,  
მე უბრალო მოლექსე ვარ,  
პოეტებთან რას გავკვდები?

### **619. ერეკლე ალბუთაშვილი და ლექსო დანიშაშვილი**

*ლექსო:*

— ღამით გესტუმრე, ერეკლე,  
დღისით რო მიჭირს მგზავრობა.

*ერეკლე:*

— ღამით დადიხარ საქურდლად,  
დღისით რო შრომას ზარობა,  
იმითაც ბუვად მაიქეც,  
ხატმ ეგრე დაგამწყალობა.

*ლექსო: —*

გატყობ, არ გესიამოვნა,  
წავალ, შაგხვდება ჯავრობა.

*ერეკლე:*

— გახვალ, ხელს რაიმ გაგყვება,  
ფეხებზე გკიდავ ჯავრობა.  
დაჯე და დილაზე წადი  
დაგეწვას ჩამომავლობა.

### **620. ძმები: ლევან და დავით ბოძაშვილები**

*ლევანი:*

— ღმერთმა ისე აგაშენოს,  
როგორც შიოს მარანია!

*დავითი:*

— აბა, რაღა ამაშენოს,  
დალიე და არ არია.

*ლევანი:*

— შენ ეგრ აჭმევ ქვეყანასა,  
მე ხომ ძმა ვარ, ალალია.

*დავითი:*

— შენ შეჭამო, სხვამ შაჭამოს,  
ჩემთვი ორივ ზარალია.

### **621. ხვთისო ქეთელაური და ბუთულათ ივანე**

*ხვთისო:*

— ერთხელ მეც ვიყავ ჯეილი,  
მიაც ვიქნიე ხანჯარი.

*ივანე:*

— იქნევდი წარა-მარადა,  
იმით დაზდიხარ ცალთვალი.

### **622. წუხელ რო მაძალადებდი**

— წუხელ რო მაძალადებდი,  
დედმამიშვილო ომაო,  
მაიტა წინწანაქარი,  
დავლიო უნაყრომაო.  
— ნულარ დავხარჯავთ იმასა,  
წუხელაც მითხრა ცოლმაო.  
— რა კაბა-ჯუბას შაუცვლის  
იმის ჭურჭელში დგომაო,  
არ გაჯავრდება, უთხროდი, —  
ფილიპემ მაინდომაო.

### **623. მძახლები**

— რო გაგვითავდა არაყი,  
რაღა ვქნათ, ჩემო მძახალო!  
— უნდა წახვიდე, იშოვო,  
თავი ქვას უნდა აკალო!

### **624. ჯეილი და მოხუცი**

*ჯეილი:*

— რაც მე ბერი კაცი მიყვარს,  
უნდა გითხრა ბიძაობა.

*მოხუცი:*

— თუ ჩემ სწორა დედა გყავის,  
წამიყვანე შინაოდა.

*ჯეილი:* — იქ მამაჩემ დაგიხვდება,  
იცის კახურ ჭიდაობა.

*მოხუცი:*

— ისითა კი არა მინდა,  
გამოვლენოთ იქაობა.

### 625. ცოლის სიკეთე

*გუდამყრელი:*

— მენ ისეთ კაი ცოლი მყავ,  
კალაპოტივით მეწყობა.

*დავითო:*

— ი შენი ცოლის სიკეთე  
ემაგ შენ ჩოხას ეტყობა.

### 626. ცოლი თუ წაწალი

— ცოლი სჯობავ თუ წაწალი,  
ჯაბანო, შენა ვკითხაო?

*ჯაბანი:*

— ცოლი სჯობავის წაწალსა,  
წაწალ ფეკებზე მკიდაო.  
წაწალს ფერობა სჭირდება,  
ცოლს კი არასა ვკითხაო.

### 627. წაწლები

*ქალი:*

— შამამებერა მუცელი,  
შენი ბრალია, წაწალო.

*ბიჭი:*

— დაზდიხარ ფეკშიშველად,  
შაგცივდებოდა, საწყალო.

### 628. შენ არა ხარა

— შენ არა ხარა, ძმისწულო,  
ნაბიჭვარ რო გყავ კერასა?

— ნეტავი ჩემო ბიძაო,  
დაასვენებდე ენასა,  
კაცი რო არას გიშლიდეს,  
არ დაუწყებდე კბენასა.

### 629. რად არ შინ წახვალ

— რად არ შინ წახვალ, ძმობილო,  
დღეს ორშაბათი თენდება.

— გინდა სამშაბათ გათენდეს,  
ჩემ გულ არ შაბედენდება.

### 630. ეხლა კი წავალ

— ეხლა კი წავალ, გიორგი,  
ერთ სიტყვა მითხარ გზიანი.  
— წადი, თუ წახვალ, რა გიყვა,  
რა მაქვის შენთან ზიარი,  
ერთ ლუდიან კოდ ამაჰსვი,  
ერთ კოკა არაყიანი...

### 631. ლექსო მუშტაშვილი და უცნობი ფშაველი

*უცნობი:*

— დასხდებით შენ და ალექსი,  
ასტყდებით, როგორც ვირები.

*ლექსო:*

— შენ ცოლსამც გამოუდგებით  
ორნივ კუდგაჭერილები.

### 632. ლექსო მუშტაშვილი და ხევსური

*ხევსური:*

— ქურდი მგელაის შვილი ვარ,  
ბიძურას მეძახიანო.

*ლექსო:*

— სახელ რას გაგკვირვებია,  
სახელ ნეხვსაცა ჰქვიანო.

*ხევსური:*

— შენ თუ ხარ მუშტათ ლექსო,  
შე მამაძაღლის ტიალო.

*ლექსო:*

— მე ვარ, ვირ არა გეგონო,  
ლევა ჩოკან რო მცვიანო.

### 633. რად არ იძინებ?

— რადარ იძინებ, იმედავ,  
რაადლა ზიხარ მძიმედა?  
— ძილი რო ხინკალსა სჯობდეს,  
ე ხალხ სუ დაიძინებდა!



**შაინგბი**



**634. შაირები ბევრი ვიცი**

შაირები ბევრი ვიცი,  
ბევრი მომიგონიაო,  
შენისთანა მოშაირე  
უკან მომიტოვიაო.

**635. ორი ბოთლი ღვინო მქონდა**

ორი ბოთლი ღვინო მქონდა,  
ვაწუნწკულე, ვაწუნწკულე,  
შენისთანა მოშაირე  
კარებს უკან ვაწუნწუნე.

**636. ზღვაში თევზი მიცურავდა**

ზღვაში თევზი მიცურავდა,  
ბოლოს აქანქალედა.  
თუ მაგის მეტი არ იცი,  
რალა გაქაქანებდა?!

**637. ღობეზე ძაღლი გადახტა**

ღობეზე ძაღლი გადახტა,  
დაუძახე “ნწა მურიია!”  
შენისთანა მოშაირე  
ჩვენში ორი შაურიია!

**638. ქალამნები ვაშმაშუნე**

ქალამნები ვაშმაშუნე,  
მოშაირე გავაჩუმე.

**639. შაირებსაც ბევრსა გეტყვი**

შაირებსაც ბევრსა გეტყვი,  
დიდ მინდორზე გრძელია,  
თუ გინდ გუდით გაგატწევე,  
რო მოგწყვიტოს წელია.

**640. ჩამამისხი კოკოშასა**

ჩამამისხი კოკოშასა,  
შაირს გეტყვი გოგოსასა.

**641. მინდორში ალვის ხე მიდგას**

მინდორში ალვის ხე მიდგას,  
ფეკი დაუსვი — დავხარე,  
კარგუებ ქვე დავარჩიე,  
თქვენისთანებე დავყარე.

**642. მე შაირი არ მინდოდა**

მე შაირი არ მინდოდა,  
შენ ამტეხე ძალადა,  
სვავის კვერცხი შეგაჭამე  
ოცდაათი კალათა.

**643. ჭალის შეშა მურყანია**

ჭალის შეშა მურყანია,  
მალ-მალ უნდა შაკეთნება.  
საქმე როცა გაფუჭდება,  
განა აღარ გაკეთდება!

**644. ნუ ენდობი ქვეყნის ჭორსა**

ნუ ენდობი ქვეყნის ჭორსა,  
ჩაგრეხილი წნელიაო.  
გვაშურებენ ერთმანეთსა,  
ყველა ჩვენი მტერიაო.





საწესხვეულებო



## **ბერიკაობა, ჭონა**

### **645. ბერაკაში წამუედით**

ბერაკაში წამუედით  
მე და ჩემი ლეგა ვირი.  
ვირი გზაში გამიგორდა,  
ლაფში წამიჩარა ცხვირი.  
გავხედე და იქავ ეგდო  
ჩემი ქარასხა და სტვირი.

### **646. ბერაკაში წამუედით**

ბერაკაში წამუედით,  
მოვიარეთ კომშიანა.  
ქალო, ცეცხლათ შაუკეთნე,  
კარგ ბერაკან მოდიანა!

### **647. ბერაკაი კარასაო**

ბერაკაი კარასაო,  
გიჭყრიალებ თვალასაო.  
ჩქარა, თუ რას გამამიტან,  
თორღ გიმტვრევ კარასაო!  
შამუალ და გამოიყვან  
ჩემოდენა ქალასაო.

### **648. ეს სასახლე ვინ ააგო**

ეს სასახლე ვინ ააგო,  
კოჭნ ვინ დასხნა მუხისანი?  
ამშენების სული ცხონდა,  
მერე იმის პაპისანი!

### **649. გალავანს შემოუარე**

გალავანს შემოვუარე,  
ტყვია მოდის ზუზუნითა...

დედი, ერთი კვერცხი მომე,  
ნუ გამგზავნი ბუზღუნითა!..

**650. ალათასა-ბალათასა**

ალათასა-ბალათასა,  
ველი ჩავკარ კალათასა,  
ცოტა ერბო, ცოტა კვერცხი,  
ღმერთიმც მოგცემთ ბარაქასა!

**651. ჩემო სტვირო ქანჩიაო**

ჩემო სტვირო ქანჩიაო,  
ბევრჯელ ჩამსვი ქალჩიაო.  
ბევრჯელ ისეთ საქმე მიყავ,  
გამამჯობეს კარჩიაო!  
მაძებნინეს ცხვარ-ძროხები  
ავდარ-თოვნა-ქარშიაო...

**652. ჯორჯის შაბათი გათენდა**

ჯორჯის შაბათი გათენდა  
ბედნიერი დღეო,  
ქალას სტვირი გაუმართავ,  
ეხლა გავიგეო;  
მზექალისთვის გამაურთომ  
საქარასხავეო,  
ბერაკაში ემზადება —  
უნდა წავიდეო.  
მურთაზიანთ მართას უთხრა:  
“შენაც გამამყეო.”  
მარიამს ეუბნებოდა:  
“გეხვეწები მეო,  
ერთი ცხენი, ერთი კვიცი  
შენ შამინახეო.  
ბერაკაში შამიკვეთეს,  
უნდა წავიდეო.”

**653. ამ თვის ოცდახუთშიაო**

ამ თვის ოცდახუთშიაო  
ქრისტე დაბადებულაო.  
ერთი კვერცხი გამამიტა,  
თორღ დალაყებულაო.

## საწესო

### 654. ჯვარი წინასა

ჰარალალო, ჯვარი წინასა!  
შენ, ქრისტევ ღმერთო,  
შენ, ქრისტევ ღმერთო,  
დასწერე ჯვარი  
ახალყოილთა!  
შენ, ქრისტევ ღმერთო,  
შენ, ქრისტევ ღმერთო,  
დასდევ ბეჭედი,  
დასწერე ჯვარი  
ახალყოილთა,  
ჰარალალო!

### 655. დიდება ღმერთსა

დიდება ღმერთსა,  
დიდსა მოწყალესა!  
ღმერთო, შენ შეეწიე  
აქა მბრძანებელსა, —  
ნეფესა და დედოფალსა,  
სახემშვენიერსა!  
წყვილი ვაჟიშვილი მიეც  
საწყალობელ წელსა.  
ოჯახობა ამოუწყდეს  
ჩვენის ნეფის მტერსა,  
იმათი ცხვარი და ძროხა  
დააჭმიოს მგელსა!  
დიდება ღმერთსა,  
კიდევ დავლევ ერთსა,  
ნეფევ, ბადე ამივსე,  
მამაწვადე კელსა.  
დიდება ღმერთსა,  
დიდსა მოწყალესა!  
ღმერთო, შენ შეეწიე  
აქა მბრძანებელსა, —  
ნეფესა და დედოფალსა,  
სახემშვენიერსა!

### 656. ღმერთო, შენა სწყალობდე

ღმერთო, შენა სწყალობდე  
აქ მყოფელსა ყველასა,  
გაჭირვებულსა ჰბრალობდე,

არ აკლებდეს შველასა.  
შეაწიე ღვთისა მადლი,  
შემოსილი მღვდლისა მადლი!  
დაილოცოს ეს სახლი —  
საძირკველი, ჭერი,  
ფილაქანი, სხვენი,  
გუთანი და კვერი,  
ფიცრული და კირეული,  
გეჯა და თაფლი,  
საცერი და ვარცლი,  
სკამი და კერა,  
აქ შემყურე ყველა —  
საკიდელი, საძირკველი,  
სტუმარი და მასპინძელი.  
ნეფ-დედოფალთ გაგიმარჯოსთ!  
ღმერთმა მანამდე გაცოცხლოსთ,  
სანამ კუვი კურდღელს მიეწევა,  
კაპუეტი კოსმალასა.  
სანამ ვირი დარბაზობდეს,  
აქლემი კი ნალბანდობდეს.  
ნეფ-დედოფალთ გაგიმარჯოსთ!  
მოგცასთ ჯანი მრთელი,  
გული — მხიარული,  
ხელში — ჭიანური.  
ღმერთმა მრავალი მოგცასთ:  
ჯიბეში — ფული,  
ბელელში — პური,  
სახლი აგივსოთ შვილითა,  
მიდამო შვილიშვილითა,  
თქვენი მტრები დაამარცხოს,  
ეზიდებოდნენ ვირითა.  
გათავდა და მორჩა  
მტრის ქაფქირი, ხონჩა!  
მდადო, დედოფალ გაგიხაროს!  
ეჯიბო, შენს ნეფეს გაუმარჯოს!  
ქალის მაყრებო, დღეს ქალის მაყრები ხართ,  
შემდეგ ვაჟის მაყრებიმც იქნებით!  
ვაჟის მაყრებო, დღეს ვაჟის მაყრები ხართ,  
ხვალ ქალის მაყრებიმც იქნებით!  
ნეფესა და დედოფალს გაუმარჯოს!  
ნეფესა და დედოფალს გაუმარჯოს!!  
ნეფესა და დედოფალს გაუმარჯოს!!!

**657. შამოვდგი ფეკი**

შამოვდგი ფეკი,  
გწყალობდესთ ღმერთი!  
შენ ქრისტევ, ღმერთო,  
შენ, ქრისტევ ღმერთო,  
შენ ხარ მწერელი,  
დასწერე ჯვარი  
ახალყოილთა,  
დასდევ ბეჭედი  
მარჯვნივ მკარესა,  
მარჯვნივ მკარესა.  
ერთ სასთაულზე შააბერენ,  
ერთ სასთაულზე დააბერენ.  
მდადო, დედუფალ გაგინხაროს,  
ეჯიბო, შენს ნეფეს გაუმარჯოს!

**658. ნეფევ, შენსა მტერსაო**

ნეფევ, შენსა მტერსაო,  
თვალი დაუდგესაო,  
ათი შვილი რო ეყოლოს,  
არც ერთი შადრჩესაო.  
შენ ათი შვილი გეყოლოს,  
ათივე შადრჩესაო;  
ზოგი გადგზავნო ცხვარშია,  
ზოგი შინ დაგრჩესაო.  
თუ კარგა ვერ დავილოცე,  
კარგა გამჯოხეთაო,  
ერთი ქვრივი გამატანეთ,  
გარეთ გამაგდეთაო.

**659. დაგლოცა პირმა ღვთისამა**

დაგლოცა პირმა ღვთისამა, ნაპირმა ბარძიმისამა,  
ცხოველმა ხატმა და ძალმა ქალაქში სიონისამა!  
ის გორიჯვარი გწყალობდეს, ისიც კარგია, ღვთის მადლმა!

**660. მზე შინა და მზე გარეთა**

მზე შინა და მზე გარეთა,  
მზევ შინ შემოდიო.  
უყვივლია მამალსაო  
მზევ შინ შემოდიო.  
გათენდი თუ გათენდები,

მზევ შინ შემოდო.  
მზე დაწვა და მთვარე შობა  
მზევ შინ შემოდო.  
ჩვენ ვაჟი დაგვბადებია,  
მზევ შინ შემოდო.  
დუშმანსა ქალი ჰგონია,  
მზევ შინ შემოდო.  
ვაჟის მამა შინ არ არი,  
მზევ შინ შემოდო.  
ქალაქს არი აკვნისთვინა,  
მზევ შინ შემოდო.  
ვაჟის მამას მოუხდება,  
მზევ შინ შემოდო,  
თეთრი კაბა ატლასისა,  
მზევ შინ შემოდო.  
ცხენზე ჯდომა, ჯირითობა,  
მზევ შინ შემოდო,  
ყაბახს სროლა, ბურთაობა,  
მზევ შინ შემოდო.  
მზევ შემოდი ბაკებსაო,  
მზევ შინ შემოდო,  
ცხვარს დაგიკლავ მაკესაო  
მზევ შინ შემოდო.

### 661. ნანე, ნანე ქალასაო

ნანე, ნანე ქალასაო, სამკალთ გაჩენილასაო,  
მტრედნი უღულუნებენო, ანგელოზნი ასწებენო.

### 662. ეე-ეე-ეე ნანა ქალასაო

ეე-ეე-ეე ნანა ქალასაო,  
სამკალთ გაჩენილასაო,  
ეკლის მშვილდ-ისარუათა,  
ბამბის თხორის გულასაო.  
მტრედნი უღულუნებენა,  
არწივები უსტვენენა,  
ნანო ნანოს გეტყოდესა,  
თვალში ძილნი გესხმოდესა,  
ანგელოზნი გასწევდესა,  
მტრედნი გიღულუნებდესა.



**663. იავ ნანა, ვარდო ნანა,**

იავ ნანა, ვარდო ნანა,

ვარდო ნანინაო.

აქ ბატონები მობრძანდნენ,

იავ ნანინაო.

შვიდი ჯამი მარგალიტი,

ვარდო ნანინაო,

შვიდ სოფელს გადავაფინეთ,

იავ ნანინაო.

იგრე შაველით ეზოში,

ვარდო ნანინაო,

ძალლი არ შევაყეფევით,

იავ ნანინაო.

იგრე გავალეთ კარები,

ვარდო ნანინაო,

კარი არ დავაჭრიალეთ,

იავ ნანინაო.

იგრე ავხადეთ საბანი,

ვარდო ნანინაო,

ძილი არ შაურხიევით,

იავ ნანინაო.

იავ ნანა, ვარდო ნანა,

იავ ნანინაო.

ეს აკვანი ანწლისაო,

იავ ნანინაო.

შიგ მწოლელი ცხრა წლისაო,

იავ ნანინაო.

იადონის მარანშია,

იავ ნანინაო.

ღვინო დგება ლალი ფრისა,

იავ ნანინაო.

შიგ ალვი ხე ამოსულა,

იავ ნანინაო.

ნორჩია და ფრთებსა შლისა,

იავ ნანინაო,

ზედ ბულბული შემომჯდარა,

იავ ნანინაო.

უსტვენს თავისებურათა,

იავ ნანინაო.

მოულხინეთ ჩვენს ავადმყოფს,

იავ ნანინაო.

როგორც მშვიდობით მობრძანდით,

იავ ნანინაო,

ისე მშვიდობით წაბრძანდით,

იავ ნანინაო.

იავ ნანა, ვარდო ნანა,  
იავ ნანინაო.

**664. იავ-ნანა, ვარდო ნანა,**

იავ-ნანა, ვარდო ნანა,  
იავ ნანინაო.  
ბატონების მამიდასა,  
იავ ნანინაო.  
ქვეშ გაუშლი ხალიჩასა,  
ვარდო ნანინაო.  
ფარჩის საბანს წამოვასხამ,  
იავ ნანინაო.  
ჩვენს ყმაწვილებს ულხინვეით,  
ვარდო ნანინაო.  
შვიდობითაც მაგბრძანდებით,  
იავ ნანინაო.  
შვიდობითაც წაგბრძანდებით,  
ვარდო ნანინაო.  
გაუმარჯოს თქვენ მოსვლასა,  
იავ ნანინაო.  
გაუმარჯოს თქვენ წასვლასაც,  
ვარდო ნანინაო.  
ჩანგურითაც გაგისტუმრებთ,  
იავ ნანინაო.  
სუფრასათამც მოგართმევთა,  
ვარდო ნანინაო.  
იას და ვარდს გაგიფენტა,  
იავ ნანინაო.

**665. იავ-ნანა**

იავ-ნანა, ბატონებო!  
ტკბილად ბატონნო!  
დასტკბით, დაშაქრდით, ბატონნო!  
იავ-ნანინაო!  
შვიდი და-ძმანი წამოვვლეთ,  
შვიდ სოფელს მოვეფინეთო.  
ისე დავდივართ სოფელში,  
ბავშვი არ დაგვიწვენია,  
არც ჩიტი აგვიფრენია.  
ტკბილად ბატონნო!  
ბატონების მამიდასა,  
იავ-ნანინაო!

უდგია ოქროს აკვანი,  
შიგ უწევთ ბატონიშვილი,  
იაგ-ნანინაო!  
საბან-არტახი დიბისა,  
ჩანჩხურა მარგალიტისა,  
იაგ-ნანინაო!  
გარს უსხედს ძიძა გამდელი,  
გადაჰკვრენ, გადააკრავენ,  
იაგ-ნანინაო!  
ტკბილად ეტყვიან ნანასა,  
იაგ-ნანინაო!  
დასტკბით, დაშაქრდით,  
ბატონო!  
იაგ-ნანინაო!  
პანტამა კბილი მომკვეთა,  
იაგ-ნანინაო!  
პანტამა პანტუნამა,  
იაგ-ნანინაო!  
ვაჰ, თუ რამე გაწყეინე,  
მე ჭკუადაფანტულმა,  
იაგ-ნანინაო!  
ულხინეთ ჩვენს ავადმყოფსა,  
იაგ-ნანინაო!  
სალხენი ოფლი უბოძეთ,  
იაგ-ნანინაო!  
ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახეო,  
ვარსკვლავებსაც გავეზრახეო,  
მთვარემ კაცი მომიგზავნა:  
— აქ იყავ და რათ არ მნახეო?  
იაგ-ნანინაო!  
— შენმა მზემა, არ მეცალა,  
სიძის ქუდსა ვკერავდიო,  
გარმურდა ხელსა ვუვლებდი,  
იაგ-ნანინაო!  
ოქრომკედით ვფერავდიო,  
იაგ-ნანინაო!  
იასა ვკრეფ, ვარდსა ვკონავ,  
ბატონების გზასა ვფენავ,  
იაგ-ნანინაო!

### 666. დალოცვილო ბატონებო

დალოცვილო ბატონებო,  
მადლიანებო.  
თქვენ წახვალთ და ჩვენ დაგვტოვებთ,

გენაცვალეთყე.  
მუდამ თქვენი მადლობელი,  
დალოცვილებო.  
არც აბრაშუმში ჩაგხვიე,  
დალოცვილებო.  
თქვენ წახვალთ და ჩვენ დაგვტოვებთ,  
დალოცვილებო.  
მუდამ თქვენი მლოცავები,  
გენაცვალეთყე.



შელოცვები



### 667. თვალის ლოცვა

შაგილოცავ თვალისასა,  
პირველ ჩემი თავისასა,  
შინაურსა, გარეულსა.  
ვინც ავ თვალით გიყურებდენ,  
სამი მუჭა ნემს-მახათი,  
იმათ თვალებში სახლართი.

### 668. თოლის ლოცვა

გასქდა შავნაი კლდე, გამაჰყვა შავნაი კაცი, გადაჯდა შავსა ცხენზედა,  
გადიხურა შავი ნაბადი, ამოიღო შავჭარიანი დანა, გასჭრა წითელი გველი.

იჯდა დედა მარიაძი,  
ქსელსა ჰქსოვდა ძოდუელსა,  
თმასა შლიდა ბროწეულსა.  
წინ ედგა ოქროს ჭურჭელი,  
შიგ ედგა ვარდისა წყალი.  
გაუტეხესო დედა მარიაძსა ოქროს ჭურჭელიო,  
დაუღვარესო ვარდისა წყალიო.

ვინც შენაო ავის გულით, ავის კოლით, ავის თოლით შემოგზნედაო,  
გასქდეს იმისი თოლიცა, იმისი გულიცა, იმისი კოლიცაო, — კაცია,  
დედაკაცია, ფეწდიდია, ფეწბატარაია, თოლჭრელია, თოლშავნაია, თმა-  
წითელია, თმაშავნაია, ახალია, ძველია, ბებერია, თეთრფეროვანია, შავ-  
გვრემანია, მკვდარია, ცოცხალია, —

იმისი თოლი ეკალსა, გული — სამართებელსა,  
იმისი თოლი ეკალსა, გული — სამართებელსა,  
იმისი თოლი ეკალსა, გული — სამართებელსა.

დასწყიოს სამოცდასამმა წმინდამ გიორგიმ იმისი თოლიც, იმისი გულიც,  
იმისი კოლიც!

### 669. თვალნავნების ლოცვა

ვიჯე კარს სამოთხისასა, დღისასა სამოთხისასა;  
ვიჯე კარს სამოთხისასა, დღისასა სამოთხისასა;

ვიჯე კარს სამოთხისასა, დღისასა სამოთხისასა.

იჯდა ქრისტეს დედა მარიამი,

ქსელსა ჰქსოვდა ბროწეულისასა.

ჩამაიარა შავმა თათარმა,

ჩამეეშალა ქსელი ბროწეულისაი.

დაჯდა, დაიწყო ტირილი.

— რადა სჩივი, რადა სტირი, ქრისტეს დედა მარიამო?

შაულოცენ ხიმიწრული, გაუბერენ და გაქრებაო.

გასქდა შავი კლდე, გამოიდა შავი კაცი, გამაჰყვა შავი ცხენი, შაკმაზა შავმა კაცმა შავი ცხენი შავის უნაგირითა. შაჯდა შავი კაცი შავსა ცხენსა, შამაჰკრა შავი მათრაკი, შააგდო შავსა წყალსა, დაიჭირა შავი გველი, დასჭრა, გადაასხა ავთვალსა, ავგულსა.

გასქდა თეთრი კლდე, გამოიდა თეთრი კაცი, გამაჰყვა თეთრი ცხენი. შაკმაზა თეთრმა კაცმა თეთრი ცხენი თეთრის უნაგირითა. შაჯდა თეთრი კაცი თეთრსა ცხენსა, შამაჰკრა თეთრი მათრაკი, შააგდო თეთრსა წყალსა, დაიჭირა თეთრი გველი, დასჭრა, გადაასხა ავთვალსა, ავგულსა.

გასქდა წითელი კლდე, გამოიდა წითელი კაცი, გამაჰყვა წითელი ცხენი. შაკმაზა წითელმა კაცმა წითელი ცხენი წითლის უნაგირითა. შაჯდა წითელი კაცი წითელსა ცხენსა, შამაჰკრა მათრაკი, შააგდო წითელსა წყალსა, დაიჭირა წითელი გველი, დასჭრა, გადაასხა ავთვალსა, ავგულსა.

ლახვრადა, ლახტადა, რომენმაც გათვალა.

ხესამც, ქვასამც შეეგლება,

ცულსამც ტარად ეეგება.

ნურა დარჩეს ერთი ქათმის მეტი,

ერთი ბებრის მეტი.

ერთი კატაი ჰყვანდეს

თავის თავ-პირის საკაწრავადა.

## 670. თვალნაცემის ლოცვა

აღისასა, მაღისასა,

შაგილოცავ თვალისასა,

პირველ ავის თვალისასა,

კოჭმალლისას, კოჭდაბლისას,

კაცისასა, გოგოსასა.

ავსა მთვალავთა თვალთა ნაცარი,

გულთა — ლახვარი.

გაიარა საბძელი —

დაშტა თვალის სამზერი,

გაიარა წისქვილში —

ქვა მოხვდა წინ ცხვირში.

ლოცვა ჩემი,

რგება — ღვთისა.



გერგოს და გეწამოს  
ჩემი ნათქომი სიტყვა!

### 671. შეშინებულის ლოცვა

აღისასა, მალისასა,  
შაგილოცავ გულისასა.  
გულო, დადეგ ალაგასა,  
გულო, გულის ალაგასა.  
გულო, რამ შაგაშინაო? —  
ელვამ შაგაშინაო,  
ჭეჭამ შაგაშინაო,  
ნადირმა შაგაშინაო,  
კაცმა შაგაშინაო,  
თუ რამაც შაგაშინაო.  
წყალი მიდგება-მოდგება,  
თავის ნადგომზე დადგება.  
გულო, დადეგ ალაგასა,  
გულო, გულის ალაგასა.

### 672. დაშინებულის ლოცვა

აღისასა, მალისასა,  
შაგილოცავ გულისასა.  
გულო, დადეგ ალაგასა,  
გულო, გულის ალაგასა.  
გულო, რამ შაგაშინაო? —  
ცხენთა კვივილმა,  
კაცთა კვივილმა,  
გველთა წივილმაო  
თუ წყალთა კვივილმაო,  
თუ ცათა ქუხილმაო.  
წყალი მიდგება-მოდგება,  
თავის ნადგომზე დადგება.  
გულო, დადეგ ალაგასა,  
გულო, გულის ალაგასა.  
გეწეროს ჯვარი და იხარე!

### 673. შეშინებულის ლოცვა

გულო დადეგ ალაგასა.  
შაგილოცავ რისასაო?  
გულისტკივილისასაო.  
გულო, რამ შაგაშინაო? —  
დედამ შაგაშინაო,  
მამამ შაგაშინაო,

კარის მეზობელმაო,  
რჯულიანმა, ურჯულომაო?  
ცის ქუხილმა, ცის ელვამა,  
წყალმა აღვარებულმაო?  
ქვამა გამოგორებულმა,  
ხემა მოტეხილმაო?  
ქვა გაგორდება — ჭალას ჩადგება,  
წყალი მიდგება-მოდგება,  
თავის ნადგომზე დადგება.  
პირიქითელი იყოს შენი შამშინებელი,  
პირაქათელი იყოს,  
თმაშავი იყოს,  
თვალშავი იყოს,  
თვალცხვრისფერი.  
თეთრი ქორი ქანდარასა,  
დედალ დაჯდა ბუდესაო.  
გულო, გულის ალაგსაო,  
დადეგ თავის ალაგსაო.  
ლოცვა ჩემი, რგება — ხვთისი.  
ცულის პირით მონაჭერი  
ცულსამც ტარად ეგგება.  
ჩემი ლოცვა,  
წამებ — ხვთისი.

#### 674. უჟმურის ლოცვა

ივანე, ძალისა მამცემელო, ხალისისაო,  
ძალი მიე ჯუარსაო.  
მოშიოდა, მოხვიოდა, მოიქნევდა ყავარჯენსა,  
დახვდა დედა მარიამი:  
— სად მიხვალ შენ, უკეთურო, უჟამურო?  
— ყურის გასასწორებადა, ყურის დასაყენებლადა,  
არც მოსასვენებადა, არც დასასვენებადა.  
დაგჭრი და დაგაქუფთავებ,  
შემოგდგავ ცეცხლის ალზედა.  
ცხრილოდ გვეცრუნება,  
ქროლელად გვექროლება,  
წავა და დაიკარგება.

#### 675. უჟმურის ლოცვა

ჩვენა გვევანდა სამი ძაღლი:  
ალეხ-მალეხნი, ჩახმახნი.  
დავგზავნიდით მთა-ყელსაო,  
ჭალასა უძისასაო.

შამახვედრიყვნენ ნავალსა  
ემშაკის მამისასაო.  
დეეჭირა ემშაკის ქალიო:  
თმათაც დავჭრითო და ფრჩხილებსაცაო.  
— ნურც ფრჩხილებს დამჭრითო,  
ნურც თმებსაო.  
რასაც გზაზე მოვიდოდე,  
იმავე გზაზე მივიდოდე.

### 676. ბედნიერის ლოცვა

— ბედო ბედნიერო,  
სახემშვენიერო,  
სად იყავ, საით მაჰბრძანდებოდით?  
— ზღვის გაღმითათაო,  
ცხრა მთის იქითათაო მოვდიოდით,  
ზღვას მოვჩქვეფდიო,  
გორს მოვტეხდიო.  
ვიმალებოდით ცხენის ნატერფალშიაო,  
კარის ნაჩლიქარშიაო.  
არ მამდის კაცის კივილიო,  
მამლის ყივილიო.  
მოვდიოდით.  
ვაჟკაცსაო სისქის ბარკალს ვამტვრევდიო,  
ბულა კამენს კისერს ვამტვრევდიო.  
სისხლსა ვსვამდი,  
ძვალსა ვფქვავდი,  
გულზე ვემბოდი შხამასავითაო.  
— ბედო ბედნიერო,  
სახემშვენიერო,  
რა არი შენი წამალიო?  
— დიკისა ფქვილიო,  
დეკისა რძენიო,  
ქათმისა ღვიძლიო,  
ქათმისა შვილიო,  
ქადა-შაქარიო,  
თეთრი აბაზიო.  
— შაქრდებოდეს, თაფლდებოდეს  
დედის ძუძუსავითაო.  
საიდანაც მაგბრძანდიო,  
იქავ წაბრძანდიო.

### 677. საკენკის ლოცვა

საკენკი შამორვეულა  
ჩვენი საბძლის ბოლოსაო.  
ისე სჭამდა მიწასაო,  
როგორც კარი თივასაო.  
მამიჩემის სალოცავო,  
გამაშორე იმასაო.  
წმინდა გიორგიმ დასწყევლოს,  
გაპარულა დილასაო.

### 678. მოხთომილის ლოცვა

მოხთომილო დედიანო!  
მოხთომილო მამიანო!  
მოხთომილო შვილიანო!  
მოხთომილო ძირიანო!  
მოხთომილო ყმიან-მოსამხურიანო!  
ერი ხარ, ბერი ხარ,  
მოლოზანი ხარ, ურია ხარ,  
თათარი ხარ, წყლისა ხარ,  
ხისა ხარ, მინდვრისა ხარ,  
ღელისა ხარ? რა და რა სოფლისა ხარ?..  
გამობრძანდი ქარივითა,  
გამოდინდი წყალივითა,  
თქვენი ბინა მოსძებნეთ!  
თქვენი მამა სტირის!  
თქვენი დედა სტირის!  
— სად არის ჩვენი შვილიო?  
ხარი დავკალით, ბარკალი შეუნახეთ,  
ადრე მოვა, დავახვედრებთ,  
გვიან მოვა, შევუჭამთ.

### 679. ორსულის შელოცვა

სახელითა ღვთისათა, მამისა, ძისათა,  
სულისა წმინდისათა.  
ანი იძრა, ბანი იძრა,  
განი იძრა, დონი იძრა,  
ციხე იძრა, ქალაქი იძრა.  
ყოველი ნაყოფიერი იძრა,  
მიწა იძრა, უძრავი იძრა, ნაძრავი დადგა.  
ონოფრემ ცხენი გააჭენა,  
მობრუნდა და გაჩერდა.  
ონოფრე ხიდზე მიდიოდა,  
მობრუნდა და გაჩერდა.

ონოფრე გზაზე მიდიოდა,  
მობრუნდა და გაჩერდა.  
ონოფრე საყდარში შევიდა,  
მობრუნდა და გაჩერდა.  
სამჯერ წისქვილის ბორბალი  
მობრუნდა და გაჩერდა.  
სამჯერ მეხრემ წკნელი მოიქნია,  
მობრუნდა და გაჩერდა.  
ცხენის მუცელში კვიცი იძრა და დადგა,  
ძროხის მუცელში ხბო იძრა და დადგა,  
თხის მუცელში თიკანი იძრა და დადგა,  
ცხვრის მუცელში კრავი იძრა და დადგა,  
ქალის მუცელში ბავშვი იძრა და დადგა.  
ისემც დამდგარხარ,  
როგორც ოქროს ლანგარზე ოქროს ცხვარი დადგეს.

### 680. ნაღრძობის შელოცვა

ადამარია, მადამარია,  
ზემოთ დედაჩემი, ქვემოთ მარიამ.  
ადამიშვილსა წელი ტკენია,  
სისხლი ამღვრევია.  
ან მიუსწრებ, ან — არა.  
თუ მივუსწარ, გავაქრობ.

### 681. ნაღრძობის შელოცვა

ამარია, თამარია,  
თამარს მიდევს თამარია,  
ხარი არა, მზითევია  
ნაღრძობისა წამალია.  
— მე მიშველე მზაკვარო.  
— მე კი მაინც გიშველი.  
— დაილოცოს შენი მადლი!

### 682. მორიელის შელოცვა

მორიელი, მორიელის შვილი, ცხრა დედა,  
ცხრა შვილი.  
არცა დედა, არცა შვილი,  
არც გააძნელო ტკივილი.  
ფუი, ესე გააქარე!

**683. მგლისპირის შესაკრავი ლოცვა**

ქრისტე ღმერთო, ჩამოყარე კლივიტენი რკინისანი,  
გზანი შაკრენ სავალადა ტყისანი და მინდვრისანი.  
ნადირს მისცენო მუკლნი ნაბდისანი,  
თვალნი მისცენ ბამბისანი,  
კბილნი მისცენ სანთლისანი,  
მიადგას კბილი — შეეჟღალოსო,  
გახედოს — ვერა ნახოსო.  
ესრემც შაიკვრის ნადირის პირიო.

**684. ქარის ლოცვა**

პირველ ვარ დედისა,  
წამალი ვარ ქარისა.  
ქარო, ქვის ქვეშ,  
ქვა — ქოთან ქვეშ,  
ჩადგა ვირი, უუუუ!..



გამოცანები





**685. ყინულის კაბა შავკერე**

ყინულის კაბა შავკერე,  
მაღლა შავკიდე ჭერჩიგა,  
გაზაფხულ შაკიდებული  
ჩამავიტანე სთველჩიგა.

*(ტყუილი. ეხლა რო რამ მაგატყუო,  
კლოვ გამაჩინდება, რამ მაგატყუე.)*

**686. აიმ კიდთა კიდზე გაოლ**

აიმ კიდთა კიდზე გაოლ,  
სინათლემა მზისამაო,  
სახელ-სირცხვილ დამიკარგა  
მოსვლამ ზაფხულისამაო.

*(თოვლი)*

**687. ჩვენის თავ წამოწოლილა**

ჩვენის თავ წამოწოლილა  
კავაზ-კავაზი გველიო.  
ჩამახედევდა ჭალაზე,  
იქ არი ჩემი ველიო.

*(ზვავი)*

**688. ჭალა-ჭალა შამაჩინდა**

ჭალა-ჭალა შამაჩინდა  
ბუზვი ბარაქიანიო.

*(ფათოლი)*

**689. ხუთნია ხუტუნიშვილნი**

ხუთნია ხუტუნიშვილნი,  
ხუთთავ მაწვერეს ციხეი.

*(წინდის ჩხირები)*

**690. ჩაოლ, ჩავაგენ კოშკანი**

ჩაოლ, ჩავაგენ კოშკანი  
ბროლმარილაის ქვისანი,  
შიგ მიდგას სინის ჭურჭელი,  
სავსენ მარილის წყლისანი.  
*(მაქარი)*

**691. ბოლო ხისავ, თავი აღმასისაო**

ბოლო ხისავ, თავი აღმასისაო,  
ზედ დავხურე ბადე მისაო.  
*(სახეჩელი)*

**692. თეთრა ახალზალაივ**

თეთრა ახალზალაივ,  
ჯალაფთ საკოცნელაივ.  
*(სასმისი)*

**693. ხუთნია ხუტუნიშვილნი**

ხუთნია ხუტუნიშვილნი,  
ხუთნივ ფარობენ ფარებსა.  
*(თითის ფრჩხილები)*

**694. ოთხნი დანი**

ოთხნი დანი, სწორ-სწორანი,  
სტვირსა უკვრენ, კისტან დიან.  
*(ძროხის ძუძუები)*

**695. ბეწვიანი ბეწვიანს**

ბეწვიანი ბეწვიანს სცემდავ.  
*(თვალები)*

**696. სანაპიროთ ძირჩიავ**

სანაპიროთ ძირჩიავ  
ჩოკის ძველან შავსტენენივ.  
*(ლოკი ფრჩხილების ძირ)*

**697. საცნაურას დაგიყენებ**

საცნაურას დაგიყენებ,  
საცნაურის ფერასაო,  
შუშუ ჭრელსა, შუშუ კვრელსა,  
შუშუ ალისფერასაო.  
*(ხალიჩა)*

**698. ორმო, ორმო**

ორმო, ორმო,  
ორმო ბნელი,  
შიგ მოზვერი ბრუნავს ძნელი.  
(თოფი)

**699. წყალში იხვი ზის**

წყალში იხვი ზის, ქერსა სჭამს,  
გახტება და ჰაერია,  
ზემოდან წიგნი მოუდის,  
დავითის დანაწერია.  
(ყინული და მზე)

**700. ჯარის ტყავზე**

ჯარის ტყავზე ცერცვი ხფენავ,  
ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე.  
(ვარსკვლავები)

**701. ჩემი თიკვნი**

ჩემი თიკვნი — თიკვნათიანი,  
სადაც გადავკრავ,  
გადასწვდებიან.  
(თვალეები)

**702. მთა, ყანა**

მთა, ყანა, მემრე მისვრინტი,  
მემრე მიკრიჭი, ბროლით  
გამოჭედილი.  
(კბილეები)

**703. წინ ზურგი**

წინ ზურგი, უკან — მუცელი.  
(კანჭები)

**704. უსულონი, უგულონი**

უსულონი, უგულონი  
მთაზე გადმოლულუნებენ.  
(ღრუბლები)

**705. ხუთნია ხუცურაულნი**

ხუთნია ხუცურაულნი,  
ხუთნი აგებენ ციხესა.  
*(წინდის ჩხირები)*

**706. ღობეში ჳელი გადაყავ**

ღობეში ჳელი გადაყავ,  
კაპასმა ძაღლმა მიკბინა.  
*(ჭინჭარი)*

**707. კიკლი, კიკლი**

კიკლი, კიკლი, კიბესაო,  
ტარახტინის ციხესაო,  
ზედ კურდღელი შემომჯდარა,  
ატყაპუნებს ყურებსაო.  
*(სახეჩელი)*

**708. მიეთრევა, მოეთრევა**

მიეთრევა, მოეთრევა,  
დაეგდება კუთხეში.  
*(ცოცხი)*

**709. ერთი თხა მყავდა**

ერთი თხა მყავდა ელაო,  
ძუძუზე ედო ენაო,  
იმის ნათქვამი, ნაქნარი  
სუყველამ დაიჯერაო.  
*(სასწორი)*

**710. უტლუ, უტლუ**

უტლუ, უტლუ, უტლუ, ფეხუ,  
გარეთ თეთრი, შიგნით ჳრელი.  
*(კიდობანი)*

**711. ჩემი თეთრი ვარიაო**

ჩემი თეთრი ვარიაო  
სირბილითა მაკვაო.  
*(თითისტარი)*

**712. ერთი რამ სურიელია**

ერთი რამ სურიელია  
შორით დამკრეფი ვარდისა,  
ჯერ ღვთისა მოსამსახურე,  
მერე ყოველი კაციცა.  
*(ფუტკარი)*

**713. ოთხნი არიან**

ოთხნი არიან, ტოლნი არიან,  
დარბაზს ჩადიან, ჩაიმღერიან.  
*(რძე და ძროხის ძუძუები)*

**714. უსულოსა, უგულოსა**

უსულოსა, უგულოსა  
ორი კუჭი აბიაო.  
*(მუთაქა)*

**715. ჩემი თეთრი ვარიაო**

ჩემი თეთრი ვარიაო  
მიწა-მიწა მძვრალიაო.  
*(ნიორი)*

**716. თეთრად დავიბადე**

თეთრად დავიბადე,  
წითლად გავიზარდე,  
შავად დავბერდი.  
*(მაყვალი)*

**717. ტყეშიითავ წუწიანა**

ტყეშიითავ წუწიანა ბებერა  
გამაჰხედავსავ.  
*(ხუტკურა)*

**718. წიწაკაზე მწარე**

წიწაკაზე მწარე,  
შაქარზე ტკბილი.  
*(კაკალი)*

### 719. ზეცას ვარ

ზეცას ვარ, ქვე ცას ფეჲ მიდგა,  
ადამთა ვემუდარები.  
მწარე მცვაჲ ტანისამოსი,  
მზეს პირად გავედარები.  
(კაკალი)

### 720. ერთი რამე სულიერი

ერთი რამე სულიერი  
მაღლა ზის და იქნევს თავსა.  
სასიკვდილოდ სახლს აიგებს,  
თვითონ გამაიჯრის კარსა.  
(აბრეშუმის ჭია)

### 721. გავალ-გავალ

გავალ-გავალ გალივითა,  
ხმას გავიღებ ზარივითა,  
გლენის კაცი შემინახავს  
მარგალიტის თვალივითა.  
(ყურძენი და ღვინო)

### 722. აგერ, მაღლა მთაზედაო

აგერ, მაღლა მთაზედაო,  
ბუ შემოჯდა ქვაზედაო,  
მივედი და შემოვტყეპე  
აქეთ-იქით ყბაზედაო.  
(სახეჩელი)

### 723. ერთი რამე ვნახე

ერთი რამე ვნახე,  
ემშაკისა სახე,  
მივიხედე, მოვიხედე,  
კვალი ვერ უნახე.  
(ადამიანის ჩრდილი)

### 724. ბლუ და ყრუ

ბლუ და ყრუ სახლში დაბრუნავს.  
(ცოცხი)

**725. შვიდი ფიცარი**

შვიდი ფიცარი  
შეფიცებული,  
შემტკიცებული,  
ვერც გახსნის მეფე,  
ვერც მისი ჯარი.  
*(დიდი მარხვა)*

**726. ოჯინჯარი, ოჯინჯარი**

ოჯინჯარი, ოჯინჯარი,  
ოთხი ფეხით მობიჯარი.  
*(მაგიდა)*

**727. მალლა ცამა**

მალლა ცამა მოიწმინდა,  
მოისკამისკუმელა,  
ქვეშ მელიამ გუდი ჩაკრა,  
ჩაიჟამელჟუმელა.  
*(ღრუბელი და წვიმა)*

**728. ხია, ხია, ხიამბალა**

ხია, ხია, ხიამბალა,  
ზედ ასხია კახამბალა.  
არც ისმება, არც იჭმება,  
არცა პირში ჩასავალა.  
*(ძალყურძენა)*

**729. ასი-უსი მთაზედა**

ასი-უსი მთაზედა,  
ასი ნიკრი მოდიოდა.  
ერთსა ფეხი მოტეხოდა,  
ყველა იმას ელოდა.  
*(ქსელი, ნაქსოვი)*

**730. იქით გორა**

იქით გორა, აქეთ გორა,  
შუაზე ლომი გორავს.  
*(ცომი და ვარცლი)*

**731. სირი, სირი, სიკაჭკაჭი**

სირი, სირი, სიკაჭკაჭი  
შევა წყალში, გასუქდება,  
გამოვა და შეწუხდება.  
(კალმახი)

**732. მიდის, მოდის**

მიდის, მოდის, იქანავეა.  
(კარები)

**733. ცა ვდრიკე**

ცა ვდრიკე, მასკვლავი ვკრიფე.  
(თხილი)

**734. ზაქარია კორკოტა**

ზაქარია კორკოტა  
თავის სახლით გარბოდა.  
(ლოკოკინა)

**735. სახლი მაქვს**

სახლი მაქვს ასეთ-აგეთი,  
თითონ ფრინველის ნაგები,  
შიგა ვზივარ და ვიძახი,  
მინდარის კარის საღები.  
(წიწილა)

**736. ამიჯანა უცნობარი**

ამიჯანა უცნობარი,  
ჯალაფთ გამოუცნობარი.  
(ორსული ქალი)



**შენიშვნები**



### **1. ღმერთო და ხატო ცხოველო**

თსუფა №28408. მთქმელი მოსე პავლეს ძე მახაური, ჩამწერი ტრისტან მახაური, სოფ. გომეწარი (ფშავი) , 1977.

### **2. ღმერთო, ჰე, ღმერთო**

თსუფა №28409. ეს ლექსი სოფელ გომეწარის ადგილის დედის ხატში, გიორგობის დღესასწაულზე, იმღერეს გოგი დავითურმა და ივანე ბექაურმა. ლექსის დასაწყისი სტრიქონი შექმნილია “ვეფხისტყაოსნის” გავლენით. შდრ.: “ილოცავს, იტყვის: “მაღალო, ღმერთო ხმელთა და ცათაო...”

### **3. პირველად ღმერთი ვაკსენოთ**

თსუფა №26413. მთქმელი ბაბაღე ტურაშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური, სოფ. ლეჩური (თელავის რაიონი), 1985 წლის 20 ივლისი. ეს და მისი მომდევნო შვიდი საკულტო ლექსი ფერხისაში იმღერება დღესასწაულებზე.

### **4. პირველად ღმერთი ვაკსენოთ**

ბარდ. ივრ., გვ. 63-65. ჩამწერი ვერა ბარდაველიძე.

### **5. დიდი ვარ ლაშარის ჯვარი**

თსუფა №28410. მთქმელი ხვთისო მოკვერაშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური, სოფ. ჯიჯეთი (თიანეთის რაიონი), 1981 წ.

### **6. ბერი გიორგი მეც ვიყავ**

რაზ., გვ. 17. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

### **7. არ მინდა ფშავისკევზედა**

თსუფა №28411. მთქმელი ბერი წიკლაური, სოფ. მაქართა (გუდამაყარი), ჩამწერი ტრისტან მახაური, 1982 წ.

### **8. ფშავლებსა ლაშარელაი**

თსუფა №28412. მთქმელი ლაშა ძებნიაური, ლაშარის თავკვევისბერი, ჩამწერი პავლე ასპანიძე. ჩაწერილია ლაშარის ჯვრის დღეობაზე 1988 წელს.

### **9. ლაშარელაის ლურჯასა**

თსუფა №28413. მთქმელი მოსე მახაური, ჩამწერი მიხეილ ღანიშაშვილი.

### **10. ქალმა თქვა, თამარ ნეფემა**

ქსპ XI, გვ. 213, №6-ა. მთქმელი ახალა ქისტაური, ჩამწერი არჩილ შიშმანაშვილი. სოფ. სიონი.

### **11. შვიდი წლის ქალი თამარი**

რაზ., გვ. 20. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ეს ლექსი, როგორც შემადგენელი ნაწილი, ჩართულია იახსრის ლექსში. ჩვენ გამოვაცალკევით როგორც დამოუკიდებელი ტექსტი.

### **12. შვიდი წლის ქალი მობრძანდა**

რაზ., გვ. 14. №22. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი, ფშავი. ტექსტს ერთვის ჩამწერის შენიშვნა: “ლაშარის ჯვარსა და ღელეს შუა (აქ თამარის ნიშია) არაგვი ჩამოდის. ორივე ხატები მაღლა გორაზეა”.

### **13. ჯმაღანი ერთი ციხე დგას**

თსუფა №28414. მთქმელი ტოლხა შეთეკაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ზოტიკიანთკარი (დუშეთის რაიონი), 1985.

### **14. კმელ გორზე იდგა მუხაი**

თსუფა №28415. მთქმელი ბაბალე ბაიაშვილი, ჩამწერი ნინო ტუსკია. სოფ. არტანი (თიანეთი), 1988.  
“მირეშაული სახელია. იგი გვარად აფციაური ყოფილა” (მთქმელის განმარტება).

### **15. ვაჯსენოთ ღმერთი, ვაჯსენოთ**

თსუფა №28416. მთქმელი შალვა ბერიძის ძე მადურაშვილი, კობალის ჯევისბერი, ჩამწერი ტრისტან მახაური, სოფ. უძილაურთა (ფშავი), 1981. ამ ლექსს ფერკისაში მღერიან. .

### **16. კობალას მშვილდო, მშვენვარო**

აკაკის კრებ., № 1, 1900.

### **17. კობალავ, კარატიონო**

ქსპ I, გვ. 131, №85. მთქმელი ხვთისო ბოიგარის ძე რკინაული, ჩამწერი დავით გოგოჭური. სოფ. ფუძნარი (ფშავი), 25.10.1969.

### **18. კობალამ კარატიონმა**

ქსპ I, გვ. 131, №84. მთქმელი ყუდია გიას ძე ჭინჭარაული, ჩამწერი დავით გოგოჭური. სოფ. კაწალხევი (ფშავი), 10.10.1964.

**19. დევების მელანია**

ქზბ I, გვ. 133, №89. მთქმელი დ. მჭედლური, ჩამწერი გიორგი თურმანაული. სოფ. მიგრიაულთა (ფშავი), 1964.

**20. ცხრანი ძმანია დევები**

ქზბ I, გვ. 306, №81-ვ.

**21. წყაროსთაველი ჩიოდა**

ქზბ I, გვ. 141, №105. მთქმელი დავით თურმანაული, ხევისბერი, ჩამწერი გიორგი თურმანაული. ფშავი.

**22. დღესამ დღეობა ვისია**

მსე I, გვ. 40. სოფ. ომალო.

**23. წმინდა გიორგი ცხენზე ზის**

ივ. ხორნ., გვ. 227. მთქმელი ელიზბარ ხარაძე, ჩამწერი ივ. ხარნაული. სოფ. კაწალხევი (ფშავი).

**24. ბაადურს, გუდანის ჯვარსა**

ქზბ I, გვ. 291, №69.

**25. ქარი იყო და სვიოდა**

თსუფა №28417. მთქმელი კობალის თავგვევისბერი იოსებ კოჭლიშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური. ამ ლექსს ფერხისაში მღერიან.

**26. ჭერო მიმიცავ ყმათადა**

თსუფა №19850. მთქმელი გაგუა მინდიას ძე ლიქოკელი, 52 წლის, ჩამწერი გიორგი (იურა) ჯაფარიძე, ჭალაისოფელი (ხევსურეთი). 1974.

**27. ხთის კარზე შავიყარენით**

თსუფა №28418. მთქმელი მოსე მახაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. გომეწარი (ფშავი). 1995.  
ეს და მისი მომდევნო შვიდი ლექსი საფერხულაა.

**28. ცხრანი ძმანია დევებიო**

თსუფა №25582. მთქმელი გოგა ბასილის ძე წიკლაური, 77 წლის, ჩამწერი ლალი წიკლაური, სოფ. ლუთხუბი (გუდამაყარი), 1982 წლის მაისი.  
“მთქმელმა მეორედ თავისთვის როცა ჩაილაპარაკა, სხვანაირად სთქვა: “მაიყვანეს და დამიკლესო ხუთრქა, ხუთყურა ცხვარიო”. მისი ბიძაშვილისგან კი — გიორგი გიორგის ძე წიკლაურისგან ასე ჩავიწერეთ: “მაიყვანესო და დამიკლესო: ოთხრქა, ხუთყურა ცხვარიო” (ჩამწერის შენიშვნა).

**29. ხთის კარზე შავიყარნით**

თსუფა №26325. მთქმელი ბაბაღე ტურაშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური, სოფ. ლეჩური (თელავის რაიონი), 1985 წ.

**30. ჩვენ თავად წყაროსთაველი**

თსუფა №28419. მთქმელი ფიდო სოხურაშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ელიაგზა (ფშავი), 1987 წლის ივლისი.

**31. დიდია ჩვენი პირიმზე**

თსუფა №28420. მთქმელი გაბრიელ წიკლაური, ჩამწერი ზაზა დვალი. სოფ. ჩოხი (გუდამაყარი), 1986.

**32. სანება სკაზმებს ზერდაგსა**

ბარდ., გვ. 97-98. მთქმელი ადუა გამახელას ძე არაბული, ჩამწერი ვერა ბარდაველიძე.

**33. მე ვიყავ წმინდა გიორგი**

თსუფა №26571. მთქმელი ნიკო ქავთარაძე, დაბ. 1923 წ., სოფ. წიფორში (მთიულეთი), ჩამწერი ტრისტან მახაური. ჩაწერილია ფასანაურში 1985 წლის 8 სექტემბერს.

**34. წმინდა გიორგის მშვენება**

თსუფა №26572. მთქმელი, ჩამწერი, ადგილი და თარიღი იგივე.

**35. ლომისას ჯაჭვი ჰკიღია**

თსუფა №26573. მთქმელი, ჩამწერი, ადგილი და თარიღი იგივე.

**36. ქაჯავეთ რად იარები**

თ. ოჩ. გვ. 53. მთქმელი ხ. წიკლაური, ჩამწერი თინათინ ოჩიაური. სოფ. აძლა (არსოტი).

**37. გვწყალობდეს ყველა ხატები**

ვირსალ., გვ. 232. მთქმელი მოსე ხიზანის ძე ბუჩუკური, დაბ. 1873 წელს, სოფ. ქვეშეთში (მთიულეთი). ჩამწერი ელენე ვირსალაძე.

**38. კანდოს წვერის ანგელოზო**

თსუფა №28421. მთქმელი მარიამ გიორგის ასული ვეშაგური, ჩამწერი ტრისტან მახაური, სოფ. გომეწარი. 1968.

**39. დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა**

რაზ., გვ. 17, №2. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

#### **40. დიდის პირიმზის კარზედაო**

მთქმელი სიმონ ივანეს ძე ბეჭაური, 68 წლის, ჩამწერი ზურაბ კიკნაძე. სოფ. გამსი (გუდამაყარი), 05.02.1982. ტექსტი ინახება ჩამწერთან. მთქმელის შენიშვნა: “ფერხისას დროს უფრო ამას მღერიან”.

#### **41. ქადაგობს გაიდაური**

თ. ოჩ., გვ. 78

#### **42. სამძიმარი**

თ. ოჩ., გვ. 46-47. ჩაწერილია ა-ბ) ხახმატში, გ) ლულში, დ) გველეთში, ე) ქობულში, ვ) ხადუში, ზ) არხოტში, თ) გიორგწმინდაში, ი) კისტანში, კ) შატლში.

#### **43. პირველად დასახა მორიგემა**

ქსპ I, გვ. 127-128, №80. მთქმელი ბაბო უჩონაური, ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. 1891 წ. 17 თიბათვე.

#### **44. მორიგევე ღმერთო**

თ. ოჩ., გვ. 43. მთქმელი წიქა ლიქოკელი.

#### **45. უხილავი არის მაგარი**

მთქმელი ქადაგი ნინო გაბიდაური (თუთლაშვილი), ჩამწერი ტრისტან მახაური, ჩაწერილია ციხეგორს (ფშავი), კოპალობაზე 1981 წელს.

#### **46. ბრძანებდა ბერ კოპალაიო**

მთქმელი ქადაგი მარიამ ხულიაშვილი (ბეყოშვილი), ჩამწერი ტრისტან მახაური, ჩაწერილია ციხეგორს (ფშავი), კოპალობაზე 1981 წელს.

#### **47. იავნანა (ღვთის კარზე სათქმელი)**

მთქმელი სალომე აღნიაშვილი, ჩამწერი მინდია ჟორდანი, სოფ. შილდა (ყვარლის რაიონი). 1962 .

#### **48. ნანები**

ბარდ. ივრ., გვ. 43-45. ჩამწერი ვერა ბარდაველიძე. ჩაწერილია ქალის ქადაგად დაცემის დროს ლაშარის ჯვარში.

#### **49. ჩვენ ბატონს გლოვა არ უნდა**

თსუფა №28422. მთქმელი მოსე მახაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. გოგოლაურთა (ფშავი), ჩაწერილია ქმოდის გორის წმ. გიორგის დღეობაზე 1979 წელს.

**50. ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა**

კოტ., გვ. 236.

**51. უბისს ავაგე საყდარი**

კოტ., გვ. 237.

**52. ერისთავმ ლაშქარ შაყარა**

თსუფა №28423. მთქმელი ძალღიკა ხახიკაური (გიორგი ბაბოს ძე ლიქოკელი), 78 წლის, ჩამწერი ზურაბ კიკნაძე, თბილისი (ხუდადოვის ტყე), 1980.

**53. ზურაბო, ერისთვისშვილო**

თსუფა №24209. მთქმელი გიორგი ყუდიას ძე წიკლაური, 44 წლის, ჩამწერი ზურაბ კიკნაძე. სოფ. როშკა. 11.VII.1980.

**54. ყმანი რა უყვენ, ზურაბო**

თსუფა №28425. მთქმელი გიორგი თადიაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. მათურა (ფშავი), 1986.

**55. აივსო ლიქოკისთავი**

თსუფა №28426. მთქმელი ნანუკა ლიქოკელი-არაბულისა, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. გომბორი, 1989 წლის იანვარი.

**56. წინათ ღბრძოლია ზურაბი**

თსუფა №28427. მთქმელი, ჩამწერი ადგილი და თარიღი იგივე.

**57. ფხიტუთ მოვიდეს წერონი**

შან., გვ. 3-4. №8. მთქმელი გაგა თეთრაული, ჩამწერი აკაკი შანიძე. ჩამწერის შენიშვნა: “მიამბო გაგა თეთრაულმა, რომელიც ლექსებში ნისლაურთ მაისტელობით არის ცნობილი, 1913 წლის ზაფხულში”. აკაკი შანიძე იმორწმებს აგრეთვე ბესარიონ გაბურის მონათხრობს და წერს: “როცა მამუკა ქალუნდაური დასწევია ზურაბის ლაშქარს ბეგენტ გორის ძირში, სცემია მას ხმლით წყალში. მოუკლავს ერთი, ორი სამი... ისე რომ თორმეტი კაცი ერთბაშად დაუხოცავს. მეთორმეტე რომ მოუკლავს, იგი ფეხალმა დაყუდებულა წყალში. ამის დანახვანზე მამუკას ხმალი ჩაუგია, რადგანაც ხევსურეთში ძველად მეომრების “რჯული” ისეთი ყოფილა, რომ თუ ხმლით შულღში მოკლული კაცი ფეხ-აღმა დაეყუდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ შულღი უნდა შეწყვეტილიყო: ცოდვა “ღმერთს შამწვდარი ას”. შემდეგ აბრუნებულა და ნაომარში, გზის პირში, სამანი ჩაუგდია და უთქვამს: “ვინც ჩემი სიკვდილის შემდეგ ამაზე მგზავრად აივლ-ჩაივლის და ვინაც ამ სამანთან სამს ყანწს არაყიანს, არ დალოცავს, ამ ჩემის ხმლის ცოდვა ეკიდოსო”.

**58. როშკისგორ დაჯდა ზურაბი**

შან., გვ. 4, №9. მთქმელი მინდია ქისტაური, ჩამწერი აკაკი შანიძე. თვალისი 11.VIII. 1913.



**59. ზურაბო, ერისთვისვილო**

შან., გვ. 7, №19. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**60. სევდამც მაგზვდების, ზურაბო**

შან., გვ. 7-8, №19-ა. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი.

**61. ზურაბო, ერისთვისვილო**

შან., გვ. 9. მთქმელი ბესარიონ გაბური, ჩამწერი აკაკი შანიძე.

**62. თემურაზ ჩაეუბნების**

შან., გვ. 9. №21. მთქმელი ბესარიონ გაბური, ჩამწერი აკაკი შანიძე.

**63. საფურცლეს ზურაბ მოვიდა**

ხიზან., გვ. 11. ჩამწერი დავით ხიზანიშვილი.

**64. იმერეთს რად გამათხოვე**

ხიზან., გვ. 130. ჩამწერი დავით ხიზანიშვილი.

**65. ქალსა სიზმარი ენახა**

თაყ., გვ. 188, №49. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი, ქართლი.

**66. ვაჰ, დედას მტრისას**

რაზ., გვ. 16, №28. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**67. შახფარავს გიორგწმინდასა**

შან., გვ. 11, №30. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**68. ზეზვაო გაფრინდაულო**

შან. I, გვ. 235. მთქმელი მღვდ. პავლე აზიკურიძე. ფარსმა, ჩამწერი აკაკი შანიძე. 04.07.1913.

**69. ამ ბალაშვილსა პაატას**

ქიზიყ., გვ. 33. მთქმელი აბრამა კიკილაშვილი, ჩამწერი შ. გონაშვილი, სოფ. ჯუგაანი.

**70. ერეკლე ბატონიშვილი**

ალ. ოჩ., გვ. 54. მთქმელი დათვია მგელიკას ძე ლიქოკელი, ჩამწერი ალექსი ოჩიაური. 1937 წ. ჩამწერის შენიშვნა: “ლექსში მოხსენებული ბიტურათ აბა სოფელ ბლოდან ყოფილა, სახელგანთქმული ძალ-ღონითა და ხმლით”.

**71. ბატონიშვილს ერეკლესა**

რაზ., გვ. 11, №8. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

## 72. მაღლის მაღალსა მთაზედა

საისტ. სიტყვ., გვ. 51, №57. მთქმელი მარიამ გურასპაული, ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

## 73. საწყალსა საქართველოსა

შან. I, გვ. 70-71, №8. მთქმელი ვამისია (თევდორე) ბადრიშვილი, ჩამწერი აკაკი შანიძე. შუაფხო, 11.07.1911.

## 74. ბრალთა შენი სიკვდილი

რაზ., გვ. 11, №7. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ჩამწერის შენიშვნა: “ამ ჭავჭავაძეს მოუნდომნია აფხუშოში გაბატონება (ჩარგალში). მიხდომია ფშავლებს, მაგრამ იმათ სასტიკად დაუმარცხებიათ და სულ კუდით ქვა უსროლინებიათ, დაუჭრიათ სასიკვდილოდ თვით ჭავჭავაძეს; ჩახდომიან ფუძნარშიც და სულ აუკლიათ. იქიდან წამოღებული საეკლესიო ზარი ახლაც აფხუშოლ იფნზე კიდია და ამადლების დღეობაში დარეკავს ხოლმე ხევისბერი, როცა ხალხს ამწყალობნებს და ქვეყნისთვის დახოცილების შესანდობარს სვამენ”.

## 75. აქნამდე, ღუდუშაური

შან., გვ. 14-15, №42. მთქმელი ბიჭა ღუდუშაური, ჩამწერი ბესარიონ გაბუური. სოფ. სნო, 08.07.1924.

ამ ბალადას, როგორც ყველა ქართულ საგმირო ბალადას, რეალური ამბავი უდევს საფუძვლად. შიოლა ღუდუშაური — ისტორიული პირი ცხოვრობდა მე-17 ს-ის დასაწყისში, ზურაბ ერისთავის დროს, რომლის დასაყრდენიც იყო იგი მთიანეთის საყმობებში.

ამ ბალადის შესახებ დაწვრილებით იხ. ტ. მახაური, ქართული ხალხური საგმირო ბალადა, “ლომისი”, თბ., 2003, გვ. 136-151.

## 76. აქამდე, ღუდუშაური

თსუფა №23150. მთქმელი საძილა სამუკას ასული ჭინჭარაული, 60 წლის, ჩამწერი ამირან არაბული, სოფ. ძეძეურთა, 1978 წლის 31 იანვარი.

## 77. ჩვენს ბატონს გაჰჭირვებია

რაზ., გვ. 15, №25. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ჩამწერი მიუთითებს: “ჩაწერილია 1890 10 მაისს, ს. არტანში ახადელი კაცისაგან, ფერხისად იმღერეს”.

## 78. ქალი ვარ ბაგრატივნისა

რაზ., გვ. 14. №21. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

## 79. ხოგაის მინდი კვდებოდა

კოტ., 125. მთქმელი შალვა ბეწუკლიშვილი. ფშავი.

## 80. ალაზნის თავსა, კლდის თავსა

ივ. ხორნ., გვ. 86. ჩამწერი ივანე ხორნაული.

**81. ჩასვლა გვინდა ჩაუვალსა**

პოეზია უბ. გვ. 138. ჩამწერი ირაკლი გოგოლაური.

**82. ვინა სთქვა, ენამც გაუხმო**

ვაჟა-ფშაველა, გვ. 37.

**83. თუშები საქორაოდა**

თსუფა №23219. მთქმელი ბერდია ჭინჭარაული, ჩამწერი ამირან არაბული. სოფ. ჭიე (ხევსურეთი), 1978 წლის 6 თებერვალი.

**84. თუშთ ნაქერალი ცხენები**

თსუფა №28429. მთქმელი დავით ელიზბარაშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური. შუაფხო, 1986.

**85. კისტან მოვიდა ლაშქარი**

მთქმელი გიორგი შარუმას ძე ჭინჭარაული, 51 წლის, ჩამწერი გიორგი ჯაფარიძე. სოფ. კისტანი (ხევსურეთი), 1977 წლის ივლისი. ჩაწერილია ფირზე. ტექსტი ინახება ჩამწერთან. მთქმელის შენიშვნა: “კისტან, რომენიც ძველი სოფელია, ციხეებია, მოსულა ლაშქარი აკვასა, ქისტის ლაშქარი. ეს ქისტები აკვანი — გვარი, მამიშვილობა. ეს ლაშქარი მოსულა ყანკიას ბელადობით. ჰოდა, აბულეთაურთ ხოლიგას მაშინ ეს ციხე დაუმთავრები ხქონია. ამაზედ არის სიმღერე”.

**86. ჭეჭყეთ მამწონდეს ციხენი**

მთქმელი, ჩამწერი, ადგილი და თარიღი იგივე. ტექსტი ინახება ჩამწერთან. მთქმელის შენიშვნა: “ეს ჭეჭყეთია ჩვენი პატარა, ერთადერთი სოფელი. აქ ყოფილან ცხრა ძმანი და აუშენებიათ ციხე ცხრათვალი. ამაზედ არის ლექსი”.

**87. ავად არს ლაჭაურაი**

ხიზან., გვ. 93.

**88. ქმოსტის ძირ ჩამოტროდა**

თსუფა №28430. მთქმელი ჩაჩა წიკლაური, ჩამწერი ნიკოლოზ ზვიადაური. სოფ. ჩოხი, 1986 წლის იანვარი.

**89. ლომო, შე ლომის მოკლულო**

ხიზან., გვ. 234. ჩამწერი დავით ხიზანაშვილი.

**90. მოლოდინი სჯობს მოსვლასა**

რაზ., გვ. 47, №74. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**91. ზენ ბაცალიგოზ თოვლი სთოვს**

თსუფა №28431. მთქმელი პეტრე გოგოჭური, ჩამწერი აზა მდინარაძე. სოფ. ატაბე (ხევსურეთი), 1986.

**92. იამბე, ციხის ნაშალო**

მთქმელი გიორგი შარუმას ძე ჭინჭარაული, 51 წლის, ჩამწერი გ. ჯაფარიძე. სოფ. კისტანი (ხევსურეთი). 1977 წლის ივლისი. ტექსტი ინახება ჩამწერთან.

**93. საისაკ მიზდით, ფშავლებო**

შან. I, გვ. 77-78, №23. მთქმელი ხთისო ბარწომვილი, გოგოლაურთიდან. სოფ. ხოშარა, 03.VII.1911.

**94. მითხოს გასუქდი, შიშავო**

თსუფა №28452. მთქმელი ტოლხა შეთეკაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ბარისახო, 1985 წლის 31 აგვისტო.

**95. გარამა თურმანაულმა**

ალ. ოჩ., გვ. 37, №79. ჩამწერი ალექსი ოჩიაური

**96. შენ ვერ ვერ მამკლავ, კევსურო**

შან. I, გვ. 77. მთქმელი ხთისო ბარწომვილი. სოფ. ხოშარა (ფშავი), 1911.

**97. თავს კადა, ბოლოს ცხავატი**

თსუფა №28432. მთქმელი გიორგი წიკლაური, ჩამწერი ტრისტანი მახაური. სოფ. ლუთხუბი (გუდამაყარი), 1986.

**98. ხოშაქის ტურა ღმერთს ეხვეწ**

ჭინჭ., გვ. 363. მთქმელი გ. ჭინჭარაული, ჩამწერი ალექსი ჭინჭარაული.

**99. დავნატრი დაბადებასა**

ხიზან., გვ. 71.

**100. ხუზაურმ უთხრა მამასა**

ივ. ხორნ., გვ. 88-89. მთქმელი თევდორე გედეხაური. სოფ. შუაფხოში (ფშავი), 1946.

**101. ჩოხს დაიბადა არწივი**

ვირსალ., გვ. 138. მთქმელი ლევან აფციური, ჩამწერი ელენე ვირსალაძე.

**102. ვერ გაიგეთა, ფშავლებო**

ივ. ხორნ., გვ. 107. ჩამწერი ივანე ხორნაული.

**103. კესელოს ციხე მოსტაცეს**

თსუფა №28433. მთქმელი თინა დავითის ასული წეწიაიძე, 66 წლის, ჩამწერი ნანული აზიკური. სოფ. ლალისყური (თელავის რაიონი). 7.XI.1980.

**104. გამოიკმელა ზამთარმა**

თსუფა №28434. მთქმელი სარა კობეს ასული ჭვრიტიძე, 77 წლის, ჩამწერი ნანული აზიკური. სოფ. შენაქო (თუშეთი), 1979.

**105. ფარსმაში ლეკნი მოიდეს**

თსუფა №28435. მთქმელი თინა დავითის ასული წეწიაიძე, ჩამწერი ნანული აზიკური. სოფ. ლალისყური (თელავის რაიონი), 7.XI.1980.

**106. ქისტეთშიგ ამბავ დავარდა**

თსუფა №28436. მთქმელი, ჩამწერი, ადგილი და თარიღი იგივე.

**107. აქვარის მთაი მთაზედა**

თსუფა №28437. მთქმელი მარუსა ბეწუნაიძე, 48 წლის, ჩამწერი ნანული აზიკური, სოფ. ქვემო ალვანი (ახმეტის რაიონი), 1977.

**108. შავჭალა შემოვიარე**

თსუფა №28438. მთქმელი სალომე რევაზის ასული მოლაძე, 67 წლის, ჩამწერი ნანული აზიკური. სოფ. ქვემო ალვანი (ახმეტის რაიონი).

**109. დაგცილდა, მექობაურო**

შან. I, 72, №72. მთქმელი მიხა პაპას ძე ხიზანაშვილი. სოფ. არტანი (თიანეთი), 26.IX.913.

**110. მოყმემ თქვა პირშიშველამა**

თსუფა №23839. მთქმელი მინდია (დიდმინდია) ძიას ძე არაბული, 85 წლის, ჩამწერი გიორგი ჯაფარიძე, სოფ. ჩხუბა. 1979 წლის ივლისი. ჩაწერილია მაგნიტოფირზე. ჩანაწერს ახლავს გ. ჯაფარიძის შენიშვნა: “დიდმინდიასაგან ექვსიოდ წლის წინადაც ჩავიწერე მაგნიტოფირზე “ვეფხვი და მოყმე”. ზამთარი იდგა. მინდია მაშინ გაცილებით მხნედ იყო, “ყურთაც მისდიოდა”. ჩანაწერი შესანიშნავი გამოდგა, მაგრამ ფირი ერთ ქალს ინგლისში გაჰყვა. მოვასწარი ტექსტის გადმოწერა და გამოქვეყნება (გაზ. “თბ. უნივერსიტეტი”). მინდიამ ახლაც ზუსტად გაიმეორა ტექსტი. ლექსის მეორე ნაწილი იცის, გაუგია, მაგრამ დაბეჯითებით ამბობს, “ეგ ახალია, უბრალო”. დიდმინდია ხატის დეკანოზია”.

**111. ბენავსა ჩემსა დედასა**

თსუფა №28439. მთქმელი ლევან ანთაური, მასალა მოგვაწოდა ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახელმწიფო სახლ-მუზეუმის თანამშრომელმა ალექსი ხუცურაულმა 1988 წელს. ტექსტს ერთვის მთქმელის შენიშვნა: “ყოფილა ერთი მონადირე. წასულა სანადიროდ და დაკარგულა. ჯალაფობამ აღარ იცის, ის კაცი სად

წავიდა, რომელ მხარეს და არიან შეწუხებულები მისი შინმოუვალობით. ბოლოს ადგნენ და წავიდნენ მკითხავთან. მკითხავმა ის უთხრა, რაც ლექსადაც არის ნათქვამი”.

### 112. ბაღღ ვიყავ პირ-შიშველაი

ფშ., ლექს., გვ. 199

### 113. მოყმემა პირშიშველამა

შან., გვ. 208-209, №519. ტექსტი მოგვყავს ზუსტად იმავე სახით, როგორც თვითონ აკაკი შანიძემ დაბეჭდა. ტექსტს ერთვის მისი შენიშვნა: “ჩამაწერინა ახი-ელელმა უნცრუა (ლუკა) ჯაბუშანურმა 15.3.1925. ტფილისში.”

ამ ბალადის მეორე ნაწილი გაჩნდა მე-20 საუკუნის ოციანი წლების ფოლკლორულ ჩანაწერებში. პირველად ვახტანგ კოტეტიშვილმა ჟურნალ “ქართულ მწერლობაში” (1927, №3-4) გამოაქვეყნა “ვეფხვისა და მოყმის” ვრცელი ვარიანტი, რომელიც ვახტანგ რაზიკაშვილს ჩაუწერინებია მისთვის. შემდეგში ვ.კოტეტიშვილმა ეს ვარიანტი 1934 წელს გამოცემული ქართული ხალხური პოეზიის კრებულშიც შეიტანა (გვ. 88).

“პირველი ნაწილი ამ ლექსისა ნაწილობრივ ძველია და ნაწილობრივ ახალი. ახალი დაბეჭდილია წვრილი შრიფტით. მეორე ნაწილი სულ მთლად ახალია. გადაკეთება-გავრცობა ძველი სიმღერისა გიორგი უთურგას ძე ჯაბუშანურს ეკუთვნისო. პირველ ნაწილში წვრილი შრიფტით (პეტიტით) გამოყოფილია ის მუხლები, რომლებიც, უნცრუას სიტყვით, ახლად დამატებულია. ძველ ნაწილში აქ ამბავი მესამე პირის ფორმითაა გადმოცემული, მაშინ როდესაც ზოგიერთ ვარიანტში იგი პირველი პირითაა მოთხრობილი” (შან., გვ. 559).

ამ ბალადის თავდაპირველი ტექსტის თაობაზე იხ. ზ. კიკნაძე, ავთანდილის ანდერძი, თბ.: მერანი, 2001, გვ. 266-272.

### 114. ვაჟისძე დ’ ფილიპიაი

შან. I, გვ. 78, №24. მთქმელი ხვთისავარ გულუაშვილი, ჯოშარა (ფშავი), 1911. ტექსტს ერთვის ჩამწერის შენიშვნა: “ვაჟისძე ფშაველი იყო, ჯოშარელი, ფილიპიაი კი — დიკლოელი თუმი”.

### 115. ჩანთელი დ’ აფთარაული

შან., გვ. 61, №154. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. აკაკი შანიძე მიუთითებს: “მსგავსად იწყება ერთი ჩემ მიერ ჩაწერილი ფშაური ლექსი: “ვაჟისძე დ’ ფილიპიაი შაიყარნიან ჯარები, აღარ დაუხვდა მეშველი, დაანაფოტეს ფარები”.

### 116. როშკისგორს ღიღღველ თამაშობს

შან., გვ. 43. №110. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

### 117. ერთი ვაჟკაცი ფხოველი

შან., გვ. 47, №126. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თედო რაზიკაშვილის შენიშვნა: “მე ამათი ვერა გავიგე რა: ვინ იყო შავანელი ან სადაური. ამისი ვარიანტი ფშაურ ლექსებში მაქვს. იქ ასე იწყება: “ერთი პატარა ფხოველი შავ მთას სამზირლად დაჯდება”.

**118. ბლოელ ბერდია, ჳირხლაი**

თსუფა №23222. მთქმელი ბერდია ჳინჭარაული, ჩამწერი ამირან არაბული. სოფ. ჳიე (ხევსურეთი), 1978 წლის 6 თებერვალი.

**119. ქარი ჳქრის საქაროვნეში**

თსუფა №26315. მთქმელი ბაბალე ტურაშვილი, 85 წლის, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ლეჩური (თელავის რაიონი). მთქმელის შენიშვნა: “ქისტთა და ფშაველთ მაღვლია საქაროვნეში (მათურის თავსა) ჩხუბი და უძახნავ, რო ერთურთი ვძალოთო. პატარა კაცაი ყოფილა ი ძიბლაი. “მე წავალო”. “კაცო, გაჩუმდიო”. ი ქისტ რო გამეემართა, გორისოდენა კაცი იყო. ჳმალ მაუქნია ი ძიბლამაო და შასტაცა (ქისტმა) ჳმალიო. ჩამასწია ძიბლამაო. ჩამაღშალა, ჳელი მიაყოლა და მოკლაო”.

**120. ჩავალის, ჩაეუბნება**

ქზბ IV, გვ. 48, № 39. მთქმელი შ. ბეწუკლიშვილი. ფშავი.

**121. ჩავალის, ჩაეუბნების**

შან., გვ. 38, №99. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**122. ცხენს ეტყოდ ნასკვაურიზე**

უთურგ., გვ. 183. მთქმელი უცნობია, ჩამწერი თედო უთურგაიძე. თუშეთი, 1953.

**123. ღმერთო, რა დიდი ბრალია**

შან., გვ. 39, №103. მთქმელი ბადია ბალიაური, ჩამწერი ნ. ურბნელი.

**124. კახეთში ყივის გუგული**

თაყ., გვ. 54, №17. ჩამწერი ივ . ბუქურაული.

**125. კახეთს რად ღბრუნავ, ფუნჩაო**

შან., გვ. 45, №118. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**126. ვინა ხარ, გულჭირიანი**

ხიზან., გვ. 68-69. ჩამწერი დავით ხიზანიშვილი.

**127. ჳირთა გინივლებ, ბატონო**

თსუფა №23151. მთქმელი საძილა სამუკას ასული ჳინჭარაული, ჩამწერი ამირან არაბული. სოფ. ძეძეურთა (ხევსურეთი), 1978 წლის 31 იანვარი.

**128. შემომეყარა ყივნალი**

კოტ., გვ. 74. მთქმელი ვ. კავთიაშვილი, ჩამწერი ვახტანგ კოტეტიშვილი. სოფ. სასხორი (ქართლი).

### 129. ამბავსა გეტყვით

ქმბ IV, გვ. 371, №197-გ. მთქმელი სონკა ცხვედაძე, ჩამწერი მალაქია ჯაიანი. სოფ. კეხიჯვარი (ქარელის რ.).

### 130. ქართველი ბიჭი მივდივარ

აკაკის კრებ., გვ. 20. მთქმელი მ. ჟიჟიაშვილი, ჩამწერი ალექსანდრე მახაბელი.

### 131. შინ იყო ივანეური

თსუფა №28439. მთქმელი მოსე მახაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. გომეწარი (ფშავი). ივანეურის ამბავს ამგვარად მოგვითხრობს ბესარიონ გაბუური: “ნეფე ერეკლეს დროს ყოფილ იონეური. თუ იყვ ძალიან მეომარი ჯმლით, რომ კაცი იმის დამხვედრი არვინ იყვა. ჯვარისად რაიმ შაუწყენავ თავის სიამაყით და ჯვარი გასწყრომივა და გაუყრევავ წვერი და ეს ამ იონეურს ძალიან უუკადროებაგ, რომ ‘მე ახლა ხალხში როგორად ვიარავ?’ დამზადებულა, აუსხამ თავის იარაღი: თოფი, ჯმალი და ფარი, შაუკაზმაგ თავის ლურჯა და წასულა მშავისკე: უნდა სახელიანი ვაჟი ვინ მოკლას და თავიც იქ გაწირას...” (ბესარიონ გაბუური, ჯვესურული მასალები, პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, გვ. 185-186).

ხოშურაულებს, იმის გამო, რომ მისი გვარის კაცმა სალუდეში, ხატის წმიდა ადგილზე, კაცი მოკლა, დანადები დაედო: ცაბაურთის მთვარანგელოზის დღეობაზე კურატის შეწირვა.

ბალადის შესახებ დაწვრილებით იხ. ტ. მახაური, ქართული ხალხური საგმირო ბალადა, “ლომისი”, თბ., 2003, გვ. 99-115.

### 132. ჭიმლაში ივანეური

თსუფა №15191. მთქმელი ბიჭურ ჭრელას ძე ბადრიშვილი, 92 წლის, ჩამწერი ბეჟან ხარაიშვილი. შუაფხო, 1973 წ. ივლისი. მთქმელის შენიშვნა: “ეხლა რო კიბოა, წინა მაგას ვეძახდით მჭამელს. ის გასჩენია იმ ხევსურს და უნდა სახელი სადმე ქნას, წავიდეს. წამოიდა ფშავშია და მოიდა ცაბაურთაშია. წინ იყო გამო-სავალი გზა. ეს ბაღლები ნახა და ჰკითხა: ვინ არი აქ კაი ბიჭიო? იმათ უთხრეს, რო დაჭაურაიაო. ჰოდა, მოიდა და მეწეია, სახლისკე მოდიან. ჩამოსავალია იქ მაღლიდან, მთიდან. მერე დაჰკრა, თან სალამოა, აბა, სალამომდე არ დაისვენებდენ ისენი, არ დაიუქმებდენ. საქობეა ისლით (?) (თუ ფიცრით, მაგნიტოფირზე ჩაწერილი ზუსტად ვერ აღვადგინე... ბ. ხ.) დახურული, საქობეს ვეძახით, შვილო, შადვარდა შიგა. ჩეებარა იმას-ღმერთო, მიშველე, გადამარჩინეო. მერე მაინც შადყვა ის ხოშარეული (?), კაი ბიჭი იყო და მოკლა ის. სწორედ იმაზეა ნათქვამი”.

### 133. ჭიმლაში ივანეური

შან., გვ. 448-449, №184-გ. მთქმელი დავით ლიქოკელი, ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი (დახვრიტეს 1937 წ.). ბარისახო.

### 134. არ ვიცი ხანდო-ჭართალი

თსუფა №28441. მთქმელი ნიკალა გიორგის ძე ვეშავური, ჩამწერი ზურაბ კვიციანი. ფასანაური, 1985 წლის 6 ოქტომბერი.



**135. მაღლა მთას მოდგა**

კოტ., გვ. 81-82. ჩამწერი ელ. აგლაძე. რაჭა.

**136. კარკუჩით გამეუმართა**

შან., გვ. 29. №72. ტექსტს ახლავს აკაკი შანიძის შენიშვნა: “ვარიანტი ჩემია. იგი ჩავიწერე გაგა თეთრაულის სიტყვით ს. ახიელში 6.8.1913. ლექსის შინაარსი ისაა, რომ ობლად დარჩენილი ბალათერა, არხოტელი, როცა წამოზრდილა, დედამათას გადასულა ს.კარკუჩას, სადაც მამის მიერ მიბარებული იარაღი ჰქონებიათ. წამოსვლისას ბალათერას უთხოვია თავისი იარაღი, მაგრამ დედიძმას არ მიუცია: ჯერ ბალლი ხარ, აბა რად გინდაო? ამიტომაცა ლექსში ნათქვამი: “დედიძმათ გაჯავრებული ქვა-რკინას ამტვრევს კბილითა“-ო. გზაში ჯუთის ზემოთ, ქისტების მზირს შესჩხვებია და დაუჭრიათ” (შან., გვ. 381).

**137. ანდაკზე ამოდიოდენ**

თსუფა №28442. მთქმელი ტოლხა შეთეკაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. ზოტიკიანთკარი (დუშეთის რაიონი), 1985.

**138. ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო**

თსუფა №28443. მთქმელი, ჩამწერი, ადგილი და თარიღი იგივე.

**139. თოფ დაჰკრეს მექოჭიასა**

თსუფა №26271. მთქმელი გიორგი დადალაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ლაფანყური, 1985 წლის ივლისი.

**140. შატილსა ერთი კოკობი**

თსუფა №26238. მთქმელი რეზო ბათურიშვილი, 57 წლის, მეღორე, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ლაფანყური (თელავის რაიონი), 1985 წლის 18 ივლისი.

**141. აკადში იყო ბებერი**

თსუფა №24608. მთქმელი თათუა არაბული, 72 წლის, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ვერხველი (თიანეთის რაიონი), 1981 წლის 5 თებერვალი.

**142. ამბობენ, თადიაური**

თსუფა №25497. მთქმელი გიორგი დავითის ძე თადიაური, 71 წლის, ჩამწერი ზურაბ კიკნაძე. სოფ. მათურა (ფშავი). 1982.

**143. ძალდი ჰყევს ჩეროს ბაკშია**

თსუფა №28444. მთქმელი თამარ თადიაური, ჩამწერი ვეფხვია თადიაური. წინამური.

**144. სად იყავ, თადიაურო**

თსუფა №28445. მთქმელი, ჩამწერი და ადგილი იგივე.

**145. ხაზარემ ნახა სიზმარი**

შან. I, გვ. 154. №5. მთქმელი ანდრია კობაიძე. სოფ. სიონი (ხევი), 30.VII.1913.

**146. დუმაცხოს პაპო მჭედელი**

შან. I, გვ. 162, №30. მთქმელი შიო გივის ძე აფციაური. სოფ. დუმაცხო (გუდამაყარი), 17.VI.1913.

**147. ბაკურჭვეს ციხე დაიქცა**

შან. I, გვ. 167, №52. მთქმელი ქოთია ბუჭკიას ძე ჩოხელი. თოთიაურთკარი (გუდამაყარი), 20.VI.1913.

**148. დედი, რად სტირი გიგასა**

ნამცვრ., გვ. 98. მთქმელი თედო ბეჟიაშვილი (1870-1960), წერაკითხვის მცირე მცოდნე, ჩამწერი ნ. ონაშვილი. სოფ. წყაროსთვალი (გარე კახეთი).

**149. მწყემსი ვარ, ამბავს გიამბობთ**

თსუფა №24614. მთქმელი ალექსანდრე დულუზაური, 77 წლის, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. დულუზაურები (თიანეთი), 1981 წლის 30 იანვარი.

**150. მაშინ კარგია კაი ყმა**

შან., გვ. 498, №276-ბ. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**151. კაი ყმა ლაშქარს მოკვდება**

შან., გვ. 500. №284-დ. მთქმელი ვაჟიკა არაბული.

**152. კაი ყმა კმალსა ჩაჰხედავს**

შან., გვ. 501. №286-ბ. მთქმელი ვაჟიკა არაბული, ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**153. ვაჟკაცს არ გამაადგება**

თსუფა №24697. მთქმელი პეტრე შალვას ძე კუწაშვილი, 83 წლის, ჩამწერები: მაია ბოჭორიშვილი და მაია ქარსელაძე. სოფ. მუქო (ფშავი). 1981 წლის ივლისი.

**154. ვაჟკაცს რო ემთქნარებიან**

თსუფა №28446. მთქმელი პეტრე კუწაშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ხოშარა (ფშავი), 1980 წლის ივლისი.

**155. ნეტავი ლაშქარს შაგვყარნა**

კოტ., გვ. 55. ჩამწერი ილია ჭავჭავაძე.

**156. კმალმა თქვა ფრანგეთ ნაჭედმა**

თსუფა №24219. მთქმელი თაველექა გიგის ძე არაბული, 80 წლის. ჩამწერი ზურაბ კიკნაძე, 14. VII. 1980.

**157. კმალი ვარ, კმალთა ბატონი**

თსუფა №15038. მთქმელი თამარ ტონას ასული ქოჩაშვილი, 39 წლის, ჩამწერი გვანცა კოპლატაძე. სოფ. თხილიანა (ფშავი).

**158. გადავალ შუა ხალხშია**

თსუფა №24872. მთქმელი გოდერძი აპარეკას ძე ალუდაური, 23 წლის, ჩამწერი ლიანა ბაიდაური. სოფ. ხახმატი (ხვესურეთი), 1981 წ. ივლისი.

**159. ყველა ქალისას გიამბობს**

რაზ., გვ. 50, №86. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**160. ხალიასძის კირიმი**

თსუფა №25496. მთქმელი გიორგი თადიაური, 71 წლის, ჩამწერი ზურაბ კიკნაძე. სოფ. მათურა (ფშავი), 1982 წლის 22 აგვისტო.

**161. ხალიასძის კირიმი**

რაზ., გვ. 50, №85. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**162. აწ მაკვდა რეკათ ჯამრული**

შან., გვ. 215, №530. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**163. არწივო, მკარკვერიანო**

რაზ., გვ. 23, №3. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**164. რა ცუდი ზნე გჭირთ, ყორნები**

რაზ., გვ. 42, №59. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**165. გატეხილისა ვაჟისა**

ქსზ III, გვ. 85. №34. წამძღვარებული აქვს ეპიგრაფად ვაჟა-ფშაველას პოემას “სულა და კურდღელა”.

**166. ყვარანო, ჭარის ბოლოსა**

შან., გვ. 46, №120. მთქმელი აბა გიგაური, ჩამწერი აკაკი შანიძე. 16.08.1916.

**167. ჭიმღის კლდეთ ყეფდა ყორნები**

შან., გვ. 41, №106. მთქმელი ბაკა ოჩიაური, ჩამწერი აკაკი შანიძე. სოფ. ახიელი, 04.08.1913.

**168. ქალი ვარ წოვა თუშისა**

თსუფა №26428. მთქმელი ხუმარა ბადრიშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ლეჩური (თელავის რაინი). 1985 წ.

**169. ლაშარს მოიდა თილისძე**

თსუფა №28447. მთქმელი მოსე მახაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. ლაშარის ჯვარის დღეობაზე, 1981.

**170. დაგვლივანა კოშარისგორმა**

თსუფა №28448. მთქმელი ნინო ბობლიაშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ახადი (ფშავი), 1988.

**171. მოიდეს წითელაურნი**

თსუფა №28449. მთქმელი, ჩამწერი, ადგილი და თარიღი იგივე.

**172. სუმელჯი წოწკურაული**

თსუფა №28450. მთქმელი, ჩამწერი, ადგილი და თარიღი იგივე.

**173. ვინა თქვა, ენამც გახკმება**

თსუფა №26429. მთქმელი ხუმარა ბადრიშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური. ლეჩური (თელავის რაიონი), 1985.

**174. ვინა თქვა, მოკვდა ჭუჭაი**

თსუფა №26347. მთქმელი ხუმარა ბადრიშვილი, 76 წლის, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ლეჩური (თელავის რაიონი), 1985 წ. მთქმელი შენიშნავს: “ჭუჭათ ჭუჭაი ყოფილა კაი მეომარი. ქისტეთიდან გადმასდენია ცხვარ-ძროხა, უნაწილებავ. მისდენია თავის ხალხი. ერთხელაც დამზადებულა ხალხი სალაშქროდ. ჭუჭას ასტკივდა ღვიძლი. წავიდა ეს დამზადებული ხალხი. გადმოიდენ ცარიელები, გამაიარეს კევსურების სოფელზედა. იმათ ვერც ტყვე მაჰყავ ქისტებიდანა, ვერც ცხვარ-ძროხა მაუდის. გამაიარეს და შეეკითხა ერთი კაცი (კევსური): თქვენაო სხვა დროს არ გამოგვივლიათ ეგრეო, ცარიელებ რად მასდინართო? ჩვენაო ჭუჭა მოგვიკვდაო. ის სანამ იყო, წინამძღვარი გყავდაო და იმით ვიყვენით გამარჯვებულებიო. ჩამოიდენ სოფელშია. რა ჰქენით, როგორ არის საქმე? ესე იყო: ვიარეთ და კევსურეთზე რო გამოვიარეთ, მავანმა ისა თქვა: ჭუჭა მოკვდაო და იმით მოვდივართ ცარიელებიო, ველარ მოგვიდის ცხვარ-ძროხა, ვერც ტყვეებიო. ეს ჭუჭაის ყურად მივიდა, წავიდა ჭუჭაი და გადმორეკა ცხვარი, ძროხაც, გაუნაწილა ამ ხალხსა, ტყვეებიც გადმორეკა”.

**175. ორშაბათ დილა გათენდა**

თსუფა №26409. მთქმელი ბაბაღე ტურაშვილი, 85 წლის, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ლეჩური (თელავის რაიონი). 1985 წლის ივლისი.

**176. ელიან გოგოლაურნი**

თსუფა №24705. მთქმელი პეტრე შალვას ძე კუწაშვილი, 83 წლის, ჩამწერები მაია ბოჭორიშვილი და მაია ქარსელაძე. სოფ. მუქო (ფშავი), 1981.

**177. ღელეს მოიდა თამარი**

თსუფა №26421. მთქმელი ხუმარა ბადრიშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ლეჩური (თელავის რაიონი), 1985.

**178. ჯაკმატ პირდაპირ მზირი წევს**

თსუფა №24501. გადმოწერილია ბაბუტა (გიორგი) ქორიას ძე გოგოჭურის (16 წლის) რვეულიდან. გადმოწერა ია რჩეულიშვილმა 1980 წლის 7 ივლისს სოფ. ჭორმეშავში (ხევსურეთი).

**179. კვირას იორზე გავედით**

თსუფა №28453. მთქმელი მოსე მახაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. გომეწარი (ფშავი), 1980.

**180. მიქასა შარვანეულსა**

თსუფა №28454. მთქმელი სიმონ ბექაური, 57 წლის, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. გამსი (გუდამაყარი). 1982 წლის იანვარი. მთქმელი გვიამბობს: “ჩვენა ვყოფილვართ ჳევსურეთში. იქ არის სალოცავი ჩვენი, ფუძის ანგელოზს ეძახიან. ზურაბ ერისთავს ულაშქრია იმ დროსა და შარვანა განთქმული, გამეფებული ყოფილა ჳევსურეთში. იმას ციხე-სიმაგრე ჰქონია. მიქას იმდენა საქონელი ჰყოლია, რო მთაში, საცა საქონელსა სწველვენ, მილი ჰქონია დაშვებული და ამ მილით სიმაგრეში მასდენია ეს რძე საქონლისა. მოჯამაგირე ჰყოლია იმას, ის მაუსყიდია ზურაბ ერისთავსა. გაუტეხია ციხე-სიმაგრე. ჩამაიღეთ ჳმალი, ჩამაიღეთ და თავი მამჭერითო — უთქვამს მიქას. შარვანაის რძალილა გადარჩენილა ცოცხალი, ის შამჯდარა ჯორზე და წამოსულა გუდამაყრისაკა.

“კიდევაც დაგლაკავო, ფხიტუს წვეროო,  
ჯორსა შავჯდები, ნაჯოგარსაო”.

ის ქალი წამოიდა ფხიტუზე, ჩამოიდა ათნოხში. იმას შვილი ეყოლა. ბავშვს დაარქვეს შარვანაი, იმის ჩამომავლები ვართ ჩვენა. ეხლა, ყოველ მარიანობას გადავდივართ ჳევსურეთში, ჩვენი წინაპრის ძველ ნასახლარში, სადაც ამჟამად ხატია, იქ ვადუღებთ ლუდსა და დღეობაში წინ-წინ ჩვენ საკლავ დაიკლვის”.

**181. მეშველა მილზაურისძე**

თსუფა №25441. მთქმელი პეტრე გოგოჭური, ჩამწერი ზურაბ კვიციანი. სოფ. ატაბე (ხევსურეთი). 1981.

**182. თურმანმა ფაფარენელმა**

თსუფა №28455. მთქმელი მამუკა წიკლაური, ჩამწერი ზაზა დვალი. სოფ. კოტორიანი (გუდამაყარი), 1986 წლის იანვარი.

**183. ლეგამ თქვა, ბოლონათამა**

თსუფა №28456. მთქმელი ნინო ბობიაშვილი, ჩამწერი მიხეილ ღანიშაშვილი. სოფ. აკადი (ფშავი), 1988 წლის 12 ივლისი.

**184. რაკველ კარგი ხარ, ზაფხულო**

თსუფა №28457. მთქმელი ბაბაღე ოჩიაური, ჩამწერი თათია თვალავაძე. სოფ. მლაშე (დუშეთის რაიონი), 1986 წლის 1 მარტი.

**185. ვინ ახველ საძეღეზედა**

თსუფა №28458. მთქმელი, ჩამწერი, ადგილი და თარიღი იგივე.

**186. ტიტულის კიდურ გაკვრიტეს**

შან., გვ. 12, №35. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**187. ლეგუას მადურათასა**

თსუფა №28459. მთქმელი ნინო ბობლიაშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. აკადი (ფშავი). 1988 წლის 12 ივლისი.

**188. მოკლიკა ფილაიშვილმა**

თსუფა №28460. მთქმელი მაიკო წელაური, 11 წლის, ჩამწერი ტრისტან მახაური. ვაკის სოფელი (ფშავი), 1988 წლის 13 ივლისი.

**189. იკითხის ემაგ ქუჯეგმა**

თსუფა №28461. მთქმელი, ჩამწერი, ადგილი და თარიღი იგივე.

**190. ატირდა ტუტილ წისქვილში**

შან., გვ. 64-65, №163. მთქმელი ბათაკა არაბული, ჩამწერი ნ. ურბნელი.

**191. ავთანდილ გადინადირა**

კოტ., გვ. 99-100. მთქმელი გ. ხუტაშვილი. სოფ. ნინბისი (ქართლი). ეს ლექსი შეიცავს როგორც სამონადირეო, ასევე საგმირო პოეზიის ელემენტებს.

**192. შვიდთ ძმათა, მერვეს ბიძასა**

შან., ტ. I, გვ. 76, №19. მთქმელი კაცრიელ არჩემაშვილი (თეთრაკეველი), ჩამწერი აკაკი შანიძე.

**193. სად იყავ, კარო ირემო**

რაზ., გვ. 100-101, №80. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**194. ნისლი წევს საირმეშია**

რაზ., გვ. 102, №90. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**195. დუშმანიმც არი, დედაო**

თურმ., გვ. 13.

**196. შენ იქ ვერ ახვალ, ვაჟაო**

თსუფა №27466. მთქმელი გიორგი მგელას ძე ლიქოკელი, ჩამწერი ლალი წიკლაური. სოფ. ბარისახო. (ხევსურეთი).1986.

**197. შინ რად არ იჯე, ცუდაო**

თურმ., გვ. 11. მთქმელი ტოლხა შეთეკაური.

**198. სამი თვე დავრჩი ზოვს ქვეშა**

ივ. ხორნ., გვ. 303. მთქმელი ჭრელ კოჭლიშვილი, ჩამწერი ივანე ხორნაული.

**199. არ გავიტეხავ გუნებას**

თსუფა №28462. მთქმელი ბაგრატ ცოცანიძე, ჩამწერი ს. შეშაბერიძე.

**200. შაუდგა კიკვაზაური**

თსუფა №27469. მთქმელი გიორგი ლიქოკელი, ჩამწერი ლალი წიკლაური. სოფ. ბარისახო (ხევსურეთი), 1986 წლის ივლისი. ტექსტს ახლავს მთქმელის განმარტება: “ახალწლის ზამთარი იყო. წავიდნენ ბადრიაულები სანადიროდ, თორმეტნი — ეგ როგორ გაგვითამამდაო, — უთქვამს გუდანის ჯვარზე. მოსულა ზვავი მაგ ოკერკევს და თორმეტივე მაუკლავ. იმ ადგილს ეხლაც ოკერკევს ეძახიან”.

**201. ამბობენ კოვლიანაში**

თსუფა №26453. მთქმელი ვლადიმერ წვეროშვილი, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ლაფანყური (თელავის რაიონი). 1985.

**202. თქვენ ბერდიასა, ირმებო**

თსუფა №24624. მთქმელი ხვთისო მოკვერაშვილი, 55 წლის, ჩამწერი ტრისტან მახაური. სოფ. ჯიჯეთი (თიანეთის რაიონი). 1981 წლის 5 თებერვალი. მთქმელის განმარტება: “ბრმა მონადირე ამბობს”.

**203. ჯიკვებმ შასტირნეს კლდეებსა**

თსუფა №28463. მთქმელი ტოლხა შეთეკაური, ჩამწერი ტრისტან მახაური. ზოტიკიანთკარი (დუშეთის რაიონი), 1985.

**204. გადად-გადმოდის ღრუბლები**

თსუფა №26677. მთქმელი ზაურ ჯაბუშანური, ავტორ-მთქმელი ალია გიგაური, ჩამწერი ნიკოლოზ ზვიადაური. სოფ. ლაფანყური (თელავის რაიონი). 1985.

**205. თოვლი სთოვს, ჯიკვი ფეკს უცემს**

რაზ., გვ. 101, №83. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**206. ჯიკო, გუნება მძიმეო**

რაზ., გვ. 103, №93. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი.

**207. ჯიკვან შასჩივიან ჭაუხსა**

თსუფა №24009. მთქმელი გიგია ბაბუას ძე ჭინჭარაული, 67 წლის, ჩამწერი ნაზი ზვიადაური. სოფ. გუდანი (ხევსურეთი), 9. VII. 1979.

**208. ძაღლო, ჩაჰყეფე, ყურშაო**

თსუფა №26706. მთქმელი ბაბალე ლომაშვილი, 71 წლის, ჩამწერი ლალი წიკლაური. სოფ. ლაფანყური (თელავის რაიონი), 1985.

**209. ჯიკვების განავალი კლდე**

კოტ., გვ. 73. ჩამწერი თ. მაჭავარიანი. ხევსურეთი.

**210. ბეთქილი**

თსუფა №28464. მთქმელი მურზაყან ბექირბის ძე დადეშქელიანი. ჩამწერი უცნობია. ტექსტი ჩაწერილია 1936 წლის 20 აპრილს. ჩანაწერი ფოლკლორისტიკის კათედრას გადმოსცა ეთნოგრაფმა იოსებ კვიციანმა.

**211. დილაზე დილაობითა**

თსუფა №24718. მთქმელი პეტრე შალვას ძე კუწაშვილი, 84 წლის, ჩამწერები მაია ბოჭორიშვილი და მაია ქარსელაძე. სოფ. მუქუ (ფშავი), 1981 წლის ივლისი.

**212. ჯიკვო, შენ ნულარ გეშინის**

თსუფა №23207. მთქმელი ჩაჩაურ გადუას ძე არაბული, 10 წლის, ჩამწერი ამირან არაბული. სოფ. აყნელი (ხევსურეთი), 1978 წლის 2 თებერვალი.

**213. ლეგვედარ ჯიკვებ დავკოცე**

თსუფა №23220. მთქმელი ბერდია ჭინჭარაული, ჩამწერი ამირან არაბული. ს. ჭიე (ხევსურეთი), 1978 წლის 6 თებერვალი.

**214. კარგსა მონადირესაო**

თსუფა №656. მთქმელი ელისა ლობჯანიძე, 90 წლის, წერა-კითხვის უცოდინარი. ჩამწერი ლ. მდინარაძე. სოფ. ღებო (ზემო რაჭა), 1962.

**215. კლდემა გასძახა კლდესაო**

თსუფა №657. მთქმელი, ჩამწერი, ადგილი და თარიღი იგივე.

**216. კასრას დასწიეს ჯიხვებმა**

თსუფა №28598. მთქმელი ელისა ლობჯანიძე, ჩამწერი გიორგი ჯაფარიძე. ღებო (ზემო რაჭა), 1961.



**217. შენ მონადირე იყავი**

თსუფა №269-ა. მთქმელი ნესტორ გიორგის ძე გავაშელი, დაბ. 1879 წელს, წერაკითხვის მცოდნე, უკრავს ჭიანჭურზე. ჩამწერი ნონა ღამბაშიძე, სოფ. ღები (ზემო რაჭა), 1962 წლის 17 ივლისი.

**218. თოფმა სთქვა**

თაყ., გვ. 385, №62. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი, კახეთი.

**219. ქალსა ვისმე ერქვა შრუშანა**

თაყ., 164. ჩამწერი აფრასიონ ჯაფარიძე, ზემო რაჭა.

**220. შენ, ჩემო დიდო იმედო**

კოტ., გვ. 12. მთქმელი ბრმა მეჩანგე სანდრო ბექაური. თბილისი.

**221. მინდორ-მინდორ კოშკი დავდგი**

თაყ., გვ. 286, №664. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი, ქართლი.

**222. ვინა ხარ, ვინ იარები**

ხვარ., გვ. 13-14.

**223. საფრანგეთისა ატლასო**

კოტ., გვ. 12. მთქმელი ნინო ასათიანი. სოფ. ხიდისთავი (ქართლი).

**224. შენ ქალო ლალო, ლამაზო**

